

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თ. უთუბაიძე

ქართული ენის
სახელის
მორფონოლოგიური
ანალიზი



თბილისი
„მეცნიერება“

1986

ნაშრომში განხილულია ქართული ენის სახელთა ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიები და დერეკაციის ის შემთხვევები, რომლებიც აღნიშნულ კატეგორიათა გამომხატველ ელემენტებს უკავშირდება.

ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემები გაანალიზებულია სტრატეგიკაციული თვალსაზრისით.

ნაშრომი განკუთვნილია ქართული ენის სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის და ქართული ენით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ჭაფარიძე

რეკენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: ე. ბაბუნაშვილი,
არ. მარტიროსოვი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სახელთა მორფონოლოგიური ცვლილებები ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიათა მიხედვით და დერიაციის ის შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია ზემოთ დასახელებულ კატეგორიათა გამომხატველ ელემენტებთან.

ძველი და თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტური ქვესისტემების მონაცემთა ანალიზი ხდება სტრატეფიკაციული თვალსაზრისით.

ძიების ასეთი მასშტაბი განაპირობა იმან, რომ სახელთა ბრუნებისა და რიცხვის წარმოების სისტემა ძველსა და თანამედროვე ქართულში სტრუქტურულად იდენტური ჩანს. განსხვავება დროსა და სივრცეში ეხება მხოლოდ სისტემის ფონიკურ რეალიზაციას, რომლის ვარიანტები არ სცილდება საერთო ძირითად კანონზომიერებებს.

ანალიზის ეს მეთოდი უფრო ადეკვატური ჩანს, რადგან ენის ელემენტები და მათი ურთიერთობანი განიხილება შესაბამის სტრატუმთა მიხედვით, სადაც ისინი წარმოდგენილია იდეალურად და იმავე დროს მკაცრად არიან განსაზღვრული. აუცილებელია ფორმალურ-სემანტიკური კრიტერიუმების შემუშავება ენობრივ ელემენტთა სტრატუმის განსასაზღვრად, ასე მაგალითად /ორ-ი/ ფორმაში /-ი/ ფლექსიური ელემენტი, /ორივე-მ/ ფორმაში კი ფუძის შემადგენლობაში გადადის და აღარაფერი აქვს საერთო ფლექსიურ სისტემასთან; ასევე არანეირების წესის შეცვლასთან ერთად ფუძეცა და ფლექსიური ელემენტებიც მნიშვნელობას იცვლიან და განსხვავებული სტრატუმის ან სტრატუმის შიგნითა სხვა მიკროსისტემის ელემენტებად მოიქცევიან (შდრ. ღირ-ს და ღირს-ი).

რაც შეეხება მორფონოლოგიურ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ ენაში, არის ცდა, აღვწეროთ ისინი ენის გლობალურ სისტემაში მოქმედი ყველა კანონზომიერების გათვალისწინებით.

„იდეალურად წარმოდგენა“ ვარაუდობს შემდეგს: ამა თუ იმ კონკრეტულ ელემენტთა კანონზომიერებებზე მსჯელობის დროს ისინი წარმოდგენილია სხვა სტრატუმთა კანონზომიერებების გავლენის გარეშე, ასე მაგალითად, მორფოლოგიურ სტრატუმში სახელობითი

ბრუნვის ნიშანი მუდამ წარმოდგენილი იქნება {-ი}-ს სახით, მიუხედავად იმისა როგორ არის რეალიზებული მეტყველებაში — როგორც /-ი/, /ნ/, /-ა/ თუ /0/.

/-ი/, /-ნ/, /-ა/ და /0/-ზე მსჯელობა ხდება გლობალურ სისტემაში მონაწილე ყველა სტრატემის კანონზომიერებათა გათვალისწინებით.

ზოგჯერ ნულოვანი ალომორფით წარმოდგენილ სახელის ფორმას ათანაბრებენ ფუძესთან; ზოგჯერ კი, თუ სახელს ნულოვანი ალომორფები აღმოაჩნდება კონკრეტულ პარადიგმაში, სახელი ცხადდება უბრუნველად, მაგალითად (1) „ღ ე და, ხ ე, ყ რ უ და მისთანანი ერთსა და იმავე დროს ფუძესაც წარმოადგენენ და სახელობითის ფორმასაც“¹ და (2) „საზღვრულის წინ დასმული ხმოვან-ფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ უბრუნველია“². ეს მეორე დებულება ვარაუდობს კოხტა, მწვანე, ტიპის მსაზღვრელს საზღვრულის წინ: კოხტაქალი, კოხტაქალმა, კოხტაქალს და ა. შ.³

ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ენაში ბრუნვათა არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია სახელთა რომელიმე რეალურად დადასტურებული ფორმა ფუძეს წარმოადგენდეს.

ფუძე არის ლინგვისტურ მსჯელობაში დაშვებული განყენება — ხელს უწყობს ენობრივ ანალიზს, კერძოდ, სახელის ფორმიდან ბრუნვის ნიშნების გამოყოფას, იმ ნიშნებისა, რომლებიც, ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მონაწილეობენ „სიტყვათშორისო ურთიერთობაში“⁴. ბრუნვისა და რიცხვის ნიშანთა გამოყოფის შემდეგ რაც რჩება — სახელის ფუძე, არ მონაწილეობს „სიტყვათშორისო ურთიერთობაში“. წინადადებაში კი სახელი „სიტყვათშორისო ურთიერთობის“ წევრია და, მაშასადამე, სახელის ფორმის ფუნქციური ანალიზის დროს ამ შემადგენლების ცალ-ცალკე გამოყოფა აუცილებელია. რეალურ ენობრივ კონტექსტში ცალკე არც სახელის ფუძე არსებობს და არც ბრუნვის ნიშანი. სახელის ნებისმიერ ფორმაში ისინი უთუოდ არიან წარმოდგენილი იმ აუცილებლობით, რომ ერთმა სახელის ლექსიკური მნიშვნელობა გადმოსცეს (ფუძემ), ხოლო მეორემ (ბრუნვის ნიშანმა) კავშირი დაამყაროს წინადადების სხვა წევრთან. ამ მიზეზით ქართულ წინადადებაში უბრუნველი სახელი არასოდეს გვექნება.

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 60.

2 იქვე, გვ. 85.

3 იქვე, გვ. 86.

4 იქვე, გვ. 44.

მაშასადამე, ზემოთ ნახსენები დ ე დ ა, ხ ე, ყ რ უ და მისთანანი ფუძედ კვალიფიცირდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ბრუნვის ნიშანს ჩამოვაცილებთ, ე. ი. წინადადებიდან ამოვიღებთ და ჩავატარებთ ხელოვნურ განყენებით ოპერაციას. წინადადებაში კი, ე. ი. რეალურ ენობრივ ტექსტში მათ აუცილებლად ბრუნვის ნიშანიც ექნება და, თუ მას არ გამოვყოფთ, მაშინ შეუძლებელი იქნება ადეკვატური გრამატიკული ანალიზის ჩატარება როგორც ცალკე აღებულ მორფოლოგიურ სისტემაში, ისე ენის გლობალურ სისტემაში.

ენის გლობალურ სისტემაში დ ე დ ა, ხ ე, ყ რ უ... ფორმათა გრამატიკული ანალიზი აუცილებლობით მოითხოვს სახელობით ბრუნვაში დავეშვათ ფუნქციის მქონე ნულოვანი ალომორფი /-0/, რომელიც მორფოლოგიური სტრატუმის დონეზე გამოიხატება {-ი}-ს სახით. როგორც ცალკე — სხვა სტრატუმების გარეშე განხილული მორფოლოგიური სისტემა, ისე {-ი}-ც განყენებული ელემენტია და სრულად გამოხატავს სახელობითი ბრუნვის ფუნქციას.

ნულოვან ალომორფს აქვს იგივე ფუნქცია, რაც მის ფონოლოგიურად შეპირობებულ ალომორფს ან ალომორფებს (ქართული ენის მასშტაბით სახელობით ბრუნვაში ისინი რამდენიმეა), მაგალითად: წინადადებაში „ძმა მოვიდა“ ძმა სახელი ენის გლობალური სისტემის მიხედვით ჩაიწერება როგორც /ძმა-0/. /-0/ ამ შემთხვევაში ატარებს იმავე გრამატიკულ ფუნქციას, რასაც /-ი/ /კაცი/ ფორმაში „კაცი მოვიდა“ წინადადებიდან. /-ი/ და /-0/ ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია (/ი/~ /0/) სახელობითი ბრუნვის {-ი} მორფემისა.

ამავე საფუძველზე მსაზღვრელები: კ ო ხ ტ ა, მ წ ვ ა ნ ე... უბრუნველად ვერ ჩაითვლება იმის გამო, რომ მათ ნულოვანი ალომორფები აქვთ ბრუნვებში. ოღონდ ასეთ მსაზღვრელთა ნულოვანი ალომორფების ფუნქცია ბრუნვათა მიხედვით განსხვავებულია: კ ო ხ ტ ა-0 ქალ-ი შესიტყვებაში თუ /-0/ სახელობითი ბრუნვის {-ი}-ს ალომორფია. კ ო ხ ტ ა-0 ქალ-მა შესიტყვებაში /-0/ იქნება მოთხრობითი ბრუნვის {-მა} მორფემის ალომორფი და ა. შ.

შეიძლება დავასკვნათ: თუ სახელის ფორმას გავანალიზებთ რეალურ ენობრივ კონტექსტში, გრამატიკული ანალიზის პროცედურაში აუცილებელია ბრუნვის მორფემის გამოყოფა. არ შეიძლება ასეთი სახელის ფორმას ვუწოდოთ ფუძე და ვთქვათ, რომ შესიტყვებაში სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი ან სახელი უბრუნველია.

მორფოლოგიური სტრატუმის დონეზე სახელობითი ბრუნვის ნიშანი იქნება მხოლოდ ერთი მორფემა — {-ი}, მაშასადამე, შესაბა-

მისად ამისა, /ძმა-0/ მორფოლოგიური სტრატუმის დოხეზე გადაიწე-
რება როგორც {ძმა-ი}. ამ დონეზე მორფოლოგიური ელემენტები
(ჩვენს შემთხვევაში — ფუძე და ბრუნვის ნიშნები) განყენებულად
არიან წარმოდგენილი და ინვარიანტულია. ამათი რეალიზაცია ენის
გლობალურ სისტემაში, სადაც ფონემატური სტრატუმის კანონზომი-
ერებებიც მოქმედებენ, შეიძლება განსხვავებული იყოს ქვესისტემების
მიხედვით ერთსა და იმავე პოზიციაში, ამავე დროს განსხვავებული
იყოს ცალკეულ ქვესისტემებშიც სხვადასხვა პოზიციაში, ასე მაგალი-
თად: წინადადების ბოლოს, ე. ი. პაუზის წინ, ქართლის ზოგ რეგიონ-
ში (გორში და მასთან ახლო მყოფ რაიონებში) {ძმა-ი} რეალიზებუ-
ლია, როგორც /ძმა-ი/ („მოვიდა ძმაი“), თუშურში — როგორც /ძმა-ჲ/
(„მოვიდ ძმაჲ“), სალიტერატურო ქართულსა და კახურში როგორც
/ძმა-0/ („მოვიდა ძმა“).

იმავე ქართულსა და თუშურში ისეთ პოზიციაში, სადაც პაუზა
არ მოსდევს ბრუნვის ნიშანს, {ძმა-ი} წარმოდგენილია, როგორც
/ძმა-0/ („ძმა მოვიდა“ — ქართლური, „ძმა მოვიდ“ — თუშური.
[ი] > [ჲ]: [ი]-ს გადასვლა [ჲ]-ში უკავშირდება ფონემატურ კა-
ნონზომიერებას, რის შესახებაც ქვემოთ ვრცლად გვექნება მსჯელო-
ბა ყველა ქართული ქვესისტემის გათვალისწინებით.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ის მორფოლოგიური ცვლილე-
ბები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სახელთა ბრუნებაში ქართული
ენის განვითარების ისტორიულ მანძილზე: :ბოლოს კი განვიხილავთ
სახელთა ბრუნების დღეს მოქმედ სისტემას.

ქართული ენის სახელთა ბრუნების სისტემა მრავალგზის ყოფი-
ლა სპეციალისტთა კვლევის ობიექტი: ანალიზდებოდა როგორც ცალ-
კეული ბრუნვები, ისე მთლიანად სისტემა (ნ. მარი, ა. შანიძე, არნ.
ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი, ჰ. ფოგტი, ჰ. არონსონი და
სხვ.).

სპეციალისტთა მოსაზრებებს აქ ცალკე არ წარმოვადგენთ, კონ-
კრეტულ საკითხებზე მსჯელობისას კი განხილული იქნება ესა თუ
ის ვარაუდი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მოვლენას უკავშირ-
დება.

სახელთა დეტერმინაცია ძველ ქართულში

ძველი ქართული ენის ტექსტებში იდენტურ გრამატიკულ კონტექსტში დასტურდება როგორც წრფელობითი, ისე სახელობითი ბრუნვის ფორმები, ასევე როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელთა გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში¹, რის გამოც არსებითად აღარ ხდება გარჩევა, ერთი მხრით, სახელობითი და წრფელობითი ბრუნვებისა, მეორე მხრით, მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმებისა სისტემის თვალსაზრისით.

ასეთი ვითარება გვაპარაუდებინებს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ ცვლილებებთან, რაც მომხდარა ენის განვითარებაში უძველესი პერიოდიდან ძველ ქართულამდე.

ენის შემდგომი განვითარება ამ აზრს განამტკიცებს: წრფელობითი ბრუნვის ფორმები საერთოდ აღარ გვაქვს ენაში, ხოლო ბრუნვათა გავრცობა-გაუვრცობლობა აღარ უკავშირდება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკურ პლანს და მთლიანად განეკუთვნება მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებების სფეროს.

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ სახელთა განსაზღვრულობის სემანტიკური სისტემა ძველ ქართულამდე და ძველ ქართულში ძველი ქართული ენის მონაცემთა მიხედვით.

ძველ ქართულში ბრუნებისა და სახელთა დეტერმინაციის სისტემები მჭიდროდ არის ერთიმეორესთან ჩახლართული. აქ ბევრი რამ მოითხოვს დაზუსტებასა და გარკვევას, რომელთაგან არსებითია შემდეგი: (1) თუ სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა ნიშნები ერთდროულად დეტერმინაციულ ფუნქციასაც ასრულებენ, მაშინ რატომ უჩნდება ისინი საკუთარ სახელებს? ხანმეტ, ჰაემეტ და საერთოდ მე-10 საუკუნემდე ტექსტებში რომ ეს შემთხვევით (ცალმის

¹ იხ., მაგალითად, ი. იშნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვები ძველ ქართულში, 1957; ზ. სარჯელაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975.

შეცდომა, ორიგინალის გავლენა თარგმანზე...) არ ხდებოდა — კარგად გამოაჩინა ენის განვითარების შემდგომმა პერიოდმა; (2) სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა გვერდით რა საჭირო იყო ნაწევარი — წმინდა დეტერმინაციული ელემენტი: კაც-ი იგი, კაც-ი ესე, კაც-ი ეგე...

ეს „გაუგებრობა“ სისტემის ხასიათს ატარებს: განსაზღვრებითი ელემენტის („-ა ემფატიკურის“) გვერდით რატომ იხმარება ნაწევარი: კაცს-ა მას...? (3) შეიძლება გავიგეოროთ ადრე ნათქვამი: ძველ ქართულში რატომ ხდება სახელთა, ერთი მხრით, წრფელობითი და სახელობითი ბრუნვების და, მეორე მხრით, ემფატიკურ ხმოვნისანი და ამ ხმოვნის არმქონე ფორმათა თავისუფალი მონაცვლეობა? საკითხის შესწავლის ისტორიის მოშველიებით შევეცდებით გავანალიზოთ ძველ ქართულში შექმნილი ვითარება.

ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში მ. მარი განიხილავს როგორც ნაწევრიანი, ისე ნაწევრის გარეშე წარმოდგენილი სახელების ბრუნებას². სახელთა დეტერმინაციასთან დაკავშირებით იგი აყენებს საყურადღებო დებულებებს ძველი ქართულისა და მის წინა პერიოდისთვის. მართალია, ნ. მარი აქ არ მსჯელობს ქრონოლოგიურ საფეხურებზე მოვლენის ისტორიაში, მაგრამ, თუ მის მიერ გაანალიზებულ ფორმებს განვიხილავთ დინამიკაში, მივიღებთ სახელთა განსაზღვრის განსხვავებულ საფეხურებს, რომლებიც თავისებურად აისახა ძველ სალიტერატურო ქართულ ენაში.

აქვე ვიტყვი, რომ ნ. მარის ვარაუდს სახელთა დეტერმინაციასთან დაკავშირებით ზოგადად ემთხვევა ჰ. ფოგტის ვარაუდი, თუმცა ეს არ ჩანს ამ უკანასკნელის განცხადებიდან, რომელიც წინ უძღვის ბრუნვათა სისტემისადმი მიძღვნილ მის გამოკვლევას³. „ნ. მარის გრამატიკის გამოყენება საკმაოდ ჭირს, რადგან ავტორი განსაკუთრებით ეტიმოლოგიური პრობლემებითაა დაინტერესებული და სრულებით არ ცდილობს გამიჩნოს ძველი და შედარებით ახალი მოვლენები, რეალურად დადასტურებული და აღდგენილი ფორმები...“⁴

3. ფოგტის ეს განცხადება სამართლიანია მხოლოდ იმ მხრივ, რომ ნ. მარს, მართლაც, მსჯელობაში ერთნაირად შემოაქვს დადასტუ-

² Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

³ Н. Vogt, Le système des cas en géorgien ancien, NTS, Bd, XIV, Oslo, 1947, ქართული თარგმანი იხ. „მიზომილველი“, 4/5, 1968 (ქვემოთ უუთითებთ ქართული თარგმანის მიხედვით).

⁴ ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

რებული და აღდგენილი ფორმები, მაგრამ, როგორც ვთქვით, თუ ნ. მარის მიერ გაანალიზებულ ფორმებს განვიხილავთ დიაქრონიულ ასპექტში, რის საშუალებასაც ნაშრომი უთუოდ იძლევა, მივიღებთ სრულიად ექსპლიციტურ ვარაუდს სახელთა დეტერმინაციასთან დაკავშირებით.

ნ. მარის თვალსაზრისით, ბრუნებებს სისტემა ქართულში ძველ ქართულამდევ ხასიათდებოდა განსაზღვრულობის კატეგორიის ქონებით. აქ ერთიმეორეს უპირისპირდებოდა ცალკეულ ბრუნვათა განსაზღვრელი და განსაზღვრული ფორმები. ეს უკანასკნელი იყენებდნენ ნაცვალსახელებს. აღნიშნული ოპოზიციები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

განუსაზღვრელი		განსაზღვრული
გაუფორმებელი ბრუნვა (Hფ.)	კაც	კაცი (<კაც-ჰი)
მიც. ² (D ²)	კაც-ან	კაც-მ-ან
ნათ. წიგნ.	კაცი-ნ	კაც-მ-ინ
	ხალხ.	კაცი-ის
მოქ.	კაცი-ით	კაცი-ით-ა (<კაცი-ით-ჰა)

*ჰი, *ჰა, *მ განსაზღვრებითი ელემენტებია — ნაცვალსახელები. განსაზღვრულობის კატეგორიის მიხედვით არც მიცემითი ბრუნვის ფორმების აღდგენა გაჭირდება:

მიც.¹(D)¹: კაც-სა<კაც-ას (განუსაზღვ.) — კაცი-ას-ა<კაცი-ას-ჰა (განსაზღვ.).

აქ უნდა შევნიშნოთ: (1) ნ. მარის მიხედვით თეორიულად არსებობდა და ძველ ქართულსაც ჰქონდა გაუფორმებელი წ(Неоформленные) ბრუნვა, რომლის ფორმა მატერიალურად ემთხვეოდა სახელის ფუძეს; მაგალითად: კაც (თანამედროვე ტერმინია წრფელობითი); (2) ნ. მარის სახელთა ბრუნების პარადიგმების განხილვისას ვიფარგლებით მხოლოდ იმით, რაც ეხება სახელთა განსაზღვრულობის სისტემის კვლევას; არ ვიხილავთ ბრუნვის ნიშანთა სემიოტიურ წარმომავლობას, რაც, სხვა მკვლევართა მსგავსად, ჩვენთვისაც მიუღებელია.

ჩვენს წინაშე სრულიად ნათელი სურათი წარმოდგება: ძველი ქართული ენის წინა საფეხურზე სახელთა ბრუნების სისტემაში პარადიგმების წევრები ხასიათდებოდნენ განსაზღვრულობის კატეგორიის ქონებით; მარკირებული იყო განსაზღვრული წევრები, რომლე-

¹ Н. Я. Марр, დასახ. ნაშრ., გვერდები: 18, 22, 59.

ბიკ ირთავენ ჩვენებით ნაცვალსახელებს: ჰი, ჰა, მ-ს; განსაზღვრებითი ელემენტი წიგნურ გაუფორმებელ (H_h.), ნათესაობით და მეორე მიცემით (D²) ბრუნვებში პირდაპირ ერთვოდა სახელის ფუძეს და იბრუნვოდა, ფუძე კი უცვლელი რჩებოდა; ხალხურ ნათესაობითსა და მოქმედებითში განსაზღვრებითი ელემენტი — ა (<ჰა) ბრუნვის ნიშანს მოსდევდა. ნ. მარმა ამ უკანასკნელს უწოდა „ემფატიკური“.

შემდგომ პერიოდში წიგნური ფორმების განსაზღვრებითი ელემენტები შეერწყა ბრუნვის ნიშნებს და ცალკე ელემენტებად აღარ გამოიყოფა; ეს. შერეული ელემენტები გაფორმდნენ ერთიან ბრუნვის ნიშნებად.

ძველ ქართულში დეტერმინაციის სხვა სისტემაა. ეს სისტემა ყალიბდება მას შემდეგ, როცა უკვე დამთავრდა სახელთა ბრუნვის ნიშნების შერწყმა განსაზღვრებით ელემენტებთან.

ნაწევარი, ანუ განსაზღვრებითი წევრი, როგორც ნ. მარი უწოდებს, სახელის ბრუნვის ფორმასთან ცალკე მდგომი მე-3 პირის ნაცვალსახელია — იგი „იჲ“, რომელიც ირიბ ბრუნვებს იწარმოებს მფუძით. ნაწევრით განსაზღვრულ სახელებს არა აქვთ წოდებითი და გაუფორმებელი ბრუნვა (H_h.); ბრუნებისას სახელი ემფატიკური სახით არის წარმოდგენილი, განსაზღვრებითი წევრი (ნაწევარი) კი — მარტივად, ე. ი. ემფატიკური ელემენტის გარეშე (მაგ., კაც-სა მას); მრავლობითი მხოლოდ წიგნური ფორმებით იწარმოება; ირიბ ბრუნვებში სახელის ბრუნვის ნიშნის -თა-ს ა ემფატიკური ხმოვნის როლში გამოდის, განსაზღვრებითი ელემენტის ბრუნვის ნიშანს კი ჩვეულებრივი -ათ სახე აქვს მ-ათ (გვ. 61—62).

მართალია, ნ. მარმა ჩამოაყალიბა სახელთა განსაზღვრის ორი სისტემა: პირველი — ძველ ქართულამდე, მეორე — ძველ ქართულში, მაგრამ არაფერი უთქვამს ამ სისტემათა ურთიერთმიმართებაზე და თითოეული მათგანის მიმართებაზე სახელთა ფორმაცვალების მთლიან სისტემასთან.

ამ საკითხებს პასუხი გასცა ჰ. ფოგტმა. ვიდრე მათ განვიხილავდეთ, ნ. მარის მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ შემდეგი: სახელთა ბრუნების სისტემაში რომ განსაზღვრულობის კატეგორიის ორი სისტემის შერწყმასთან გვაქვს საქმე — ასეთი ვარაუდის საფუძველს, მართლაც, იძლევა ძველი ქართული ენა, რომლის ნაწევრიანი სახელები ბრუნვათა მიხედვით ორ-ორ განსაზღვრებით ელემენტს შეიცავენ: ერთი მხრით, სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა ნიშნებს პირდაპირ ბრუნვებში და ემფატიკურ ა-ს ირიბ ბრუნვებში და, მეორე მხრით, თვით ნაწევარს. ამ ელემენტთა განსაზღვრებითი ხასიათი კარგად ვლინდება საკუთარ სახელთა ბრუნვებთან მიმართებით: საკუთარი სახელები, რომლებიც განსაზღვრას არ საკურობენ

თავისი ბუნებით, სწორედ ამ ელემენტებს ერიდებიან ძველი ქართულის ბრუნებაში. ტექსტები რაც ძველია, ეს განსხვავება საკუთარ და საზოგადო სახელთა შორის მით უფრო მკაცრად არის დატული.

ბუნებრივია, ეს ვითარება ამოსავალი იქნებოდა ჰ. ფოგტის კვლევისთვისაც. ამის შესახებ ის სხვა ტერმინებში მსჯელობს, კერძოდ: მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ძველი ქართულის ბრუნების სისტემა გამოირჩევა ბრუნვათა ფორმების გასაოცარი ასიმეტრიით მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში“⁶. მხოლოობით რიცხვში გამოყოფენ შეიდიდან ცხრა ბრუნვამდე, მრავლობითში კი — მხოლოდ სამს. შემდეგ: სისტემა გართულებულია ბრუნვათა გრძელი ფორმებისა (ემფატიკურხმოვნისანი) და მოკლე ფორმების რიგებით. მან ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ევროპულ ენათა არტიკლიან სახელებს მნიშვნელობით შეესაბამება ძველი ქართულის ნაწევრიანი სახელები (კაცი იგი, კაცმან მან, კაცსა მას...) და არა გრძელი ფორმები (კაცი, კაცმან, კაცსა...). ამ უკანასკნელთ, ჰ. ფოგტის აზრით, არასწორად მიიჩნევენ განსაზღვრულ ფორმებად. ასე რომ, განსაზღვრულ ნაწევრიან სახელებს უპირისპირდებიან განუსაზღვრელი მოკლე და გრძელი ფორმები, რომელთაც ნაწევარი არა აქვთ: კ ა ც ი ი გ ი (განსაზღვრ.) ~ კ ა ც, კ ა ც ი (განუსაზღვრ.), კ ა ც ს ა მ ა ს (განსაზღვრ.) ~ კ ა ც ს, კ ა ც ს ა (განუსაზღვრ.) და სხვ.

ასეთ ვითარებაში გასარკვევი იყო ნაწევარდაურთველ სახელთა მოკლე და გრძელი ფორმების მიმართება ისტორიულად, რადგან ძველ ქართულში ისინი ერთიმეორეს არ უპირისპირდებიან საზოგადო სახელთა ბრუნების სისტემაში. გრძელი ფორმები ირიბ ბრუნვებში ძირითადია, მაგრამ შეიძლება მათი ჩანაცვლება შესაბამისი მოკლე ფორმებით. ჰ. ფოგტის ვარაუდით, „გრძელ და მოკლე ფორმათა შორის დაპირისპირებას უკან შეიძლება აღმოვაჩინოთ არქაული სემანტიკური დაპირისპირება, ნაწილობრივ დაჩრდილული უკვე ძველს ტექსტებში“⁷. ეს დაპირისპირება საკუთრივ ბრუნებასთან არ არის დაკავშირებული და ფიქრობს, რომ აქ „გვაქვს სემანტიკურ ოპოზიციათა ორი სისტემის, ბრუნებადისა და არაბრუნებადის, გადახლართვა“⁸.

კ ა ც, კ ა ც - ი და კ ა ც - ნ - ი ფორმათა გრამატიკულ მნიშვნელობებზე დამყარებით ჰ. ფოგტი ასკვნის: „კაც ფორმა არ არის არც მხოლოობითი და არც მრავლობითი რიცხვისა, ის არის სახელო-

6 ჰ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, „მომომხილველი“, 4/5, 1968, გვ. 252.

7 იქვე.

8 იქვე.

ბითის ფორმა, რიცხვის მიხედვით განურჩეველი⁹ (ხ. ჩ.—თ. უ.). ფორმის ასეთი გაგება ემყარება სათანადო მაგალითებს: „არა კაც ჰკლა“; „არა უბნ მათ ძირ“; თუ ალ გასხენ“ და სხვ. ამ მაგალითებში, როგორც ვხედავთ, მოკლე ფორმა გამოდის როგორც გრამატიკული სუბიექტის, ისე გრამატიკული ობიექტის როლში და აქვს როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის გაგება, ჰ. ფოგტის სიტყვებით, „გამოხატავს სახელურ მნიშვნელობას მთელი თავისი ზოგადობით რიცხვის განურჩევლად“¹⁰ (ხ. ჩ.—თ. უ.). ასეთ ფორმას ჰ. ფოგტი უწოდებს გვარეობრივ სახელობითს საპირისპიროდ გრძელი ფორმისა (კაც-ი), რომელსაც არქმევს განსაკუთრებულ (სპეციფიკურ) სახელობითს¹¹.

„სპეციფიკური სახელობითი“ უნდა გავიგოთ, როგორც კონკრეტულ სახელის სახელობითი. გვარეობითი ჯგუფიდან სპეციფიკურში გადასვლა ხდება გვარეობითის ზოგად ცნებაზე გარკვეული ნიშნის დამატებით, სწორედ ამ ნიშანს მოჰყვა -ი სუფიქსი (კაც-ი). მაშასადამე, საქმე გვაქვს დეტერმინაციასთან. თვით ეს სადეტერმინაციო ნიშანი იქმნება კონკრეტული სიტუაციებისა და მოქმედების მიხედვით, რომლებთანაც „სპეციფიკური სახელობითის“ ფორმაა დაკავშირებული. რიცხვის გამოხატვა „სპეციფიკური“ ფორმებისთვის, როგორც კონკრეტულთათვის უკვე, შეიძლება ითქვას, ცხოვრებისეული აუცილებლობაა და ენაში სწორედ მათ გაუჩნდათ რიცხვის მიხედვით განსხვავებული ფორმები: კაც-ი ~ კაც-ნი.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით სახელთა ფორმებში ვიღებთ ორ დაპირისპირებას:

I. კაც-კაც-ი — გვარეობითი ~ სახეობითი (ანუ სპეციფიკური).

II. კაც-ი ~ კაც-ნი — მხოლოდითი ~ მრავლობითი.

ქრონოლოგიურად I წინ უსწრებს მეორეს. მეორე პირველის გარეშე შეუძლებელია. რიცხვის კატეგორია მხოლოდ სახეობრივ (სპეციფიკურ) ფორმებშია შესაძლებელი. ჰ. ფოგტისეულ დაპირისპირებას გვარეობითი ~ სახეობითი პირობით ვუწოდოთ კონკრეტულობის კატეგორია, რამდენადაც „გვარეობითი“ არის ზოგადი, არაკონკრეტული, ხოლო სპეციფიკური (სახეობითი) არის გვარეობ-

⁹ ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

¹⁰ იქვე, გვ. 254.

¹¹ იქვე.

ბითისა და რაღაც ნიშნის ჯამი, ე. ი. სახე, ანუ კონკრეტიზებული სახელი.

3. ფოგტს საკმაო რაოდენობის მაგალითები მოჰყავს სხვა ბრუნვებშიც ანალოგიური დაპირისპირების საჩვენებლად, რაც ბრუნების პარადიგმაში კონკრეტულობის კატეგორიის მიხედვით იძლევა ასეთ სურათს:

	გვარეობითი	სახეობითი
სახ.	კც	კაც-ი
მიც.	კაც-ს	კაც-ს-ა
ნათ.	კაც-ის	კაც-ის-ა
მოქ.	კაც-ით	კაც-ით-ა

როგორც პარადიგმიდან ჩანს, ბრუნვათა სახეობრივ ფორმებში კონკრეტულობის ელემენტებია -ი და -ა სუფიქსები.

რიცხვის კატეგორიის მიხედვით კი იქმნება ასეთი სურათი:

ს ა ხ ე ბ რ ი ვ ი ა ნ უ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი

	მ ხ. რ.	მ რ. რ.
სახ.	კაც-ი	აც-ნ-ი
მიც.	კაც-ს-ა	კაც-თ-ა
ნათ.	კაც-ის-ა	კაც-თ-ა
მოქ.	კაც-ით-ა	კაც-თ-ა

რიცხვითი დაპირისპირება, ე. ი. რიცხვის კატეგორია ახასიათებდა მხოლოდ კონკრეტიზებულ ფორმებს.

ქრონოლოგიურად ამას მოსდევს ნაწევრით განსაზღვრული ფორმების გაჩენა. როგორც რიცხვის კატეგორია, ნაწევრით გამოხატული განსაზღვრულობის კატეგორიაც უჩნდება სპეციფიკურ ბრუნვათა ფორმებს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან განსაზღვრა შესაძლებელი იყო მხოლოდ კონკრეტული სახელებისა და მივიღეთ ასეთი ოპოზიციები ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით:

სახეობრივი განუსაზღვრელი			სახეობრივი განსაზღვრული	
მ ხ. რ.	მ რ. რ.		მ ხ. რ.	მ რ. რ.
სახ.	კაც-ი	კაც-ნ-ი	~	კაც-ი იგი კაც-ნ-ი იგი
მიც.	კაც-ს-ა	კაც-თ-ა	~	კაც-ს-ა მას კაც-თ-ა მათ
ნათ.	კაც-ის-ა	კაც-თ-ა	~	კაც-ის-ა მის კაც-თ-ა მათ
მოქ.	კაც-ით-ა	კაც-თ-ა	~	კაც-ით-ა მით კაც-თ-ა მათ

3. ფოგტი მოთხრობითი ბრუნვის სპეციფიკურ ფორმებთან დაკავშირებით წერს: „რადგან საზოგადო სახელებში არა გვაქვს არავითარი სხვაობა მოკლე და გრძელ ფორმებს შორის, ერგატივი არ იწვევს შენიშვნებს“¹². ასევე მსჯელობაში არ შემოვიდა ვითარებითი ბრუნვა — იგი თავისი ლოკატიური ფუნქციით (ესივი, ლატივი, აბლატივი...) არ საჭიროებდა განსაზღვრულ ფორმებს.

3. ფოგტი სახეობრივ ფორმებში კონკრეტიზაციის ელემენტთა წარმომავლობასაც ეხება, კერძოდ, სახელობითი ბრუნვის -ი და ირიბი ბრუნვების -ა სუფიქსებს აკავშირებს „ჩვენებით ელემენტებთან“, რომლებიც გვხვდება ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა ფორმებში: ამა და იმა; აქა და იქი: „ეს ელემენტები გამოყენებული იქნებოდა სპეციფიკური და ინდივიდუალური მნიშვნელობის მისანიჭებლად კაც და კაც-ს ფორმებთანათვის, რომელთა მნიშვნელობა ძალზე ზოგადი იყო“¹³.

ენის განვითარების შემდგომ ეტაპზე, როცა დაიწყო სახელთა ხელახლა განსაზღვრა, 3. ფოგტის მარჯვე თქმით, კონკრეტიზაციის „ხერხი განმეორდა“: სახელობითში -ი გადადის ბრუნვის ელემენტად და უკვე ი-ბრუნვისნიშნან სახელობითს უპირისპირდება ნაცვალსახელით განსაზღვრული იგივე ფორმა: კაც ი ~ კაც ი ი გ ი. -ი სუფიქსი აქ მხოლოდ ბრუნვის ნიშანია, კონკრეტიზაციასთან მას აღარ აქვს ძველი კავშირი. დეტერმინაცია ახლა იგი ნაცვალსახელით ხორციელდება. მართლაც, „გამეორებულ იქნა იგივე ხერხი“, ოღონდ განსხვავებული მასალით, თუმცა საერთო შინაარსით, რადგან ძველი და ახალი სადეტერმინაციო ელემენტების ჩვენებით ნაცვალსახელური ბუნება უდავოა.

რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან ნ. მარისა და 3. ფოგტის ვარაუდები?

1. საერთოა შემდეგი: (ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი და ირიბ ბრუნვათა ემფატიკური ხმოვანი -ა წარმომავლობით ჩვენებითი ელემენტებია, რომლებიც დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში პირებთან სიახლოვის მისათითებლად.

ნ. მარი გამოყოფს მ ნაცვალსახელურ ელემენტსაც პირის ნაცვალსახელთა არასწორი დაშლის საფუძველზე (მ-ან, მ-ას).

(ბ) ორივე მკვლევარი თვლის, რომ განუსაზღვრელობა-განსაზღვრულობა (ნ. მარი), ანუ გვარობრივ-სახეობრივი (3. ფოგტი) მიმართება, თუმცა თვით ბრუნების სისტემაში არ შედის, ბრუნების პარადიგმას ბოლომდე გასდევს, ყოველ ბრუნვაში იძლევა დაპირის-

¹² 3. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

¹³ იქვე, გვ. 272.

პირებულ ფორმებს და წარმოადგენს დეტერმინაციის სემანტიკურ-
კლანს, რომელიც ბრუნების სისტემას ისე უკავშირდება, როგორც
მაგალითად, რიცხვი.

(გ) საერთოა ისიც, რომ განსაზღვრულობის I საფეხურის (ჰ. ფო-
გტის გვარეობრივ-სახეობრივი მიმართება) მაწარმოებლები ჩვენები-
თი ნაწილაკებია, რომლებიც ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებთან
გვხვდებიან, II საფეხურის მაწარმოებლებად კი აღებულია მთლიანი
ნაცვალსახელური ფორმები (იგი, მან, მას...). I და II საფეხურის გან-
საზღვრებითი ელემენტები, მიუხედავად მასალობრივი სიახლოვისა (სა-
ერთო აქვე დეიქტური ხმოვნები), ერთიმეორისგან არ გამოიყვანე-
ბიან.

II. განსხვავებას ამ თითქმის იდენტურ ვარაუდებს შორის ქმნის
ექსპლიციტურობის ხარისხი: მეტი კონკრეტულობა და თეორიული
სისრულე აქვს ჰ. ფოგტის დებულებებს. მან განსაზღვრულობის I
საფეხური რიცხვის ფორმებს დაუკავშირა და დასამტკიცებლად მო-
იხმო ძველ ტექსტთა სათანადო ფორმები. ნ. მარს, უნდა ვივარაუ-
დოთ, ასეთი გააზრება სახელთა განსაზღვრულობის I საფეხურისა არ
ჰქონია, თორემ წრფელობით ბრუნვაში კაც-ნ არარსებულ ფორმას
არ ჩაწერდა (იხ. გვ. 40). ნ. მარმა სახელთა ბრუნების ფორმებში და-
ინახა განსაზღვრულობის ორი საფეხურის ნიშნები და შეამჩნია, რომ
განსაზღვრულობის I საფეხურის ელემენტები უკვე რეინტერპრეტი-
რებული იყო ენაში და სხვა ფუნქციას ასრულებდნენ; რიცხვის ფორ-
მები რომ დეტერმინაციის I საფეხურს მოჰყვა, ეს მან, როგორც
ვთქვით, ვერ შეამჩნია.

ჩვენ ეს ორი ვარაუდი ერთად წარმოვადგინეთ არა კვლევის
ქრონოლოგიის მიხედვით, არამედ მათი დიდი მსგავსების საფუძ-
ველზე.

განსაზღვრულობის კატეგორიის ნ. მარსიეული გაგება ზოგადად
ქართული ენის ყველა მკვლევარმა მიიღო, მაგრამ არის განსხვავება
სადეტერმინაციო ელემენტთა ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით და,
რაც მთავარია, განსხვავება არის ბუნებისა და დეტერმინაციის სის-
ტემათა ურთიერთმიმართებისა და განვითარების გაგებაში.

ირიბ ბრუნვათა -ა და სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების
-ი და -მან დაბოლოების ნაცვალსახელური წარმომავლობა, მათი გან-
საზღვრებითი ზასათი მისაღები იყო ყველა ქართველი ლინგვისტის-
თვის, კერძოდ. სახელობითი ბრუნვის -ი მიჩნეული იქნა იგი ნაცვალ-
სახელის ნაშთად: იგი > ი (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა); ნაცვალსახელუ-
რი წარმომავლობისად ჩაითვალა -ა სუფიქსიც მიცემით, ნათესაობით
და მოქმედებით ბრუნვებში: *ჰა > ა (ქ. დონდუა) ან ნაწევრის ირიბი
ბრუნვების ფორმათა ცვეთის შედეგად: ამას > ა, ამის > ა... (ივ. იმნაი-

შეილი, ა. შანიძე). მან ხომ ყველასთვის ბრუნვის ნიშანიც არის (-მან), ნაცვალსახელიც (მან) და ნაწევარიც (მან). ამ ელემენტთა დეტერმინაციული წარმომავლობა არავის ეჭვს არ იწვევდა და არ იწვევს.

არნ. ჩიქობავას ვარაუდი შეიძლება სრულად გადმოცეთ შემდეგი დებულებით: „ე. წ. ემფატიკური -ა ნათესაობითსა და მიცემით-ში, სახელობითის -ი და მოთხრობითის -მან ერთი და იმავე ფუნქციის ოდენობაა: სამივე განსაზღვრებაა, დეტერმინაცია, სამივე ნაცვალსახელოვან ელემენტს იყენებს“¹⁴.

ანალოგიურია ჰ. ფოგტის მსჯელობა: „ერგატივი შექმნილია წმინდა და ფუძეზე ჩვენებითი ნაცვალსახელების ერგატივის ფორმის დართვით... ამდენად, გასაგებია, საკუთარ სახელებს რატომ არა აქვთ ერგატივის ფორმა... მან-ის ასეთი ახსნა გვაფიქრებინებს, რომ სახელობითისა და მიცემითის გრძელი ფორმების -ი და -ა ელემენტებს უნდა ჰქონდეთ მსგავსი წარმომავლობა“¹⁵.

არნ. ჩიქობავა სახელობითსა და მოთხრობითს, როგორც ბრუნვებს, გვიან ჩამოყალიბებულად თვლის: ჯერ ირიბი ბრუნვები, შემდეგ მოთხრობითი, ბოლოს სახელობითი. „ისტორიულად — მოთხრობითი“ პირველი სახელობითია“ — აცხადებს იგი¹⁶.

თუ ჩვენს შემდგომს მსჯელობაში არსებით მნიშვნელობას აღარ მივცემთ ზემოთ განხილულ განსაზღვრებით სუფიქსთა წარმომავლობას — ეტიმოლოგიას და მივიღებთ მკვლევართა ერთსულოვან ვარაუდს -ი, -მან, -ა ელემენტთა დეტერმინაციული წარმომავლობის შესახებ, რაც მათ აძლევს შემდეგი დასკვნების საშუალებას: (1) არც ერთი მათგანი წარმოშობით არ არის ბრუნვის ნიშანი; (2) მათი გადაქცევა ბრუნვის ნიშნად მოხდა გვიან; (3) -ა არც ქცეულა ბრუნვის ნიშნად, რადგან „მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებზე ა-ს დართვა დიდი ხნით უნდა უსწრებდეს წინ სახელობითისა და მოთხრობითის, როგორც ბრუნვების ჩამოყალიბებას“¹⁷, დადგება კითხვები: (ა) როგორ იქცა -ი და მან დეტერმინაციული ელემენტები

¹⁴ არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის, კრებულში: სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 267 (წაითხულია მოხსენებად 1942 წელს).

¹⁵ ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 272.

¹⁶ არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ., X, 1939 გვ. 175; მისივე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, 1979, § 29.

¹⁷ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 133.

ბრუნვის ნიშნებად და (ბ) რა ფუნქციური ცვლილებები განიცადა ემვატიკურმა - ა სუფიქსმა?

ზემოთ წარმოდგენილი ვითარების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაზე ძველი ბრუნვა არის სახელდებითი, კერძოდ ის ბრუნვა, რომელსაც ჰქონდა განუსაზღვრელი და განსაზღვრული ფორმები (უღრის ნ. მარის გაუფორმებელი ბრუნვის განუსაზღვრელ და განსაზღვრულ ფორმებს და ჰ. ფოგტის სახელობითის გვარეობრივ და სახეობრივ, ანუ სპეციალურ ფორმებს). ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ზმნათა გარდამავლობა, მასასადამე, არა გვაქვს სახელობითი და მოთხრობითი დღევანდელი გაგებით.

სახელდებითი უძველესი ენობრივი ფორმაა, რადგან იგი უკავშირდება ადამიანის უპირველეს მოთხოვნილებას — საგანს მიეცეს სახელი. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მისი თავდაპირველი ფორმა დღევანდელი გაგებით, „ფუძეა“, ე. ი. ფორმაში ყველაფერი ემსახურება ლექსიკური მნიშვნელობის გადმოცემას. ვიდრე იგი ენაში იერთადერთია, სახელს ჯერ კიდევ არა აქვს ბრუნების კატეგორია, მაშასადამე არც თვითონ წარმოადგენს ბრუნვას, მაგრამ საკმარისია გაჩნდეს რომელიმე სხვა (ირიბი) ბრუნვა, რომ ეს ბრუნვის თვალსაზრისით გაუფორმებელი სახელი მაშინვე იქცეს სახელდებით ბრუნვად: ქართული ენის სინამდვილეში, თუ ირიბი ბრუნვები სივრცით მიმართებებს გამოხატავენ¹⁸, სახელდებითი მათ დაუპირისპირდებოდა როგორც არამარკირებული წევრი ბრუნების სისტემისა და, როგორც ასეთს, მას არც სჭირდებოდა ბრუნვის სპეციალური ნიშანი. ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს გ. კლიმოვის ვარაუდი: „უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად სუბიექტურ-ობიექტური (სახელობითი — თ. უ.) ბრუნვა იყო არამარკირებული და იყენებდა სახელის წმინდა ფუძეს“¹⁹. ეს დებულება გამოდგება ჩვენ მიერ რეკონსტრუირებული სახელდებითი ბრუნვისთვის და არა გვიანდელი სახელობითისთვის: როგორც ვნახეთ, ფუძე, რომელიც შემდეგ, ირიბი ბრუნვების ჩამოყალიბებისთანავე, ბრუნვის ფორმად იქცევა, შეიძლება განსაზღვრულიც იყოს და განუსაზღვრელიც; ამდენად, რომელიმე კაცი ფორმა, ვიდრე ენაში განსაზღვრული (ნ. მარი), ანუ სახეობრივი (ჰ. ფოგტი) მნიშვნელობით იხმარებოდა პირველადი ბრუნების სისტემაში სახელისათვის ისევე ფუძე იყო (განსაზღვრული ფუძე), როგორც მისი საპირისპირო გა-

¹⁸ ჰ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, „მომოზილველი“, 4/5, 1968.

¹⁹ Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, გვ. 43.

ნუსაზღვრელი კაც. ეს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა სახელთა ფორმებს სხვა ბრუნვებშიც გასდევდა ენის განვითარების მომდევნო საფეხურზე.

გ. კლიმოვის მსჯელობა ეხება ქართველურ ენათა დიფერენციაციის დასაწყისის უშუალო წინა პერიოდს, როდესაც ჩამოყალიბებულია როგორც სახელობითი, ისე მოთხრობითი ბრუნვები და ზმნათა გარდამავლობა. ჩვენი თვალსაზრისით კი ეს ვითარება (სახელდებითი ბრუნვის გამოხატვა ნულოვანი ნიშნით) ქრონოლოგიურად უფრო ადრე უნდა გვექონოდა — ზმნათა გარდამავლობის, სახელობითისა და მოთხრობითის სინტაქსური თვალსაზრისით განსხვავებულ ბრუნვებად ჩამოყალიბებამდე.

აქ საჭიროა ვინაჟელოთ კონკრეტულად მოთხრობითი ბრუნვის შესახებ და სახელობითისა და მოთხრობითის ქრონოლოგიურ მიმართებაზე.

ენის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც საზოგადო სახელთა სახელდებითი (არაირიბი) ბრუნვის ფორმები ნულოვანი ნიშნით იყო წარმოდგენილი, მსგავსად საკუთარი სახელებისა: რომელ თქვს (მდრ. აბრაამ თქვს)²⁰, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზმნას გარდამავლობა არა აქვს ჩამოყალიბებული, ამდენად გაუმართლებელია იმ ეტაპზე სახელდებითი ბრუნვის კაც ~ კაცი (განუსაზღვრელი ~ განსაზღვრული) ფორმებს მხოლოდ სახელობითი ან მხოლოდ მოთხრობითი დავარქვათ. სახელდებითი ბრუნვა (კაც ~ კაცი) სივრცითი მიმართების აღნიშვნისგან თავისუფალი წევრია ბრუნებში სისტემაში, მისი ფუნქციაა საგნის დასახელება, რომელსაც მომდევნო გარდამავალ პერიოდში ზმნაში მიმდინარე ცვლილებების კვალობაზე განსხვავებული ნიუანსი უჩინდება სხვადასხვა კონტექსტში, კერძოდ, ის ნიუანსები, რაც შემდეგ სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფუნქციად გამოიკვეთა.

ეს ნიუანსები ფუნქციურად სივრცობრივ მიუმართავი სახელდებითი ბრუნვის განსაზღვრულ ფორმაში უნდა ჩასახულიყო პირველ რიგში, რადგან სახელობითი და მოთხრობითი შემდგომ დეტერმინაციული სუფიქსებით გაფორმდნენ.

გარდამავლობის ჩამოყალიბების კვალობაზე გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სუბიექტების გარჩევა დაწყებულია სივრცობრივ მიუმართავი ბრუნვის (სახელდებითის) განსაზღვრულ ფორმებში: გარდაუვალ ზმნასთან განსაზღვრული ფორმა იყენებს ნაცვალსახელურ -ი სუფიქსს (კაცი-ი), ხოლო გარდამავალ ზმნასთან — ნაცვალსახელურ -მან სუფიქსს (კაცი-მან). ბრუნების სისტემაში ხდება ორი ახა-

²⁰ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 26.

ლი ბრუნვის ჩამოყალიბება სინტაქსური მოთხოვნის საფუძველზე ნაცვლად ერთი სახელდებითი ბრუნვისა. ბრუნვათა მიმართების ეს ახალი — სინტაქსური პრინციპი შემდეგ ბრუნების მთელ სისტემას გაქოლავს.

როგორც კი კაც-ი და კაც-მან იღებენ სინტაქსურ ფუნქციას გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთან, ზედმეტი ხდება განუსაზღვრელი კაც ფორმა, რომელიც მათგან განვითარების წინა საფეხურზე მხოლოდ განუსაზღვრელობით განსხვავდებოდა და არა გრამატიკული ფუნქციით; ამავე დროს -ი და -მან სუფიქსებს ეკარგებათ დეტერმინაციული ფუნქცია და ყალიბდებიან ბრუნვათა ნიშნებად. რა თქმა უნდა, -მან ამ დროს არ იშლება. იგი მთლიანი დეტერმინაციული სუფიქსია, შემდეგ უკვე ბრუნვის ნიშანი.

ძველი ქართული ენის სინტაქსისთვის წრფელობითი უკვე ზედმეტი ფორმაა: მისი ადგილი აღარ იყო სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების გვერდით, თუ არ მოხდებოდა ამ ფორმის ფუნქციური რეინტერპრეტაცია. ასეთი რამ არ მოხდა და საბოლოოდ ამოვარდა კიდევ ენის სინტაქსიდან. შემთხვევითი არ არის ზ. სარჯველაძის დასკვნა, რომელსაც იღებს V—XI საუკუნეების ძეგლთა შესწავლის საფუძველზე: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველი ქართულს დონეზე წრფელობითის ცალკე ბრუნვად გამოყოფა არ არის მართებული...“²¹ რა თქმა უნდა, სახელობითისა და მოთხრობითის გვერდით „წრფელობითი“ ბრუნვა ვერ იქნება.

სინტაქსური მოთხოვნილების საფუძველზე საჭირო გახდა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების განსხვავება განუსაზღვრელ ფორმებშიც განსაზღვრულთა კვალდაკვალ, რის გამოც -ი და -მან სუფიქსებმა დაკარგეს დეტერმინაციული ფუნქცია და მიუთითებენ მხოლოდ გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების ლუბიექტთა ბრუნვებზე. ამ კონტექსტში აღარ დგება საკითხი იმის შესახებ მოთხრობითი ბრუნვის ჩამოყალიბება უსწრებს წინ სახელობითისა თუ, პირიქით — როგორც ბრუნვები -ი დაბოლოებიანი სახელობითი და -მან დაბოლოებიანი მოთხრობითი ერთდროულად ჩამოყალიბდნენ, რადგან, როგორც ვნახეთ, ორივე ბრუნვა ერთი მოთხოვნილების შედეგია, ერთიმეორის გარეშე გამართლება არა აქვთ.

არნ. ჩიქობავას ვარაუდი, რომ „ისტორიულად — მოთხრობითი პირველი სახელობითია“²², მისაღებია მხოლოდ გარდამავალ ზმნათა

21 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 123.

22 არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ., X, 1939, გვ. 175; მისივე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, 1979, გვ. 145.

ფარგლებში, ამ ტიპის ზმნათა სერიების მიხედვით განსხვავებულ კონსტრუქციებზე მსჯელობისას, როდესაც ივარაუდება, რომ გარდამავალ ზმნათა მეორე სერიის ფორმები ამოსავალია სხვა სერიების ფორმათათვის.

გარდამავლობის კატეგორია ვარაუდობს როგორც აბსოლუტური და რელატიური გარდაუვალი, ისე რელატიური გარდამავალი ზმნების არსებობას. ამ მასშტაბით მიდგომისას II სერიის ფარგლებში ერთდროულად ყალიბდება სახელობითი (გარდაუვალ ზმნებთან) და მოთხრობითი (გარდამავალ ზმნებთან) ბრუნვები, მანამდე მათ ადგილზე ივარაუდება სივრცობრივ მიუპართავი სახელდებითი ბრუნვა თავისი განუსაზღვრელი და განსაზღვრული ფორმებით.

გ. კლიმოვის აზრი — „ქართულში სუბიექტურ-ობიექტური („სახელობითი“) ბრუნვის სპეციალური ნიშანი -ი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე სუბიექტური (მოთხრობითი) ბრუნვის ნიშანი -მან...²³“ ემყარება იმას, რომ ქართველურ ენებში მოთხრობითი ბრუნვის ფორმები დიფერენციაციის შემდეგ ცალ-ცალკე ჩამოყალიბდნენ (თუმცა ივარაუდება, რომ ეს ბრუნვა იყო საერთო-ქართველურში); ქართულში -მან სუფიქსიანი მოთხრობითი ახალია, ნათლად იგრძნობა მისი ჩვენებითი სემანტიკა და ამიტომაც არა აქვთ საკუთარ სახელებს და სხვ. და ეს ყოველივე ნაკლებ საგრძნობია სახელობითის -ი სუფიქსიან ფორმებში, ამიტომ ძველს ტექსტებში საკუთარი სახელი შეიძლება შეგვხვდეს სახელობითის -ი სუფიქსით, როცა არ გვხვდება მოთხრობითის -მან სუფიქსით...²⁴

ძველ ქართულში -მან სუფიქსიანი საზოგადო სახელები ყოველთვის განუსაზღვრელია (კაცმან, სახლმან, ძემან და სხვ.), -მან სუფიქსს აღარა აქვს დეტერმინაციული ფუნქცია, იგი მხოლოდ ბრუნვის ნიშანია: სწორედ ამიტომ ძველ ქართულში საკუთარ სახელებსაც უჩნდება იგი, რაც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში²⁵. ამდენად, ზემოთ მოყვანილ არგუმენტებზე დამყარებით, ვერ მივიღებთ დასკვნას, თითქოს სახელობითი ბრუნვის ჩამოყალიბება წინ უსწრებს მოთხრობითისას.

როგორც კი -ი და -მან იქცნენ ბრუნვის ნიშნებად, სახელის განსაზღვრა დაიწყო ნაწევრით, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ძველი წესით დაპირისპირება განუსაზღვრელი და განსაზღვრული ფორმებისა მოიხსნა, ე. ი. დაპირისპირებანი: კაც~კაც-ი, კაცს~კაცსა, კა-

²³ Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

²⁴ იქვე, გვ. 55 და შემდეგ.

²⁵ ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 371; ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

ცის~კაცის-ა... ველარ მოქმედებენ; მართლაც, ვერ ვიტყვით, რომ კაც განუხაზღვრელია, ხოლო კაცი-ი, კაცი-მან — განსაზღვრული: ძველი ტექსტები საზოგადო სახელებში ამის უფლებას არ იძლევიან. ეს ბუნებრივიც იყო: ძველი დეტერმინაციული ელემენტების რინტერპრეტაცია ბრუნვის ნიშნებად უკვე დამთავრებულია, ისინი ახლა საკუთარ სახელებთანაც იხმარებიან. ძველ ქართულში საზოგადო და საკუთარი სახელები მხოლოდ ნაწევრით უპირისპირდებიან ერთიმეორეს, რადგან ამ დროს მხოლოდ ნაწევარია დეტერმინაციული ელემენტი: კაცი იგი, კაცი-მან მან... მაგრამ არ შეიძლება დავითი იგი, დავით-მან მან, თუ ანთროპონიმმა არ დაკარგა კონკრეტიზაციის ფუნქცია, ვთქვათ, ერთდროულად ლაპარაკია რამდენსამე პიროვნებაზე, რომლებიც ერთსა და იმავე სახელს ატარებენ...; ამის გვერდით ენის ახალი პისტემით, რომელიც ძველი ქართულის არსებითი მახასიათებელია, შეცდომა აღარ არის დავითი, დავით-მან ფორმები — ი და -მან ხომ მხოლოდ ბრუნვის ნიშნებია!

რა დაემართა -ა დეტერმინანტს ირიბ ბრუნვებში? როდესაც -ო სახელობითში და -მან მოთხრობითში ბრუნვის ნიშნებად იქცნენ, დეტერმინაციული წარმომავლობის -ა სუფიქსიც კარგავს თავის ძველ ფუნქციას და უერთდება მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებს. ძველ ქართულში რომელიმე კაცს გრამატიკულ-ლექსიკური თვალსაზრისით არ უპირისპირდება კაცსა ფორმას, ასევე კაცი-ს — კაცი-სა ფორმას და კაცი-თ — კაცი-თა ფორმას. აქ წარმოდგენილ წყვილთა ორივე ცალეში განუხაზღვრელია და გრამატიკული ფუნქციით იდენტური. სწორედ ამიტომ ძველ ქართულში საკუთარი სახელიც იღებს „ემფატიკურ“ -ა-ს ამ ბრუნვებში²⁶.

-ა ემფატიკურის ფუნქცია ძველი ქართულის რიგ ფორმებში წმინდა მორფონოლოგიური ხასიათისა ჩანს: იგი ქმნის ბრუნვის ნიშანთა რეალიზაციის პირობებს სიტყვისა და წინადადების ფარგლებში, ასე მაგალითად, ძველი ქართულისთვის ბუნებრივია ფორმები: რომელსაცა, შჯულსაცა, მისთაცა და სხვ., არ გვხვდება ამის პარალელურად ფორმები: რომელსცა, შჯულსცა, მისთცა. ანალოგიური ვითარება ჩანს -ვე ნაწილაკიან ფორმებში: ბუნებრივია რომელსაცე, შჯულსაცე, ადგილსაცე... არაბუნებრივია იგივე ფორმები ემფატიკური -ა-ს გარეშე.

ძველი ქართულის გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები შე-

²⁶ მაგალითები იხილეთ ივ. იმნაიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ. 373; ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

იძლება შეპირობებული იყოს მორფოლოგიურადაც, ასე მაგალითად, ემფატიკური ხმოვანი არ ჩანს შედგენილი შემსმენელის სახელად ფორმაში: ჭუარსეცუა...²⁷; შდრ. ჭ უ ა რ ს ა ხ ე დ ვ ი დ ა და ს ხ ე.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ემფატიკური -ა მორფოლოგიური თვალსაზრისით ცალკე ელემენტად არ გამოიყოფა ძველ ქართულში.

ახალ ქართულში -ა-ს მორფონოლოგიური ფუნქციაც შემორჩა (შდრ. კაცს და კაცსაც; მეგობრად და მეგობრადაც) და ახალი ფუნქციაც შეიძინა, კერძოდ, მას ტექსტში ხშირად აქვს დიერემის დანიშნულება (რის შესახებ ქვემოთ საკმაოდ ვრცლად გვექნება მსჯელობა), ამიტომ გარკვეულ ლინტაქსურ გარემოში დღეს -ა, როგორც დიერემა, ფონემატურად არ არის შეპირობებული.

²⁷ ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.

სახელთა ბრუნების ფორმათა ანალიზი

როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედროვეში სახელს აქვს შვიდი ბრუნვა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ისინი თავ-თავისი, ერთი მეორისაგან განსხვავებული, ფორმითა და ფუნქციით ხასიათდებიან. ჩვენი მხრით დამატებითი მსჯელობას მოითხოვს წრფელობითი ბრუნვის ამოღება ძველი ქართულის ბრუნვებიდან, ხოლო ახალ ქართულში სადავოდ გამხდარი წოდებითი ბრუნვის შეტანა ბრუნვათა რიგში.

წრფელობითი, როგორც ვნახეთ, ცალკე ბრუნვას არასოდეს წარმოადგენდა ქართულ ენაში: იგი ან იყო სახელდებითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა უძველეს ქართულში — სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბებამდე, ან სახელობითი ბრუნვის თავისუფალი ვარიანტი (სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბების შემდეგ).

თავისუფალი ვარიანტის შექმნა აქ განაპირობა არქაული ფორმალური მიმართების შემორჩენამ იმ პირობებში, როდესაც ამ ფორმალურ მიმართებას აღარა ჰქონდა ფუნქციური ღირებულება: როდესაც კაც იყო სახელდებითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა, მაშინ უპირისპირდებოდა ამავე ბრუნვის განსაზღვრულ კაცი ფორმას; როდესაც კაცი ფორმის -ი სუფიქსი ბრუნვის ნიშნად იქცა და ამასთან ერთად დაკარგა დეტერმინაციული ფუნქცია, ძველი სახელდებითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა იქცა ახლად ჩამოყალიბებული სახელობითი ბრუნვის თავისუფლად მონაცვლი ფორმად. ორივეს (კაც და კაცი ფორმებს), უკვე სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელ ფორმებს, დაუპირისპირდა ახლებურად ნაწარმოები განსაზღვრული კაცი იგი ფორმა.

რამდენადაც საჭმე გვაქვს „ძველი ქართულის“ ან შემდგომი პერიოდის ქართული ენის მონაცემებთან, „წრფელობითის“ ფორმას ჩვენ განვიხილავთ, როგორც სახელობითი ბრუნვის თავისუფალ ვარიანტს. ზოგ სინტაქსურ გარემოში არსებითი სახელი წრფელობითი ფორმით არის წარმოდგენილი (რიცხვით სახელებთან: სამ კაც... ზოგიერთ ზმნასთან: ეწოდა სახელ...). ეს შეიძლება მორფოლოგი-

ურ შეპირობებად ჩაგვეთვალა, მაგრამ „დარღვევები“ აქაც ხდება, წრფელობითი სახელობითის თავისუფალ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ თქმულის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი ქართულის /ძირ/ ფორმა („არა უბნ ძირ“) მიღებულია არა მხოლოდ /ძირი/-სგან ბოლო /-ი/-ს დაკარგვით, როგორც ადრე ვფიქრობდით გუეღ, თავე ფორმებთან დაკავშირებით (იხ. ჩვენი ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“, გვ. 134), არამედ, შესაძლოა, წარმოადგენდეს /ძირ/-ს თავისუფალ ვარიანტსაც.

წოდებითი ბრუნვის შეტანა ბრუნების სისტემაში გამართლებულია იმით, რომ ფლექსიურ ცვლილებათა მიხედვით ბრუნების პარადიგმას როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში წოდებითი ტაობრივი წარმოების ისეთსავე წესს ავლენს, როგორსაც, მაგალითად, სახელობითი: კაც-ო, კაც-ებ-ო, კაც-ნ-ო (შდრ. კაც-ი, კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი). ამავე დროს მათი გრამატიკული ფუნქციები განსხვავებულია. წოდებითი ბრუნვის -ო-ს ადგილი არის მხოლოდ ფლექსიურ ელემენტა შორის, ამ შემთხვევაში მას მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ფუნქცია თუ მიეცემა.

როდესაც მიმართვა ხორციელდება მთელი შესიტყვებით, წოდებითი ბრუნვის ნიშანი მიმართვის შიგნით წარმოდგენილ სახელთა შორის ქმნის ისეთსავე გრამატიკულ ურთიერთობას (შეთანხმებას), როგორცაა ხასიათდება სხვა ბრუნვები¹.

წოდებითის კაც-ნ-ო ფორმა ერთადერთია, რომელიც მხარს უბამს სახელობითის კაც-ნ-ი ფორმას ნარ-თანთან მრავლობითის პარადიგმაში. ფორმათა წარმოების ასეთი დამთხვევა პარადიგმის შიგნით მხოლოდ და მხოლოდ ბრუნების სისტემაში შეიძლება იქნეს განხილული, სადაც -ი და -ო სუფიქსები ერთმეორეს უპირისპირდებიან როგორც ბრუნვათა გამომხატველი აფიქსები.

ქვემოთ წარმოვადგენთ ცალკეულ ბრუნვათა ნიშნებს პოზიციების მიხედვით ძველსა და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში.

ძველი ქართულის ტექსტებში სახელის ბრუნვათა ნიშნები წარმოდგენილია შემდეგი ალომორფებით:

სახელობითი {-ი} : /ი/ ~ /-ჲ/ / /-ო/ ²

¹ დაწერილებით იხ. ა. შანიძე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956.

² ალომორფებს შორის დახრილი ვრძელი ხაზით მივეუთითებთ ალომორფთა თავისუფალ მონაცვლეობაზე: „/ო/ თავისუფლად ენაცვლება /-ი/ და /-ჲ/ ალომორფებს“.

მოთხრობითი {-მან}: /-მან / ~ /-0 /

მიცემითი {-სა}: /-სა / ~ /-ს /

ნათესაობითი {-ისა}: /-ისა / ~ /-ის / ~ /-მსა / ~ /-მს /

მოქმედებითი {-ითა}: /-ითა / ~ /-ით / ~ /-მთა / ~ /-მთ /

ვითარებითი {-ად}: /-ად / ~ /-დ / ~ /-ა / ~ /-0 /

წოდებითი {-ო}: /-ო / ~ /-0 /³

სახელობით ბრუნვაში /-ი/ და /-ე/ ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია. მათ ვხვდებით როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან: /-ი/ მოუღის თანხმომავანფუძიან სახელებს, ხოლო /-ე/ — ხნოვანფუძიან სახელებს; მაგალითად, საზოგადო სახელები: კაცი, ძმა-ე... საკუთარი სახელები: აბრაჰამი ლ. 3, 89 E; იქვე, C: აბრაჰამი, ევა (სინური მრავალთავი 5,35); იერუსალემი (მ. 2, 3), გალილეა (მ. 4, 15)⁴. საკუთარი სახელები ამ ბრუნვაში უმეტესად გვხვდებიან /-0/ ალომორფით, ე. ი. ბრუნვის ნიშანი მატერიალურად არ არის წარმოდგენილი ფორმაში (აბრაჰამ, ევა, იერუსალემ, გალილეა...); ნულოვანი ალომორფი ამ ბრუნვაში გვხვდება საზოგადო სახელებთანაც: კაცი, ძირ, ძმა და სხვ. /-ი/, /-ე/ და /-0/ ალომორფების მქონე სახელები სახელობით ბრუნვაში შეიძლება ასრულებდნენ როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის ფუნქციას. ამ მხრივ მათ შორის სხვაობა არ არის. განსხვავება მათ შორის ატარებს რაოდენობრივ ხასიათს: საზოგადო სახელები აღნიშნული გრამატიკული ფუნქციით უფრო ხშირად გვხვდება /-ი/ და /-ე/ ალომორფებით, ვიდრე ნულოვანი დაბოლოებით. შებრუნებული ვითარება არის საკუთარ სახელებში (არსებითად ანოროპონიმებში). მიუხედავად რაოდენობრივი სხვაობისა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ნულოვანი დაბოლოების ფორმები თავისუფლად მონაცვლეობენ -ი ან -ე დაბოლოების მქონე ფორმებთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრუნების სისტემის თვალსაზრისით საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის განსხვავება არა გვაქვს, რადგან საზოგადო სახელებში {-ი} (/ი/ ~ /-ე/) აღარ არის დეტერმინაციული სუფიქსი⁵. რაოდენობრივი სხვაობაც ისტორიულად ცვალებადია. საშუალ ქართულში (მაგ. „ვეფხისტ

3 ა. შანიძე წრფელობითთან ერთად, რომელიც ჩვენ ცალკე ბრუნვად არ გამოვეყივით, მეტწილე ბრუნვასაც გამოყოფს — მიმართულების. იხ. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 31. მიმართულების ჩვენ ცალკე ბრუნვად არ მივიჩნევთ. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

4 დამატებითი მაგალითებისათვის იხ. ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 371; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 124.

5 საკუთარი სახელი სახელობით და მოთხრობით ბრუნვებში ბრუნვის ნიშნით გვხვდება ზანმეტ ძეგლებშიც ევჰაა, მარიაში (იაკობის პროტოევანგელუ, გვ. გვ. 61, 68), აქაიშან (ზანმეტი ლექციონარი — პრომ., 15. 26).

ტყაოსანში“) საკუთარ სახელებთან /-0/ და /-ი/ და თითქმის თანაბრად იხმარებიან. შემდეგ თანდათანობით ეს სხვაობაც ისპობა და ბოლოს ბატონდება საზოგადო სახელთა ბრუნების წესი. მთელი ეს ცვლილება განპირობებულია ბრუნებს სისტემის შინაგანი ბუნების მოთხოვნებით, რომელიც ერთია ძველსა და თანამედროვე ქართულში.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ძველი ქართულის მოთხრობითი ბრუნვის /-მან/ და /-0/ დაბოლოების მქონე სახელებში და ირიბი ბრუნვების ემფატიკურ ხმოვნთან და ამ ხმოვნის გარეშე დადასტურებულ ფორმებში. ამიტომ მათ შესახებ ვრცლად აღარ ვიმსჯელებთ, მაგალითებისთვის კი მივუთითებთ ივ. იმნაიშვილისა და ზ. სარჯველაძის ზემოთ დამოწმებულ ნაშრომებზე და ს. ჩხენკელის ნაშრომზე — „საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნში“⁶. აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ არც მოთხრობითი ბრუნვის -მან სუფიქსი და არც ირიბ ბრუნვათა ემფატიკური -ა ძველი ქართულის სახელთა ფორმებში აღარ წარმოადგენენ დეტერმინაციულ სუფიქსებს და, ბუნებრივია, მათ აღარ შეეძლოთ საკუთარ და საზოგადო სახელთა გარჩევა ბრუნების სისტემაში.

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში /ი/-თი დაწყებული და /ა/-ით დაწყებული ალომორფები (-ის, -ისა; -ით, -ითა და -ას, ასა; -ათ, -ათა) ფონოლოგიურად შეპირობებულია: თანხმოვანფუძიანებს დაერთვის /ი/-თი დაწყებული ალომორფები, ხოლო ხმოვანფუძიანებს — /ა/-თი დაწყებული ალომორფები.

ოღონდ ჰაჭიროა კონკრეტულად მივუთითოთ ამ სუფიქსებზე, რადგან თანამედროვე ჰამეცნიერო ლიტერატურაში ლაპარაკია ძველი ქართულის ორმაგ და სამმაგ ბრუნვებზე, რის შედეგადაც ზოგიერთ ფორმათა ანალიზში ბრუნვის ერთი და იგივე ნიშანი ორჯერ და სამჯერაც არის გამოყოფილი, ანდა სხვადასხვა ბრუნვის ნიშნები ერთიმეორეს მისდევენ ერთი ფორმის ფარგლებში. გასარკვევია ამ მორფმათა სტრატეფიკაციული სტატუსი. ჯერ ენახოთ „ორმაგი და სამმაგი ბრუნების“ მაგალითები ძველ ქართულში.

ორმაგი ბრუნების მაგალითები: ძე-ა კაცისა-ა, წყალ-ი წყარო-ასა-ა; სულ-ი დავით-ის-ი, ჭულ-ი იოვანე-ას-ი.

სამმაგი ბრუნების მაგალითები: წიგნი ძ-ისა კაც-ისა-ასა-ა, გემო-ა წყლ-ისა წყარო-ას-ასა-ა; მშდობა-ა სულ-ისა დავით-ის-ისა-ა; მშდობა-ა სულ-ისა იოვანე-ას-ისა-ა და სხვ.

წარმოდგენილ შესიტყვებებში ზოგი სახელი მხოლოდ საზღვრუ-

⁶ იხ. კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი, I, 1956.

ლია (წარმოდგენილია დაუყოფლად და ხაზგაუსმელად), ზოგი მხოლოდ მსაზღვრელია (წარმოდგენილია ხაზგასმულად), ზოგი ერთდროულად საზღვრულიც არის და მსაზღვრელიც (წარმოდგენილია დაყოფით). ახლა გავანალიზოთ ეს ფორმები.

(1) ისევე როგორც პირველად ატრიბუტივებს, მეორადებსაც გრამატიკული კატეგორიების არსენალიდან არაფერი აქვთ საკუთარი. მათ შეუძლიათ მხოლოდ გაიმეორონ საზღვრულის ფლექსიური ელემენტები: როცა ძე-მ სახელობით ბრუნვაშია, მისი მსაზღვრელი (კაცისაჲ) შეუძლებელია სხვა ბრუნვაში იდგეს, გარდა სახელობითისა. აქედანაც ნათელია, რომ კაცისა-მ ფორმაში ბრუნვის ნიშანია ტერმინალური /-მ/ (რითაც საზღვრულს ეთანხმება ბრუნვაში), -ისა- კი წარმოქმნის ელემენტა — „კაცისადმი განკუთვნიებაზე“ მიუთითებს მხოლოდ; შდრ. ის და მისი: ნაცვალსახელი ის თუ დავით არსებითი სახელის მონაცვლეა, მაშინ „მისი“ მნიშვნელობით აბსოლუტურად იგივეა, რაც „დავითისი“ (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ); (2) რადგან კაცისა-მ-სა-მ მსაზღვრელია (წიგნი ძისა კაცისა-მ-სა-მ), იგი შეიძლება შეუთანხმდეს მხოლოდ საზღვრულს, მაგრამ შეთანხმებამდე „კაც“ მნიშვნელობიდან უნდა წარმოიქმნას მეორადი ატრიბუტივი, ამიტომ კაც- ფუძის მომდევნო -ისა აღიექტივაცია უნდა დაუყუარვიროთ უთუოდ. რაღა არის -ისა (...კაცისა-მ-სა-მ)? თუ ბრუნვის ნიშანია, რომელ ფორმას უთანხმდება? ძისა ფორმის -ისა წარმოქმნის ელემენტია და მასთან შეთანხმება გამორიცხულია, მაშასადამე, -ისა სუფიქსიც დერივანტია. მაგრამ რის დერივანტია? ძისა კაცისა ასეთ შემთხვევებში ერთ ცნებას წარმოქმნის კუთვნილებით ვალსაზრისით (წიგნი ხომ ერთს ეკუთვნის და არა ორს — ძესა და კაცს) და სწორედ მისი აღიექტივაცია ხდება -ისა დერივანტით. ჰულ ბოლოს კი ბრუნვის ნიშანი /-მ/ მოდის, რითაც ერთცნებიანი სინტაქსური ერთეული უთანხმდება საზღვრულს: წიგნი-ი ძისა კაცისა-მ-სა-მ.

ვითარებითი ბრუნვა არ განაზღვრავს საზოგადო და საკუთარ სახელებს ძველ ქართულში. აქ /-ად/ და /-დ/ ალომორფები აგრეთვე ფონოლოგიურად არის შეპირობებული სახელთა ფუძეების დაბოლოებათა მიხედვით.

/-დ/ და /-ო/ ალომორფების მონაცვლეობას ადგილი აქვს სუბსტანციური მსაზღვრელის ფორმებში: ძე-დ კაცისა-დ და ძე-დ კაცისა-ო; კაცისა-დ ძე-დ და კაცისა-ო ძე-დ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ლოკატიურ ფორმებში ბრუნვათა ნიშნებად ჩათვლილი სუფიქსები ფაქტიურად ლექსიკური სტრატუმის ელემენტებია, ისინი ზნინზედებს წარმოქმნიან და, ამდენად, ზღუ-ით (კერძო), ჯოჯობეთ-ა,

იერუსალემ-დ ფორმები აქ არ განიხილება— მათ ბრუნებასთან კავშირი აქვთ გაწყვეტილი (სპეციალურად ამის შესახებ იხ. გვ. 91).

წოდებით ბრუნვაში საზოგადო სახელთა {-ო} ნიშანი შორისდებულია წარმომავლობით, მაშასადამე, დეტერმინაციული თვალსაზრისით მას არ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ბრუნების სისტემაზე. საზოგადო სახელებში ბრუნვის ნიშნად გაფორმების შემდეგ კი ველარაფერი დაუშლიდა საკუთარ სახელებთანაც გაჩენილიყო, რაც მოხდა კიდევ დიალექტებში (ეთერ-ო, მიხა-ვ და სხვ.). წოდებითის ნიშანი საკუთარ სახელებთან რომ არა გვაქვს სალიტერატურო ენაში (ძველშიცა და ახალშიც) — ეს უნდა ჩაითვალოს მორფოლოგიურ შეპირობებულობად, რაც, თავის მხრივ, ემყარება ექსტრალინგვისტურ გავლენებს ენაზე (გავიხსენოთ: ანთროპონიმები არც იკუმშვიან და არც იკვეცებიან).

უთუოდ საყურადღებოა, რომ მ შორისდებული ძველ ქართულში იხმარება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან: მ დედაკაცო (მ. 15. 28); მ აბრაამ (ლ. 16, 27) და სხვ. ვ. თოფურიას აზრით, წოდებითის -ო სუფიქსი მიღებულია სწორედ მ შორისდებულისაგან⁷.

უკანასკნელ შევსებით მიმართულ ბრუნვას ძველ ქართულში. იგი გამოყოფა. შანიძემ⁸. ეს არის კაცობა, დავითისა, მისა... ტპრის ფორმები გარკვეული სემანტიკის წმენბთან. ესენი, როგორც სახელიდანაც ჩანს, მიმართულებას გამოხატავენ: მიაველინა მისა (კაცისა) დავითისა...

ამ ფორმებთან დაკავშირებით საკმაო ლიტერატურა შეიქმნა. ჩვენ მათ ბრუნვის ფორმად ვერ მივიჩნევთ, რადგან ფუნქციით ზნეზედებია და, მაშასადამე, არაფერი აქვთ საერთო ბრუნების პარადიგმასთან.



ბრუნვის ფორმანტებმა გარკვეული ცვლილებები განიცადეს ძველი ქართულიდან დღემდე. თანამედროვე ქართულში (სალიტერატურო ენა, დიალექტები) ბრუნვის ფორმანტები განსხვავებულად

7 ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის, კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956.

8 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 32.

9 იხ. მაგალითად ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და მათი ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 379; ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში. „მრავალთავი“, VI, 1978.

არის წარმოდგენილი სახელთა ფუძეების მიხედვით. ორსავე რიცხვში ბრუნებისას სხვაობას გვიჩვენებენ თანხმომავნფუძიანი, ხმოვანფუძიანი კვეცადი და ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელები. ფუძესთან და ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები დეტალურად არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში, რის გამოც ვრცლად აღარ განვიხილავთ მათ. შევვხებით მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, მოითხოვენ დამატებით მსჯელობას.

სახელობითი ბრუნვა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ ბრუნვის ნიშნის {-ი}-ს ალომორფებია /-ი/ და /-ო:/-ი/ გვაქვს თანხმომავნფუძიან სახელებთან (კაც-ი, მინდორ-ი...) და მრავლობით რიცხვში ფუძეთა განურჩევლად (ფუძის შესახებ იხ. ქვემოთ): კაც-ებ-ი, ძმ-ებ-ი, წყარო-ებ-ი: კაც-ნ-ი, იმა-ნ-ი, წყარო-ნ-ი. /ო/ გვაქვს ხმოვანფუძიან სახელებთან: იმა-ო, წყარო-ო...

/-ი/ და /-ო/ სახელობითი ბრუნვის ნიშნის ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია ახალ ქართულში. ძველი ქართული /-ა/ ალომორფი: ადგილი ახალ ქართულში, როგორც ვხედავთ, დაიკავა /-ო/ ალომორფმა. მაშასადამე, ძველი ქართულის ნულოვანი ალომორფი, რომელიც სახელობით ბრუნვაში გვხვდება /-ი/-სა და /-ა/-ს თავისუფალ მონაცვლედ, არ უკავშირდება ახალი ქართულის /-ო/-ს ამავდ ბრუნვაში, რადგან ძველ ქართულში /ო/ მორფოლოგიურად იყო შეპირობებული (იხ. ზემოთ), ახალ ქართულში კი /-ო/ ფონოლოგიურად არის შეპირობებული, როგორც /-ა/ ძველ ქართულში.

ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის {-ი}-ს /-ა/ ალომორფი ძველ ქართულში და /-ო/ ახალ ქართულში უკავშირდება ქართული ენის ფონემატური სისტემის დაწოლას მორფოლოგიურ სისტემაზე. ფონემატური კანონზომიერებით მორფემის ფარგლებში იკრძალება ხმოვანთა უშუალო თანამიმდევრობა. ამ კანონზომიერების ძალით ძველი ქართული ენის ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში მორფემათა საზღვარზე მოხდა დიფთონგიზაცია, ხოლო ახალ ქართულში — ხმოვანთა კომპლექსის გამარტივება სახელობითი ბრუნვის ნიშნის სრული დაკარგვით¹⁰.

ქართული ენის დიალექტებში /-ო/ ალომორფი სახელობით ბრუნვაში გვხვდება თანხმომავნფუძიან სახელებთანაც გარკვეულ პოზიციაში (მთის დიალექტებში, ინგილოურში, ფერეიდნულში): კაც-ო, კედელ-ო და სხვ., მაგალითად: „თოფნაბდიან კაცებ კი გადმოცივიდნენ“ (ფშაური, ქდ, I; 132, 12); „იმას დიდ მენაჯ აქ,

¹⁰ თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ. 26 და შემდეგ.

დიდ თხილიან აქ, კაე სახლ აქ, სამ წყულ გამმაჩ აქ...“ (ინგილოური, ქლ, I; 230, 27) და სხვ.

ხულოვანი ალომორფი თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობით-ში აგრეთვე ფონემატურ კანონზომიერებას უკავშირდება, კერძოდ, სიტყვის ბოლოს ქართული ენის მიღრეკილებას დახურული მარცვ-ლისკენ. ამ მიზეზით იკარგება არა მარტო სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი, არამედ ფუძისეული ი ხმოვანიც კი (გიორგი, აკაკ...)¹¹. აღნიშნული /ი/ ხმოვნის დაკარგვა ხდება სიტყვის აბსოლუტურ ბო-ლოში, როდესაც სახელის ფორმას პაუზა არ მოსდევს. პაუზის წინ კი დასტურდება {-ი}-ს როგორც /-ე/ ვარიანტი, მსგავსად ძველი ქარ-თულში, ისე /-ი/ ვარიანტი. რაც თანამედროვე სალიტერატურო ქარ-თულში არა გვაქვს: და ვერც ძველი ტექსტებით ვივარაუდებთ, მაგა-ლოთაც: დედა-ე, ხე-ე... კაც-ი, კედელ-ი და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომელიცაღე ქვესიტემაში თეორი-ულად გამორიცხული არ არის მორფოლოგიური მოდელის უცვლე-ლად რეალიზებაც ენის გლობალურ სისტემაში (ფონემატური და-წოლის გარეშე). ძირითადად ეს ხდება სალიტერატურო ენაში, რამ-დენადაც იგი საკმაოდ ხელოვნური ხასიათისაა, მაგრამ არაიშვიათად ვხვდებით დიალექტებშიც, კერძოდ, ქართლის ზოგ რეგიონში ხმო-ვანფუძიანი სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სახელობითის ურედუქციო ფორმით, მაგ.: „მოვიდა ძმაი“ პაუზის წინ ასეთი ფორმები ჩვეულებრივია გორის მიმდებარე რაიონებში. არაპაუზის წინ კი ძალიან იშვიათია.

მაგალითები ტექსტებიდან

„მანგიათ კაც ყოფილ ერ თ ი, დეკერპთ ჟიშისა რაიმ“ (ხევს., ქლ, I, 15, 20).

„...დაუწყეს ერცხვას თო ფ ვ ა ე (ხევს., I, 16, 2)¹².

„...ყოფილ ერ მამა ე და სამ შულ“ (ინგილ., ქლ., 236, 28) და სხვ. თუ აღნიშნულ ალომორფებს პოზიციას შევუცვლით, შეი-ცვლება მათი ფონეტიკური სახეც, მაგ.: ერ თ იც, თო ფ ვ ა ი ც და სხვ.

შეიძლება დავასკვნათ: თანამედროვე ქართულში სახელობითი ბრუნვის ნიშანია {-ი}, რომელიც პოზიციებს მიხედვით სხვადასხვა-

¹¹ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 132 და შემდეგ.

¹² დაბეჭდილია თო ფ ვ ა ე, წარმოითქმის როგორც [თოფვაე] ფონეტიკურად [ი] და [ე] განსხვავებულია, მაგრამ ფონემატურად მათი აღრევა არაფერს არღვევს.

ქვესტემაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს /-ი/, /-ა/, /-ბ/ და /-ო/ ალომორფებით.

დიასტემური მეთოდი გვეხმარება მოვლენის არსის უფრო ღრმად წვდომაში: ვარიანტები ქვესტემათა მიხედვით შექმნილია მორფოლოგიური ცვლილებებს შედეგად. ისინი ასახვენ საერთო თვისებათა განსხვავებული ფონიკური რეალიზაციის შესაძლებლობებს ენაში. ქვესტემებში ცვლილებებს მიზეზი ერთი და იგივეა, მაგრამ მორფოლოგიური და ფონემატური მოდელებს წინააღმდეგობათა დაძლევის გზებია განსხვავებული. ამავე დროს ყველა გზა მიმართულია ერთი და იმავე მიზნისკენ, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ხმოვანდუმიანი სახელს მომდევნოდ ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი ქმნის ფონემატურად მიუღებელ ხმოვანთა კომპლექსს, მაგალითად: ძმა- ფუძე და -ი, -ის, -ით ბრუნვის ნიშანთა ხმოვანი ფორმებში ქმნის მიუღებელ /აი/ კომპლექსს, რომელიც ერთ შემთხვევაში დაიძლევა დიფთონგიზაციით (აი > აე), მეორე შემთხვევაში — სახელობითი ბრუნვის ნიშნის სრული დაკარგვით (აი > ა), მესამე შემთხვევაში — ფუძის ხმოვნის დაკარგვით (აი > ი: ძმა-ის > ძმ-ის).

დიასტემური კვლევა ვერტიკალური ღერძის პრილთა მიხედვით წარმოდგენას გვიქმნის ენის განვითარებაში მომხდარ თვისობრივ და არათვისობრივ ცვლილებებზე. ჩვენს შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის {ი}-ს მორფოლოგიური სტრატუქტურის დონეზე ცვლილება არ განუცდია ძველი ქართულიდან დღემდე, თუმცა საკმაოდ იცვალნენ მისი ალომორფები — გლობალურ სისტემაში რეალიზაციის სახეები: თუ ძველ სალიტერატურო ქართულში {-ი} რეალიზებულია სამი ალომორფით /ი/ ~ /-ა/ ~ /-ო/, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აქვს მხოლოდ ორი ალომორფი (/-ი/ ~ /-ო/). მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველი ქართულის /-ო/ მორფოლოგიურად არის შეპირობებული, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა კი — ფონოლოგიურად. მათ შორის დიდი განსხვავებაა. მთლიანად დღევანდელი ენის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, სალიტერატურო ქართულის აღნიშნულ ორ ალომორფს დაემატება კიდევ /-ბ/ და /-ა/ არალიტერატურული ქვესტემების ხარჯზე.

მოთხრობით ბრუნვაში დღეს /-მ/ და /-მა/ ვარიანტები გვაქვს. /-მ/ შედეგია /-მან/ ძველი ქართულის ჰუფიქსის ცვეთისა. /-მ/ გვაქვს ხმოვანფუძიან სახელთა აბსოლუტურ ბოლოში: დედა-მ, წყარო-მ... /-მა/ კი — თანხმოვანფუძიან სახელთა აბსოლუტურ ბოლოში. სალიტერატურო ქართულში ეს ამ ალომორფების განაწილების დაურღვეველი წესია. მაგრამ ხმოვანფუძიან სახელთა მომდევნოდაც გვექნება /-მა/, როცა სახელის ბოლოს, ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ, თანხმოვანი ნაწილაკია; დედა-მა-ც, წყარო-მა-ც; თუ ნაწილაკს თვითონ აბ-

ლავს ხმოვანი, სალიტერატურო ქართულში მაშინაც /-მ/ ალომორფი გვექნება ხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში: დედა-მ-ვე, დედა-მ-ლა... მაგრამ, თუ სახელი თანხმოვანფუძიანია, -ვე ტიპის ნაწილაკთა წინ იქნება უკვე /-მა/ ალომორფი: კაც-მა-ვე, ქალ-მა-ვე.

აქ წარმოდგენილი შეპირისპირებით კარგად გამოჩნდა, რომ /-მ/ და /-მა/ მოთხრობითი ბრუნვის ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია, მათი გამოხატვა მორფოლოგიური სტრატუმის დონეზე, ჩვენი აზრით, აჯობებს {-მ}-ს სახით და არა {-მა}-სი, რითაც იმაზე მივუთითებთ, რომ /ა/-ს საშუალებით გარკვეულ პოზიციებში ხდება ბრუნვის {-მ} მორფემის რეალიზაცია: სალიტერატურო ენაში /-მა/ ვარიანტი /-მ/-ს არსებობის პირობებში ენის სტრუქტურის თვალსაზრისით მეორეულია როგორც დედა-მ და დედა-მა-ც ფორმათა მიმართებაში: /ა/ ქნის -მ-ს რეალიზაციის პირობას მორფემათა საზღვარზე თანხმოვანთა ფონემატურად დაუშვებელი კომპლექსების მიღების შენიხვევაში, მაგალითად, სახლმ, ძაღლმ, თოფმ, კაკაბმ, დარდმ და სხვა ამათი ტიპის სიტყვებში ფორმათა ბოლოს ქართული ენისთვის მიუღებელი თანხმოვანთა კომპლექსები იქმნება. /-მ/-ს მომდევნოდ /ა/ აადვილებს ამ კომპლექსთა რეალიზაციას, თუმცა ყოველთვის ესეც ვერ შველის და საჭირო ხდება თანხმოვნის დაკარგვაც: სახმა, ძაღმა, დადმა და სხვ.

მოთხრობით ბრუნვაში სახელთა ბოლოს /მ/ ფონემატურად მიუღებელია (1) ნებისმიერი სონორის მომდევნოდ, (2) ბაგსმიერ ჩქამიერთა მომდევნოდ, (3) იმ ჩქამიერთა მომდევნოდაც, რომელთაც წინ სონორი უძღვცხ. ქართულ ენაში კი ასეთი ფუძეები ძალზე ხშირია. ბუნებრივია, ამ ტიპის სახელთა მორფემების ფონოლოგიურად მოწესრიგებული სინტაგმატური მიმართება მოთხრობით ბრუნვაში შოითხოვს /-მა/ ვარიანტს, რომელიც გრამატიკულ ნორმად იქცა საერთოდ თანხმოვანფუძიანი სახელებსათვის ამ ბრუნვაში.

/-მა/-ს /ა/-ს სადემარკაციო ფუნქციის შესრულებაც ევალება გარკვეულ შემთხვევებში, როგორიცაა: სხვამაო, სხვამა და სხვამა... /ა/-ს ამ ფუნქციაზე გავრცობის ა-სთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ ქვემოთ.

მთის დიალექტებში არის დიდი ტენდენცია მოთხრობითის ფორმათა აბსოლუტურ ბოლოში ყველგან გაბატონდეს /-მ/ ვარიანტი: კაც-მ, ქალ-მ, ზურაბ-მ... ნაწილაკების წინ კი — მხოლოდ /-მა/ ვარიანტი: კაც-მა-ჲ „კაცმაო“, დედა-მა-ჲ „დედამო“; კაც-მა-ლ (<კაცმა-ლა), დედა-მა-ლ (<დედამალა). -ლა (>/-ლ) მთის კილოებში თხოვნითი კილოს გამოხატვას ემსახურება და, წინადადების რომელ წევრ-

საც არ უნდა ახლდეს, ყოველთვის ზმნასთან არის ფუნქციურად დაკავშირებული; ოთხ-მა-ვ „ოთხმავე“, ცხრა-მა-ვ „ცხრამავე“ და სხვ.

/მ/-ს სრული გავრცელება სახელთა უნაწილაკო ფორმებში დაკავშირებულია სიტყვის ბოლოს დახურული მარცვლის შექმნის ტენდენციასთან, რაც მთის დიალექტებში ყოველ ნაბიჯზე ვლინდება სხვა მეტყველების ნაწილთა ფორმებშიც.

მთის დიალექტებში არცთუ იშვიათად მოთხრობითი გვხვდება -მან ლუფიქსიც. /-მან/ თავისუფლად ენაცვლება /-მა/-სა და -მ/-ს. მან ინერციაა ძველი ვითარებისა, როდესაც ქართულში, კერძოდ მთის კილოებშიც, მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ამ ლუფიქსით გამოიხატებოდა. მან-ის ცვეთის შედეგად მთის კილოებში, ისევე როგორც მთლიანად ქართულ ენაში, ჩამოყალიბდა მოთხრობითი ბრუნვის ფონოლოგიურად შეპირობებული /-მ/ და /-მა/ ვარიანტები, რომელთაც -მან სრულიად განდევნეს; ასე რომ, დღეს მთის კილოებში -მან ან /-მ/-ს ადგილზე, ან /-მა/-ს ადგილზე ჩნდება. მისი არსებობა შეპირობებულია არქაული გამოთქმებით, რომლებიც შემორჩენილია ძველ პოეზიაში და სპეციფიკურ გამოთქმებში, როგორცაა: სარიტუალო ტექსტები, წყევლა, ლოცვა და სხვ. ასე რომ, -მან დღეს მოქმედი სისტემის ელემენტი არ არის. მისი ხმარება ერთგვარად ექსპრესიულ ხასიათს ატარებს — განსაზღვრავს ასაკს. მას ხმარობენ მონუცები ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში.

აი, კიდევ ერთი შემთხვევა ძველი ფორმის გაუდიფერენცირებლობისა ახალ ვითარებაში (შდრ. სახელდებითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა წრფელობითი, სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბების შემდეგ).

მიცემითი ბრუნვა. ამ ბრუნვის ნიშანი ქართულში წარმოდგენილია სამი ალომორფით: /-ს/ ~ /-სა/ ~ /-ო/. ქვესისტემების მიხედვით გვაქვს სრული დამთხვევა და განსხვავებული ვითარებაც. ამ ალომორფებს აქვთ საკუთარი პოზიციებიც, სადაც სხვა ვარიანტს ვერ შევხვდებით; გვხვდება გადამკვეთი პოზიციებიც, სადაც შესაძლებელია მათი მონაცვლეობა, კერძოდ: თავისთავად სახელებთან ძირითადად გავრცელებულია /-ს/ ვარიანტი (ლიტერატურულმა ქვესისტემამ მხოლოდ ეს იცის): „კაც-ს დაუძახა“; „კაც-ს უხმობს“; „კაც-ს აუშენებია“ და სხვ., მაგრამ -ც (ა) ნაწილაკის წინ მხოლოდ /-სა/ ვარიანტი გვაქვს: „კაც-სა-ც დაუძახა“, „დაუძახა კაც-სა-ცა და ქალსაც“...

/-სა/ და /-სა/ თავისუფლად მონაცვლეობენ თანხმონით დაწყებული ფუძის მქონე ზმნების წინ მდგომი სახელის ფორმებში: „დაკარგულ ბედ-ს ტირის“ / „დაკარგულ ბედ-სა ტირის“; „უხმობს ძმა-ს და მეგობარს“ / „უხმობს ძმა-სა და მეგობარს“ და სხვ. ასეთი ვითარება — მკაცრი დისტრიბუციული განსხვავება ზოგ პოეზიაში და

გადამკვეთი პოზიცია სხვა შემთხვევებში — ფანზირობებულა ენაში დაშრეებული სხვადასხვა დროის ნორმათა თანაარსებობით, რასაც განვიხილავთ ქვემოთ, გავრცობის -ა-ზე მსჯელობის დროს.

სალიტერატურო ქართულში მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყოველთვის ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი პრეპოზიციურ ატრიბუტულ მსაზღვრელთან: კარგ-0 კაცს; პატრა-0 ახანაგს; ძნოს-0 წიგნს. შებრუნებული წყობის დროს კი ნულოვანი ალომორფი დაუშვებელია ამ ბრუნვაში. დიალექტებში სალიტერატურო ენის მსგავსი ვითარებაა, ოღონდ რიგ დიალექტურ ქვესიტემაში ხშირად გამოიყენება ვავრცობილი ფორმები (ქართულში, კახურში, იმერულში...), ამავე დიალექტებისათვის უცხო არ არის მიცემითის ნულოვან-ალომორფიანი ფორმებიც, განსაკუთრებით კახურში („კაც დაუძახა“ და სხვ.). -სა („დაუძახა კაცსა“) არ იშლება არც ძველსა და არც თანამედროვე ქართულში, ოღონდ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მას ზოგჯერ დიერქმის ფუნქცია ენიჭება, როგორც მოთხრობითი /-მა/ ალომორფის /ა/ს გარკვეულ პოზიციებში. ზმნიზედათა ფუნქციით წარმოდგენილ „მიცემითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებს“ არ ვაანალიზებთ, რადგან მათი შემცველი ფორმების ბრუნების პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ ისინი წარმოქმნის ელემენტებად მოიქცევიან (იხ. ქვემოთ გვ. 91 და შემდეგ).

საჭირთა გაირკვეს ემფატიკური -ა ხმოვნის სტატუსი ქართულ სამწერლო ენაში და დიალექტებში. ნ. მარის აზრით, -ა იხმარება მეტი გამომხატველობისა და განსაზღვრულობისათვის, ეს ფუნქცია კი იმიტომ აქვს, რომ ჰა „ეს“ ნაცვალსახელისაგან არის მიღებული. ნ. მარი -ა ემფატიკურს მეორედაც შეეხო სუბსტანტიურ მსაზღვრელთან დაკავშირებით, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნითა და საზღვრულის ბრუნვის ნიშნით არის წარმოდგენილი ერთდროულად („ღმერთ-ი აბრაჰამ-ისა-ა“, „დღე-ნ-ი ჭირ-ისა-ნ-ი“). ამ ფორმას ნ. მარმა უწოდა მიმართებიანი ნათესაობითი და აღნიშნავდა, რომ, განსხვავებით არსებით სახელთაგან, ნაცვალსახელის მიმართებიანი ნათესაობითი ემფატიკურ ხმოვანს არ იყენებს (მაგ., მოწაფე-თა მ-ის-თა), შესაძლოა მსაზღვრელი წარმოდგენილი იყოს საზღვრულის გარეშეც: ისმენდა მის-სა. საზღვრული აქ გამოტოვებულია („Граматика...“ § 84).

გ. დეეტერსის ვარაუდით, ემფატიკური -ა დაკავშირებულია ფრაზის რიტმთან¹³. ახალ ქართულში იგი -ა-ს უკავშირებს ნაწილაკების, ნაცვალსახელებისა და ზმნისართების მავრცობ -ა-ს [არ(ა), შენ(ა),

¹³ G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch, „Caucasica“, 1926. Fasc. 3, 52₄.

სად(ა)...]14, რომელიც გარკვეულ მომენტებში ემსახურება სიტყვათა ემოციურ შეფერილობას.

კ. დონდუას ვარაუდით, ემფატიკური -ა-ს ხმარება კანონზომიერია სწორედ მიმართებიან ნათესაობითან, რომელიც ქმნის ჩაკეტილ სინტაქსურ კონსტრუქციას. მანვე მიუთითა, რომ ამ პოზიციაში, ნაცვალსახელის გარდა, ემფატიკურ -ა-ს არც ადამიანთა სახელები დაირთავენ. მაშასადამე, (ა) თუ საზღვრულთან მიმართება არ არის, სუბსტანტიურ მსაზღვრელს არც ემფატიკური -ა გაუჩნდება (მაგ.: ძეგლ მარილის, ლეკუ ლომ-ის...15), (ბ) „სემასიოლოგიურად“ განსხვავდება საკუთარ სახელგნსა და ზოგიერთ ნაცვალსახელს სხვა სახელთაგან. ამავე დროს კ. დონდუა არ იზიარებს გ. დეეტერსის ვარაუდს ემფატიკური -ა-სა და ნაწილკების, ნაცვალსახელებისა და ზმნისართების მავრცობი -ა-ს ფუნქციური სიახლოვის შესახებ ახალ ქართულში.

ამ მკვლევართა ძიების შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული დებულებები ემფატიკური -ა-ს წარმომავლობასა და ფუნქციაზე. საკითხის კვლევაში ეს გარკვეული საფეხურია, ამიტომ დებულებების სახით წარმოადგენთ მის შედეგებს: (1) -ა წარმონობით ნაცვალსახელური ელემენტია (ნ. მარი, კ. დონდუა); (2) -ა მისი წარმომავლობით წარმოადგენს განსაზღვრებით ელემენტს როგორც ცალკე მდგომ სახელებთან, ისე ნათესაობით ბრუნვაში დაყენებულ სუბსტანტიურ მსაზღვრელთან, რომელიც საზღვრულთან არის შეთანხმებული (ნ. მარი, კ. დონდუა). ამიტომ ნაცვალსახელისა (ნ. მარი, კ. დონდუა) და ადამიანის სახელის (კ. დონდუა) ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ემფატიკურ ხმოვანს არ ირთავენ ასეთ შემთხვევაში (ე. ი. როცა „მართლ-შეთანხმებული“ მსაზღვრელის როლშია). (3) ემფატიკური -ა-ს მონაწილეობით ყალიბდება წინადადების რიტმული მონაკვეთები, ერთიანი სინტაქსური ერთეულები (გ. დეეტერსი, კ. დონდუა); (4) ახალ ქართულში სახელის ემფატიკური -ა და ზოგა სხვა მეტყველების ნაწილის (ნაცვალსახელის, ზმნიზედის, ნაწილაკის) მავრცობი -ა საერთო ფუნქციით გამოიყენებიან და ზოგჯერ ემსახურებიან ფრაზის ემოციურ შეფერილობას (გ. დეეტერსი).

მომდევნო პერიოდში სხვა მკვლევართათვის ემფატიკური -ა-ს ნაცვალსახელური წარმომავლობა სადავო არ არის: ნათესაობითსა და მოქმედებითში იგი ითვლება დეტერმინაციულ ელემენტად, ოღონდ ი. იმნაიშვილი მას უკავშირებს ნაცვალსახელურ ამა ფუძეს. ნ. მარი-

14 G. Deeters, დასახ. ნაშრომი, Fasc. 3, 52.

15 К. Дондуа, К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке, კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956.

სგან განსხვავებით, ემფატიკურად ჩაითვალა მიცემითი ბრუნვის -ა დაბოლოებაც (კაც-ს-ა). აღინიშნა, რომ ახალ ქართულში ემფატიკური -ა უჩნდება ვითარებით ბრუნვასაც; დაზუსტდა ზოგი რამ ძველ ქართულშიც: ქ. ძოწენიძე და პ. ფოგტი 1947 წელს აღნიშნავენ, რომ ემფატიკური ხმოვანი არ სჭირდება ლოკატივებს და ამით აიხსნება მისი არქონა ძველი ქართულის ვითარებით ბრუნვაში და მოქმედებითი ბრუნვის ლოკატიური ფუნქციის მქონე ფორმებში¹⁶.

ქ. ძოწენიძე ასახელებს სხვა შემთხვევებსაც, როდესაც აღნიშნულ ბრუნვებში საჭირო არ არის ემფატიკური -ა, კერძოდ: როცა სახელი კომპოზიტის პირველი კომპონენტია, გადმოსცემს გარემოებას ან შედგენილი შემასმენლის ნაწილია.

ამავე პერიოდში ხდება -ას შემცველი ფორმების ყოველმხრივი ანალიზი სალიტერატურო ენაში ქართული ენის დიალექტებთან მიმართებით.

შიდაქართლის მეტყველებაში, ალ. ლონტის დაკვირვებით, მსგავსად ძველი ქართულისა, უფრო სჭარბობს საზღვრულ-მსაზღვრელის რიგი (პოსტპოზიცია) და ისევეა გაფორმებული, როგორც ძველ ქართულში¹⁷. მისი მტკიცებით, ეს კონსტრუქცია „ქართულიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ძველ ლიტერატურულ ენაში“¹⁸.

ემფატიკური -ა-ს ხმაარება ხშირია კახურშიც.

მკვლევართა აზრით, შემთხვევითი არ ჩანს, რომ ქართლიდან და კახეთიდან გამოსული მწერლების ენაში ემფატიკურ -ა-ს ხშირად ვხვდებით, დასავლური კილოს წარმომადგენელ მწერლებს კი იგი ნაკლებად აქვთ ნახმარი. ამ ასპექტით არის შესრულებული თ. ზურაბიშვილის¹⁹, დ. მელიქიშვილის²⁰, ალ. ფოცხიშვილისა²¹ და თ. ბეროზაშვილის²² გამოკვლევები, რომლებიც სპეციალურად -ა მავრცობს ენება.

16 ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, თსუ შრ., XXX-XXXI, 1947; იხ. კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, 1956; პ. ფოგტი, დასახ. ნაშრომი.

17 ალ. ლონტი, ემფატიკურხმოვნაიანი გენიტიური მსაზღვრელი ქართულში, ფილოლოგის ჩანაწერები, 1980 (პირველად გამოქვეყნდა 1947 წ.).

18 იქვე, გვ. 109.

19 თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური -ა ახალ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955.

20 დ. მელიქიშვილი, ემფატიკური -ა ი. ჭავჭავაძის პროზასა და პოეზიაში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, XXI, 1959 (თეზისები).

21 ალ. ფოცხიშვილი, მარცვალთლიაობის ა ახალ ქართულში; კრებულში: კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთაგზე, 1959.

22 თ. ბეროზაშვილი, ნიკო ლომოურის ენის სინტაქსური თავისებურებანი, „მაცნე“, 1965, № 6.

მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ემფატიკურ -ა-ს ქართლ-კახეთიდან გამოსული მწერლები გარკვეული კანონზომიერებებით ხმარობენ: მისი ადგილი არსებითად არის პაუზის წინ როგორც წინადადების შიგნით, ისე ბოლოს. ეს ეხმაურება გ. დეეტერსისა და კ. დონდუას ვარაუდებს. ამ გამოკვლევებში ახალი დებულებებიც არის: (ა) -ა-ს ზოგ შემთხვევაში თანხმომთანა გაყრაც ავალა სიტყვათა საზღვარზე (თ. ზურაბიშვილი, დ. მელიქიშვილი); (ბ) ემფატიკური -ა მახვილიანია; (გ) რადგან მახვილიანია, მის მომდევნოდ აუცილებელია პაუზა, რათა ერთად არ მოხედეს ორი მახვილიანი მარცვლი სიტყვით (თ. ზურაბიშვილი); (დ) -ა პოეზიაში ექსპანსიურება ლექსის რითმსა და რიტმს; (ე) -ა საკმაოდ ხშირია ერთმარცვლიანი სიტყვებისა და ნაწილაკების წინ (დ. მელიქიშვილი).

თ. ბეროზაშვილის აღწერით, ნ. ლომოურის ნაწარმოებებში -ა ორ შემთხვევაშია უპაუზო პოზიციაში: თანდებულის წინ და თანხმონით დაწყებული ზმნების წინ, -ა არ დაიშვება (ა) ხმოვნით დაწყებული ზმნების წინ (მაშინაც, როცა ამ ხმოვნებს პირის ნიშანი უძღვის წინ), გამონაკლისებს ქმნიან: მაქვს, გაქვს, აქვს; ვარ, ხარ (ბ) პრეფერბის წინ.

ფრად საყურადღებო დაკვირვებაა, რომ ნ. ლომოური ხმოვნფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში /მა/ს ხმარობს, როცა „ემფატიკური -ა-ს საჭიროება იგრძნობა, მოთხრობითის სუფიქსის ა- ელემენტი გაიგივებულია ემფატიკურ ხმოვანთან“²³. აქვე გარკვეულია ისიც, რომ ნ. ლომოური ნაცვალსახელების, ზმნიზედებისა და ნაწილაკების ბოლოს მავრცობ -ა-ს ხმარობს მხოლოდ ემფატიკური -ა-ს პირობებში.

თ. ბეროზაშვილი იღებს თ. ზურაბიშვილის ვარაუდს, რომ ემფატიკური -ა მახვილიანია და სწორედ ამიტომ არ გვხვდება ხმოვნით დაწყებული ზმნების წინ. გამონაკლისები კი აიხსნა იმით, რომ ხმოვნით დაწყებული ფორმები ატონებია: არა მაქვს, არა ვარ²⁴, სხვა შემთხვევებში კი „-ა-ს ხმარება პაუზით ან კონსტრუქციის დახშვის საჭიროებით არის შეპირობებული“²⁵.

ალ. ფოცხიშვილი ემფატიკური -ა-ს ფუნქციიდან გამორიცხავს თანხმომთანა გაყრას იმ საბაბით, რომ ქართულ ენას თანხმომთანა გასაყრელად ხმოვანი არ სჭირდება არც ცალკე სიტყვის ფარგლებში და არც სიტყვებს შორის²⁶. თვით მან -ა-ს ფუნქცია ასე განაზღვრა:

23 თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 242.

24 იქვე, გვ. 245.

25 იქვე, გვ. 240.

26 ალ. ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 337.

„...თანამედროვე ქართულში -ა-ს მხოლოდ ფონეტიკური ფუნქცია შემორჩა და ეს ფუნქცია გამოიხატება სიტყვის ბოლო მარცვლის დიაობის შექმნაში. ამიტომაცაა, რომ -ა- ნაწილაკიანი სიტყვები ჩვეულებრივ წინადადებას კეტავენ (წარმოთქმაში მთელი წინადადება ერთ ფონეტიკურ მთლიანს წარმოადგენს), პაუზის წინ გვხვდებიან“²⁷.

საკითხის ანე გადაწყვეტა გაპირობებულია შემდეგი მიზეზით: „ა-ს ხმარებაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ იგი ერთვის მხოლოდ თანხმოვანზე დამთავრებულ სიტყვებს, ამ კანონმა არ იცის გამონაკლისი არც ძველსა და არც ახალ ქართულში; მაგალითად: ერთიმეორის პარალელურად შეიძლება ვთქვათ „შენა ხარ“ და „შენ ხარ“, მაგრამ არ შეიძლება ითქვას „მეა ვარ...“²⁸. ალ. ფოცხიშვილის მიერ გაანალიზებული ფორმები: ხ ვ ა ლ ა, შ ე ნ ა, ზ ე გ ა, თ ო რ ე მ ა, ხ ო მ ა... დიალექტური ფორმებია, ამდენად, „ახალი ქართული“ ავტორის მსჯელობაში, ლიტერატურული ქვესისტემის გარდა, დიალექტურ ქვესისტემებსაც ვარაუდობს. ამ მასშტაბით მსჯელობისას კი „კანონს“ უთუოდ აღმოაჩნდება „გამონაკლისები“, რაზეც ქვემოთ ვრცლად გვექნება მსჯელობა. ახლა ყი განხილული ნაშრომებიდან გამოვიყვანთ საერთო და განსხვავებულ დებულებებს, რომლებზე დაყრდნობა ან რომელთა უარყოფა აუცილებლად მიგვაჩნია შემდგომი მსჯელობისათვის.

საერთოა -ა ემფატიკურისა და მასთან ფუნქციით გატოლებული ნაცვალსახელების, კავშირების, ზმნისართებისა და ნაწილაკების მავრცობი -ა-ს პოზიციური შეფასება: ეს ხმოვნები ჩნდებიან პაუზის წინ. ეს იძლევა საბაბს იმისა, რომ მახვილიანი -ა ემფატიკური (-ა) და პაუზა ერთიმეორეს დაუკავშირონ: სადაც პაუზა არ არის, იქ -ა ემფატიკური ვერ გაჩნდება, რადგან ორი მახვილიანი მარცვალი მოვა ზედიზედ: პირველად წინა სიტყვის -ა ემფატიკური, მომდევნოდ — მეორე სიტყვის დასაწყისი მარცვალი (იხ. ზემოთ: თ. ზურაბიშვილი, თ. ბეროზაშვილი).

საქმე ისაა, რომ პაუზა შეიძლება გვექონდეს -ა ემფატიკურის გარეშე, ხოლო -ა ემფატიკური — პაუზის გარეშე. ზემოთ განხილული ნაშრომები, როგორც ვნახეთ, მრავალ შემთხვევას გვაწვდიან ამისთვის: პაუზისა და -ა მავრცობის მექანიზმი ერთიმეორისგან დამოუკიდებელი ჩანს. ჯერ დავსვათ კითხვა: აქვს თუ არა მახვილი ემფატიკურ -ა-ს და, მამსახადამე, ნაცვალსახელთა, ზმნისართთა, ნაწილაკთა და კავშირთა მავრცობა -ასაც?

27 ალ. ფოცხიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 337.

28 იქვე.

არგუმენტი ემფატიკური ა-ს მახვილიანობისა შემდეგია: „ის რომ მახვილიანი არ იყოს, დაიკარგებოდა, რადგან სიტყვას უიმიოდოდ იგივე მნიშვნელობა ექნება“²⁹. ემფატიკურხმოვნიან სიტყვას, ამავე ავტორის აზრით, მეორე მახვილიც აქვს — „თავისი დინამიკური სიტყვათმახვილი“

სიტყვას რომელიმე „უფუნქციო“ ელემენტი რომ არ იკარგება, თავისთავად ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მახვილს ატარებს. ასეთ ელემენტთა მახვილიანობას უთუოდ ჭკირდება დამტკიცება: ან უნდა მეტყველებაში მკაფიოდ ჩანდეს ეს მახვილი, ან ექსპერიმენტულად მაინც გამოვლინდეს საამისო რაღაც ნიშნები. ასეთი სურათი რეალური ვითარების მიხედვით ქართულში არა გვაქვს, ასე მაგალითად. „რასა ხუწრობ“ გამოთქმაში ემფატიკური -ა ყოველთვის უმახვილოა (*Mutalis mutandis* არა ხუწრობს) და სხვა მრავალი.

„სისხლით იშოვა“ შესიტყვებაში სახელს რომ ემფატიკური ხმოვანი არა აქვს — თითქოს იმიტომ, რომ [სისხლითა იშოვა] გამოთქმაში მახვილი ორჯერ ზედიზედ მოვიდოდა. ეს ვერ ახსნის „იშოვა სისხლითა“ შესიტყვებაში ემფატიკური ხმოვნის გაჩენას — აქ რას აკეთებს იგი მახვილის თვალსაზრისით? — აი, ეს არის ასახსნელი. თანაც რა ვუყოთ უმახვილო ემფატიკურ ა-ს ხმოვნით დაწყებული ზმნებზე წინ: „რასა ოხრავს“; „დღეს რასა უქმობთ“; „ვეღარა რომბა“... ასევე: „ვეწრა (ვ)უქმობთ?; „ეს უთო ვწრა უთობს“ და სხვ.

და კავშირი, როგორც თ. ზურაბიშვილი ამტკიცებს. მართლაც უმახვილო ელემენტია — ატონაა და წინა სიტყვას ეკედლება, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ და-ს წინა ემფატიკური ხმოვანი მახვილიანია? ეს და კავშირი მაშინაც ეკედლება წინა სიტყვას, როცა ემფატიკური ხმოვანი არა აქვს (ზმნებსაც ეკედლება), ასე მაგალითად, შეიძლება ვთქვათ როგორც [ძმასა- და დას], ისე [ძმანდა დას]. გამოთქმები: [ძმასა-და დას], ან [ძმასა და დას], როგორც ემფატიკური ა-ს მახვილიანობის შემთხვევაში უნდა გვეჩინოდა, ქართულითვის არაბუნებრივია.

მახვილის თვალსაზრისით კედევ საყურადღებოა სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკიანი გავრცობილი ფორმები (გზირასაო, ქმარასაო, წუთისოფელსაო³⁰) — აქ როგორ ავხსნათ ემფატიკური -ა-ს გამოჩენა ისე, რომ მასზე მახვილის არსებობას შევეუგუოთ?

თ. ბეროზაშვილიმაც ემფატიკური ა-ს მახვილიანობით სცადა იმ

²⁹ თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 329.

³⁰ იქვე, გვ. 328.

ფაქტების ახსნა, რომ „ემფატიკური ხმოვანი დაერთვის სახელს, თუ ზმნის ფუძე თანხმოვნით იწყება“³¹ და „თუ ზმნა ხმოვნით იწყება, მის წინ ემფატიკური ხმოვანი ვერ ძლებს...“³² ამ მსჯელობას თამარ ზურაბიშვილის ვარაუდთან მივყავართ და ვერ არის გამართლებული იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხმოვნით დაწყებული ზმნის წინაც გვხვდება ემფატიკური -ა (რასა ოხრავს...). საქმე ის არის, რომ ემფატიკური ხმოვანი „არჩევს“ ზმნის თავიიდურა ხმოვნებს! — თუ ძირეულია, ემფატიკური -ა მის წინ გამოჩნდება („რასა უფროსობს“; „რასა ეშმაკობს“; „ვერა უფროსობს“ და სხვ.), თუ პრეფიქსია, არ გამოჩნდება (არ შეიძლება: „რასა ეუფროსება“; „რასა ეჩხუბება“ და სხვ.). აქ მოყვანულ ზმნებში მახვილი ყველგან თავშია, მაგრამ ერთნი გუობენ თავის წინ ემფატიკურ ხმოვანს, მეორენი კი — ვერა, ე. ი. მახვილი აქ არაფერ შუაშია. მიზეზი სხვაობისა სხვაგან უნდა ვეძიოთ.

აქვე შევხებით „გამონაკლისებს“, რომელთა ახსნა თავისი ვარაუდის მიხედვით სცადა თ. ბეროზაშვილმა, ესენია: ა მ ბ ო ბ ს, ვ ა რ, ხ ა რ, მ ა ქ ვ ს, გ ა ქ ვ ს, ა ქ ვ ს.

ა მ ბ ო ბ ს ისევე ვერ გუობს ემფატიკურხმოვნიან სახელს თავის წინ, როგორც ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ე უ ბ ნ ე ბ ა, ე ხ მ ა რ ე ბ ა... თ. ბეროზაშვილი აცხადებს, რომ „ზმნის დასაწყისში ხმოვნები მხოლოდ მორფოლოგიური ელემენტებია (გარდა „ამბობს“ ზმნისა)“³³. ავტორისთვის ა მ ბ ო ბ ს იმდენად არის გამონაკლისი, რამდენადაც ზმნა არამორფოლოგიური ფუნქციის მქონე ხმოვნით იწყება, მაგრამ წესს არ არღვევს, რადგან ხმოვნით იწყება და, ამდენად, დებულება ძალაში რჩება. სამაგიეროდ, ირღვევა ჩვენ მიერ წამოყენებული განსხვავება ხმოვნით დაწყებულ ორი რიგის ფორმებს შორის. საქმე ის არის, რომ ა მ ბ ო ბ ს ფორმაში /ა/ გაგებულია ქცევის ნიშნად³⁴. ეს ვარაუდი სწორია იმიტომ, რომ საწყისში გვაქვს მ ბ ო ბ ა და არა ა მ ბ ო ბ ა (მდრ. უცხოობს — უცხოობა, ეშმაკობს — ეშმაკობა...). ასეთ შემთხვევაში კი მის წინ, ბუნებრივია, ვერ გაჩნდება ემფატიკური -ა.

რაც შეეხება გამონაკლისთა მეორე რიგს: ვ ა რ, ხ ა რ, ა რ ი ს; მ ა ქ ვ ს, გ ა ქ ვ ს, ა ქ ვ ს — აქ, პირიქით, ა ხმოვანი მოკლებულია მორფოლოგიურ ფუნქციას, უცვლელად გადადის განსხვავებულ პირ-

31 თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

32 იქვე, გვ. 242.

33 იქვე.

34 შ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულქართული ენობრივურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 268.

თა ფორმებში და გათანაბრებულია ძირეულ ხმოვანთან და მის წინ ემფატკურხმოვნინი ფორმაც შესაძლებელი გახდა.

რაც შეეხება -ა-ს მარცვალთლიაობის ფუნქციას. რასაც ვარაუდობს ალ. ფოცხიშვილი (იხ. ზემოთ), ეს მოსაზრება მთლიანად ემყარება ამ ნაწილაკის პოზიციას: (1) მავრცობი -ა გვხვდება პაუზის წინ და (2) მოსდევს მხოლოდ და მხოლოდ თანხმოვნით დაბოლოებულ ფორმებს (ვინ-ა, კაცს-ა, ზეგ-ა, რომ-ა, იღებს-ა და სხვ.).

ამ არგუმენტებს თუ კარგად გავსინჯავთ ქართულ ენაში, -ა მავრცობს ვერ მივიჩნევთ მარცვალთლიაობის შემქმნელ ელემენტად: (ა) თუ სიტყვას ენის ბუნებით ღიაობა სჭირდება ბოლო მარცვალში („ა-ს ფუნქცია გამოიხატება სიტყვის ბოლო მარცვლის ღიაობის შექმნაში.“³⁵), ეს ტენდენცია რატომ ვლინდება მხოლოდ პაუზის წინ, სხვა პოზიციაში რამ მოშალა? — ბუნებრივია „დაუძახა კაცსა“, „მოუხმო კაცსა“, მაგრამ არაბუნებრივია ემფატკური -ა შებრუნებულ რიგში: „კაცს დაუძახა“, „კაცს მოუხმო“ და სხვ.; (ბ) სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკზე დაბოლოებული ფორმები ხომ ისეც ღია მარცვლით ბოლოვდებიან, რატომ ჩნდება იქ მავრცობი -ა (ძმასაო, ძმისაო, ძმითაო, ძმადაო) ზნსტემატურად? ამ რიგის სხვა შემთხვევებიც მოიპოვება ენაში.

აღნიშნულ ფორმებში -ა მავრცობი რა ფუნქციას ატარებს? (გ) ჩვენი მსჯელობისთვის არსებითია ისიც, რომ სიტყვათა ფორმებში -ა მავრცობის არსებობა დამოკიდებული აღმოჩნდა მომდევნო ზმნის გრამატიკულ აგებულებაზე — ზმნისწინებისა და ხმოვან პრეფიქსთა ქონა-არქონაზე. მარცვალთლიაობა, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია.

ახლა შეორე, და, ავტორის აზრით, მთავარი არგუმენტის შესახებ.

არ არის სწორი, თითქოს სიტყვებში -ა მავრცობი ხმოვანთა მომდევნოდ არ მოდიოდეს. ქვემოთ მოგვყავს სათანადო მაგალითები ქართული დიალექტებიდან. დავიწყით „მეა“ ფორმით, რომელიც, ალ. ფოცხიშვილის თქმით, „არ შეიძლება ითქვას“ ქართულში³⁶: „არ ვიცი მეა...“ (ფდ, 134, 30) — მეა „მეო“ <მე-ა-ო. -ო სხვათა სიტყვის ნაწილაკია, ფშაურში ხმოვანთა მომდევნოდ ვ-დ ქვეული, -ა კი მავრცობია!

„მეა ვ ორ ჯივ დავავორევ“ (თკ, § 15, 13); „მეა ვ წამიყვანევ“ (თკ, § 1, 2). სალიტერატურო ქართულშიც სხვათა სიტყვის -ო დაც(ა) ნაწილაკები თავის წინ გამოავლენენ -ა მავრცობს (კაცსაო, კაცსაც...).

³⁵ ალ. ფოცხიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 337.

³⁶ იქვე.

ფართს კუკუმას წავალბებებავ მი ავ, ნუ ამჩქარებ კი ავ (ხთ. 357, 7) — მი ავ „მეო“ <მე-ა-ვ; კი ავ „კიო“ <კი-ა-ვ. „მი ავ წამი-ყვანევ“ (ხთ, 399, 22) — მი ავ „მეც“ <მე-ა-ვ.

სხვათა სიტყვის ფორმებში სი, „სად“, სუ „მუდამ“, ჰე (ნაწ.), ჰო (ნაწ.) თუშურში, როგორც წესი, გავრცობის ა-ს ირთავენ: სი ავ „სადაო“, სუ ავ „მუდამო“, ჰე ავ „ჰეო“, ჰო ავ „ჰოო“, მაგალითად: „ჰოავ, შვილო, ჰოავ“ (თკ, § 38, 7); „ეჰე, ჰეავ, ყაყიმალ საფურის-წვერს გახედეთავ“ (თკ, § 34, 13).

ფშაურში უფრო ხშირია კიო (ნაწ.). მაგრამ აქა-იქ -ა მავრცობიანი ფორმებიც გვხვდება: „— არაო, ნუ გვიჩივლებ კი აო“ (ფდ, 133, 24; 134, 32) „დაიშორეს ი ნაცარ-ნაწმირ კი ა-და“ (ფდ, 135, 12).

გ. ცოცანიძეს აქ მითითებულ „ფშაურ დიალექტში“ მოაქვს კითხვითი -ა-ს შემცველი ფორმები: იცნ ი ა ა (გვ. 116), გაკსონს ა ა (გვ. 116). ბოლო ა კითხვის ნაწილაკია, მის წინამდგომი -ა კი უთუოდ გავრცობისაა; ქართლ-კახურშიც ო და ც(ა) ნაწილაკებს წინ უძღვის მავრცობი -ა: ზეგაო, სადაო; სადაც... მთის დიალექტებში -ა არის -ღ(ა)-ს წინაც (მეალ). სალიტერატურო ქართულშიც ხომ ც (ა)-ს წინ აუცილებელია -ა³⁷. მართალია, ქართლ-კახურსა და სალიტერატურო ქართულში -ა ჩნდება თანხმოვანთა მომდევნოდ, მაგრამ კანონზომიერება ერთია და ხმოვანთა მომდევნოდაც ა-ს გაჩენა საერთო წესით ხდება. გავრცობის -ა ატეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება მარცვალთლიაობასთან დაკავშირებულ ელემენტად.

გავრცობის -ა აღნიშნულ პოზიციაში რეალურად ფიქსირებულია ინგილოურში და მორფონოლოგიური ცვლილებით წარმოდგენილია დასავლურ კილოებში: გურულისა და აჭარულის რიგ წინადადებებში გამოიყო სინტაქსურ თავისებურებებთან დაკავშირებული ხმოვანთა სიგრძე, კერძოდ, პაუზის წინ გარკვეულ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების დამასრულებელი სიტყვის ბოლოს მარცვალი გრძელდება და ამავე პოზიციაში ინგილოურში სიტყვას ბოლოში უჩნდებოდა ნაწილაკი -ა³⁸.

რამდენიმე მაგალითი: გურული: „უმ გამევიდნ, დუუქა:ხა... აჭარული: ყაჭი რო... დარჩებნ, გამოვხარჩავთ...“ ინგილოურში ამ გრძელი ხმოვნების ადგილზე ორი ხმოვანია, ბოლო არის -ა ნაწილაკი: „ეეს რომ თქოა, კაც მაშინავ მოკლო“.

³⁷ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი, I, გვ. 037.

³⁸ ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იყვ, I.

ქ. ლომთათიძე ვარაუდობს, რომ ინგილოური გვიჩვენებს გუ-
რულ-აქარულს წინა საფეხურს, ე. ი. გურულსა და აქარულში გრძე-
ლი ხმოვანი მიღებულია დამოკიდებული წინადადების დამსარულე-
ბელი სიტყვის ბოლო მარცვლის ხმოვნის შერწყმით -ა-სთან. თვით
ეს -ა წარმომავლობით, ქ. ლომთათიძის აზრით, უნდა უკავშირდებო-
დეს არა ნაწილაკს ან დამხმარე არის ზმნას, რომლებიც განსაზღვრე-
ბითი ფუნქციით იყვნენ აღკურვილი, რადგან „ხსენებული დამოკი-
დებული წინადადებები ყველა ამ დიალექტში განსაზღვრული ხასია-
თის მატარებელია, ე. ი. მათში იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითე-
ბა, რაც თანამოსაუბრისათვის უკვე ცნობილია. აქ მთელი წინადა-
დება განსაზღვრული ფორმით წარმოდგენილი...“³⁹

არა ნაწილაკს ხშირად ვხვდებით სასაუბრო ენაში; მაგ.: „ის
ტყე რომ ჩანს, არა, იმის ძირში სოფელია“ — ეს ჩვეულებრივი გა-
მოთქმაა დღევანდელ ქართულში და მას საგანგებოდ ძიება არ სჭირ-
დება.

ამათ გვერდით დავაახელებთ თუშური კილოვთვის დამახასია-
თებელ ასეთ წინადადებებს: „რო არ მობრუნდნ, წამნეწნ“. პარალე-
ლურად შეიძლება ასე ითქვას იგივე: „რო არ მობრუნდა, წამნეწნ“. [აჲ] დიფთონგი [ა]-სგან არის მიღებული. გრძელი ხმოვნის დიფთონ-
გიზაცია ჩვეულებრივია თუშურში (კაცია>კაცნ>კაციჲ „კაცი არის“;
წყაროია>წყარონ>წყაროიჲ... კილოში დასტურდება ყველა აქ წარ-
მოდგენილი ფორმა).

მაშასადამე, გამოთქმაში [მობრუნდნ] [ა] მიღებულია ორი ა-ს
შერწყმით: მობრუნდ-ა-ა. პირველი -ა არის სუბიექტის ნიშანი, ხო-
ლო მეორე -ა (ბოლო) იგივე -ა არის, ინგილოურში რომ გექონდა ამ
ტიპის წინადადებაში. ოღონდ თუშურში დამატებით არ ნაწილაკი
შემოვიდა. ეს ნაწილაკი სრული სახითაც არის წარმოდგენილი, რო-
ცა ზმნას მოსდევს: „რო მობრუნდ, არა, წამნეწნ“. აქაც საქმე გვაქვს
უკვე ცნობილი ფაქტის ხელახალ კონსტატაციასთან და, მაშასადამე,
ხდება დამოკიდებული წინადადების გამოყოფა „განსაზღვრა“ მთე-
ლი გამონათქვამიდან (resp. რთული წინადადებიდან). ამდენად, შე-
საძლებელია თვით რთული წინადადება გამოიყოს ტექსტის უფრო
ვრცელი პერიოდიდან. საკითხი არსებითად აქტიური დანაწევრების
პრობლემაში შედის. -ა აქ ფაქტიურად თემას გამოყოფს რემისგან.
-ა-ს ფუნქცია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უფრო მეტია თანამედროვე
ქართულში.

ზემოთ აღწერილი ვითარება არც ქართლ-კახურისთვის არის

39 ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 343.

უცხო: „მოვედი, რო არ მოვედნ, მაშინვე გაიქცა“, ეს წინადადება შეიძლება არ ნაწილაკის გარეშეც. ასეთი წინადადებებს პროსოდული სახე, მართალია, კითხვით ინტონაციას ემსგავსება, მაგრამ საქმე გვაქვს არა კითხვასთან, არამედ მომხდარი ფაქტის კონსტატაციასთან; სწორედ ამიტომ შესაძლებელი გახდა ასეთი ტიპის წინადადებებს თხრობითი ინტონაციით წარმოთქმა გურულსა და აჭარულში, ერთი მხრით, და ინგილოურში, მეორე მხრით; ასევე -ა ნაწილაკის ხმარება კითხვითი ინტონაციის გარეშე, მავრცობის ფუნქციით მთის კილოებში: „მე ა ვ წავალივ“; „მე ა ღ ვიტყვივ“; „ღობის ძირზე ე ხ ი ა“ და სხვ.

სრულიად სამართლიანად ქ. ძოწენიძე აღმოსავლური დიალექტების გავრცობის -ა-ს ფუნქციის მიხედვით უკავშირებს -ე, -უ და -გ ხმოვნებს იმერულსა და ლეჩხუმურის ისეთ ფორმებში, როგორცაა: მაქე (შღრ. მაქ), რ ა ც ხ ა ს ე, ხ ე ს ე, ე რ თ ნ ა ი რ ს ე და სხვ. („ჩვენ უკეთეთ იმას სარქველს, ხ ე ს ე, ხეს თუ ვიშონით ერთნაირსე). -ღ/-უ „ვიცილით, ხუთშაბათსე... ვიცილით, ხუთშაბათსე...“

ამ ხმოვნებს გავრცობის ა-ს დისტრიბუცია აქვთ: „ოკრიბულში ე უპირატესად გვხვდება წინადადებაში წყვილის დასასრულს, დაკავშირის წინ, ჩამოთვლის დამთავრებისას, რთულ წინადადებაში წინადადებათა მიჯნაზე, წინადადებათა ბოლოს, ლოგიკური მახვილს შემთხვევაში წინადადების დასაწყისშიც, თან ხვდება პაუზას და მახვილის მატარებელია“⁴⁰.

ფრაზაში -ა ნაწილაკი დემარკაციას ახდენს მოლაპარაკეთათვის ცნობილ ნაწილსა და ახალ ინფორმაციას შორის.

ემფატიკურ -ა-საც თანამედროვე ქართულში სადემარკაციო ფუნქცია აქვს: მართალია, პრეპოზიციური სუბსტანტიური მსახდრელი და მისი საზღვრული მკიდროდ დაკავშირებულ შესიტყვებას ქმნიან, მაგრამ ინვერსიულ რიგში მათ დაშლის ხიფათი ექმნებათ: როცა მსახდრელს სხვა სახელი მოსდევს, შესაძლოა, იგი პრეპოზიციურ წევრად იქნეს გაგებული. „ცხენი ამხანაგის სახლს მიუახლოვდა“ — აქ შესაძლებელია ორნაირი დანაწევრება: (1) „ცხენი ამხანაგის / სახლს მიუახლოვდა და (2) „ცხენი / ამხანაგის სახლს მიუახლოვდა“.

როცა გვაქვს „ამხანაგის ცხენი სახლს მიუახლოვდა“ მსახდრელის დახშული პოზიციის წყალობით მსგავსი ორჭოფობა არ წარმოიქმნება. კარგად ჩრის ცნობილი, რომ პოსტპოზიციური სუბსტანციუ-

40 ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, 1973, გვ. 258.

არი მსაზღვრელს დემარკაციას მომდევნო სახელსგან (resp. სინტაქსური კავშირის დამყარება წინამავალ სახელთან) წინადადებაში აკისრებენ ემფატიკურ ხმოვანს: „ცხენი ამხანაგისა სახლს მიუახლოვდა“. ემფატიკურ -ა-ს მეოხებით საექვო აღარ არის საზღვრული — ეს არის ცხენი ამ წინადადებაში. სწორედ ეს აქვთ მხედველობაში, როდესაც ლაპარაკობენ ემფატიკური -ა-ს უნარზე — ჩაკეტოს სინტაქსური კონსტრუქცია (კ. დონდუა, არნ. ჩიქობავა, ი. გიგინეიშვილი...).

ი. გიგინეიშვილს დაკვირვებით⁴¹, ემფატიკური -ა-ს ამ თვისებაზე დამყარებით — სუბსტანტიური მსაზღვრელი რომ სინტაქსურ კავშირშია პრეპოზიციურ საზღვრულთან და არა მომდევნოსთან — შესაძლებელი გახდა საზღვრულ-მსაზღვრელის დეფექტური ბრუნების (ახალ ქართულში არა გვაქვს ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნებები; შდრ. ძვ. ქართულის ძ-ისა კაცისა-გსა ძ-ითა კაცისა-ათა) შევსება და მისი სრულად წარმოდგენა: ცისკარო დილსა, ცისკარმა დილსა, ცისკარს დილსა, ცისკრით დილსა, ცისკრად დილსა, ცისკარო დილსა. ლექსის ენამ, დასკვნის ი. გიგინეიშვილი, „...ნათესაობითარი მსაზღვრელს ერთი უნიფიცირებული, უდეფექტო ბრუნება შექმნა სალიტერატურო ენის დეფექტურობის საპირისპიროდ“⁴².

ეს შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ გავრცობის -ა ერთგვარ სიგნალად იქცა მსაზღვრულის ნულოვანი ალომორფების არსებობისათვის, რომელთა გრამატიკული მნიშვნელობა პრეპოზიციური საზღვრულით ვლინდება (დაწვრილებით იხილე ქვემოთ). ზემოთ თქმულის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ემფატიკური -ა მსაზღვრელსაზღვრულს გამოყოფს წინადადების სხვა წევრთაგან.

ართულ წინადადებაშიც „ემფატიკური -ა“ დემარკაციას ახდენს წინადადების წევრებს შორის, ასე მაგალითად, წინადადება „დაუძახა ძმას უნდა მივეხმარო ახლავე“ შეიძლება ასე დავეყოს: „დაუძახა/ძმას უნდა მივეხმარო ახლავე“ ან ასე: „დაუძახა ძმას/ უნდა მივეხმარო ახლავე“.

თუ „ძმას“ წარმოდგენილი იქნება ემფატიკური ხმოვნით, ორ-აზროვნებას ადგილი აღარ ექნება: „დაუძახა ძმასა/ უნდა მივეხმარო ახლავე“. ძმასა ამ წინადადებაში მხოლოდ „დაუძახა“ შემასმენელს უკავშირდება. -ა რიტმულ ჯგუფთა დემარკაციას ახდენს, რამდენადაც

41 ი. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, 1957, გვ. 337.

42 იქვე.

მიუთითებს გარკვეული ჯგუფის დასასრულზე და, ამდენად, მომდევნო ჯგუფის დაწყების სიგნალიც არის.

დემარკაცია ხდება როგორც წინადადებების ნაწილებისა და შესიტყვებებისა, ისე ცალკეული სიტყვებისა და მორფემებისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ცნობილია ფონოლოგიური დიერემები: მახვილი სიტყვის თავში, სიტყვის ბოლოს; რომელიმე ფონემა სიტყვის დასაწყისში ან დასასრულს და სხვ.⁴³

დემარკაციული ფუნქცია, როგორც ჩანს, ეკისრებათ მორფოლოგიურ ელემენტებსაც, რაც კარგად ჩანს ქართულ ენაში ემფატიკური -ას დისტრბუციის ფონზე. ამავე დროს ქართული ენის ზოგ ქვესიტემაში, ჩანს, სადემარკაციო ფუნქციას მახვილიც ასრულებს.

რადგან მსჯელობა ემფატიკური ხმოვნით დაეწყეთ, გადავიდეთ მორფემათა სადერმაკაციო ფუნქციის გამოვლენაზე -ასთან მიმართებით, მახვილის შესახებ კი შემდეგ ვიმსჯელოთ.

თანხმოვნით დაწყებული ფუძის მქონე ზმნების წინ გავრცობის -ა ჩვეულებრივია: ვისა ჰკითხა, რათა ტირის, არა სთხოვს და სხვ., მაგრამ იგივე -ა ამავე ზმნათა და საერთოდ ზმნისწინიანი ფორმების წინ არ იხმარება: ვის მოჰკითხა (არ შეიძლება ვისა მოჰკითხა), რას მოსტირის, არ მოსთხოვს; ხელს აღმართავს, არ მიაქვს და სხვ. პირის ნიშნის ქონა-არქონა წესზე გავლენას ვერ ახდენს (იხ. ზემოთ). ასევე მავრცობი -ა არ ექნება გვარისა და ქცევის ხმოვანთა წინ მდგომი სახელის ფორმას: რას ეფერება, არ ეტყვის, ძმას უნახავს, არ იშლება, ვერ აკეთებს, არ გვინახავს და სხვ.

ზემოთ განხილულ შემთხვევებში დემარკაციას უთუოდ ზმნისწინები, გვარისა და ქცევის ნიშნები ახდენენ და მავრცობი -ა აღარ განდა საჭირო. ეს ვარაუდი იმიტაც დასტურდება, რომ ძირეული არაპრეფიქსული ხმოვნით დაწყებული ზმნების წინ სახელს ემფატიკური ხმოვანი ისევე სჭირდება, როგორც ზმნათა თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ (რასა უხეშობს, ვინა ომობს, აღარა ოხრავს, რასა უფროსობს და სხვ.)

გავრცობის -ას ხმარებისთვის არსებითია მომდევნო ზმნის დასაწყისი მარცვლოვანი მორფემის ენობრივი სტატუსი: თუ ეს მორფემა ძირეულია, სადემარკაციო -ა საჭიროა; თუ ძირეული არ არის და, მასთანადამე, თვითონ შეუძლია სადემარკაციო ფუნქციის შესრულება, მის წინ გავრცობის -ა აღარ ჩნდება.

⁴³ იხ. მაგალითად, А. Мартине, Основы общей лингвистики, ил, вып. III, с. 445.

გავრცობის -ა-ს მიეწერება გარკვეული ემოციების შეტანა ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: „სად წავიდა, სადა!“ „აქ მოდი, აქა!“ და სხვ. (გ. დეეტერსი, დ. მელიქიშვილი, თ. ბეროზაშვილი). იმავე ემოციით ეს წინადადებები შეიძლება -ა-ს გარეშეც გამოვთქვათ: „სად წავიდა, სადა!“ „აქ მოდი, აქ!“ და სხვ. შესაძლებელია -ა მავრცობიანი ფორმა წინ გადმოვიტანოთ: „სადა, სად წავიდა!“ „აქა, აქ მოდი!“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, -ა ორსავე აქ განხილულ შემთხვევაში ახლავს ცალკე გამოყოფილ ზმნიზედებს (ანალოგიური ვითარებაა წინადადების სხვა წევრებთანაც: „ვინ მოვიდა, ვინა?“ „ვინ მოვიდა?“ „არ მოსულა, არა!“ „არა, არ მოსულა!“ და სხვ.), ემოცია კი მთლიანად წინადადებისაა და მას -ა-ს გარეშეც აქვს იგი. ხაზგასმელია უთუოდ, რომ -ა დიერემიანი ფორმის მომდევნოდ პაუზა იქმნება: „სადა, სად წავიდა;“ „არა, არ მოვა!“ -ა ამ შემთხვევებში ლოგიკურად გამოყოფილი სიტყვების დემარკაციას ახდენს. ამ ვარაუდის სამტყიცებლად გამოდგება პრეპოზიციური სუბსტანტიური მსახლრელის ფორმა, რომელიც მოქცეულია ლოგიკური მახვილის ქვეშ. თანამედროვე ქართულში პრეპოზიციური სუბსტანტიური მსახლრელი ჩვეულებრივ გაუვრცობელია: ძმის წიგნი, მზის სითბო და სხვ., მაგრამ ასეთი მსახლრელი ადვილად იჩენს სადემარკაციო -ა-ს, როცა ლოგიკური მახვილის ქვეშ დგება, ავიღოთ ორი ასეთი გამოთქმა:

(1) მზის შუქია მცენარისთვის მთავარი.

2 მზისა შუქია მცენარისთვის მთავარი.

ორივე ნორმალური წინადადებაა და არსებითად ერთსა და იმავე აზრს გადმოგვცემს, მაგრამ განსხვავებულია ექსპრესიული თვალსაზრისით — მეორე შემთხვევაში გამოყოფილია შუქის მზისეული წარმომავლობა, რაც პირველ გამოთქმაში არ არის ხაზგასმული. იქ ხაზგასმულია მზის შუქი მცენარის საჭიროების თვალსაზრისით და ამ ლოგიკურ დემარკაციას მზის სიტყვისა მოჰყვა დემარკაცია ფორმალური -ა ნიშნით.

მსახლრელ სახელთა ლოგიკური გამოყოფა ხშირია ანდაზებში: „ჩვილისა საყელოცა ჭამსო“. „მოხუცისა ტყუილიც დაიჭრებო“ და სხვ. -ა-ს ფუნქცია შეიძლება უფრო დეტალურად იქნეს განხილული აქტიური დანაწევრების პოზიციიდან.

მახვილის სადემარკაციო ფუნქციის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა რაჭული კილოს ჩვენება, რომელიც აღწერა შ. ძიძიგურმა⁴⁴. რაჭულის რიტმული ჯგუფი (სულ ერთია სინტაქსური წყვილი იქნება, მარტივი წინადადება თუ რთული წინადადება) ხასიათ-

⁴⁴ შ. ძიძიგური, ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 56.

დება შინაგანი პაუზის უქონლობით, მხოლოდ ერთი სამახვილო სიტყვით, რომელიც მოქცეულია წინადადების ბოლოში, „მახვილიანი სიტყვა ერთა ფრაზაში“⁴⁵; რაჭულის შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები მახვილს ატარებენ, თუ რთული წინადადების (resp. მარტივის) შიგნით პაუზა გაჩნდება, მის წინა სიტყვას მახვილი გაუჩნდება⁴⁶.

მახვილის აქ წარმოდგენილი დისტრიბუცია უთუოდ მოგვეგონებას მკვლევართა მიერ ემფატიკური -ა-ს ზემოთ აღწერილ დისტრიბუციას პაუზას წინ: „ემფატიკური ხმოვანცა“ და მახვილიც სახედონენ წინადადების სხვადასხვა ზომისა და შედგენილობის ელემენტთა დემარკაციას წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან ან სხვა წინადადებისაგან.

სადემარკაციო ფუნქცია აქვს -ა მავრცობს მორფმათა შორისაც, როგორცაა: ძმა-ა-ო, ძმის-ა-ა, სხვაგან-ა-ა და სხვ. შედგენილი შესაშენლოს -ა, სხვათა სიტყვის -ო დამოუკიდებელ სიტყვათა ნაშთებია (შდრ. — თქვა, -თქო, -მეთქი ნაწილაკები); ცალკე სიტყვაა და კავშირი, რომელიც ზოგჯერ დ-ს სახით გვხვდება დიალექტებში. ესენი ეკედლებიან წინამავალ სიტყვებს, როგორც უმახვილო ელემენტები და ბუნებრივია მათ შორის სადემარკაციო ა-ს გაჩენა. მისი საშუალებით ეს ელემენტები უფრო ადვილად ინარჩუნებენ თავის სახესა და ფუნქციას.

რიტმულ ჯგუფებს სადემარკაციო ელემენტი განსაკუთრებით ლექსში სჭირდებათ. ასეთი ჯგუფები ძირითადად ყალიბდება ტაქტების სახით. ტაქტი ლექსის რიტმულად დასრულებული მონაკვეთია და მის სადემარკაციოდ ქართულში გამოყენებულია როგორც ა მავრცობი, ისე „ემფატიკური -ი“ და ამათ გვერდით ამავე ფუნქციის შესრულება შეუძლია სხვათა სიტყვის ო-სა და ხმოვნით დასრულებულ მორფოლოგიურ ელემენტებსაც. უპირველეს ყოვლისა, შიუეთითებთ კარგად ცნობილ პროსოდულ ა ხმოვანზე ქართულ ხალხურ ლექსებში:

„ხაბაბოს, მიცუ-არლოტა ცხენთ დასხნეს შარა-გზანია.
მიდიკათ გორის ციხეო, შამაგეხვია ჯარია.
გამადის სამხარაული, ჩალად ჩაყარა მკედარია.
ქვე-უბან, თალას ციხეო, ჩამაგდის საომარია“⁴⁷.

45 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

46 იქვე.

47 ალ. კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, ხეცურულის თავისებურებანი, გვ. 371.

სადემარკაციო -ი ლექსში

„უცნობელ მთაზე გახედე, წარაფი მიზღვეს ნისლისი;
მკრით მიზღვეს მონადირეი, ქოჭო წელთ აშქვი ისრისი.
ასრია — დ' გამოაგორა ჩქერა გამოდის ქვიშისი;
ჩიქვი კდეს დაკიდებულა, ნაწვეთ ჩამოზღის სისხლისი“⁴⁸.

ზემოთ მივუთითეთ თ. ბეროზაშვილის დებულებაზე, რომ ნ. ლომოურის ენაში ხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის -მა სუფიქსის ხმოვანი იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ემფატიკური ხმოვანი ირიბ ბრუნვებში⁴⁹. ამასვე აღნიშნავს თ. ზურაბიშვილიც⁵⁰. ანალოგიური ვითარებაა ფშაურში, ოღონდ იქ — სახელის ფუძის დაბოლოების განურჩევლად⁵¹. ფშაურის ვითარება შეიძლება განვავრცოთ მთის სხვა დიალექტებზე. ამიტომ ტაეპი შეიძლება შემოსაზღვროს მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ხმოვნითაც ან ხმოვნით დაბოლოებული მორფემით, ასეთია, მაგალითად, სხვათა სიტყვის -ო-ზე დაბოლოებული ფორმები:

„ჩაქვი რა უყავ, თორღვაო, ძმობლის ნაჩუქარიო?“
— „იელოვანზე გავწირე, გაცურდა როგორც წყალიო.
გამულე დასაქერადა, ველარ მოვხვიდე თვალიო...“⁵²

ლექსის ეს მონაკვეთი არ საჭიროებს შინაარსობრივ სხვათა სიტყვის -ო-ს — იგი დიალოგით მიდის. მოლექსისა თუ ლექსის მთქმელისთვის ეს -ო ასე არც აღიქმებოდა. -ო აქ უბრალოდ ტაეპთა დემარკაციისათვის არის გამოყენებული. მსგავსი შემთხვევები ხშირია ხალხურ პოეზიაში.

სწორედ ამავე მოთხოვნილებით ჩნდება ზმნათა ბოლოს -ა სავრცობი:

„ვეშარის თვა, მუნ-ჩიქვნო, გულდიდად დაიძინეთა:
შინ არ არს ლეგა ჩოჯი — ქელუხთ ფაქუგოს ზძინავა!“⁵³

ამ -ა-ს ხალხური პოეზიის გავლენით ვეყაც მიმართავდა: „გადა-

48 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, § 152, გვ. 116.

49 თ. ბეროზაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 242.

50 თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, კრებულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, გვ. 53.

51 გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, გვ. 43.

52 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, § 44, 16, გვ. 16.

53 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, § 113, გვ. 159.

ვარდება ცხენზეით, ყელ-თავქვე ეკიდებისა...." (ვაჟა). ახლა შეგვიძლია ვიმსჯელოთ -ა-ს ფუნქციურ მეტამორფოზებზე ქართული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე: ძველ ქართულში კ ა ც ი, კ ა ც მ ა ნ, კ ა ც ს ა, კ ა ც ი ს ა, კ ა ც ი თ ა ფორმები განუსაზღვრელია (ზღრ. განსაზღვრული კ ა ც ი ი გ ი, კ ა ც მ ა ნ მ ა ნ, კ ა ც ს ა მ ა ს...).

-ი და -მან სუფიქსების სახით საქმე გვაქვს ბრუნვის ნიშნებთან, ხოლო -ა-ს სახით მიცემით, ნათ. და მოქ. ბრუნვათა სუფიქსებში წარმოდგენილია ბრუნვის ნიშანთა განუყოფელი შემადგენელი. საკუთარ და საზოგადო სახელებთან ძველ ქართულში -ი, -მან, -სა, -ისა, -ითა ელემენტების განაწილების ძირითადი წესი, რომელიც ხშირად ირღვევა, მიგვითითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს ინერციასთან ადრე არსებული წესისა, რომელიც რეალურად არსებულ სისტემას აღარ შეეფერება.

ძველ ქართულში განსაზღვრებითი ელემენტები ნაწევრებია. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ -ა და -მან სახელობითსა და მოთხრობითში და -ა ირიბ ბრუნვათა ნიშნებთან წინა პერიოდში (ძველ ქართულამდე) ანალოგიურ ფუნქციას ატარებდნენ და სწორედ ძველ ქართულამდელი ვითარების ინერციასთან გვაქვს საქმე ძველ ქართულში, სადაც ენის ახალ სისტემაში (ე. ი. ძველ ქართულში) -ი. -მან რენტერპრეტირებულია ბრუნვის ნიშნებად, ხოლო -ა—ირიბ ბრუნვათა მორფემების განუყოფელ ელემენტად. ამის დადასტურებას წარმოადგენს ემფატიკური -ა-ს ხმარება წრფელობითის ფორმებში: ძე კაცისა და კაცისა ძე; -ი და -მან სუფიქსების ხმარება საკუთარ სახელთან ხანმეტ და შემდგომი დროის ძეგლებში: მარიამი; ძე აბრაჰამისა და სხვ.

ძველ ქართულში -ა ვერც კონსტრუქციას ხმავს, რადგან იქ ბუნებრივია როგორც კ ა ც ი ს ა ძ ი ს ა, ისე კ ა ც ი ს ა მ ა ს ა ძ ი ს ა და ძ ი ს ა კ ა ც ი ს ა მ ა ს ა; კ ე თ ი ლ ს ა კ ა ც ს ა და კ ა ც ს ა კ ე თ ი ლ ს ა. კონსტრუქციას ხმავს საზღვრულთან მიმართების გამომხატველი ბრუნვის ნიშანი სუბსტანტიურ მსაზღვრელებში. ავიღოთ ასეთი წინადადება: „ძე კაცისა კელთა მიეცეს“. იგი ორნაირად დანაწევრდება: (ა) ძე კაცისა /კელთა მიეცეს და (ბ) ძე/ კაცისა კელთა მიეცეს; მაგრამ ძე მ კ ა ც ი ს ა მ ა ნ ძე კ ა ც ი ს ა მ ა ერთ ვარიანტზე დაიყვანს მსაზღვრელსაზღვრულთა ურთიერთობას—მსაზღვრელი რომელ საზღვრულსაც შეუთანხმდება, მხოლოდ მასთან ქმნის წყვილს.

ემფატიკურმა -ამ თავისი პირველადი ფუნქციის დაკარგვის შემდეგ ძველ ქართულში შეიძინა მორფონემატური ფუნქცია—იქცა ბრუნვის ნიშანთა ორგანულ ნაწილად და ხელს უწყობდა მათ რეალიზაციას ფონემატურად არაბუნებრივ პოზიციებში. განსაკუთრებით ეს ოთქმის მიცემითი ბრუნვის ფორმებზე, როგორც ნაწილაკებით, ისე

უნაწილაკოდ. ავიღოთ, მაგალითად, *კ ა ც ს ც ა. აქ ხმოვნებს შორის შეიქმნა ქართულისთვის ფონემატურად არაბუნებრივი კომპლექსი -ცსც-, რომელიც ისე ვერ გავყოფა, რომ წინა ხმოვნის იმპლოზიაში და მომდევნო ხმოვნის ექსპლოზიაში ერთდროულად შეიქმნეს ენისთვის ბუნებრივი კომპლექსები (კაც-სცა. კაცს-ცა... ხაზ-გაშული კომპლექსები არაბუნებრივია ქართული ენისთვის). არაბუნებრივი -ცს კომპლექსი წარმოიქმნება ნაწილაკის გარეშეც (კაცს). ბრუნვის ნიშანს მიხორცებული /ა/ იძლევა ამ წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებას (კაც-სა-ცა, კაც-საც, კაც-სა და სხვ.). მართალია, ნათესაობაში და მოქმედებაში ბრუნვის ნიშანთა ხმოვანი /ი/ დიდად უწყობს ხელს სიტყვის დაბოლოების იოლად რეალიზაციას, მაგრამ, ჩანს, ემფატიკური -ა აქაც სასურველია, რადგან ხშირად უშუალო მეზობლობაში იყრის თავს პოპორგანული ან პეტროგენული ჩქამიერი თანხმოვნები (ვთქვათ: კაციხცა, კაციოცა: კაცისგან), რომლებიც არაბუნებრივია და სრულიად მიუღებელი სიტყვის თავკიდურში და აბოლუტურ ბოლოში. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, გავრცელდა ემფატიკურხმოვნის ფორმები⁵⁴. კაცი-სცა, კაციოცა, კაცი-საგან...

ახლა შეიძლება ვიმსჯელოთ ა-ზე, როგორც ენობრივი სისტემის ელემენტზე ქრონოლოგიურად განსხვავებულ პერიოდებში.

ძველქართულამდელი დეტარმინაციული -ა ძველ ქართულში ბრუნვის ნიშანთა შემადგენელია, ხოლო ახალ ქართულში — სადემარკაციო ელემენტი.

როგორც სისტემის წევრი. -ა ამ სამ ქრონოლოგიურ კრილში განსხვავებული ფუნქციის მქონეა: პირველ შემთხვევაში იგი სემანტიკური ელემენტია და ბრუნვის ნიშნისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს; მეორე შემთხვევაში ბრუნვის ნიშანთა შემადგენელი ფონემაა — გრამატიკული ელემენტებს (ბრუნვის ნიშნების) კონსტიტუენტი; მესამე შემთხვევაში გრამატიკული და სემანტიკური თვალსაზრისით უფუნქციოა, ტექსტის ელემენტია და წარმოადგენს დიერემას.

-ა-ს წარმომავლობისა და პოზიციური განაწილების მიხედვით

54 ეს ქართული ენის ნაცადი ხერხია. შეიძლება გავიხსენოთ (ა) თანხმოვანთა გამყარი /ი/ უწყვეტლისა და წყვეტილის მრავლობით რიცხვში; (ბ) ანატიკუსური ხმოვანი ჩქამიერთა კომპლექსებში: ტყილი → ტყილი, კბილი → კბილი; კრწილი → კრწილი... ამდენად არ არის სწორი ალ. დოცხიშვილის განცხადება, თითქოს ქართულში თანხმოვანთა მიუღებელი კომპლექსების სუპერაცია ხდებოდეს მხოლოდ გამარტივებით, ე. ი. ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვით და გამორიცხული იყოს მათთვის ძლიერი პოზიციის შექმნა ხმოვნის საშუალებით (ალ. ფოცხიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 336).

დიაქრონიული კრილები ასეთ ვითარებას გვიჩვენებენ: ძველქართულამდელ პერიოდში და ძველ ქართულში ერთი და იმავე წარმომავლობისაა (-ასთან გვაქვს საქმე: -ა ნაცვალსახელური წარმომავლობისაა (სარწმუნოდ გვეჩვენება ნ. მარის ვარაუდი: ჰა>ა), ენობრივი განფენილობაც (დისტრიბუცია) ერთნაირია, ხდება მხოლოდ ფუნქციის შეცვლა (ჩხ. ზემოთ). ახალ ქართულში ეს -ა კვლავ იცვლის ფუნქციას, დისტრიბუციულად კი რჩება ძველ ადგილზეც და განიცდობს კიდევ მოქმედების არეს: ბუნებრივად იხმარება ვითარებით ბრუნვაშიც. ამ -ა-ს ფუნქციურად გაუთანაბრდა ფუძისეული /ა/ ნაწილაკებსა და ზმნიზედებში: არა, ვერა... აქა, სადა... ამათი ანალოგიით გაჩნდა ნაცვალსახელებთან (ესა, ეგა, ვინა...), ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითში (ძმამა, წყარომა...) თანდებულთა მომდევნოდ (ძმისგანა, ძმისკენა...).

-ა მაერცობი დამოკიდებული წინადადების ბოლოს უკავშირდება კონსტატაციის არა „ხომ“ ნაწილაკს. იგი წინადადებაში თემას გამოყოფს რემისგან.

ნათესაობითი ბრუნვა. ამ ბრუნვის მორფემა თანამედროვე ქართულში წარმოდგენილია შემდეგი* ალომორფებით: /-ის/ /-ისა/ ~ /-ს/ /-სა/ ~ /-ი/ ~ /-ო/; მაგალითად: კაც-ის-თვის / კაც-ისა-თვის, წყარო-ს-თვის / წყარო-სა-თვის; კარგ-ი კაცისთვის და კაცის-ო ცხენისთვის, პატარა-ო კაც-ის-თვის და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით: თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ს ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ე ჯ ი ს ფ ო რ მ ა უ თ უ ო დ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ა, მ ს გ ა ვ ს ა დ პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა.

/-ის/ და /-ისა/ თავისუფლად მონაცვლეობენ — მათ საზიარო პოზიცია აქვთ თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელების ნათესაობითში თანდებულს წინ (კაც-ის-თვის და კაც-ისა-თვის); ამგვარივე თავისუფალი მონაცვლეობა ახასიათებს /-სა/ და /-სა/ ალომორფებს თანდებულს წინ ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ფორმებში (წყარო-ს-თვის და წყარო-სა-თვის), მაშასადამე, დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება აღმოჩნდა, ერთი მხრით, /-ის/ და /-ს/ ალომორფებს შორის, ხოლო, მეორე მხრით, /-ისა/ და /-სა/ ალომორფებს შორის.

აღნიშნული -ის/-ისა, -ს/-სა სუფიქსები თანდებულთა წინ ბრუნვის ნიშნებად ჩაითვლება მხოლოდ აქტანტთა ფორმებში; ზმნიზედებში, როგორცაა, მაგალითად: კაცის ცენ, კაცის აქენ; წყაროს კენ, წყაროს აქენ... ისინი წარმოქმნის ელემენტებად მოიქცევიან, რამდენადაც ეს ფორმები გამოსულია ბრუნების პარადიგმებიდან.

{-ის} მორფემა უთანდებულოდაც წარმოქმნის სახელს, რომელსაც მსაზღვრელის ადგილი უკავია. {-ის} მორფემით წარმოქმნილი სახელი ხშირად გათანაბრებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ბრუნვის ნიშნისა და წარმოქმნის ელემენტის მატერიალური იდენტურობის გამო, რაც გაუმართლებელია, როგორც, ვთქვათ, ის, რომ /-ად/ მივიჩნიოთ ბრუნვის ნიშნად მსაზღვრელად გამოყენებულ გუ-ლად ფორმაში. როცა /-ის/ წარმოქმნის ელემენტია, ბრუნვის ნიშანი ამ დერივანტს შემდეგ მოდის და ხშირად ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი, რაც იწვევს აღრევას. ვნახოთ სათანადო ფორმები: კაცის-0 წიგნ-ი, კაცის-0 წიგნ-მა, კაცის-0 წიგნ-ს... ასევე ნულოვანი ალომორფებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ბრუნვები შებრუნებული წყობის დროსაც: წიგნ-ი კაცისა-0, წიგნმა კაცისა-0, წიგნსა კაცისა-0, წიგნ-ის კაცისა-0 (წიგნ-ის-თვის კაცისა-0), წიგნით კაცისა-0, წიგნ-ო კაცისა-0. ოღონდ ასეთი წყობის დროს უფრო ხშირია მსაზღვრელთა ფორმები არანულოვანი ალომორფებით. ასეთი პარადიგმები ნაკლებია:... წიგნ-მა კაცისა-მ, წიგნ-ს კაცისა-ს...

ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში /-ისა/ წარმოქმნის კუთვნილებით სუბსტანტივებს (შდრ. პირის ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში მ-ის-თვის და ამისგან ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელი მის-ი).

კაცის-0 წიგნ-ი, კაცის-0 წიგნ-მა... ტიპის შესიტყვებებში, მსაზღვრელი ვიდრე ამ სახეს მიიღებდა, ისტორიულად დიდი ფონემატიკური ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, სუბსტანტიურ მსაზღვრელში მატერიალურად წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნები დროთა ვითარებაში ნულოვანი ალომორფებით შეიცვალნენ.

ფორმალური ცვლილების გასათვალისწინებლად ერთიმეორის გვერდზე წარმოვადგენთ მსაზღვრელის ისტორიულად დადასტურებულ სამივე სახეს:

I	II	III
სახ. კაცისა-ჲ ძე-ჲ	კაცისა-0 ძე-ჲ	კაც-ს-0 ძე-0
მოთხ. კაცისა-მან ძე-მან	„ ძე-მან	„ ძე-მ(ა)
მიც. კაცისა-სა ძე-სა	„ ძე-სა	„ ძე-ს(ა)
ნათ. კაცისა-ჲსა ძ-ისა	„ ძ-ისა	„ ძ-ს(ა)
მოქ. კაცისა-ჲთა ძ-ითა	„ ძ-ითა	„ ძ-ით(ა)
ვით. კაცისა-დ ძე-დ	„ ძე-დ	„ ძე-დ(ა)
წოდ. კაცისა-ო ძე-ო	„ ძე-ო	„ ძე-ო(ა)

შიუხედავად ფონიკური სახეცვალებისა, გრამატიკული შინა-
არსის მიხედვით სუბსტანტიური მსაზღვრელი არ შეცვლილა. აღსა-
ნიშნავია ისიც, რომ ცვლილება გვაქვს ფუძეშიც, რაც „ემფატიკური
ა-ს“ დიერემულ ფუნქციას უკავშირდება. ეს ცვლილება განაპირობა
სუბსტანტიური მსაზღვრელის ადგილმა: იგი იზოლირებულია საზღ-
ვრულით წინადადების სხვა წევრებისაგან, ამიტომ მისთვის სრუ-
ლიად საკმარისია ნულოვანი ალომორფი (იხ. ზემოთ).

ქვე შევნიშნავთ, რომ /ჰი/ სუფიქსი (წყაროსი, ვაჟსი, ყრუსი...)
მხოლოდ წარმოქმნის ელემენტის როლში გამოდის, რადგან ახლავს
უთანდებულო სახელს, რომელიც ამ სუფიქსის დართვით განიცდის
ადიექტივაციას... ასე რომ, ბრუნვის ნიშანი წარმოქმნის ელემენტის
(ე. ი. -სი-ს) შემდეგ იქნება: წყალ-ი წყაროსი-0 — ჰი დერივანტის
/ი/-ც ფუძეში შედის და, მსგავსად „ემფატიკური -ა-სი“, დიერემის
როლში გამოდის, კერძოდ, წინადადებაში სუბსტანტიურ მსაზღვრელს
სინტაქსურად აკავშირებს მხოლოდ მარცხნივ მდგომ წევრთან, მარ-
ჯენა მხარის წევრებისგან კი ახდენს მსაზღვრელის იზოლაციას. თუ
ვტყვიანთ, რომ „ქარგი გემო აქვს წყაროს წყალს“, შეიძლება ამას მო-
ვყოლოთ ასეთი წინადადება: „ეს გემო წყაროსი წყალს შეგა-
ყვარებს“. ი დიერემის თანამედროვე ფუნქციით წყაროსი შეიძ-
ლება იყოს მხოლოდ პოსტპოზიციური მსაზღვრელი (გემო წყაროსი)
და არავითარ შემთხვევაში — პრეპოზიციური მსაზღვრელი: თანამედ-
როვე სალიტერატურო ქართულში დაუსშვებელია როგორც წყარო-
სი წყალს, ისე წყაროსა წყალს შესიტყვებები ი და ა დი-
ერემათა მოქმედების საფუძველზე.

ნათესაობით ბრუნვაში სახელის ფუძე შეიძლება შეიკუმშოს ან
შეიკვეცოს. ამ მოვლენათა შესახებ ვიმსჯელებთ სხვა ბრუნვების
ანალოგიური ვითარების გათვალისწინებით.

მოქმედებითი ბრუნვა. ქართულში დღეს ამ ბრუნვის ალომორ-
ფებია: /-ითა/ ~ /-ით/ ~ /-თ/ ~ /-თა/ ~ /-თი/ ~ /-ი/ ~ /-ო/ ამ ალომორ-
ფთა შორის საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული დამატებითი დისტრიბუ-
ციის დამოკიდებულებაა. აქ „საკმაოდ“ გაპირობებულია იმით, რომ
გავრცობილი და გაუვრცობელი ალომორფები ჩვენთვის უკვე ცნო-
ბილ ზოგ პოზიციაში თავისუფლად მონაცვლეობენ, მაგ.: „წავიდა
ცხენით“ / „წავიდა ცხენითა“; ზოგ პოზიციაში მხოლოდ გაუვრცო-
ბელი ფორმები იხმარება: „ცხენით წავიდა“, არ შეიძლება „ცხენითა
წავიდა“, ე. ი. გავრცობილ და გაუვრცობელ ფორმებს შორის მყარ-
დება დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაც (დაწვრილე-
ბით იხ. ზემოთ, გვ. 44). სხვა შემთხვევებში კი პოზიციათა კვეთა სა-
ერთოდ არ ხდება: -ით (resp.-ითა) ალომორფი /-თ/ (resp.-თა) ალო-
მორფისაგან განსხვავება იმით, რომ /-ით/ მოუღის თანხმოვანფუძია-

ნი და ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელების უთანდებულო ფორმებს (კაც-ით, ძმ-ით; კაც-ითა, ძმ-ითა), /-თ/ კი /-ი/ ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უთანდებულო სახელებს (ჩაი-თ, სამურაი-თ, აკაკი-თ; ჩაი-თა, სამურაი-თა, აკაკი-თა); /-თი/ გვხვდება /ა, ე, ო, უ/ ხმოვნებზე დაბოლოებულ უთანდებულო სახელებთან (წყარო-თი, პიურე-თი, ვაჟა-თი, ელენე-თი, დუტუ-თი...); /-ი/ ალომორფი მოუღის თანხმოდან ფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელებს (დიდ-ი ფანქრით), /-ო/ კი გვაქვს ხმოვანფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელთან (პატარა-ო ფანქრით) და -ის(ა) სუფიქსით წარმოქმნილ სუბსტანტიურ მსაზღვრელთან (კაცის-ო წიგნ-ით და წიგნ-ით კაცისა-ო).

რაც შეეხება ლოკატიურ ფორმებს მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსის მონაწილეობით, სადაც -იდ (<ით) და -დ(<თ) ზმნიხელათა დერივანტებად არიან მოქცეული, მათ აქ არ განვიხილავთ ბრუნების სისტემიდან გამოსვლის გამო.

კარგად არის ცნობილი, რომ /ა/-ზე და /ე/-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში იკვეცენ ფუძისეულ ბოლო ხმოვანს (მთ(ა)-ის, მთ(ა)-ით, ხ(ე)-ის, ხ(ე)-ით), ხოლო /ო, უ, ი/ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა ფორმებში. ქართულ ლინგვისტთა ვარაუდით, თვით ბრუნვის წინაშე კარგავენ ხმოვანს [წყარო-(ი)ს/-სი, წყარო-(ი)თი; ყრუ-(ი)ს/-სი, ყრუ-(ი)თი; ჩაი-(ი)ს, ჩაი-(ი)თ].

/ი/-ზე დაბოლოებული ფუძეების მქონე სახელთა ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში მიმდინარე მორფონოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით განსხვავებული ვარაუდი წარმოადგინა ჰ. ა. არონსონმა. მისი აზრით, სახელთა /ი/-ზე დაბოლოებული ფუძეები ისევე იკვეცებიან, როგორც /ა/ და /ე/ ხმოვნებზე დაბოლოებული კვეცადი ფუძეები, მაშასადამე, ამ ვარაუდის მიხედვით, მორფონოლოგიური ანალიზი სწორი იქნება მაშინ, თუ ნათესაობითის ფორმებში მომხდარ ცვლილებებს ასე წარმოვადგენთ: ჩა(ი)-ის, სამურა(ი)-ის და სხვ. *Mu'atis mutandis* მოქმედებითში.

საკითხის ამნაირი გადაწყვეტა არგუმენტირებულა იმით, რომ /ი/ ხმოვანზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელები ნათესაობით ბრუნვაში დაირთავენ ემფატიკურ -ას (ჩაისა, სამურაისა...), როგორც კვეცადი სახელები (ძმისა, მეურმისა და სხვ.) და არა -ა, როგორც უკვეცელფუძიანი სახელები (წყაროსი, ყრუსი, პიურესი)⁵⁵.

ჰ. არონსონის ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს -ებ-იანი მრავლობითის ზოგი ფორმაც, კერძოდ, ისეთი, სადაც ამ რიცხვში ფუძი-

⁵⁵ Howard I. Aronson, Towards a formal analysis of the georgian declension, „General Linguistics“, № 9, 1969, გვ. 177.

სეული ბოლო /ი/ მოკვეცილია: სამურაი — სამურაები (ქე-
ლი⁵⁶), პონი — პონები და სხვ.

ეს არგუმენტები ვერ გამოდგება /ი/ ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეების ნათესაობითა და მოქმედებითში კვეცის სამტიციცებლად: (1) გავრცობის ა ნათესაობითა და მოქმედებითში არ მიუთითებს სახელის კვეცაზე, რადგან /ი/-ზე დაბოლოებული ადამიანთა საკუთარი სახელები, როგორც წესი, მხოლოდ ა ხმოვნით განივრცობა, მაგ.: გიორგისა, აკაქისა, ლილისა (შდრ. /ა, ო, ე, უ/-ზე დაბოლოებული საკ. სახელები: ვაჟისი, ელენესი, მიტოსი, დუტუსი), ადამიანთა საკუთარი სახელები კი ქართულ ენაში არც ერთ პოზიციაში და, საერთოდ, არა-
ვითარ სიტუაციაში არ იკვეცებიან. მაშასადამე, გავრცობის ა არ მი-
გვიბრუნებს კვეცაზე. (2) წარმოქმნილ ფორმებში /ი/-ზე დაბოლოებუ-
ლი ფუძეები ამ ხმოვანს ინარჩუნებენ უკვეცელფუძიან სახელთა წე-
ხით: მეჩაი-ე, მე-პაი-ე, სა-პაი-ო და სხვ. შდრ. სა-უთო-ო, უ-დრო-ო,
მე-დრო-ე-ე და სხვ. (3) რაც შეეხება სამურაი ტიპის სახელთა კვე-
ცის მრავლობით რიცხვში (სამურაები), ეს ვერაფერს გვეტყვის მხო-
ლოდითის ფორმებში კვეცისა და უკვეცლობის შესახებ, რადგან
საემოდ ბევრი ხმოვანფუძიანი სახელია, რომლებიც კვეცას განი-
ცდიან -ებ-იან მრავლობითში, მაგრამ უკვეცლები არიან მხოლო-
დით რიცხვში, მაგალითად, მყავა-სი (ნათ.), მაგრამ მყავ-ებ-ი, ბი-
კუნა-სი, მაგრამ ბიკუნ-ებ-ი და სხვ. (4) გავრცობის ა და ი ხმოვნები
ნათესაობით ბრუნვაში კვეცა-უკვეცელობას რომ დავუკავშიროთ,
აქსნელი დავგვიჩება -ი დაბოლოება დიალექტურ ფორმებში, სადაც
ეს უკანასკნელი თავისუფლად მონაცვლეობს ა-სთან: კაცისა /კაციანი,
ძმისა/ ძმისი და სხვ.

შეიძლება დავაყენათ: (1) გავრცობის ა და ი ხმოვნების მი-
ხედვით ვერ განიარაღვრება სახელის ფუძეთა კვეცა-უკვეცელობა და
(2) ჩაის, პაის, ტრამეის... ნათესაობითი (resp. მოქმედებითი) ბრუნ-
ვის ფორმებში სახელთა ფუძეები არ იკვეცება.

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა -სი და -თი ალომორფე-
ბი, შეიძლება მისდ რიგისა. ყურადღებას იქცევენ /ი/ კომპონენტით,
რომილიც არ ჰქონდა ძველ ქართულს. -სი და -თი ახალ ქართულში
გაუჩნდა ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებს (წყარო-სი, წყარო-თი).
ამ რიგის ფორმებში /ი/ კომპონენტის გაჩენას ეძღვნა მრავალი გა-
მოკვლევა⁵⁷. რომლებშიც ნაჩვენებია ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელ-

⁵⁶ ქელი — ვ. თოფურიია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორ-
თოგრაფიული ლექსიკონი, 1968.

⁵⁷ ვ. თოფურიია, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოება-
ნი, კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი

თა ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვებს ფორმათა განვითარება ძველიდან ახალ ქართულამდე. დადგენილია შემდეგი: (1) საშუალი ქართულის წყაროსა (ნათ.) და წყაროთა (მოქმ.) ფორმები შედგება ძველი ქართულის წყაროჲსა, წყაროჲთა ფორმებში დიფთონგთა გამარტივებისა; (2) ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების -სი და -თი დაბოლოებები (წყარო-სი, წყარო-თი) არ არის მიღებული -ის და -ით დაბოლოებათაგან ბგერათა გადასმით, ე. ი. -ის სუფიქსს არ მოუტია -სი და ასევე -ით სუფიქსს არ მოუტია -თი⁵⁸. ამ დებულებებს დავა არ გამოუწვევია.

განსხვავებული ვარაუდებია გამოთქმული -ი დაბოლოების წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ.

ვ. თოფურიას ვარაუდით: „... ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსად -სი არა გექონია, იგი შედგენილი ყოფილა ნათესაობითი ბრუნვის -ს ფორმანტისა და სახელობითი ბრუნვის -ი ფლექსიისაგან. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მისი, თვისი, სხვისი, რისი, ვისი, ელენესი, შალვასი, კალოსი, ბუსი, ყრუნი“ და სხვა, ყველა სახელობით ბრუნვაშია დასმული და არა ნათესაობითში! ... ასევე იშლება მოქმედებითი ბრუნვის -თი ფორმანტიც: -თ მოქმედებითი ბრუნვის აღმნიშვნელია, ხოლო -ი იგივე -ი არის, რაც -სი⁵⁹ სთან გვაქვს. ოღონდ სახელობითი ბრუნვის აღმნიშვნელი არ არის“⁵⁹. მოქმედებითი -ი დაბოლოება ნათესაობითი ბრუნვის ანალოგიით განეწილად მიიჩნია ვ. თოფურიამ მოგვიანებით⁶⁰.

ა. შანიძეც ნათესაობითი ბრუნვის -სი დაბოლოების -ი-ს მიიჩნევს სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მაშასადამე, -სი მოტვისაც რთული სუფიქსია და იშლება -ს და -ი ფორმანტებად⁶¹, ხოლო მოქმედებით ბრუნვაში, მისი აზრით, -ით სუფიქსს სწოვნის დაკარგვის შემდეგ -თ-ს მომდევნოდ განვითარებია -ი, რომელიც არ ჩნდება -ი-ზე

1, 1956 (პირველად დაიბეჭდა 1929 წ., იხ. „ახალ სკოლისაგან“, 1929, № 7—8); ა. შანიძე, ქართული გრამატიკა. I. ნოოფოლოგია, 1930, გვ. 32; არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნვის ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვცეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის, კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში... (პირველად დაიბეჭდა 1942 წ. თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. XXI!).

⁵⁸ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, 1939, გვ. 42.

⁶¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

დაბოლოებულ სახელებთან, როგორცაა, მაგალითად ჩაი-თ (და არა ჩაი-თი)⁶².

ფუძეუკვეცელ სახელთა -ი დაბოლოებას ნათესაობითსა და მოქმედებითი საერთო წარმომავლობისად მიიჩნევს არს. ჩიქობავაც, ოლონდ, განსხვავებით ვ. თოფურიასაგან, -ი-ს არც წარმომავლობითა და არც სინქრონიულ დონეზე არ მიიჩნევს სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ფუნქციით კი ამ -ი-ს იგი თვლის ემფატიკური -ა-ს ტოლფასად⁶³.

ჩვენი აზრი ამ საკითხებთან დაკავშირებით ასეთია: (1) -სი და -თი განუყოფელი ბრუნვის ნიშნებია ნათესაობითსა და მოქმედებით-ში, როგორც ძველი გრამატიკოსები ვარაუდობდნენ (ამასთან დაკავშირებით იხ. ვ. თოფურიას წერილი — „ნათესაობითი ბრუნვების დაბოლოებანი“). როგორც ზემოთ ვნახეთ, ახალ ქართულში განუყოფელია -ა-ემფატიკურხმოვნისანი დაბოლოებებიც მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში: (2) -ი დაბოლოება ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში წარმოშობით არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი, როგორც ვ. თოფურია და ა. შანიძე ვარაუდობენ. მათგან განსხვავებით, როგორც წინა დებულებებიდანაც ჩანს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალ ქართულში ამ /ი/ დაბოლოებას ძველი ფუნქცია აღარ აქვს და შერწყმულია ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების -ს და -თ სუფიქსებთან; (3) აღნიშნული /ი/ დაბოლოება ახალ ქართულში ფუნქციით „ემფატიკურ -ა-ს“ უტოლდება, როგორც არს. ჩიქობავა ვარაუდობს.

როგორც ვხედავთ, ჩვენ ვიღებთ ისეთ დებულებებს, რომლებიც წინა გამოკვლევებში ერთიმეორეს გამორიცხავდნენ. ასეთ ვითარებაში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: (1) რატომ უნდა მივიჩნიოთ „ემფატიკური -ა“ ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ნაწილად? ეს კითხვა დგება /ი/ დაბოლოების (-სი, -თი) მიმართაც. ძველი გრამატიკოსები, მართალია, -სი, -თი სუფიქსებს არ შლიან, მაგრამ ეს იმპლიციტურ ხასიათს ატარებს, რადგან რაიმე მტკიცება ამ დაბოლოებათა დაუშლლობის შესახებ მათ არ წარმოუდგენიათ; (2) სახელობითი ბრუნვის ნიშანი რა ცვლილების შედეგად გაუტოლდა ფუნქციით ემფატიკურ -ა-ს?

ამ ნაშრომის მიხედვით პირველ კითხვაზე პასუხი უკვე მოგვეპოვება: ძველ ქართულშივე „-ა ემფატიკური“ მოკლებულია დეტერმინაციულ ფუნქციას და ქცეულა ბრუნვის ნიშანთა ორგანულ ნაწილად. ახალ ქართულშიც იგი რჩება ირიბ ბრუნვათა განუყოფელ კომ-

62 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

63 იქვე.

პონენტად, ოლონდ, ძველისგან განსხვავებით, ტექსტში შეუძლია დიერემის როლის შესრულებაც (იხ. ზემოთ), მაშასადამე, თუ /ი/ კომპონენტი ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ფუნქციით გაუთანაბრდა „ა ემფატიკურს“, ისიც ბრუნვის ნიშნათა ორგანულ განუყოფელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს.

ახლა იმის შესახებ, როგორ გადავიდა სახელობითი ბრუნვის /ი/ სუფიქსი ემფატიკური -ა-ს ფუნქციაზე. ამისთვის თვალი უნდა გავადევნოთ პოსტპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელის მორფონოლოგიურ ცვლილებებს ქართულში.

ძველ ქართულში ასეთი ვითარებაა კანონიკური ფორმების მიხედვით: (ა) სახლ-ი ძელისა-მ, წყალ-ი წყაროსა-მ; (ბ) სახლ-ი დავითის-ი, სახლ-ი იოვანეს-ი.

აქ წარმოდგენილია სუბსტანციური მსაზღვრელის ოთხი უძველესი ფორმა, რომლებშიც -ის /-ისა და -მს/-მსა წარმოქმნის (-ის) ელემენტის ვარიანტებია, ხოლო ტერმინალური /-ი/ და /-მ/ სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტებია პოზიციის მიხედვით.

უკვე ძველ ქართულშივე დაიწყო პოსტპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელის გამარტივება ბრუნების პარადიგმაში, მაგ.: ძ-ისა-თჳს კაცისა-ი (უღრის ძ-ისა-თჳს კაცისა-მსა, ძე-დ კაცისა-ი (უღრის ძე-დ კაცისა-დ). ნათესაობით და ვითარებით ბრუნვითა ნულოვანი ალომორფით წარმოდგენა პოსტპოზიციურ სუბსტანციურ მსაზღვრელთან ჩვეულებრივია ძველ ქართულში. შემდგომში ეს ტენდენცია ინტენსიური ხდება სხვა ბრუნვებშიც. „ვეფხისტყაოსნიდან“ მოვიყვანთ მხოლოდ სახელობითი ბრუნვის გამარტივებულ ფორმებს, რაც სრულიად საკმარისია ჩვენი მიზნებისთვის:

„აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია“ (1348).

„ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა“ (1348).

„ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა“ (1346).

„მე ვარ სპასპეტი მალისა როსტევეანისა“ (1262).

წიგნი ავთანდილისა, ამბავი ტარიელისა და სხვ. ჩვეულებრივია ამ ძეგლში. აქ წარმოდგენილ მსაზღვრელებს სახელობითი ბრუნვა ნულით აქვთ წარმოდგენილი, მოსალოდნელი იყო: გული კაცისა, შუქი მთვარისა, სპასპეტი როსტევეანისი და სხვ.

როგორც ვხედავთ, საკუთარ სახელებთან /ი/-ს ადგილიც /ა/-მ დაიკავა, ამის გვერდზე ამბავი ტარიელისი შენიტყვებაში სახელობითის -ი იმავე ფუნქციის ხდება, რა ფუნქციასაც „ემფატიკური -ა“ ატარებს, ბრუნვასთან კავშირს წყვეტს და გადადის ფუძეში. მაშასადამე, სპასპეტი როსტევეანისი საშუალ და ახალ ქართულში გრამატიკულად ჩაიწერება ასე: სპასპეტი-ი როსტევეანისი-ი,

სადაც საზღვრულის /-ი/ და მსაზღვრელის /-ო/ სახ. ბრუნვის ალო-
მორფებია; შდრ. სპასპეტ-ი როსტევენი-სა-ო.

ამ ვარაუდის შემაფერხებლად შეიძლება მიგვეჩინა ის, რომ ემ-
ფატიკური /ი/ მსაზღვრელის ფორმას მხოლოდ სახელობით ბრუნვაში
აქვს და აღარ გადასდევს სხვა ბრუნვებში, როგორც ემფატიკური /ა/
წიგნ-ი ელენესი-ო, მაგრამ წიგნ-მა ელენესა-მ, წიგნ-ს ელენესა-ს... არ
შეიძლება წიგნ-მა ელენესი-მ და ა. შ.

საქმე ის არის, რომ /-ი/ სახელობითი ბრუნვის საკუთარი სუფიქ-
სი იყო და ამიტომ მისი გადასვლა /ა/ს ფუნქციაზე მოხდა მხოლოდ
ამ ბრუნვაში, სხვაგან არც უნდა ველოდეთ ი/ა მონაცვლეობას.

გასარკვევი დაგვრჩია მხოლოდ ის, რამ შეუწყო ხელი სახელო-
ბითი ბრუნვის /-ი/-ს ფუნქციის რეინტერპრეტაციას გავრცობის /-ა/-ს
ფუნქციად?

რადგან სახელობითის /-ი/-ს, მოთხრობითის /-მან/-სა და გავრ-
ცობის /-ა/-ს ძველ ქართულშივე მისი განვითარების ყველა ეტაპზე
დაკარგული აქვთ დეტერმინაციული ფუნქცია, შესაძლებელი გახდა,
ერთი მხრით, სახლი და ვითისა (მსგავსად სახლი კაცისა
შესიტყვებრა) ლიტერატურულ ენაში; მეორე მხრით, სახლი კა-
ცისი (მსგავსად სახლი და ვითისი შესიტყვებისა) — დიალექ-
ტებში. /-ა/ და /-ი/ ხომ აღარ განარჩევენ საზოგადო და საკუთარ
საქვებს. ასეთ ვითარებაში სინონიმურ ფორმებად იქცნენ და ვი-
თისა და და ვითისი, ერთი მხრით, და კაცისა და კაცისი,
მეორე მხრით. ამ სინონიმურ ფორმებში /-ი/ იქნეს /-ა/-ს ფუნქციას.
ბრუნების პარადიგმაში რომელიმე წიგნ-ი ელენესი-ო მოთხრო-
ბით ბრუნვაში მოგვცემა წიგნ-მა ელენესა-მ, მიცემითში —
წიგნ-ს ელენესა-ს... /-ი/-სა და /-ა/-ს პარადიგმაში ერთი ადგილი
უკავიათ. ფუძის დამსარულებელი — ისინი გავრცობილ ფუძეებს ქმნი-
ან, ბრუნვის ნიშანი მათ შემდეგ მოდის: წიგნ-ი ელენესი-ო, წიგნ-მა
ელენესა-მ და ა. შ.

მთის კილოებში, რომელთა არქაიზმი საშუალ ქართულს ვერ
სცილდება, სახელობითის წარმოქმნილ ფუძეში თავისუფლად ენა-
ცვლებიან ერთმეორეს -ისა და -ისი დაბოლოებები საზოგადო სა-
ხელებში: კაცისა- /კაცისი-, ჯაფისა-/ჯაფისი- და სხვ. მაგალითები
ტიქატებიდან:

„აკო ჩემია აკო ვლისი, ლიტოდა — გორზამა ულისი.

შუაში ერთის დღისაია ძაღლისა თლოში აურისი“ (ხპ,
§ 746.).

ფეწსამოს ჩაიცვენ ჩემ კაცისი“ (ფდ., გვ. 46).

„ფოთოლ ვარ ბუერაყისი, საქანებელი ქარისი“ (თკ. §
111).

საზგასმულ ფორმებში -ი თავისუფლად შეიცვლება -ა მავრცობით. -ა მავრცობიანი ფორმები სკარბობს კიდეც -ი მავრცობიანებს მთის დიალექტებში.

/ი/ მავრცობმა -თ სუფიქსიან მრავლობითშიც შეცვალა /ა/ სახელობითის ფორმათა ანალოგიით, მაგ.: „ქ ე ვ ს უ რ თ ი დ ი დ ა ქ ე ბ ა ი მე ტ ა დ რ ო ს ა გ ი ტ ა ნ ი ა“ (ხპ, § 273, 5). უფრო საყურადღებოა თუშური ნ ა ლ თ ი ფ ო რ მ ა : „ლურჯას მოვზდიე ნ ა ლ თ ი ე ლ ვ ა - ს ა“ (თკ, § 61). ნ ა ლ თ ი ფ ო რ მ ა უ თ უ ო დ მ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ი ა მი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი , ე ბ - ი ა ნ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი მ ა ს შ ე ე ლ ა ბ ა მ ე ბ ა ნ ა ლ ე ბ ი ს - 0 (ელვას), ძველ ქართულში კი ნ ა ლ თ ა (ელვას). რადგან საზღვრული მიცემით ბრუნვაში დგას („ლურჯას მოვდიე ნალეების ელვაზე“), ბუნებრივია, მსაზღვრელიც მიცემითშია და არაფერი აქვს საერთო სახელობით ბრუნვასთან, მსაზღვრელის ფორმაში მიცემითი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: ნალთი-0 ელვა-ს (შდრ. ნალთა-0 ელვა-ს).

მთის კილოთათვის, ყოველ შემთხვევაში თუშურს, ფშაურისა და ხევსურულისათვის, ბუნებრივი იქნება ასეთი ნათქვამი: „ღამე ანათის უკუნი ლურჯას ნ ა ლ თ ი ე ლ ვ ა მ ა“, ზადაც ნ ა ლ თ ი შეიძლება თავისუფლად შეეცვალოს ნ ა ლ თ ა ფ ო რ მ ი თ . ნ ა ლ თ ი და ნ ა ლ თ ა ა მ კ ო ნ ტ ე ქ ა ტ შ ი მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ო ს ფ ო რ მ ე ბ ი ა ნ უ ლ ო ვ ა ნ ი ა ლ ო მ ო რ - ფ ი თ : ნ ა ლ თ ი - 0 ე ლ ვ ა - მ ა , ნ ა ლ თ ა - 0 ე ლ ვ ა - მ ა . მ ა შ ა ს ა დ ა მ ე , ა ღ ნ ი შ - ნ უ ლ ი /ი/ და /ა/ მსაზღვრელის წარმოქმნილი ფუძის მავრცობებია. შეიძლება მათ გარეშეც: „ნ ა ლ თ ე ლ ვ ა მ ღ ა მ ე ა ნ ა თ ო ს“...

უკანასკნელ შევეხებით იმ არგუმენტებს, რომლებიც წარმოადგინეს იმის სამტყიცებლად, რომ (ა) ახალი ქართულის წყაროსი, პეტრესი ტაპის ფორმებში -ი სახელობითი ბრუნვის ფუნქციის მატარებელია და ეს ფორმები ამიტომ ვერ ირთავენ -თვის თანდებულს; (ბ) მოქმედებითი ბრუნვის /-თი/ ფორმანტის /ი/ ისტორიულად არ უკავშირდება სახელობით ბრუნვას.

(ა) ა. შანიძე წერს: „გავრცელებულია აზრი, თითქო ბოლო-უკვეცელ სახელებს ნათესაობითის ნიშნად -სი მოუდიოდესთ, ე. ი. შოთასი, პეტრესი, ვასოსი, დუტუსი და მისთ. ნათესაობითის ფორმები იყოს. არა! ესენი ყველა რთული ფორმებია: ნათესაობით-სახელობითი. მართლაც, რომ აქ მარტივი ნათესაობითის ბრუნვის ფორმა არაა, იქიდანაც ჩანს, რომ მარტივი ნათესაობითის ფორმა ყოველთვის იგულებს -თვის თანდებულს: კაცის-თვის (ან კაცისა-თვის), დედის-თვის (ან დედისა-თვის) და მისთ., მაგრამ არ ითქმის: შოთასი-თვის, პეტ-

რესი-თვის, ვასოსი-თვის, დუტუსი-თვის, არამედ შოთას-თვის, პეტრეს-თვის, დუტუს-თვის და მისთ⁶⁴.

ახალ ქართულში შოთასი, პეტრესი... წყაროსი ფორმები პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელებია (წიგნი შოთასი) ან ასეთივე წარმომავლობის საზღვრულგაუჩინარებული ფორმები (შოთასი მესმის, შოთასი მეიმედება და სხვ.), მსაზღვრელთა ფორმები კი, გინდ /ა/-თი იყოს გავრცობილი (წიგნი დავითისა), გინდ ატრიბუტული ზედსართავით იყოს წარმოდგენილი (წიგნი ლამაზი, ლამაზი წიგნი), თანდებულს ვერ ივლებენ. თანდებული საზღვრულისაა, ამდენად -თვის თანდებულს შეგუება საკონტროლოდ ვერ გამოდგება ჩვენს შემთხვევაში. მსაზღვრელს -თვის თანდებულს თუ დავურთავთ, მაშინვე უბრალო დამატებად მოიქცევა.

(ბ) წყაროსი ფორმაზე მსჯელობისას არნ. ჩიქობავა წერს: „წყაროსი რომ არაა ნანათესაობითარი სახელობითი, დასტურდება სინტაქსურადაც. ნანათესაობითარი სახელობითი შეიძლება წინ უძღოდეს საზღვრულს ანდა მოსდევდეს მას ისევე, როგორც სხვა მსაზღვრელი:

მისი საქმე (შდრ. ახალი საქმე), საქმე მისი (შდრ. საქმე ახალი) სხვისი საქმე (შდრ. ძველი საქმე), საქმე სხვისი (შდრ. საქმე ძველი)⁶⁵.

რამდენადაც ძველ ქართულში სუბსტანტიური მსაზღვრელი, გარდა პოსტპოზიციისა, პრეპოზიციამდე გვხვდება სახელობით ბრუნვაში⁶⁶, მისი და სხვისი ნაცვალსახელთა პრეპოზიციური და პოსტპოზიციური გამოყენება, მსგავსად ატრიბუტული მსაზღვრელების, ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ წყაროსი ტიპის ფორმებშიც -ი წარმომავლობით არ არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

ვითარებითი ბრუნვა. თანამედროვე ქართულში ვითარების {-ად} სუფიქსის ალომორფებია: /-ად/ ~ /-ადა/ ~ /-ლ/ ~ /-და/ ~ /-ა/ ~ /-ო/.

/-ად/ მოუღრს თანხმოვანფუძიან სახელთა ნაწილაკდაურთველ ფორმებს (კაც-ად) ზოგიერთ ნაწილაკიან ფორმასაც (კაც-ად-ვე), /-ლ/ კი — ხმოვანფუძიან სახელებს ამავე პირობებში (კატა-ლ, წყარო-ლ, ხე-ლ...); რაც შეეხება -ა-თი გავრცობილ ალომორფებს (კაც-ადა, კა-

64 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 67.

65 არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

66 ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები... გვ. 583; მისივე, სინური მრავალთავი გამოკვლევა და ლექსიკონი, 1975, გვ. 100 შემდეგ; არ. მარტიროსოვი, მიყვებითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., გვ. 385.

ტა-და...), მათ განაწილებს განსაზღვრული წესები აქვთ, რომლებიც ზაერთთა სხვა ბრუნვათა გავრცობილ ალომორფებთან (იხ. ზემოთ); ნულოვანი ალომორფი გვაქვს მსაზღვრელებთან (ლამაზ-0 ხე-დ, ბატარა-0 ხე-დ, კაცის-0 ხე-დ...), ფშაურსა და ხევსურულში /-ად/-ის თავისუფალ მონაცვლედ გამოდის -ა (<-ად საკმაოდ ხშირად: კაც-ა „კაცად“, მაგ.: „კაცა მაშჩენებოყო“ (კაცად მოსჩენებოდა).

რაც შეეხება ლოკატიური მნიშვნელობის ვითარებითი ბრუნვის უთანდებულო და თანდებულთან ფორმებს, ისინი ბრუნვის პარადიგმის გარეთ დგანან და, ბუნებრივია, აქ არ ვიხილავთ. თანდებულთან ფორმებზე (აქტანტები და გარემოებები) სპეციალურად ვამჩვენოვთ (იხ. გვ. 91).

სახელთა ვითარებით ბრუნვაში მიმდინარე მორფონოლოგიური ცვლილებების შესახებ საკმაოდ გაურკვეველი ვითარებაა სამცხე-ჯორჯეთის ლიტერატურაში ურთიერთგამომრიცხავი დებულებების არსებობის გამო. ვნახოთ ეს ვარაუდები.

ზემოთ გავიცანით ი. არონსონის გარაუდი /ი/-ზე დაბოლოებული ფუძეების კვეცის შესახებ (ჩაი-ის > ჩა-ის...), იქვე ი. არონსონი განიხილავს /ა/-ზე დაბოლოებული ფუძეების კვეცას მოქმედობისა და ნათესაობითში: კატ-ით, კატ-ის-ა (ფუძეა კატა), რასაც მოსდევს შემდეგი დებულება: „ამ მოდელის საფუძველზე (ხ. ჩ. — თ. უ.) ჩვენ მსგავსადვე გვაქვს გაანალიზებული ა-ზე გათავებული ფუძეების ვითარებითი, მაგ., კატად < კატ(ა)-ად და არა კატა-დ“⁶⁷. ეს ვარაუდი გატარებულია დაბოლოებათა ფორმებზე მსჯელობის დროსაც და მორფოლოგიური ალტერნაციებთან დაკავშირებულ პარადიგმებშიც⁶⁸.

ჰანს ფოგტიც ასევე აანალიზებს /ა/ ხმოვნით დაბოლოებულ კვეცად სახელებს ვითარებით ბრუნვაში, კერძოდ, მამად ფორმა დაშლილია ასე: მამ(ა)-ად. ფრჩხილებში ჩასმული ფუძისეული ა შეკვეცილია -ად სუფიქსის გავლენით. ასეთი გადაწყვეტის საბაზს, მისი აზრით, იძლევა ტომრად ფორმა (ტომრად < ტომარად), სადაც განხორციელებულია კვეცაც და კუმშვაც, რომელთა გამოწვევა შეეძლო მხოლოდ -ად ფორმანტს, მაშასადამე, ტომარ(ა)-ად > ტომრ-ად, ე. ი. ჯერ ხდება შეკვეცა, შემდეგ — შეკუმშვა⁶⁹. აქვეა მითითებული სხვა კუმშვად-კვეცადი სახელებიც: /ა/-ზე დაბოლოებული ქარხანა, ქვეყანა, მარცხენა მარჯვენა და /ე/-ზე დაბოლოებული მხარე, მოყვარე, სიმწარე⁷⁰.

⁶⁷ Howard I. Aronson, დასახ. ნაშრ., 177₁₅.

⁶⁸ იქვე, გვ. 178 და 179.

⁶⁹ Hans Vogt, Grammaire de la langue géorgienne, 1971, გვ. 28: და შემდეგ.

⁷⁰ იქვე, გვ. 29.

როგორც ვნახეთ, ი. არონსონი კ ა ტ ა- ფუძის კვეცას ვითარებით ბრუნვაში უშვებს სახელთა კვეცის მოდელზე დამყარებით. ამ დებულებაში ეკვს შეტანა ადვილია, რადგან /ე/-ზე დაბოლოებული კვეცადი სახელები სწორედ ვითარებითში არ იკვეცებიან. ყორე-: ყორს, ყორ-ით, მაგრამ ყორე-დ... კვეცად სახელთა მოდელს თვისებები ჯობს /ე/-ზე დაბოლოებული სახელებით განისაზღვროს, რადგან ასეთ სახელთა ბოლოს კარგად ჩანს, რომელი ხმოვანია დაკარგული — ფუძისეული თუ ბრუნვის ნიშნისეული.

3. ფოგტის არგუმენტაციის უარყოფა უფრო ძნელია, რადგან, ერთი შეხედვით, იგი კონკრეტულ ენობრივ მონაცემებს ემყარება: (1) ტომ (ა) რა-დ დაშვება არ შეიძლება, რადგან ფუძისეულ ბოლო /ა/-ს რომ ფუძის შეკუმშვა შესძლებოდა, ფუძეში უფრო წინ მდგომ /ა/-ს სხვა ბრუნვებშიც (სახ., მოთხ., მიც.) ჩაადებდა; (2) ტომ (ა) რ(ა)-ად 3. ფოგტისთვის იმ მხრივ ჩანს ერთადერთი შესაძლო ახანა, რომ თანამიმდევრულად იხსნება ჯერ კვეცა, ხოლო შემდეგ — კუმშვა /-ად/ მორფემის გავლენით. თან ასეთი ვარაუდი განმტკიცებულია მოყვრ-ად ფორმით, რომელშიც უდავო ჩანს /ე/-ს მოკვეცა ფუძის ბოლოს [*მოყვარე-ად > *მოყვარ(ე)-ად], შემდეგ შეკვეცილი ფუძე იკუმშება იმავე -ად-ის გავლენით (*მოყვარ-ად > მოყვრ-ად).

სწორედ ასეთი მიდგომა აძლევს საფუძველს 3. ფოგტს ვითარებითის მ ა მ ა დ ფორმაში ფუძე შეკვეცილად გამოაცხადოს: (მამ(ა)-ად.

ჩვენი აზრით, უფრო სწორია ქართულ გარამტიკულ ლიტერატურაში გავრცელებული ვარაუდი: ხმოვანფუძიან სახელთა ვითარებით ბრუნვის ფორმებში ბრუნვის ნიშანი არის /-ლ/ და არა /-ად/, მაშასადამე, ამ ბრუნვაში კვეცა არც ივარაუდება. ამ ვარაუდს განმტკიცებს შემდეგი ვითარება: (1) /ე/-ზე დაბოლოებული კვეცადფუძიანი სახელები უთუოდ /-ლ/-ს ირთავენ ვითარებითში, მაგალითად: დღე-დ, ღამე-დ, მეურნე-დ და სხვ. გამონაკლისი იქნება 3. ფოგტის მიერ მითითებული მოყვარე- ფუძე (ვით. მოყვრ-ად), რომელსაც დაემატება. მოწმე- ფუძე (ვით. მოწმ-ად). მოდელს, რა თქმა უნდა, ორი გამონაკლისის მიხედვით ვერ ავაგებთ, როცა /ე/-ზე დაბოლოებული ფუძით ასეული სახელი ვითარებითში ირთავს მხოლოდ /-ლ/-ს.

ქვემოთ შევეცდებით იმს ჩვენებასაც, რომ თვით მოყვრად და მოწმად ფორმებიც არ ეწინააღმდეგება კუმშვა-კვეცის მოდელთა თვისებებს ვითარებით ბრუნვაში.

(2) კუმშვად-კვეცადი სი.მწარე და მხარე ვითარებით ბრუნვაში /ე/-ს არ იკვეცენ (სიმწარე-დ, მხარე-დ). მაშასადამე, აქაც /-ლ/ გვაქვს ვითარებით ბრუნვაში და აღნიშნულ ფორმათათვის არა აქვს

მნიშვნელობა იმას, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში ეს ფუძე-
ები იკვეცება და იკუმშება კიდევ (სიმწრ-ის, სიმწრ-ით; მხრ-ის, მხრ-
ით), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუ-
ნეების ჩვენებათა მიხედვით ვერ განისაზღვრება ვითარებითი ბრუნ-
ვის {-ად/} მორფემის უნარი კვეცის თვალსაზრისით. მოყვრ-ად, მოწმ-
ად ფორმებში რომ ფუძისეული /ე/-ს (მოყვარე, მოწმე) შეკვეცა
/-ად/ სუფიქსის გავლენით ხდებოდეს, ამ უნარს იგი უთუოდ ს ი მ-
წ ა რ ე, მ ხ ა რ ე და /ე/-ზე დაბლოებული ანობით სხვა ფუძებთან-
ნაც გამოიჩინდა, როგორც ნათესაობითი /-ის/ და მოქმედებითს
/-ით/ სუფიქსები აკეთებენ ამას. მ ხ ა რ ე, ს ი მ წ ა რ ე, დ დ ე, ღ ა მ ე...
ფუძეთა /ე/ უთუოდ იკვეცება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებ-
ში, მას რატომ არ უნდა განხორციელებულიყო კვეცა ვითარებით
ბრუნვაშიც, თუ /-ად/-ს კვეცის ისეთივე უნარი აქვს, როგორც ნა-
თესაობითის /-ის/ და მოქმედებითის /-ით/ სუფიქსებს (ამას დავუმა-
ტოთ ისიც, რომ ერთმარცვლიან ფუძეებთან ვითარებითის /-ად/ მკუმ-
შაობის უფრო დიდ უნარს ავლენს, ვიდრე ნათესაობითის /-ის/ და
მოქმედებითის /-ით/: მთლ-ად, მრგვლ-ად, ცხლ-ად; შდრ. მთელ-ის/
-ით, მრგვალ-ის/-ით, ცხელ-ის/-ით?

ეს კითხვა უპასუხოდ დარჩება, თუ ვითარებითი ბრუნვის /-ად/
ნიშანს ფუძეთა კვეცის უნარის მქონედ მივიჩნევთ.

თუ დავდგებით იმ ვარაუდზე, რომ ნათესაობით და მოქმედებით
ბრუნვებში კვეცადი სახელი არ იკვეცება ვითარებითში, ჭერჯერო-
ბით გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ ორ ათეულამდე სახელი, კერ-
ძოდ: ტ ო მ ა რ ა, წ უ რ ბ ე ლ ა, ქ ვ ე ყ ა ნ ა, ბ ე გ ა რ ა, ქ ა რ ხ ა ნ ა,
ფ ა ნ ჯ ა რ ა, მ ო ყ ვ ა რ ე, მ ო წ მ ე..., რომლებიც გარკვეული ანა-
ლიზის საფუძველზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვითარებით ბრუნვაშიც
შეკვეცილად იყო გააზრებული ტომრ-ად, წურბლ-ად, მოყვრ-ად,
მოწმ-ად და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელები არსებითად კვეცად-კუმშვადი
სახელებია. ამნაირი სახელები ძველ ქართულშიც გვქონდა (სულ 6).
ახალ ქართულში მათი რაოდენობა მეტია (გამოვლენილია 14).

ძველი ქართულის კვეცად-კუმშვადი სახელები დღეს აღარ არიან
ასეთი. მათ საშუალ ქართულშივე დაკარგეს ეს თვისება, სამაგიეროდ
საშუალ ქართულში გაჩნდა სხვა კვეცად-კუმშვადი სახელები და მა-
თი რიცხვი თანდათან მატულობს.

რადგან ხმოვანფუძიან სახელთა კვეცის საკითხი ვითარებით ბრუ-
ნვაში არსებითად კვეცად-კუმშვად სახელებთან დგება, საგანგებოდ
განვიხილოთ ამ ჯგუფის სახელთა მორფოფონემატური ცვლილებები
ჩვენთვის საინტერესო ბრუნვებში—ნათესაობითში, მოქმედებითში
და ვითარებაში.

კვეცად-კუმშვადი სახელების ბრუნება ქართულში

კვეცად-კუმშვადი (ძველი სახელწოდებით კუმშვად-კვეცადი) ეწოდება ისეთ სახელს, რომლის ფუძეში წათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნებში და -ებ-იან მრავლობითში ხდება ფუძისეული ორი ხმოვნის დაკარგვა: ერთიანა— ფუძის ბოლოს (კვეცა) და მეორისა— ფუძის შიგნით (კუმშვა), მაგალითად:

ნათ. ტომ(ა)რ(ა)-ის მოყვ(ა)რ(ე)-ის
მოქ. ტომ(ა)რ(ა)-ით მოყვ(ა)რ(ე)-ით
ვით. ტომ(ა)რ(ა)-აღ მოყვ(ა)რ(ე)-აღ

მრავლობით რიცხვშიც ორივე ხმოვანია ამოვარდნილი: ტომ(ა)-რ(ა)-ებ-ი და მოყვ(ა)რ(ე)-ებ-ი.

უკვე გავრცელებული თხზული წარმოების კუმშვად-კვეცადს ჩვენ პრინციპულად ვაძვინებთ შებრუნებული წყობის კვეცად-კუმშვად ტერმინს იმ მიზეზით, რომ მარედუცირებელი მორფემის გავლენის არეში ისეთ ფუძეებში კვეცის გარეშე კუმშვად ვერ განხორციელდება, პირიქით კი ჩვეულებრივი ამბავია, ე. ი. შეუძლებელია. მაგალითად ({ბეგარა-ის} > /ბეგ(ა)რა-ის/ ტიპის წარმოება ნათესაობითში, მაგრამ ამავე ბრუნვაში ბუნებრივია /ბეგარ(ა)-ის/ ტიპის წარმოება.

კვეცად-კუმშვად სახელთა მორფონოლოგიურ ცვლილებებზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია რიგი ვითარება, რომელთაც ეხვებით ენაში.

1. ნ ა ხ ე ს ხ ე ბ ა ნ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ს ა ხ ე ლ თ ა კ ვ ე ც ა ა ნ კ უ მ შ ვ ა შესაძლოა განხორციელდეს მარედუცირებელ მორფემათა გავლენის გარეშეც, მაგალითად:

(ა) ტ ე გ ა ნ ა (ბერძნ. τβ πηγών) / ტ ე გ ნ ა, პატარა / პ ა ტ რ ა, ლაკანე (ბერძნ. λακάνη) / ლ ა ნ კ ა ნ ა / ლ ა ნ კ ა ნ ა... დესაწყისიდან მეორე ხმოვნის ამოღებით ხდება ფორმათა შეკუმშვა, თუმცა მარედუცირებელი მორფემა არ არის წარმოღვენილი; (ბ) ტ ე გ ა ნ ა / ტ ე გ ა ნ -ი, თ ა მ ა - შ ა (არაბ.-სპ.) თ ა მ ა - შ -ი და სხვ. მოკვეცილია ფუძისეული ბოლო ხმოვანი მარედუცირებელი მორფემის გარეშე.

2. ძველ ქართულში კვეცად-კუმშვადი სახელების რიცხვი ცოტა იყო ახალ ქართულთან შედარებით: ძვ. ქართულიდან ასეთი 6 სახელია ცნობილი: მოწაფე, მოწამე, მანქანა, პატარა, საპურობილე, სიფიცხლე, ახალში კი მათი რიცხვი თოთხმეტია (იხ. ქვემოთ).

3. ძველი ქართულს კვეცად-კუმშვადი სახელები ღღეს მხოლოდ კვეცადი არიან.

4. ღღევანდელი კვეცად-კუმშვადი სახელები საშუალ ქართულში ჩაისახნენ. რაოდენობრივად ამ სახელთა ჯგუფი თანდათანობით იზრდება.

განვიხილოთ თანამედროვე კვეცად-კუმშვადი სახელები. /ა/ სმოვანზე დაბოლოებულ ასეთ სახელთა რიცხვი საენათმეცნიერო ლიტერატურისა და მასალის მიხედვით თერთმეტია, სამიც /ე/-ზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელიც, აი, ონიც:

/ა/-ზე დაბოლოებული: ბეგარა, მარცხენა (მარცხით), მარჯვენა (მარჯვით), პეპელა, პეპერა, ტომარა, ფანჯარა, ქარხანა, ქვეყანა, წიფელა, წურბელა.

/ე/-ზე დაბოლოებული: მოყვარე, მხარე, სიმწარე.

წევნიწნავთ, რომ დიალექტებისა და იდიოლექტების მიხედვით კვეცად-კუმშვად სახელთა აქ წარმოდგენილი ზოა შეიძლება გაიზარდოს—საამისო პირობებისა და ამ სიის კანდიდატი სახელების შესახებ ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ცალკეულ ბრუნვათა მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილი კვეცად-კუმშვადი სახელები გარკვეულ განსხვავებას გვიჩვენებენ, კერძოდ: (ა) ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში მარცხენა და მარჯვენა, 'იმის მიხედვით წინადადებაში სახელის გაგებით იხმარებოან თუ ზმნიზედისა, ან მხოლოდ კვეცადი არიან, ან—კვეცად-კუმშვადი: „მარჯვენის / მარცხენის დალოცვა“. ამ კონტექსტში შეუძლებელია მარჯვენის, მარცხენის; ზმნიზედებში კი ვარაუდობენ კვეცადაც და კუმშვაც: მარცხენისკენ, მარჯვენისკენ; მარცხით, მარჯვით! დანარჩენი სახელები ჩვენი სიიდან კვეცად-კუმშვადია ამ ბრუნვებში, (ბ) ვითარებითი ბრუნვის წარმოების მიხედვითაც ორი ჯგუფი გამოიყოფა. მარჯვენა, მარცხენა; მხარე, სიმწარე სახელთა ფუძეები ამ ბრუნვაში არასოდეს განიცდიან კვეცასა და კუმშვას: მარჯვენად, მარცხენად; მხარედ-დ სიმწარედ არ შეიძლება მარჯვენად, მარცხენად.

¹ H. V o g t, Grammaire de la langue géorgienne, 1971, გვ. 29.

² ასეთი დაყოფის სისწორეს, და არა მარჯვენად, მარცხენად, დამტკიცება უნდა.

ად, მხრად („მხარედ“ გაგებით), სიმწრად. დანარჩენი სახელები ამ ჯგუფისა კვეცად-კუმშვადია ვითარებითშიც: ბეგრად, ტომრად... მოყვრად; (გ) -ებ-იან მრავლობითში კვეცა-კუმშვის საკითხი ამ ჯგუფის /ა/-ზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელებში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების მიხედვით წყდება: თუ ნათესაობითაა და მოქმედებითში სახელის ფუძე კვეცად-კუმშვადია, ასევე იქნება -ებ-იან მრავლობითშიც: ტომრ-ის, ტომრ-ით და ტომრ-ებ-ი...თუ ნათესაობითაა და მოქმედებითში სახელი მხოლოდ კვეცადია, ასევე იქნება -ებ-იან მრავლობითშიც: მარცხენ-ის, მარცხენ-ით და მარცხენ-ებ-ი... (დ) /ე/-ზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელებში კი მრავლობითობის -ებ სუფიქსის წინ ფუძის კვეცა-კუმშვის საკითხი შეიძლება განისაზღვროს ვითარებითი ბრუნვის მიხედვით: თუ ვითარებით ბრუნვაში ფუძისეული ბოლო /ე/ არ მოიკვეცა, არც -ებ-იან მრავლობითში მოიკვეცება: მხარე-დ და მხარე-ებ-ი...; თუ ვითარებით ბრუნვაში კვეცა და კუმშვა მოხდა, -ებ-იან მრავლობითშიც განხორციელდება: მოყვრად და მოყვრ-ებ-ი (შდრ. მოყვარე).

აქ განხილულ თვისებათა მიხედვით ქვემოთ გამოვიყენებთ ტერმინებს: ბეგარა- ტიპის ფუძეები, მარჯვენა- ტიპის ფუძეები და მხარე- ტიპის ფუძეები.

კვეცად-კუმშვადი სახელები მრავალ კითხვას წამოჭრიან, მაგრამ ჯერ უახლოეს კითხვებს გავცეთ პასუხი, ჯერძოდ: კვეცად-კუმშვად სახელებში რატომ გამოიყო ქვეჯგუფები—რატომ საერთო წესით არ ხდება ამ ფონეტიკურ პროცესთა განხორციელება ჯგუფში შემავალ სახელთა ფორმებში? ქვეჯგუფები განვიხილოთ ცალ-ცალკე:

ბეგარა- ტიპის ფუძეები შეკვეცილ-შეკუმშულად არიან წარმოდგენილი პარადიგმის სათანადო ფორმებში (ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში და -ებ-იან მრავლობითში) ლიტერატურული ნორმის მიხედვით: ფანჯარ-ის, ფანჯარ-ით, ფანჯარად და ფანჯარ-ებ-ი (შდრ. ფანჯარა-); მოყვრ-ის, მოყვრ-ით, მოყვრად და მოყვრ-ებ-ი (შდრ. მოყვარე-).

როგორც ზემოთ ვთქვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის კვეცად-კუმშვადი ფორმები საშუალ ქართულში გაჩნდა (ამ ფუძეებს ეს თვისება ძველ ქართულში არა ჰქონდათ) და უთუოდ საინტერესო იქნება თვალი მოვადევნოთ მათ განვითარებას დღევანდელ ქართულამდე.

პირველი, რაც თვალში საცემია, საშუალ ქართულში ერთიმეორის პარალელურად იხმარება დღევანდელი გაგებით შეკვეცილი და შეკვეცილ-შეკუმშული ფორმები ამ ჯგუფის სახელებისა: მაგ.: ბეგრ-

ისა და ბეგარ-ისა; ფანჯარ-ები და ფანჯრ-ებ-ი, ქარხან-ებ-ი და ქარხნ-ებ-ი; ქვეყანა-დ და ქვეყნ-ად; მაგალითები ტექსტებიდან³:

ფ ა ნ ჯ ა რ ი თ ა (ქართ. სამართლ. ძეგლ., I; სამართ. ბერძ. 190, 2), ფ ა ნ ჯ ა რ ი ს (საბა, I, მოგზ. 212, 35), ფ ა ნ ჯ ა რ ე ბ ი (ქილ. დ. ქ. მწ. ს. 251, 128); შღრ. ფ ა ნ ჯ რ ე ბ ი (საბა, მოგზ. ევრ. 167, 25), ფ ა ნ ჯ რ ა დ (შპ-ნ 111, 247, 72), ფ ა ნ ჯ რ ა თ (ვახტანგი, 168. 3).

ბ ე გ ა რ ი ს ა გ ა ნ (ქრონიკ. 1, 282, 20), ბ ე გ ა რ ა დ (რუს. 530, 22); შღრ. ბ ე გ რ ი ს (ქართ. სამართ. ძეგ., 111, 926, 27, 1778 წლისა), ბ ე გ რ ი თ ა (ქრონიკ. 11, 135, 7). „შაჰნავაზიანსა“ და „რუსულანიან-ში“, როგორც ვეფხისტყაოსნის კომისიის მასალებიდან ჩანს, ჩვეუ-ლებრივია ქარხანის, ქარხანები ფორმები; ასევე არის რო-გორც მოყუარისა, შოყუარედ, მოყუარები ფორმები, ისე მოყურად. „ვეფხის ტყაოსანში“ ჩვეულებრივია ქვეყანად, მაგრამ გვიანდელი ხელნაწერის მიხედვით (N) ქვეყნად ფორმაც გვხვდება⁴. მაგალითების გამრავლება შეიძლება, მაგრამ საქმის ვითარების გასაცნობად, ვფიქრობთ, ესაც იკმარება. თანაც ზოგი სხვა ფორმა ქვემოთ იქნება მოხმობილი ამ მოვლენებზე მსჯელობის დროს.

ახლა შეიძლება დავსვათ მორიგი კითხვა: რატომ აქვთ ბეგარ-ტიპის ფუძეებს დღევანდელი თვალსაზრისით კვეცა-კუმშვის პოზი-ციაში პარალელური — შეკვეცილი და შეკვეცილ-შეკუმშული ვარი-ანტები (ბეგარ(ა)-ის და ბეგ(ა)რ(ა)-ის)?

— ამის მიზეზი არის ის, რომ ვარიანტები მოდის არა ერთი და იმავე ფუძიდან, არამედ განსხვავებული ფუძეებიდან, კერძოდ: შე-კვეცილი ვარიანტი მოდის ხმოვნით დაბოლოებუ-ლი ბეგარა-ტიპის ფუძიდან (ბეგარ(ა)-ის), ხოლო შეკვეცილ-შეკუმშულად გააზრებულ ბეგარ-ფუძის ამოსავალია თანახმოვნით დაბოლოებულ ბეგარ-ფუძე. რომელიც მხოლოდ კუმშვადია; კვეცადი ვეღარ იქნება, რადგან ფუძის ბოლოს ხმოვანი არა აქვს, ბეგ(ა)რ-ის და არა ბეგ(ა)რ(ა)-ის: ვინც ამოსავ-ლად იღებს ბეგარ-ფუძეს („...ბეგარი ვითა განაწესეთო“ სტლხან-სა-ბა ორბელიანი, თხზ., II, 1962, გვ. 169), ის ჩვენთვის საინტერესო პოზიციებში იძლეოდა შეკუმშულ ფორმებს („ბეგარად დავიდებთ“ — საბა ამ ფორმას იმავე გვერდზე იძლევა, იხ. ზემოთ); ხოლო, ვინც ამოსავლად იღებდა ბეგარა ფორმას („სოფელმან თავისი ბეგარა

³ მაგალითები მოგვყავს „ვეფხის ტყაოსნის“ კომისიის მასალიდან (ამიტომ ფორმებს კონტექსტში არ ვიძლევი). წყაროთა მითითება ხდება კომისიის მიერ შემუშავებული ინდექსების მიხედვით.

⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, ა. შა-ნიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 452 (1370, დ).

მომხადოს“ — რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეი-
შვილის რედაქციით, 1957, გვ. 546ვე), ის ნათესაობითსა და მოქმედ-
ებითში იძლეოდა შეკვეცილ ბეგარ(ა)-ის, ბეგარ(ა)-ით ფორმებს,
ხოლო ვითარებითში შესაბამისად უკვეცულ ბეგარა-დ ფორმას („არცა
რას ბეგარად გამოართმევსო“ — რუსუდანიანი, 530ვე). Mutatis mu-
tandis მოყვარ- და მოყვარე- (საშუალ ქართულში ამ ფუ-
ძეს უმეტესად ძველი ორთოგრაფიით ვხვდებით: მოყუარე). მო-
ყვარ- ბრუნვებში იძლევა მოყვარ- შეკუმშულ ვარიანტს: მო-
ყვ(ა)რ-ის, მოყვ(ა)რ-ით, მოყ(ა)ვრად, ხოლო მოყვარე- ბრუნ-
ვებში იძლევა მოყვარ- შეკვეცილ ვარიანტს: მოყვარ(ე)-ის, მოყვა-
რ(ე)-ით შესაბამისად მრავლობით რიცხვში: მოყვ(ა)რ-ებ-ი და მო-
ყვარე-ებ-ი.

ეს მსჯელობა ეხება საშუალ ქართულს, როცა იწყება დღევანდელ
კვეცად-კუმშვად სახელთა ჩამოყალიბება.

ბეგარ-ი და ბეგარა-0 ფორმები დღემდე პარალელურად მოდიან
ქართულში (იხ. გლი); რაც შეეხება მოყვარე-0, მოყვარ-ი
ფორმებს, ამათგან დღეს მხოლოდ მოყვარე-0 გვხვდება, მო-
ყვარი არ ჩანს (თუმცა დიალექტებში შეიძლება სადმე იყოს), იგი
დასტურდება საბას ტექსტში — „სწავლა სიმთრავლისათვის“: „მე-
ფეთა წარჩინებულთა წინაშე წყალობასა ვერ ჰპოებენ, ძმათა
და მოყვართაგან კიდე იქმნებიან...“ (სულხან-საბა ორბელიანი,
თხზულებანი, III, 1963, გვ. 217).

იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც აქამდე მივიღეთ, უნდა ვივა-
რაუდოთ, რომ სხვა კვეცად-კუმშვადი სახელებიც უნდა ხასიათდე-
ბოდნენ ორფუძიანობით და ეს ფუძეები მხოლოდ დაბოლოებით უნ-
და იყვნენ განსხვავებული: ფუძის ერთი ვარიანტი აბსო-
ლუტურ ბოლოში მხოლოდ /ა/ ან /ე/ ხმოვნით მეტი
უნდა იყოს მეორეზე, სხვა მხრივ კი მათ უნდა ჰქონ-
დეთ იდენტური შედგენილობა და ლექსიკურ-გრა-
მატიკული მნიშვნელობა.

თანამედროვე 14 კვეცად-კუმშვად სახელთაგან ცხრას დაუდას-
ტურდა ორივე ფუძე, ესენია: ბეგარა-/ბეგარ- (ბეგარა. ბეგარი)⁵,
მარცხენა-/მარცხენ- (მარცხენა, მარცხენი)⁶, მარჯვენა-/მარჯვენ-
(მარჯვენა, მარჯვენი)⁷, პეპელა-/პეპელ- (პეპელა, პეპელი)⁸, ტომარა-

⁵ იხ. ქეგლი.

⁶ ალ. მანჯალაძე, -ა-ზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ფუძის აგე-
ბულებისათვის ქართულში, კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქარ-
თველურ ენებში, წიგნი I, 1956, გვ. 186.

⁷ იქვე.

⁸ ქეგლი.

ტომარ- (ტომარა, ტომარი)⁹, წიფელა- /წიფელ- (წიფელა, წიფელი)¹⁰, წურბელა- /წურბელ- (წურბელა, წურბელი)¹¹, მოყვარე-/მოყვარ- (მოყვარე, მოყვარი)¹², მხარე- /მხარ- (მხარე, მხარი).

შევწერდებით ტომარა- /ტომარ- და მხარე- /მხარ- ფუძეებზე. ძველ ქართულში, მართალია, გვაქვს ტომარი /ტომარა ვარიანტები, რომლებიც ბერძნული $\tau\omicron\mu\alpha\rho\epsilon$ (ბ)-იდან უნდა მომდინარეობდნენ [„ $\tau\omicron\mu\alpha\rho\epsilon$ ἰ.... 2) часть рукописи (в виде отдельного свитка)“¹³. ივ. იმნაიშვილის განმარტებით, სინურ მრავალთავში ტომარი ეტრატის ან ქალაქის შეკვრას ნიშნავს¹⁴. როგორც ჩანს, მნიშვნელობის ცვლა ასეთი გზით წარმართულა: „გრაგნილი“ > „შეკვრა“ > „ქურჭელი, რაშიც ინახება გრაგნილი“ (თუ სხვა ენიდან სესხებასთან არა გვაქვს საქმე).

უფრო მარტივია საქმის ვითარება მხარ- /მხარე- ფუძეებთან დაკავშირებით. მხარი იხმარებოდა „მხარე“ მნიშვნელობითაც: „მარცხენისა მხარსა ორი ტახტი იდგა...“ (რუსულდანიანი, 1957, გვ. 105); „ოქროს ხმალსა დაუდებენ ქათიბსა მარცხნივ მხარსა (თეიმ. II, სარკ. 808, 3) „გაღმა მხარსა“ (კალ. 11, 207, 15) და სხვ.

თანხმოვანფუძიანი ვარიანტები იკუმშებოდა (ტომარ-ის > ტომრ-ის, მხარ-ის > მხრ-ის), ხოლო ხმოვანფუძიანი ვარიანტები იკვეცებოდა (ტომარ(ა)-ის, მხარ(ე)-ის და კვეცა-კუმშვის მიხედვით ფორმათა სიჭრელე სწორედ ამას უკავშირდება.

ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის პეპერა-, ფანჯარა-, ქარხანა-, ქვეყანა-, სიმწარე- ფუძეთა ვარიანტები ბოლო ხმოვნის გარეშე (ე. ი. სიტყვები: პეპერი, ფანჯარი, ქარხანი, ქვეყანი, სიმწარი), შესაძლოა, ისინი ვერც დავადასტუროთ, მაგრამ საერთო ვითარება, რაც ზემოთ ვნახეთ, უთუოდ გვაპარაულებინებს მათ არსებობასაც საშუალ ქართულში, რაც შეიძლება სარწმუნო გახდეს სხვა გზითაც, ამისთვის დავსვათ ახალი კითხვა: რამდენად ბუნებრივია ქართული ენის სახელისთვის ერთდროული კვეცა და კუმშვა მის ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმაში?

ვიდრე კითხვას პასუხს გავცემდეთ კონკრეტული მაგალითის მიხედვით, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: (1) კვეცად-კუმშვად

⁹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

¹⁰ ქეგლი.

¹¹ იქვე.

¹² იხ. ზემოთ.

¹³ И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, II, 1958.

¹⁴ ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა, ლექსიკონი, 1975,

სახელებს აქვთ სამმარცვლიანი ფუძეები (გამონაკლისია მხოლოდ მხარე); (2) კვეცისა და კუმშვის შედეგად ფუძის ბოლოს შეიძლება თავი მოიყაროს ორიდან ოთხამდე თანხმოვანმა (ბეგრ-ის, ქარხნ-ის, მოყვრ-ის, მარჯენ-ით).

მაშასადამე, რომ გაირკვეს რამდენად ბუნებრივია ისტორიულად და დღესაც ქართულ ენაში სახელთა ფუძეების ერთდროული კვეცა და კუმშვა რომელიმე კონკრეტული ფორმის ფარგლებში, საჭიროა ჩვენთვის საინტერესო სტატისტიკური მაჩვენებელი გამოვიყვანოთ იმ ფუძეების მიხედვით, რომლებშიც კვეცისა და კუმშვისათვის შექმნილია ისეთივე ფონემატური პირობები, როგორც გვაქვს ჩვენთვის ცნობილ კვეცად-კუმშვად ფუძეებში, კერძოდ: (ა) სამი ან მეტი მარცვლის შემცველი სახელები უნდა ბოლოვდებოდნენ /ა/ ან /ე/ ხმოვანზე; (ბ) ფუძის შიგნით სინკოპისთვის ისევე /ა/ და /ე/ ხმოვნები უნდა იყოს; (გ) სავარაუდო კვეცა-კუმშვის შემდეგ ინტერვოკალურ პოზიციაში სიტყვის ბოლოს ამ პროცედურების შედეგად თავმოყრილი სამი ან მეტი თანხმოვნიდან მარედუცირებელი ხმოვნის მიერ შექმნილი მარცვლის ექსპლოზიად უნდა იქცეს მხარედი ნაპარალოვნების კომპლექსი¹⁵, როგორც ეს კვეცად-კუმშვად სახელებშია.

როგორც ძველ ქართულში, ისე ახალში ასეთი ფონემატური შედგენილობის სახელი ბევრია, მაგრამ ისინი მხოლოდ კვეცას განიცდიან. აი, ზოგი მათგანი. ძველი ქართულის ლექსიკიდან: ხარაჯა, კარდალა, სატანა, მენოვაგე, სანოვაგე, მემარაგე, სადავე, მოვანე, მრისხანე, სიხელე, მეკელე, მეჭიქე და სხვ.

ახალი ქართულის ლექსიკიდან: ლაბადა, მურაბა, ბრივადა, კოლეგა, ხელადა, სერენადა, ბლოკადა, პომადა, საყანე, საშალე, საბადე, საბუქე, მეცხვარე, მეჯვარე, მეტყევე, მეფიქალე და სხვ. მრავალი.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელები მხოლოდ კვეცას განიცდიან ჩვენთვის საინტერესო პოზიციაში, მაგრამ, თუ ქართულის ქვესისტემაში დადასტურდა მეჯვარის, მეფიქლის ფორმები, იმ ქვესისტემაში სახელის შეკუმშვა უკვე, წინასწარ ნათესაობით ბრუნვაში ჩასმამდე, იქნება განხორციელებული, ე. ი. ჯერ მე-ჯვარე-მე-ჯვარე-შემდეგა — მეჯვარე(-)–ის. ეს ცნობილია და ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ გაანალიზებულ სახელებს არავინ თვლის კვეცად-კუმშვადებად. ასევე გამორიცხულია მურ(ა)ბ(ა)-ის ბრიგ(ა)-

¹⁵ კუმშვისა და მარცვლთა იმპლოზიური და ექსპლოზიური თანხმოვნების ურთიერთმიმართების შესახებ იხ. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ. 129—184; ფ. გ. უტურგანძე, Фонематическая структура груз. языка, ЕИКЯ, 1978, გვ. 77 და შედეგ.

დ(ა)-ის, სად(ა)ნ(ე)-ის... ტიპის სიმულტანური ფონეტკური ცვლილებები (კუმშვა და კვეცა).

სახელთა გვერდით შეიძლება წარმოადგინოთ მიმღებობები და საწყისები, რადგან, როგორც ცნობილია, ბრუნების მხრივ სახელზმნები სახელეს მისდევენ. კვეცად-კუმშვადი მოყვარე ზომ მიმღებობაა (ძველად ისიც კვეცადი იყო მხოლოდ — მოყუარ(ე)-ის).

საბოლოოდ მივიღებთ მრავალ ასეულ ფორმას, რომლებიც ფონემატური სტრუქტურით იდენტური არიან ჩვენთვის ცნობილი კვეცად-კუმშვადი სახელებისა, მაგრამ მხოლოდ იკვეცებიან. ამ სტატისტიკის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ენის სახელებისთვის არაბუნებრივია ფუძეთა ერთდროული შეკვეცა და შეკუმშვა რომელსამე კონკრეტულ ფორმაში.

ახლა შეიძლება ვილაპარაკოთ მცირერიცხოვანი ჯგუფის სახელთა ფუძეების სიმულტანური კვეცისა და კუმშვის საფუძველსა და მიზეზზე: საფუძველს სიმულტანური კვეცისა და კუმშვისათვის ქნის ის, რომ ეს სახელები ისტორიულად (ბევრი დღესაც) წარმოდგენილი არიან პარალელური ორი ფუძით, რომლებიც სემანტიკურად აბსოლუტური სინონიმებია, ფორმობრივ კი განსხვავდებიან ერთი ხმოვნით ბოლოში — ერთს აქვს იგი, მეორეს — არა (წიფელ-წიფელა, მოყვარ-მოყვარე- და სხვ.); მიზეზი აღნიშნულ სახელთა სიმულტანური კვეცისა და კუმშვისა არის მათი პარალელური ფუძეების ბრუნების პარადიგმათა შერევა.

შემდეგი კითხვა ასეთია: როგორ ხორციელდება ერთმნიშვნელოვან პარალელურ ფუძეთა ბრუნების პარადიგმების შერევა?

ლინგვისტურ ანალიზში ფორმალური და სუბსტანციური პლანების დაშვება ლოგიკური აუცილებლობით გამოგვყავთინებს წმინდაფუნქციურ ელემენტებსა და მათ ფიზიკურ შესატყვისებს რეალიზაციის პროცესში. თავისი ბუნების მიხედვით ფუნქციური ელემენტები — მორფემები ინვარიანტულია, ხოლო სუბსტანციური დონის შესატყვისები — მორფები ვარიაციულია (ალომორფები).

აქ წარმოდგენილი მსჯელობის კვალობაზე ფორმალური მიმართების პლანში სახელი წარმოდგენილი იქნება სრული ფუძის, ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს სრული სახეებით. მაგალითად, მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითში სამაროლე ასე ჩაიწერება ფუნქციურად: {სამარილე-ის}. რაც შეეხება სახელის ამ ფორმას კონკრეტულ წარმოთქმაში, ე. ი. რეალიზაციის პლანში, მორფემები შესაძლოა სხვადასხვა ვარიანტით წარმოდგენ, რადგან რეალიზაციის პროცესში ერთიმეორეს ხვდება სხვადასხვა ფენათა (სტრატუმთა) კანონზომიერებები, კერძოდ, მორფოლოგიური და ფონოლოგიური

კანონზომიერებები და, თუ ისინი განსხვავებულ მოთხოვნებს /მოთხოვნებს აყენებენ, ბუნებრივია, ცვლილება მოხდება რომელიმე სტრატემის კანონზომიერებაში.

{სამარილე-ი} რეალიზაციის პლანში იძლევა /სამარილ(ე)-ის/ ფორმას, სადაც შეკვეცილია ფუძისეული ხმოვანი ფონემატური მოდელის გავლენით, რომლის მიხედვით ბუნებრივი არ არის ხმოვანთა უშუალო მეზობლობა¹⁶, მაგრამ მიცემით ბრუნვაში /სამარილე/ უცვლელია: /სამარილე-ა/, რადგან აქ ადგილი არა აქვს წინააღმდეგობებს მორფოლოგიური და ფონემატური ფენების კანონზომიერებებს, შორის. ამ გზით {სამარილე-} რეალიზაციის პლანში იძლევა /სამარილე-/ და /სამარილ- /ვარიანტებს.

როგორც აღნიშნეთ ზემოთ, {სამარილე-} ფუნქციური მიმართების მორფოლოგიურ დონეზე ინვარიანტულია, მაგრამ ქართულში ზოგ სიტყვას ამ დონეზევე შესაძლოა აღმოაჩნდეს ვარიანტები ფუძის მიხედვით; დღესთვის ამისთვის საკმაო მაგალითები გვაქვს ქართულ ენაში: {ბულულ-} და {ბულულა-}; შდრ. ბულული და ბულულა სიტყვები; {ჩარექ-} და {ჩარექა-}; შდრ. ჩარექი და ჩარექა; {ლიტრ-} და {ლიტრა-}; შდრ. ლიტრი და ლიტრა.

ავიღოთ პირველი წყვილი. მორფოლოგიურად სახელობით ბრუნვაში ფუნქციურ დონეზე ეს ფორმები ასე ჩაიწერება: {ბულულ- ი} და {ბულულა-ი}. ეს სხვაობა ფუძეთა მიხედვით მათ ყველა ბრუნვაში გაპყვება მაგ., ნათესაობითში: {ბულულ- ის} და {ბულულა-ის}.

ფუნქციურ გრამატიკულ დონეზე სხვაობა ფორმებს შორის გვაქვს მხოლოდ ფუძეთა შედგენილობის მიხედვით, სხვა მხრივ — ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების მიხედვით ამა თუ იმ ბრუნვის ფორმები იდენტური არიან, ე. ი. {ბულულ-ი} სემანტიკურად უდრის {ბულულა-ი-ს — ისინი აბსოლუტური სინონიმებია, წინააღმდეგ შემთხვევაში {ბულულ-სა და {ბულულა-ს ვერ მივიჩნევდით ერთი და იმავე სახელის ფუძის ვარიანტებად; შდრ. მაგალითად, {ლურჯ-} და {ლურჯა-} ფუძეები ლურჯი და ლურჯა სახელებში: ამ წყვილის ფუძეებიც განსხვავდებიან მხოლოდ /ა/ ფონემით აბსოლუტურ ბოლოში, მსგავსად {ბულულ-} და {ბულულა-} ფუძეებისა, მაგრამ სემანტიკურად მკვეთრად ემიჯნებიან ერთმანეთს.

სახელის ფუძის ფუნქციური დონის ვარიანტები (შეიძლება ვუწოდოთ მორფემული ვარიანტები), როგორც ზემოთ წარ-

¹⁶ ცალკეა საკვლევი, რატომ იკვეცება ფუძისეული /ე/ და არა /ის/ მორფის /ი/; შდრ. {წყარო-ის} > /წყარო-ს/, სადაც უკვე ფუძის ბოლო ხმოვანი კი არა ბრუნვის ნიშნის ხმოვანი იყარება

შოდგენილი მსჯელობიდან ჩანს, ერთიმეორისგან განსხვავდებიან ფუძის დასასრულის ვახმოვანებით სემანტიკური იდენტობის პირობებში.

მართალია, სახელის ფუძის ვარიანტები და ცალკეული ბრუნვის ფორმები განსხვავებული შედგენილობისაა ფუნქციურ დონეზე, მაგრამ რეალიზაციის დონეზე შესაძლებელია დამთხვევებიც ამ მხრივ. ქვემოთ ერთიმეორის გვერდით წარმოვადგენთ ფუნქციური და რეალიზაციის პლანების ფორმებს ფუძეთა ვარიანტების მიხედვით.

A. ფუნქციური, ანუ მიმართების პლანი

A_1	A_2
სახ. {ბულულ-ი}	{ბულულა-ი}
მოთხ. {ბულულ-მ}	{ბულულა-მ}
მიც. {ბულულ-ს}	{ბულულა-ს}
ნათ. {ბულულ-ის}	{ბულულა-ის}
მოქ. {ბულულ-ით}	{ბულულა-ით}
ვით. {ბულულ-ად}	{ბულულა-ად}
წოდ. {ბულულ-ო}	{ბულულა-ო}

B. რეალიზაციის პლანი

B_1	B_2
სახ. /ბულულ-ი/	/ბულულა-ი/
მოთხ. /ბულულ-მა/	/ბულულა-მა/
მიც. /ბულულ-ს/	/ბულულა-ს/
ნათ. /ბულულ-ის/	/ბულულ(ა)-ის/
მოქ. /ბულულ-ით/	/ბულულ(ა)-ით/
ვით. /ბულულ-ად/	/ბულულა-(ა)დ/
წოდ. /ბულულ-ო/	/ბულულა-ო/

კარგად ჩანს, რომ რეალიზაციის პლანში B_1 და B_2 პარადიგმებიდან დაემთხვა ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი, ბრუნვების ფორმები, თუმცა შედგენილობით განსხვავებული იყვნენ ფუნქციური პლანის A_1 და A_2 პარადიგმებში. ფორმათა ასეთი დამთხვევა იწვევს პარადიგმათა შერევას: როდესაც ამბობენ, მაგალითად /ბულულის/, შეუძლებელია იმის დადგენა, ამოსავალი თანხმოვნით დაბოლოებული {ბულულ-} ფუძეთა, თუ ხმოვნით დაბოლოებული {ბულულა-}.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ შედარებით მარტივი ვითარება. ენაში უფრო რთულ შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე, ასე მაგალითად: ფეხშიშველი და ფეხშიშველა ფორმებს ქართული სალიტერატურო ენის ყველა მცოდნე იცნობს და იყენებს კიდევ. ფეხშიშვილ-

კუმშვადი ფუძეა — ფეხშიშველ-ის (ქეგლი), ფეხშიშველა-ს კი კვეცის პოზიციაში უჩნდება ვარიანტები: (1) როდესაც ფეხშიშველა-ში ა დაბოლოება გააზრებულია ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სუფიქსად და გამოხატავს მქონებლობას („შიშველი ფეხის მქონე“), მაგა-სად ბ რ ტ ყ ფ ლ შ უ ბ ლ ა, დ ი დ ც ხ ვ ი რ ა... სახელებსა, ფეხშიშველა უკვეცელფუძიანი სახელია: ფეხშიშველა-ს (ნათ. ბრ.). ასეც არის გაგებული ოლ-ში; (2) როცა მთქმელისთვის ა დაბოლოებას აღარა აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური ფუნქცია, შერწყმულია ფუძესთან და ფუძის სხვა ფონემებთან ერთად ქმნის სიტყვის განუყოფელ ლექსიკურ მნიშვნელობას, იგი კვეცას განიცდის: ფეხშიშველ(ა)-ის (ნათ. ბრ.). ეს ვითარება არის ასახული ქეგლ-ში: „ფეხშიშველი (ფეხშიშველისა), ფეხშიშველა (ფეხშიშველისა) ვისაც ფეხთ არ აცვია...“

ახლა წარმოვადგინოთ ამ განსხვავებულ ფუძეთა პარადიგმები ფუნქციურ (მიმართებით) და რეალიზაციის დონეებზე.

ფუნქციური დონე

I	II	III
სახ. {ფეხშიშველ-ი}	{ფეხშიშველა-ი}	{ფეხშიშველ-ა-ი}
მოთხ. {ფეხშიშველ-მ}	{ფეხშიშველა-მ}	{ფეხშიშველ-ა-მ}
მრც. {ფეხშიშველ-ს}	{ფეხშიშველა-ს}	{ფეხშიშველ-ა-ს}
ნათ. {ფეხშიშველ-ის}	{ფეხშიშველა-ის}	{ფეხშიშველ-ა-ის}
მოქ. {ფეხშიშველ-ით}	{ფეხშიშველა-ით}	{ფეხშიშველ-ა-ით}
ვით. {ფეხშიშველ-ად}	{ფეხშიშველა-ად}	{ფეხშიშველ-ა-ად}
წოდ. {ფეხშიშველ-ო}	{ფეხშიშველა-ო}	{ფეხშიშველ-ა-ო}

I და II პარადიგმები განსხვავდებიან ფუძეთა ფორმების მიხედვით, მაგრამ არ განსხვავდებიან მორფემული შედგენილობითა და სემანტიკური მნიშვნელობით; III, პარადიგმის {ფეხშიშველ-ა-} ფუძე, განსხვავებით I და II პარადიგმების ფუძეთაგან, ორმორფემიანია. ეს სხვაობა არსებითი მნიშვნელობის მქონეა რეალიზაციის დონეზე ტრანსფორმაციის დროს: II პარადიგმის /ა/ ფუძის ბოლოს მოიკვეცება, III პარადიგმის /ა/ კი არ მოიკვეცება.

ქვემოთ წარმოვადგენთ რეალიზაციის პლანის შესაბამის პარადიგმებსაც არაბული ციფრობრივი ინდექსებით.

რეალიზაციის პლანი

1	2	3
სახ. /ფეხშიშველ-ი/	/ფეხშიშველა-0/	/ფეხშიშველა-0/
მოთხ. /ფეხშიშველ-მა/	/ფეხშიშველა-მ/	/ფეხშიშველა-მ/
მიც. /ფეხშიშველ-ს/	/ფეხშიშველა-ს/	/ფეხშიშველა-ს/
ნათ. /ფეხშიშველ-ის/	/ფეხშიშველ-ის/	/ფეხშიშველა-ს(ი)/
მოქ. /ფეხშიშველ-ით/	/ფეხშიშველ-ით/	/ფეხშიშველა-თი/
ვით. /ფეხშიშველ-ად/	/ფეხშიშველა-დ/	/ფეხშიშველა-დ/
წოდ. /ფეხშიშველ-ო/	/ფეხშიშველა-ვ/	/ფეხშიშველა-ვ/

I და III, 1 და 3 პარადიგმათა ფორმები არ ირევა. აქ სხვაობა გაქვს როგორც ფუნქციურ, ისე რეალიზაციის დონეზე. რაც შეეხება I და II, 1 და 2 პარადიგმების ფორმებს, აქ ადგილი აქვს დამთხვევებს სხვადასხვა პლანის ფორმებს შორის, კერძოდ: {ფეხშიშველა-} ფუძის (II. პარადიგმა) რეალიზაციის ფორმები (მე-2 პარადიგმა) ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში (/ფეხშიშველ-ის/, /ფეხშიშველ-ით/, /ფეხშიშველა-დ/ ემთხვევა I პარადიგმის ფუნქციური პლანის ფორმებს ({ფეხშიშველ-ის}, {ფეხშიშველ-ით}, {ფეხშიშველ-ად})), რომელთა რეალიზაციის პლანის ფორმები შეკუმშულია: /ფეხშიშველ-ის/, /ფეხშიშველ-ით/, /ფეხშიშველ-ად/.

იმის გამო, რომ ეს ფორმები ლიტერატურული ქართულით მოლაპარაკე ყველა იდიოლექტის კუთვნილებაა, შესაძლებელია მე-2 პარადიგმის ფორმები იდენტური აღნაგობის გამო გაგებულ იქნეს I პარადიგმის ფორმებად, ე. ი. მოხდეს შერევა. ამ შემთხვევაში საბოლოოდ მივიღებთ I პარადიგმის რეალიზაციის პლანის ფორმებს, ე. ი. I პარადიგმის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ფორმებს (/ფეხშიშველ-ის/, /ფეხშიშველ-ით/, /ფეხშიშველ-ად/). ეს შეიძლება მოხდეს ზოგ შემთხვევაში ზოგი პირის მეტყველებაში და გამორიცხული არ არის განსაზღვრულ პირობებში მათი საერთო გავრცელება, რაც მოხდა კიდევ ჩვენთვის ცნობილ კვცად-კუმშვად სახელთა ბრუნებაში. თვით ფეხშიშველა ლიტერატურულ ენაში არის მომავალი კანდიდატი ამ ჯგუფისა. გამორიცხული არ არის ახლაც იყოს ცალკეული ქვესისტემები, ცალკეული იდიოლექტები. სადაც ეს უკვე განხორციელებულია, ე. ი. სახელობით ბრუნვაში ვინმემ თქვას ფეხშიშველა, ხოლო ნათესაობითში — ფეხშიშველის და ა. შ.

ზემოთ აღწერილ ვითარებაში ადგილი აქვს ფორმათა კორექციას: რადგან რეალიზაციის პლანს /ფეხშიშველ(ა)-ის/ ფორმალურად დაემთხვა ფუნქციური პლანის {ფეხ-

შიშველ-ის) გამოხატულებას, მოხდა კორექცია ამ უკანასკნელის მიხედვით და შესაბამისად კუნშვაც განხორციელდა (ფეხშიშველის) ფუნქციური ფორმის რეალიზაციის დონეზე — /ფეხშიშველ(ე)-ის/. ეს სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: /ფეხშიშველ(ა)-ის/ /{ფეხშიშველ-ის(>ფეხშიშველ(ე)-ის/. დახრილი ხაზი მიუთითებს სუბსტრატუციაზე.

საბოლოოდ: ასეთი მსჯელობის დროს ამოვდევართ იქიდან, რომ (1) ენაში უთუოდ გამოიყოფა ფონემატური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრატუმები; (2) ცალკეული სტრატუმების ელემენტები ადამიანის მეხსიერებაში არსებობენ სრული და ინვარიანტული სახით¹⁷, ეს დაშვება აუცილებელია, იგი ლოგიკურად გამოდინარეობს პირველსგან: სტრატუმის ცალკე არსებობის დაშვება ნიშნავს მის ელემენტთა იზოლირებულად წარმოდგენას, ე. ი. ისინი გარეგანი გავლენისგან თავისუფალი არიან მეხსიერებაში. ცალკეულ სტრატუმთა ელემენტებს, რომლებიც განეკუთვნებიან ფუნქციურ პლანს, ვარიანტები უჩნდებათ რეალიზაციის პლანში, როდესაც ყველა სტრატუმი თავისი კანონზომიერებით შემოდის ენის გლობალურ სისტემაში მისი რეალიზაციის დროს. აქ ხდება ცალკეულ სტრატუმთა შინაგანი კანონზომიერებების ურთიერთგავლენები და შეგუება.

აქავე ვიხილავდით ორი სიბრტყის (ფუნქციური და რეალიზაციის პლანის) მონაცემთა შერევას და პარალელურ ფუძესთან ნაწარმოებ ფორმებში ერთის კორექციას მეორის მიხედვით. ახლა განვიხილოთ მარჯვენა- ტიპის ფუძეები ბრუნების პარადიგმაში.

ზემოთ ვნახეთ, როგორ ხდება რეალიზაციის დონის ფორმათა კორექცია ბეგარ- /ბეგარა- ტიპის ფუძეთა ბრუნების დროს პარადიგმათა შერევის შედეგად. განსხვავებული ვითარება გვაქვს მარჯვენა- და მარჯვენა- პარალელურ ფუძეთა მიმართებაში ისტორიულად: მარჯუნ- სუბსტანტიური ფუძეა (მარჯუნეი „девушка“), ხოლო მარჯუნა- / მარჯუნე- „правая“ თავისი ჰმოვანდაბოლოებით მიმართებითი ზედსართავია¹⁸. მაგრამ ყოველივე ეს წარმოშობით ეხება ამ

¹⁷ ფუნქციურ პლანში ფონემური დონე წარმოდგენილია მორფემების შიგნით ფონემათა მიმართების მიხედვით, რაც გავლენას ახდენს რეალიზაციის პლანის მორფთა სახეობების ბეგარათა ურთიერთობებზე და გარკვეულ შემთხვევაში იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს.

¹⁸ თუ მარჯუნა /მარჯუნე, მარჯუნეი; მარცხენა /მარცხენე, მარცხენი ნასესხები სიტყვებია (შდრ. სომხ. աջ და ձախ; ძველი ირანული arj/ /arj... იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-პართული ნობრივი ურთიერთობიდან, 1966; გვ. 27; Д. Ч у б н о в, Грузинско-русско-французский словарь, 1840), ისინი ასე დაიშლებიან: მარჯუნე-ა/ე, მარცხენე-ა/ე, სადაც მ ნო-

ფორმებს, ისტორიულ თვალსაწიერში როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ეს ფორმები კონტექსტის მიხედვით გვევლინებიან როგორც სუბსტანტივის, ისე მსაზღვრელის როლში. საამისო ნიმუში ბევრია და ამას სპეციალური მტკიცება არ სჭირდება. განსხვავება აღნიშნულ ფუძეებს შორის მათგან ნაწარმოებ ფორმათა მიხედვით მყარდება, კერძოდ: თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი მარჯვენე ამოსავალი ღდება მხოლოდ ზმნიზედათათვის: მარჯვენ-ით>მარჯვნით, მარჯვენ-ის-კენ>მარჯვენისკენ, მარჯვენ-ივ; მ ა რ ჯ ვ ე ნ ა კ ი გუოზს როგორც სუბსტანტიურ, ისე ადვერბალურ ფუნქციას. ასე რომ, მ ა რ ჯ ვ ნ ი თ, მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ, მ ა რ ჯ ვ ნ ი ს კ ე ნ ფორმათა საწარმოებელმა ფუძემ განიცადა მხოლოდ კუმშვა და არ იქნება სწორი მათი დაკავშირება ხმოვანფუძიან მ ა რ ჯ ვ ე ნ ა / მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ფორმებთან, რომლებიც მხოლოდ იკვეცებიან.

შეიძლება დავასკვნათ, მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ და მისთანათა სახით ლექმე გვაქვს არა კვეცად-კუმშვად ფორმებთან, არამედ მხოლოდ კუმშვად ფორმებთან. მაგრამ იმის გამო. რომ დღეს თანხმოვანფუძიანი ფორმები: მ ა რ ჯ ვ ე ნ ი, მ ა რ ჯ ვ ე ნ მ ა... აღარ იხმარება, ზმნიზედათა ამ ფუძიდან ნაწარმოები ფორმები დაუკავშირეს ხმოვანფუძიან მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ფორმას, რაც სწორი არ არის არც დიქციონიულად და არც სინქრონიულად. ამას, გარდა ზემოთ თქმულისა, ადასტურებს დღევანდელი სუბსტანტიური ფორმებიც, რომლებიც მხოლოდ კვეცას განიცდიან; მარჯვენ(ა)-ის, მარჯვენ(ა)-ით, მარჯვენ(ა)-ებ-ი...

იგივე ითქმის მ ა რ ც ხ ე ნ ი, მ ა რ ც ხ ე ნ ა / ე და ამათგან ნაწარმოებ ფორმებზე.

მხარე ტიპის ფუძეები ბრუნების პარადიგმაში. ამ ტიპში ორი კვეცად-კუმშვადად მოჩნეული სახელი ერთიანდება: მ ხ ა რ ე და ს ი მ წ ა რ ე. ეს ფუძეები კვეცად-კუმშვადად ითვლება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების მიხედვით (მხ(ა)-რ(ე)-ის, მხ(ა)რ(ე)-ით; სიმწ(ა)რ(ე)-ის, სიმწ(ა)რ(ე)-ით). მაგრამ ფუძე უცვლელი რჩებათ ვითარებით ბრუნვაში და ებ-იან მრავლობითში: მხარე-დ, სიმწარე-დ; მხარე-ებ-ი, სიმწარე-ებ-ი¹⁹. აღნიშნული თვალსაზრისით ეჩენი, მასშადადმე, განსხვავდებიან მ ო ყ ვ ა რ ე სახელთან, რომელიც ბეგარ-/ბეგარა- ტიპზე მიდის, ე. ი. კუმშვად-კვეცადია

მენაიკის პრეფიქსია (მღრ. ქართ. მართალი, მცხარი. მძელი, ზან. მვეში და სხვ.), ხოლო -ენ დეტრმინანტი სუფიქსი, იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 28 და 94.

¹⁹ მართალია, სიმწარე ე ბ ი ხელოვნური ფორმაა, მაგრამ არ არის შეუძლებელი, მაგ., პოეზიის ენაში (მღრ. „ვეფხისტყაოსნის“ ს ი მ ა გ რ ე ნ ი, ს ი ფ ი ც ხ ე ნ ი).

ვითარებით ბრუნვაშიც და ებ-იან მრავლობითშიც (მოყვ(ა)რ(ე)-ად, მოყვ(ა)რ(ე)-ებ-ი).

გავერკვეთ, რატომ ხდება ასე.

უთუოდ უნდა აღინიშნოს, ერთი მხრით, მ ხ რ ი ს, მ ხ რ ი თ; ს ი მ-
წ რ ი ს, ს ი მ წ რ ი თ და, მეორე მხრით, — მ ხ ა რ ი ს, მ ხ ა რ ი თ;
ს ი მ წ ა რ ი ს, ს ი მ წ ა რ ი თ.

ვითარების უფრო ცხადად წარმოჩენისთვის სჯობს მსჯელობა
დავიწყოთ ს ი მ წ რ ი ს, ს ი მ წ რ ი თ და ს ი მ წ ა რ ი ს, ს ი მ წ ა რ ი თ
ფორმათა მიმართების გარკვევით. ს ი მ წ რ ი ს, ს ი მ წ რ ი თ იხმარე-
ბა მხოლოდ იდიომატურ გამოთქმებში („სიმწრის სიცილი/ოფლი/
ცრემლები...“ „სიმწრით გაზრდილი /მოპოვებული“ და სხვ.).

კონკრეტულად მწარე გემოსთან დაკავშირებული ს ი მ წ ა რ ე
კი მხოლოდ კვეცადია: სიმწარ(ე)-ის, სიმწარ(ე)-ით. ამიტომ არ შე-
იძლება ითქვას ასე: „კერძისთვის სიმწრის მომატება“; „კერძის სიმ-
წრით ვერ გააკვირება“ და სხვ. ამ კონტექსტში ბუნებრივია „სიმწარის
მომატება“, „სიმწარით გაკვირება“. შესაბამისად სიმწარე სახელი
ასე იბრუნვის.

სახ. სიმწარე-ი
მოთხ. სიმწარე-მ
მიც. სიმწარე-ს
ნათ. სიმწარ(ე)-ის
მოქ. სიმწარ(ე)-ით
ვით. სიმწარე-დ
წოდ. სიმწარე-ვ

მაშასადამე, ს ი მ წ ა რ ე არის არა კვეცად-კუმშვადი, არამედ
კვეცადი სახელი. იდიომატური გამოთქმების ს ი მ წ რ ი ს, ს ი მ წ-
რ ი თ ფორმები სხვა წარმომავლობისაა: ისინი ან ს ი მ წ რ ე (<სიმ-
წარე) ფორმის კვეციტ არიან მიღებული (სიმწრ(ე)-ის, სიმწრ(ე)-ით),
ან ს ი მ წ ა რ-ი თანხმოვანფუძიანი სახელის კუმშვით სიმწ(ა)რ-ის,
სიმწ(ა)რ-ით. ამოსავალი ფორმა აღარ შემორჩენილა²⁰.

რაც შეეხება მ ხ რ ი ს, მ ხ რ ი თ ფორმებს, ისინი მ ხ ა რ-ი ამო-
სავალი თანხმოვანფუძიანი ფორმიდან მიიღება (მხ(ა)რ-ის, მხ(ა)რ-ით).

იღვს ბუნებრივია გამოთქმა „დასავლეთის მხრით“, მაგრამ აღარ
შეიძლება „ვამაყოფ საქართველოს დასავლეთი მხრით“ (შდრ. საშ.

²⁰ ს ი მ წ ა რ ე/ს ი მ წ რ ე სუბსტიტუცია შეიძლება განხორციელდეს მარ-
ცკლის კლებით, ყოველგვარი მარედუციტრებული ელემენტების გავლენის გარეშე.

ქართულის მხარს „მხარეს“), უნდა ასე: „ვადაყოფ საქართველოს დასავლეთი მხარით“.

დღეს მხარს ფორმა აღარ იხმარება „მხარეს“ მნიშვნელობით: „მის მხარეს“ და არა „მის მხარს“. ნელ-ნელა თმობს პოზიციას ნათესაობითი ბრუნვა: მართალია, ეხმარებით გამოთქმას — „ერთი მხრის ხალხი“, მაგრამ გაძნელება გამოთქმა — „მოვლენის ერთი მხრის აღწერა“, უნდა ასე: „მოვლენის ერთი მხარის აღწერა“.

„ერთი მხრის ხალხი“ ქართულში ტრადიციულად მიმდინარე ფრაზაა, რომელიც უთუოდ გასწორდება წესის მიხედვით: „ერთი მხარის ხალხი“. წესი ემყარება დღევანდელ ვითარებას — მხარი აღარ იხმარება „მხარე“ მნიშვნელობით.

ანალოგიური ვითარება გვაქვს მოქმედებით ბრუნვაში: მხარე აქ მხოლოდ კვეცადია: „სვანეთით — საქართველოს მშენიერი მხარ(ე)-ით აღტაცება“. არაბუნებრივად გამოიყურება ამ კონტექსტში მხ(ა)რ-ით ფორმის ჩასმა. მაგრამ ზმნიზედის მნიშვნელობით მხრით ბუნებრივია: „მტერი მოდიოდა სვანეთის მხრით“. როგორც ვხედავთ ზმნიზედური ფორმები ამოსავლად უფრო თანხმოდანფუძიან ვარიანტს იყენებენ, როგორც მარჯვენა- /მარჯვენა- ფუძე-ებთან (იხ. ზემოთ).

ვითარებით ბრუნვაში მხრად და მხარედ მნიშვნელობით დაპირისპირებული ფორმებია: პირველი მხოლოდ „მხარ“ („плечо“) მნიშვნელობას უკავშირდება, ხოლო მხარედ — მხოლოდ „მხარე“ („сторона“) მნიშვნელობას. მაშასადამე, მხარე სახელის ბრუნება ასეთია:

სახ. მხარე-0
მოთხ. მხარე-მ
მიც. მხარე-ს
ნათ. მხარ(ე)-ის
მოქ. მხარ(ე)-ით
ვით. მხარე-დ
წოდ. მხარე-ო(/ვ)

ასახსნელი რჩება უცნაური გამონაკლისები: /ე/-ს კვეცა ფუძის ბოლოს ვითარებით ბრუნვაში და -ებ-იან მრავლობითში ერთ ფუძესთან მხოლოდ: მოყვრ-ად და მოყვრ-ებ-ი (შდრ. სახ. ბრუნვის ფორმა მოყვარე). ვითარებით ბრუნვაში მეორე გამონაკლისიც გვაქვს: მოწმ-ად (შდრ. სახ. ბრუნვის ფორმა მოწმე-0).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოყვრად და მოყვრები ამოსავლს იღებენ მოყვარე ფორმიდან, რომლის ფუძე თანხმოდანთ ბოლოვდება, მაშასადამე, არავითარი /ე/ არ დაკარგულა მოყვარე.

ფორმაში. ახლა სხვა კითხვა დგება: როგორ მოხდა მოყვარე და მოყვარი ფორმათა პარადიგმების შერევა?

ზემოთ ისეთი შემთხვევები განვიხილეთ, როცა ერთ სახელს აღმოაჩნდა პარალელური ორი ფუძე, ბოლოში ხმოვნის ქონა-არქონით განსხვავებული (ბეგარ-ი/ბეგარა-ო, წიფელ-ი/წიფელა-ო); ამავე დროს ეს პარალელური ფუძეები გრამატიკულ-სემანტიკურად აბსოლუტურად ემთხვეოდნენ ერთიმეორეს — გარდა ფონემური შედგენილობისა, მაშასადამე, ბეგარ-, ბეგარა- ფუძეები სემანტიკურად არაფრით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. სწორედ ამან გახადა შესაძლებელი მათი პარადიგმების შერევა (იხ. ზემოთ).

განსხვავებული ვითარება გვაქვს მოყვარ, მოყვარე — ფუძეებთან, რომლებიც დასაწყისში უთუოდ აგრეთვე იდენტური მნიშვნელობის მქონე იყვნენ, მაგრამ მოყვარ- ფუძე დაიკარგა სალიტერატურო ქვესისტემაში, მოყვარე- ფუძემ ორი მნიშვნელობა გამოხატა — (1) „ნათესავი ცოლს: მხრით“ და (2) „რაიქვს მოყვარული“. ეს მნიშვნელობები უკვე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია აღნიშნული. შეკუმშული ფორმები არსებითად ვარაუდობენ მხოლოდ ცოლის ნათესავს (მოყვარ-ის, მოყვარ-ით, მოყვარ-ად, მოყვარ-ებ-ი) თუმცა ლიტერატურაში ოდნავ გადახრილი მნიშვნელობითაც — „კეთილმყოფელი“ — იხმარება („მტრის“ ანტონიმად), ხოლო შეკვეცილი ფორმები არსებითად ვარაუდობენ „მოყვარულს“. ამიტომ ზოგ კონტექსტში მათი ჩანაცვლება შეუძლებელია, აქე მაგალითად, სწორია „პურ-მარილის მოყვარის/მოყვარით/მოყვარედ/მოყვარეები“, არ შეიძლება აქ მოყვარი-ს, მოყვარი-თ, მოყვარად, მოყვარები ფორმებით ჩანაცვლება. ასევე კომპოზიტებში: სცენისმოყვარე, სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე და სხვ. მხოლოდ კვეცაა შესაძლებელი, რადგან მოყვარე აქ „მოყვარულს“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

როგორც ითქვა, მოყვარ- ფუძის მქონე ფორმები შეკუმშული იყო, ხოლო მოყვარე- ფუძის მქონე — მხოლოდ შეკვეცილი²¹.

სახ. მოყვარ-ი	მოყვარე-ი
მოთხ. მოყვარ-მა	მოყვარე-მ
მიც. მოყვარ-ს	მოყვარე-ს
ნათ- მოყვ(ა)რ-ის	მოყვარ(ე)-ის
მოქ. მოყვ(ა)რ-ით	მოყვარ(ე)-ით
ვით. მოყვ(ა)რ-ად	მოყვარე-დ
წოდ. მოყვარ-ო	მოყვარე-ო

²¹ მოყვარი და მოყვარე ერთი ძირის განსხვავებული წარმოების მიმდებარეობა: მოყვარ-ი არის მო-ზარდ-ი ტიპისა, ხოლო მოყვარე — მო-ვიწყ-ე ტიპისა.

მ ი ყ ვ ა რ ე „ცოლის მხრივ ნათესავს“ მნიშვნელობა უფრო გვიან განვითარებულია, ვარკვეულად მნიშვნელობის გადატანასთან გვაქვს საქმე. ქართული ენის ზოგი ქვესიტემა, მაგალითად, მთის კილოები, ამ მნიშვნელობას არც კი იცნობენ.

მ ი ყ ვ ა რ ი ფორმის დაკარგვის შემდეგ სალიტერატურო ენაში, ქართული ენის სხვა ქვესიტემებშიც (ქართლური, კახური, იმერული...) მისი ადგილიც მოყვარე-მ დაიკავა. ზემოთ წარმოდგენილი ორი პარადიგმიდან შეკუმშული ფორმები გამოიყენა ძირითადად მამონ, როდესაც ლექსიკური მითითება არის „ცოლის მხრივ ნათესავზე“ (მოყვარ-ის, მოყვარ-ით, მოყვარ-ად, მოყვარ-ები). როგორც ვთქვით სწორედ ამიტომ შეუძლებელია „პურ-მარლის მოყვარის“ და სხვ. მეორე — „მოყვარული“ მნიშვნელობით კი შეკვეცილი ფორმები გამოიყენება (მოყვარ(ე)-ის, მოყვარ(ე)-ით...). მოყვარ-ფუძის დაკარგვის გამო (ე. ი. მოყვარო სიტყვის დაკარგვს გამო), უნდა ვივარაუდოთ, რომ მოყვარ-ის მოყვარ-ით, მოყვარ-ად, მოყვარ-ება-ი ტიპის შეკუმშული ფორმები თანდათანობით ამოვარდება ენიდან და პარადიგმა გასწორდება კვეცად მოყვარე ფუძეზე და ექნება ორი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით და არა ბრუნვის ფორმათა მიხედვით. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რამდენადაც მოყვარ(ე)-ის „მოყვარის“ მნიშვნელობითაც იხმარება; მოყვარედ განიხილა, „ჩემი მოყვარეები არიან“ გამოთქმებიც ბუნებრივი ხდება. აქ მოყვარე ვითარებით ბრუნვაში და -ებ-იან მრავლობითში, თანახმად საერთო წესისა, ფუძის /ე/ ხმოვანს არ კარგავს.

განვიხილოთ ძველი ქართულის ექვსი კვეცად-კუმშვადი სახელი (მოწაფე, მოწამე პატარა, მანქანა; საპყრობილე, სიფიცხლე).

უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დავსვათ კითხვა: ისინი უძველესი (ე. ი. ძველი ქართულის წინა პერიოდის) ვითარების გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ თუ სიახლედ?

— უთუოდ სიახლედ, რადგან, ჯერ ერთი, კვეცად-კუმშვადი სახელებს რაოდენობა ენაში იზრდება, რაც, სავსებით, დამახასიათებელი არ არის წარმავალი მოვლენებისთვის; მეორე — საშუალ და თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით, როგორც ვნახეთ, სახელთა ფუძეების სიმულტანური კვეცა და კუმშვა უკავშირდება მათ ორფუძიანობას და შესაბამის პარადიგმათა შერევას. ექვსივე სახელი დღეს წარმოდგენილია თითო, ხმოვნით დაბოლოებული, ფუძით და, მამასადამე, გასაგებია, რატომ არიან ისინი მხოლოდ კვეცადი.

ქვემოთ ამ სახელებს სათითაოდ განვიხილავთ.

მოწაფე და მოწამე. ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად ეხვდებით მოწფის. მოწფად... მოწმის, მოწმად...

ფორმებს. ორივე სახელი მიმღეობური წარმომავლობისაა: მო-წაფ-ე, მო-წამ-ე და ცხადი წარმომავლობა აქვთ, რადგან იოლად ასო-ცირდებათ ზმნურ წაფ (/წაფ) და წამ (რ-წამ) ძირებთან; შდრ. წაფა, სწაფლება; წამება, რწმენა.

მოწაფე და მოწამე ხმოვანფუძიან სახელებს ძველი ქართული ენის თვისებათა მიხედვით შესაძლოა ჰქონდეთ ვარიანტები როგორც განსხვავებული მორფოლოგიური წარმოების, ისე ფონეტიკური ცვლილებების მიხედვით.

მორფოლოგიური წარმოების მიხედვით: მო—ე კონფიქსური წარმოების ვარიანტად შესაძლებელია მხოლოდ მო- ზმნისწინით ნაწარმოები მიმღეობის ფორმა: მო-წაფ-ი და მო-წამ-ი; შდრ. ძვ. ქართულის მო-ზარდ-ი, მო-მღერ-ი, მო-სავ-ი, მო-რეც-ი, მო-რცხტ-ი (||მო-რცხტ-ე)... ამათგან ზოგი დღემდე ძველი გაგებით იხმარება, ზოგიც მნიშვნელობაცვლილია. ასეთივე წარმოებისაა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მო-ყვარ-ი (მო-ყვარ-ე).

ფონეტიკური ცვლილებებით სამმარცვლიან ფორმებში შესაძლოა ამოვარდეს შუა ხმოვანი, ანდა დაიკარგოს ბოლო ხმოვანი. მოწაფე /მოწფე და მოწამე /მოწმე: მოწაფე/ მოწაფი და მოწამე/ მოწამი. ამათგან მხოლოდ მოწმე შემოგვრჩა სამწერლობო ენაში.

ასეთი ცვლილებების საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია ბერძნულიდან ნასესხები $\lambda\alpha\chi\alpha\upsilon\eta$ -ს „ლარნაკი“ ვარიანტები ძველ ქართულში. იქ დასტურდება ლანკანი და ლანკანა²². ამ ფორმებს ერთიმეორისაგან ვერ გამოვყვანთ ქართულში, ამიტომ აუცილებელია მესამე ფორმის დაშვება, რომლისგანაც ისინი გამოიყვანებიან. ეს გახლავთ *ლანკანა სრული შესატყვისი ბერძნული $\lambda\alpha\chi\alpha\upsilon\eta$ -სი. ქართულში ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციით ბოლო /ე/ (ბერძნული η -ს შესატყვისი) /ა/-დ ქცეულა (ლაკანე > *ლკანა) და /ნ/-ც გენითარებულია: *ლკანა > *ლანკანა. სწორედ ამ სამმარცვლიან *ლანკანა-ს შეუძლია მოგვეცეს ლანკან-ბოლო ხმოვნის მოკვეთით სვანურ ყაიდაზე; შდრ. კიდევ სპ. თამაშა > ქართ. თამაშ-ი²³, არაბ. იტლა [ˈitlāˈ] > ქართ. ეტლ-ი²⁴; ოს. bevræ (ავ. haevra) > ქართ. ბევრ-ი²⁵; ძვ. სპ. ვაპანა > ქართ. ვან-ი²⁶ (ვაპანა > ვაპან- > ვან- > ვან-). ძველს მწერლობაში და თანამედროვე დიალექ-

22 ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971, გვ. 68.

23 მ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თსუ შრ., ტ. 105, 1965, გვ. 314.

24 იქვე, გვ. 313.

25 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 61.

26 იქვე, გვ. 28.

ტეგანიც ვარიანტებით არის წარმოდგენილი ერთი მცენარის სახელი: ტეგანა /ტეგანა; შდრ. ტეგანი/ ტეგანი (ბერძნ. *πήχυον, τβ*)²⁷.

*ლანკანა-დან შუა ხმოვნის ამოღებით არის მიღებული ლანკანა, ისევე როგორც ტეგანა იძლევა ტეგანა-ს²⁸, ამიტომ ძველ ქართულში რომელიმე ლანკანის ან მისგან დისიმილაციით მიღებული ლანკლის შეიძლება მივიღოთ როგორც კუმშვის (ლანკან-ის > ლანკნის), ისე კვეცის (ლანკანა-ის > ლანკნის) გზით. *Mutatis mutandis* ტეგანის (<ტეგან-ის და ტეგანა-ის).

ნათესაობითის ამ ფორმებს: ლანკანის, ტეგანის არაფერი აქვთ საერთო ამოსავალ სამმარცვლიან, ხმოვნით დაბოლოებულ ლანკანა და ტეგანა ფორმებთან, რომელნიც შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ კვეცადი: ლანკან(ა)-ის და ტეგან(ა)-ის, რაც დასტურდება კიდევ. მაშასადამე, როცა ტეგანტში დადასტურებულია ტეგანის ან ლანკანის ფორმები, სახელობითში უთუოდ სამმარცვლიანი და ხმოვანფუძიანი ტეგანა და ლანკანა უნდა 'გავიტანოთ' (შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილსი, 1948—1949; იხ. ტეგან).

სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში შუა ხმოვნის ამოღება (ტეგანა /ტეგანა) ან ბოლო ხმოვნის მოკვეცვა (ტეგანა /ტეგან-ი) მარედუციობეღელ ელემენტთა გავლენის გარეშე აიხსნება სიტყვათა ფუძეების ორმარცვლიანობისკენ სწრაფვით, რაც ქართველური ენების საერთო თვისებას წარმოადგენს დღემდე. ამის შესახებ ცალკე ვიმსჯელებთ სხვა დროს²⁹.

კითარებითი ბრუნვის პარალელური მოწმე-დ და მოწმე-ად შედე-

27 ალ. მანჯგალაძე, ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში; კრებულში: სახელის ბრუნვის ასტორიისათვის ქართულურ ენებში, 1956, გვ. 176.

28 შდრ. ალ. მანჯგალაძე, დასახ. ნაშრომი.

29 ახლა კი ორიოდ სიტყვით შეიძლება ვთქვათ შემდეგი: ქართულში, სვანურსა და მეგრულში სამმარცვლიანი სიტყვები ხშირად ორმარცვლიანდებიან შუა ხმოვნის ამოღებით.

ქართ.: ხალიჩა /ხალჩა, პატარა /პატრა, ჩუჩელა (რუს. *чучело*) /ჩუჩლა და სხვ. სვან.: ქართ. დედოფალ/სვან. დედფალ, ქართ. დედაბერ / სვან. დე-დბერ, ქართ. ანგელოზ /სვან. ანგლოზ და სხვ.

მეგრ.: ქართ. წიწილა /მეგრ. წიწლა, ქართ. კარდალა /მეგრ. კარლა ქართ. შევარდენ-/მეგრ. შარდენ-ი, ქართ. დარეჯან/ მეგრ. დარჯან(ბ), ქართ. კირილე /მეგრ. კირლე (იხ. მაგალითად: ს. ედენტი, სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949, გვ. 111—112; მ. ციკოლია, რედუქციისათვის მეგრულში; სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, 1950; მ. ხუბუა, სპარსული წარმოების სიტყვები მეგრულში, სმამ, № 9, ტ. VI, 1945, გვ. 731 და 733.)

გია ფუძის ვარიანტული წარმოებისა: მოწმე-0 ფორმის პარადიგმა ვითარებითში იძლევა მოწმე-დ ფორმას, ხოლო მოწამ-ი ფორმის პარადიგმა—მოწმად სახით წარმოგვიდგენს ვითარებითს. Mutatis mutandis მოწაფედ და მოწფად. აქ უთუოდ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ ქართულში ხშირია მხოლოდ შეკვეცილი ფორმები, როგორცაა: მოწაფის, მოწამ-ით... რა თქმა უნდა, მათი სახით საქმე გვაქვს სამმარცვლიან კვეცად ფუძეებთან, როგორც დღეს. საბოლოოდ ენაში მხოლოდ კვეცადი ფორმები გაბატონდა, რადგან დაიკარგა პარალელური თანხმონებით დაბოლოებული ვარიანტები, თუმცა მოწმად მაინც დარჩა ენაში და მიეკედლა მოწმე-ს პარადიგმას. იგი მოგვაგონებს ღვინის, ღვინ-ით ფორმებს, რომლებიც უთუოდ ღვინ-ი ამოსავალი ფორმის ნათ.-მოქმედებითია. ღვინი-ს ადგილი დაიკავა ღვინო-მ და ახლა ღვინის, ღვინით ფორმები მიეკედლა ღვინო-ს პარადიგმას. ეს მსჯელობა იმდენად არის მოსაღები, რამდენადაც დაუშვებელია /ო-/ს მოკვეცა სახელთა ფუძის ბოლოს ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში.

პატარა, მანქანა. ირიბ ბრუნვებში დასტურდება ამ სახელთა როგორც მხოლოდ შეკვეცილი პატარის, მანქანის..., ისე შეკვეცილ-შეკუმშული პატარის, მანქანის... ვარიანტები.

ეს სახელებიც, უნდა ვივარაუდოთ, ორფუძიანები იყო: პატარა- /პატრა- და მანქანა- /მანქნა-. ამათგან პატრა, თუმცა სალიტერატურო ენაში არ დასტურდება, დიალექტებში არც თუ ისე იშვიათია (კახურში, ქართლურში, მესხურში). როგორც ჩანს, ამ დიალექტებს ეს ორმარცვლიანი ფუძე ძველიდანვე ახასიათებს.

სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში შუა ხმოვნის ამოღებაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, აქ აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას, ოღონდ დავემატებთ, რომ ძველი ქართულის სარკინოზი და კათხათავიდან მეორე (შუა) ხმოვნის დაკარგვით არიან ქართულში ნასესხები (მდრ. ლათ. Saraceni და არაბ. ყადაპ/ < *ყადაპა).

პატრა- ფუძის მიხედვით ვიღებთ შეკვეცილ ფორმებს და არა შეკვეცილ-შეკუმშულს, ე. ი. პატრა-ის > პატრ-ის და სხვ. ამოსავალი ვრცელი სამმარცვლიანი პატარა ფუძე კი იძლევა შეკვეცილ პატარ(ა)-ის, პატარ(ა)-ით ფორმებს. Mutatis mutandis მანქნ(ა)-ის და მანქან(ა)-ით და სხვ.

ძველ ქართულში საპყრობილე და სიფიცხლე ბრუნვების პარადიგმების კვეცის პოზიციაში ხასიათდებიან პარალელური ფორმებით:

ნათ. საპყრობილ(ე)-ის/საპყრობ(ი)ლ(ე)-ის; სიფიცხლ(ე)-ის//სიფ(ი)ცხლ(ე)-ის მოქ. საპყრობილ(ე)-ით//საპყრობ(ი)ლ(ე)-ით, სიფიცხლ(ე)-ით//სიფ(ი)ცხლ(ე)-ით.

საპყრობილე ფორმის პარადიგმებისაა კვეცადი ფორმები: საპყრობილე(ე)-ის, საპყრობილე(ე)-ით; პარალელური კვეცად-კუმშვა-დად მიჩნეული ფორმები უნდა მოდიოდეს საპყრობლე-ფუძი-დან, რომლის მიღება შეიძლება საპყრობილე-დან ხმოვნის ამო-ღებით (იხ. ზემოთ): საპყრობილე > საპყრობლე და აგრეთ-ვე პყრობილ- ნაზმნარი სახელის სა-ე კონფიქსით წარმოების გზით: საპყრობილე > საპყრობლე. ამავე დროს: რადგან პყრო-ბილი უკვე გასუბსტანტივებულია („პატიმარი“), გამოარცხული არ არის უძველესი წარმოება დანიშნულების მხოლოდ სა-პრეფიქსით, ე. ი. სა-პყობილ-ი „საპატიმრო“ (ზღრ. გრილი—სა-გრილ-ი, ქელი—სა-ქელ-ი...). ერთ-ერთი ზემოთ წარმოდგენილი გზით /ი/ ხმოვანი ამოვარდება ფუძიდან და მხოლოდ კვეცით (საპყრობლე(ე)-ის) ან მხოლოდ კუმშვით (საპყრობილ-ის > საპყრობლ-ის) შესაძლებელია მივიღოთ საპყრობლის ფორმა. შემდეგ და შემდეგ ფუძისეუ-ლი /ი/-ს დაკარგვა აღარ ხდება (ზღრ. უნაგირ კუმშვადი ფუძე, რომელიც გვიან აღარ იკუმშვება), მაგრამ ენას შემორჩენია /ი/ დაკარ-გული ფუძის პარადიგმები და საპყრობილე ოდენ კვეცადი სა-ხელის პარადიგმაში იხმარებიან ამ სახელის შეკვეცილ ფორმათა პა-რალელურად, რამაც შექმნა სიმულტანური კვეცისა და კუმშვის ვა-რაუდი.

ზემოთ განვიხილეთ „კვეცად-კუმშვადი“ სახელები თანამედრო-ვე ქართულსა და ძველ ქართულში და ვცადეთ აგვეხსნა ეს ქართუ-ლი ენისთვის ერთგვარად უჩვეულო მოვლენა პარალელურ ფუძეთა პარადიგმების შერევით.

პარალელურ ფუძეთაგან ნაწილი ვერ იქნა დადასტურებული სა-ლიტერატურო ძეგლებისა და დიალექტების მიხედვით, მაგრამ ისინი უთუოდ საგარაუდებელია ქართული ენის სახელთა კვეცისა და კუმ-შვის მოდელებით და იმ „კვეცად-კუმშვადი“ სახელების მიხედვით, რომელთაც დაუდასტურდათ პარალელური ფუძეები (50%). რომლე-ბიც სემანტიკურად იდენტურნი არიან და განსხვავდებიან მხოლოდ ფუძის დამაბოლოებელი /ა/ ან /ე/ ხმოვნის ქონა-არქონით.

იმის გადაწყვეტა, ხდება თუ არა ენაში სიმულტანური კვეცა და კუმშვა სახელთა ფუძეებში, წყვეტს ვითარებითი ბრუნვის -ად სუ-ფიქსის კვეცის უნარის ქონა-არქონის საკითხსაც: თუ კვეცად-კუმშვა-დად მიჩნეულ სახელებში ამ პროცესთა მიზეზად -ად ბრუნვის ნიშა-ნი იქნება მიჩნეული, როგორც ყველა ვარაუდობს, მაშინ სწორია ვა-რაუდი, რომლის მიხედვით კვეცად სახელთა ვითარებით ბრუნვაში იკარგება ფუძისეული ბოლო /ა/ ხმოვანი და არა ვითარებითი ბრუნ-ვის -ად მორფემის /ა/: მამ(ა)-ად (პ. ფოგტი. პ. არონსონი). ჩვენ მ-ერ

წამოყენებული ვარაუდით კი მამად წარმოგვიდგება შემდეგი მორ-
ფონოლოგიური პროცესის შედეგად: მამა-(ა)დ.

ქვემოთ სახელობით ბრუნვაში წარმოადგენთ რამდენიმე სა-
ხელს, რომელთაც აქვთ პარალელური ფუძეები და მოსალოდნელია
მათი პარადიგმების შერევა (რაც შესაძლოა მოხდა კიდევ ქართუ-
ლი ენის რომელსაზე ქვესისტემაში): აბღალ-ი || აბღალა-ი, წუნკალი||
წუნკალა-ი, ქაჩალი||ქაჩალა-ი, შიშველი-ი || შიშველა-ი, ქონდარი-ი||
ქონდარა-ი და სხვ. აქ წარმოდგენილი პარალელური ფორმები აბსო-
ლუტური სინონიმებია, პარალელურ ფორმებში /ა/-თი დაბოლოებულ
ფუძეებში /ა/ ცალკე მორფემად ვეღარ გამოიყოფა, ამის გამო შესა-
ძლებელია მისი მოკვეცა სათანადო პოზიციაში, რაც განაპირობებს
მათი პარადიგმების შერევას (იხ. ზემოთ).

ზოგიერთ ქვესისტემაში ტ ი ტ ვ ე ლ- ფუძე კუმშვადია (ტიტვლ-
ი, ტიტვლ-ებ-ი). თუ იმავე ქვესისტემაში ტ ი ტ ვ ე ლ ა- ფუძეც იხმა-
რება, როგორც აბსოლუტური სინონიმი, შესაძლებელია ამ ფუძეთა
მიხედვით პარადიგმების შერევა, ე. ი. ტიტველა-ს პარადიგმაში ტი-
ტვლის ფორმა მოხვდეს ტიტველ(ა)-ის მონაცვლედ.

ქართული ენის მკვლევართათვის ნათელია, რომ ასეთ სახელთა
რიცხვის გაზრდა ადვილად შეიძლება როგორც სალიტერატურო ქვე-
სისტემის, ისე დიალექტთა მიხედვით.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით დგება ერთი კი-
თხვა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს პასუხს. კერძოდ: თუ დღეს
აღარა გვაქვს რომელიმე სახელის პარალელური ფუძეები, როგორღა
ხდება პარადიგმა შერევა? ასეთ შემთხვევაში თითქოს გამორიცხუ-
ლი უნდა იყოს ისეთი სახელების კვეცად-კუმშვადი ფუძეები, რო-
გორცაა: ქ ა რ ხ ა ნ ა (ქარხნ-ის), მ ო ყ ვ ა რ ე (მოყვარ-ის) და სხვ.
დღეს და ისტორიულადაც არ ჩანს ქ ა რ ხ ა ნ - ან ქ ა რ ხ ნ - ფუძე-
ები; დღეს აღარ ჩანს აგრეთვე მ ო ყ ვ ა რ - ფუძე.

ქ ა რ ხ ნ -ის, მ ო ყ ვ რ -ის... შემთხვევაში დღეს საქმე გვაქვს
გამონაკლისებთან. გამონაკლისები კი ფორმებია, რომლებიც აეტომა-
ტურად არ გამოიყვანება სინქრონიული დონეების სტრატეფიკაციუ-
ლი კანონზომიერებებით.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ორი პარადიგმის
შერევასთან ისტორიულად, რაც, ალბათ, მეხსიერების სპეციფიკაზე
დამყარებით არის ენაში შემონახული. რადგან გამონაკლისთა ფსიქო-
ლოგიური საფუძველი ჩვენთვის გაურკვეველია, გადავალთ თვით მო-
ვლენის აღწერაზე.

ავიღოთ თავისებური ბრუნების მქონე სახელი ღვინო (ძვ. ქართ.
ღვნო). ეს სახელი ბრუნების პარადიგმაში ორი ფუძით არის წარმო-

დგენილი ღვინო (ღვინო-0, ღვინო-მ, ღვინო-ს, ღვინო-დ) და ღვინ-
(ღვინ-ს, ღვინ-ით). ეს ფუძეები ერთიმეორეზე ვერ დაიყვანება, რო-
გორც, მაგალითად, შეუკვეცილი და შეკვეცილი ვარიანტები ერთი და
იმავე ფუძისა: მ ა ს ა ლ ა - და მ ა ს ა ლ - (მასალა-მ, მასალ-ის), რად-
გან სახელთა ბოლოს /ო/ არ იკვეცება არსად და აქაც არა გვაქვს რა-
იმე თავისებური ვითარება, რომ მხოლოდ ამ სახელის ბოლოს მომ-
ხდარიყო მისი კვეცა, უნდა დაეუშვათ, რომ პარადიგმაში გამოყენე-
ბულია ორი ფუძე: ღ ვ ი ნ ო - და ღ ვ ი ნ -. ღ ვ ი ნ - ფუძის დაშვების
სასარგებლოდ მეტყველებენ სვანურ-ზანური ფორმები: ღ ვ ი ნ (მეგრ.),
ღ ი ნ (ჭან.) და ღ ვ ი ნ ე ლ (სვან). უნდა ვივარაუდოთ, რომ ქარ-
თულში უფრო ძველი პარადიგმა იქნებოდა ღვინ- ფუძეზე აგებული
(ღვნ-ი, ღვნ-მან, ღვნ-სა, ღვნ-ისა, ღვნ-ითა...). ღვნო ფორმა უფრო
გვიანდელი ჩანს, თუმცა ძველ ტექსტებშივე გვხვდება. ღვნო-ს პარა-
დიგმა ნათესაობითსა და მოქმედებითში უკვეცელ ფუძიანი ფორმე-
ბით უნდა გვექონოდა, ენამ კი გამოიყენა ძველი თანხმომავნფუძიანი
პარადიგმის ნათესაობითი და მოქმედებითი (ღვნო-ა, ღვნო-მან... ღვნ-
ითა...).

მასშასადამე, ღვინო იმიტომ არის თავისებური ბრუნების მქონე
სახელი ქართულში, რომ იყენებს ორ ფუძეს, რომლებიც ერთიმეო-
რისგან ვერ გამოიყვანება.

სტრატეგიული თვალსაზრისით ამ ორფუძიანობის გასამარ-
თლებლად შეიძლება ითქვას შემდეგი: მიცემით ბრუნვაში, რომელ-
საც საერთო ფუძე აქვს უკვეცელ ბრუნებთან — სახელობითთან, მო-
თხრობითთან, ვითარებითთან და წოდებითთან, ფონემატურად არა-
ბუნებრივია ნს დაბოლოება (ღვინ-ს) და ბუნებრივია ღ ვ ი ნ ო ს ფორ-
მაში ფონემათა კომბინაციები.

უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ გვიან წარმოქმნილ -ებ-იან
მრავლობითში ღ ვ ი ნ ო - ფუძე უკვეცელია: ღვინოები (მაგ., „ქართუ-
ლი სამარკო ღვინოები განთქმულია“ და სხვ.). ქართულში სხვა
შემთხვევა არ დასტურდება, რომ მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითსა-
და მოქმედებითში შეკვეცილი სახელის ფუძე არ იკვეცებოდეს -ებ-
იან მრავლობითში. ის კი საკმაოდ ხშირად ხდება, რომ მხოლოდობითი
რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში უკვეცელი ფუძე შეიკვე-
ცოს -ებ-იან მრავლობითში (ეს ხდება წარმოქმნილ ფუძეებში: ბიჭუ-

ნა-ს(ი); შდრ. ბიქუნ-ებ-ი და სხვ.). ეს უითარებაც იმაზე მიგვითითებს, რომ ღვინო არ არის კვეცადი სახელი და მის პარადიგმაში საქმე გვაქვს ძველი ფუძის გამოყენებასთან ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში.

აი, ასეთ თავისებურებასთან უნდა გვეჩინდეს საქმე ქ ა რ ხ ნ ის, მ ო ყ ვ რ ა დ ტ ი პ ის წარმოებაში, როდესაც შემონახული არ არის თანხმონით დაბოლოებული ფუძე ან ორმარცვლიანი კვეცადი ფუძე.

სახელთა თანდებულიანი ფორმები

სახელთა უთანდებულო და თანდებულიანი ფორმები წინადადებაში გვევლინებიან ან აქტანტებად, ან გარემოებებად, მაგალითად:

- | | |
|------------------------------------|--|
| (1) „ქალაქს ხატავს“. | (2) „ქალაქს ესახლა („მე სოფლის თავსა ვესახლე, არა სოფელი ჩემს თავსა“). |
| (1) „ქალაქზე საუბრობს“. | (2) „ქალაქზე დაფრინავს“. |
| (1) „ღრუბლიან დილას წვიმა მოჰყვა“. | (2) „სოფლიდან დილას ჩამოვიდა“. |
| (1) „ასეთ დილაზე წერდნენ პოეტები“. | (2) „დილაზე ჩამოვა მატარებლით“. |

ხაზგასმული სახელები პირველი ნომრით წარმოდგენილ წინადადებებში აქტანტებია, მეორე ნომრით წარმოდგენილ წინადადებებში კი — გარემოებები.

ბრუნვის ფორმა აქვთ მხოლოდ აქტანტებს, გარემოებებში ბრუნვის ნიშანი თეორიულად არის დაუშვებელი: სახელთა ფორმები სწორედ ბრუნების პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიზედებად, ანუ გარემოებებად: „ზმნიზედად ქცეულ სახელს დაკარგული აქვს ბრუნვის ფუნქცია, რაც აუცილებელია სახელისათვის; მაგალითები: ძირს, დღეს, თავში, ერთად“¹. ამ თვალსაზრისით უდავოა, რომ „ლოკალური ბრუნვების“ შეტანა ბრუნების პარადიგმაში სრულიად გაუმართლებელია², რადგან „გამოსვლითი“, „მიწვევითი“, და „სადაობითი“ წინადადებაში მხოლოდ გარემოების ფუნქციით გვხვდებიან, რაზეც მათი სახელებიც მიუთითებენ („გამოსვლითი“ — საიდან გამოვიდა?, „მიწვევითი“ — სადამდე მოაწია? „სადაობითი“ — სად იმყოფება?), და ამიტომაც დაკარგული აქვთ ბრუნვის ფუნქცია, როგორც ა. შანიძის მიერ ზემოთ მოყვანილ „თავში“ ზმნიზედის ფორმას.

¹ ა. შანიძე, ქართლი ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 588.

² აღრე ლოკატიურ ფორმებს ვიხილავდით ტრადიციული თვალსაზრისით: მათ ბრუნების პარადიგმაში ვაანალიზებდით, იხ. ჩვენი „თანდებულის სახელთა ბრუნება ქართულში“, კრებულში: არნოლდ ჩიქობავას, თბ., 1979.

„ქალაქიდან“ და „ქალაქამდე“ ტიპის ფორმები ქართულში მხოლოდ ლოკალური ფუნქციით იხმარება და მიღებული კრიტერიუმის მიხედვით, ვფიქრობთ, სადავო აღარაფერია — ისინი გარემოებებია და ბრუნების პარადიგმასთან აღარა აქვთ რა საერთო. რაც შეეხება „ქალაქში“, „ქალაქზე“ ფორმებს (resp. „ქალაქთან“), ისინი ბრუნების პარადიგმაში მოხვედებიან მხოლოდ მაშინ, როცა აქტანტებს წარმოადგენენ, მსავსად სახელად გამოყენებული დღეს, დილას ტიპის ფორმებისა („დღეს ღამე მოსდევს, დილას — შუადღე“).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ზმნიზედებში ბრუნვის ნიშნები წარმომქმნელ ელემენტებად გარდაიქმნებიან. „ქალაქს ესახლა“ წინადადების ქალაქს გარემოებას თუ სადაობითს დავარქმევდით, მისგან წარმოების სხვადასხვა ნიუანსის გარემოებებისთვის ფუნქციის მიხედვით შეიძლება გვეწოდებინა ზედაობითი — ქალაქზე, შიგაობითი — ქალაქში, თანაობითი — ქალაქთან.

შენიშვნა: ვერ ვხმარობთ ცნობილ ტერმინებს: ეს იგი, სუპერეცივი, ინესივი, აღესივი რადგან სხვა ენებში ისინი მიჩნეულია ბრუნვათა ფორმებად.

გარემოების ფუნქციის მქონე ქალაქს ფორმაში -ს დერივანტია და არა ფლექსიური ელემენტი: იმის გამო, რომ -ს ელემენტს წინადადებაში სხვა სიტყვებთან გრამატიკული კავშირის განხორციელება აღარ ეკისრება, იგი გარემოების ფორმის შემადგენლად იქცევა და მისი ლექსიკური მნიშვნელობის შექმნაში ლებულობს მონაწილეობას და, მაშასადამე, წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა. როცა ბრუნვის ნიშანი მოქმედია, მაშინ ზმნიზედობა გამორიცხულია, პირიქით, თვით ზმნიზედები მოიქცევიან ხოლმე სახელის ფუძედ, როგორც კი ბრუნვის ნიშანი დაერთვის მათ (იხ. გვ. 129) — მაშინაც წარმოქმნა ხდება ფუძის მნიშვნელობის შეცვლით.

მაშასადამე, -ში, -ზე, -თან თანდებულები დაერთვიან „ქალაქს“ გარემოებას და წარმოქმნიან მოქმედების ადგილზე მითითების ვარიანტებს (ზედაობითი, შიგაობითი, თანაობითი). ამ ფუნქციით თანდებულები სხვა ზმნიზედებთანაც გვხვდება: აქეთ-კენ, ზემოთ-კენ; აქედან (<აქეთ-გან), ზემოდან (<ზემოთ-გან); შდრ. აქეთ, ზემოთ და სხვ. ასევე მთელ კილოებში ბრუნვის ნიშნებიც ჩვეულებრივ წარმოქმნიან ზმნიზედათაგან ახალ ზმნიზედებს: აქ: აქ-ის „აქეთკენ“, აქ-ით /აქ-ითა „აქედან“; იქ: იქ-ის „იქითკენ“, იქ-ით/ იქ-ითა „იქიდან“. ეს ბრუნვის ნიშნები ზმნიზედათა ანუ გარემოებათა წარმომქმნელად გვხვდება არსებით სახელებთანაც: ბარ-ის „ბარისკენ“, შტროლთ-ის

„შტროლთისკენ“ (შტროლთა სოფელია თუშეთში); ბარ-ით ბარ-ითა, „ბარიდან“, შტროლთ-ით /შტროლთ-ითა „შტროლთიდან“ და სხვ.

რომელიმე ბარის, მთის, შტროლთის... ფორმები მაშინ არიან გარემოების ფუნქციით (ე. ი. -ის მაშინ წარმოქმნის ზმნიზებას), როცა ზმნასთან ქმნიან სინტაქსურ წყვილს: შტროლთის წავიდ „შტროლთისკენ წავიდა“, მთის გაქეულ „მთისკენ გაქეულა“ და სხვ.

შტროლთით /შტროლთითა, ბარით /ბარითა... ფორმები, მიუხედავად იმისა აქტანტის როლში არიან თუ გარემოებისა, ყოველთვის ზმნასთან არიან დაკავშირებული, ფორმათა გარჩევა ხდება ფუნქციით, რომელიც ვლინდება ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასთან ქვეშირში, ანუ მაგალითად: „ძან კი იწონებს თავს შტროლთით“ (თუშ.). ამ ზმნასთან შტროლთით შეიძლება მხოლოდ აქტანტი იყოს: „შტროლთით გამოსრულიყუ ქველურთა“ (თუშ.): ამ ზმნასთან შტროლთით შეიძლება იყოს მხოლოდ გარემოება. როგორც ვხედავთ, სახელისა და ზმნიზების, ანუ გარემოების ფორმები ემთხვევა ზოგჯერ. საამისო მასალას ბარის კილოებიც იძლევიან: კახურში სრულიად ბუნებრივია „ქალაქსა ყოფილა“ და „ქალაქსა ხატამს“, მორფოლოგიური ცვლილებითაც ჰგვანან ისინი ერთიმეორეს: „ქალაქ ყოფილა“ და „ქალაქ ხატამს“. ეს ფორმალური დამთხვევები ფუნქციურ აღრევას მიანიჭებს არ იწვევს სემანტიკურ-სინტაქსური კავშირების წყალობით.

აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ქართული ენის ისეთ ქვესისტემებზე, რომლებიც მორფონემატიური ცვლილებით განასხვავებენ სახელთა და ზმნიზებათა ფორმებს. ზოგან ეს მკაფიოდ არის გამოხატული, ზოგან კი თითქოს ნაშთიდა ჩანს ამ ვითარებისა, რაც გვაპირადუდებინებს, რომ სხვაობა თავდაპირველია, ხოლო დამთხვევა მეორეული, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს სწორედ სინტაქსურ-სემანტიკურ ურთიერთობებს წინადადების წევრთა შორის.

ფხოურ კილოთა ჯგუფში მიცემითი ბრუნვა შეიძლება წარმოდგეს როგორც აქტანტური, ისე გარემოების ფუნქციით. აღნიშნული ზემანტიკური სხვაობა გავლენას ახდენს ფორმების მორფონემატიურ ცვლილებათა ხასიათზე: თუ მიცემითი ბრუნვის ფორმა აქტანტია (ქვემდებარე, პირდაპირი, ირიბი ან უბრალო დამატება), ბრუნვის ნიშანი უთუოდ -ს სუფიქსით იქნება წარმოდგენილი: „სოფელს ხედავს“, არ შეიძლება „სოფელ ხედავს“; თუ მიცემითი ბრუნვის ფორმა გარემოებაა, -ს ნიშანს თავისუფლად ენაცვლება 0: „კახეთს ცხოვრობს“ და „კახეთ ცხოვრობს“. „სოფელ ხატავს“ ფხოურ კილოებში ნიშნავს მხოლოდ

ამას: „სოფელში ხატავს“, ე. ი. მხატვარი სოფელშია და იქ ხატავს. გადავდივართ კონკრეტული მასალის ანალიზზე:

„... უფრ გაზფხულ ჩაღიან, ამალღებიდგეს“ (ხთ, 334, 32).

„ხუთშაბათ გათენებადა ანდაქს დახურეს ცანია“ (ხთ, 368, 33).

მოცემულ კონტექსტში გაზაფხულ „გაზაფხულზე“ „вечной“, ხუთშაბათ „ხუთშაბათს“ „в четверг“ ფორმები შეიძლება თავისუფლად შევანაცვლოთ გაზაფხულს, ხუთშაბათს ფორმებით მნიშვნელობის შენარჩუნებით. მიცემითში ნულოვანი გაფორმებით გარემოებად შეიძლება ხმოვანფუძიანი სახელიც შეგვხვდეს: „დილა დახკმაზეს ცხენები...“ (ხთ. 404, 22). „მეორე დილა უძახ.“ (თკ. 50, 203).

დილა ზმნიზედაა აქ მოყვანილ წინადადებებში. მისი მნიშვნელობაა „დილით“ „УТРОМ“. მას შეიძლება თავისუფლად შევეანაცვლოთ დილას: „დილას დახკმაზეს ცხენები“, მაგრამ დილა-0 „დილას“ ფორმას ვერ გამოვიყენებთ აქტანტად, ასეთ შემთხვევაში უთუოდ -ს(ა) სუფიქსია საჭირო, ვთქვათ: „ეგ სახე დილას ვაფერე“ (ე. ი. დილას მივამსგავსე). დილას აქ ირიბი ობიექტია და მას ნულოვანი ალომორფით ვერ წარმოვადგენთ მიცემითში.

ზემოთ განხილულ ფორმებში მიცემითი ბრუნვის მორფემის (ივარაუდება წარმოშავლობით) ნულოვანი ალომორფი ნიშანია გარემოების. რომელიმე „დილა ელოდებ“ წინადადება ნიშნავს მხოლოდ ამას: „დილით ელოდება“ „ЖДЕТ УТРОМ“ და არა ამას დილას ელოდება“ „ЖДЕТ УТРА“, სადაც დილას ირიბი ობიექტი იქნება. ანალოგიური ვითარება გვაქვს ადგილის ზმნიზედებთანაც:

„ქვე-ობანს შემოხკივლიან, ზე-ობანს შედგეს ზარიო,

ზე-ობან ზელათ ციხესა შიშით აქანებს ქარიო“².

პირველ ტაეპში ქვე-ობანს და ზე-ობანს ირიბი დამატებებია („ქვემო უბანს“ და „ზემო უბანს“) და ბრუნვის ნიშანიც -ს ალომორფით არის წარმოდგენილი. აქ დაუშვებელია {-ს}-ს /0/ ალომორფი. მეორე ტაეპში ზე-ობან გარემოებაა („ზემო-უბანში“) და შესაძლებელი გახდა /-ს/ დერივანტის /-0/-ით წარმოდგენა.

„მშავლის ჯარ თუ შატილიდგის (ხეჯს., ქდ, 13, 10).

„...წინ-წინ თქვენ გადახტორინდებით ბახტრიონ გალავანზედა (ხპ. § 25, 2). შდრ. „... ვანა შახყარე ლაშქარი, ბახტრიონს დაეც ლაშითა“ (ხპ, § 27, 6).

3 ა. შანიძე, I, 1984, გვ. 237— ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1984.

ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ადგილის გარემოება — „ბახტრიონში“, ბ ა ხ ტ რ ი-
ო ნ ს კ ი — ირიბი დამატება. ბ ა ხ ტ რ ი ო ნ შეიძლება იყოს მხო-
ლოდ გარემოება, ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ს კ ი — როგორც ირიბი დამატება,
ისე გარემოება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა: „სამამკო იციან
ქ ე ვ ს უ რ ე თ“ (ხევს., ქდ, 7, 25) და

„ქ ე ვ ს უ რ ე თ ს კ ა ც ი მოვიდა“ (ა. შანიძე, I, 1984, გვ. 71).

ქ ე ვ ს უ რ ე თ და ქ ე ვ ს უ რ ე თ ს აქ ერთი ფუნქციით — გარე-
მოების ფუნქციით არის ნახმარი. ქ ე ვ ს უ რ ე თ ფორმას აქტანტად
ვერ გამოვიყენებთ.

აქვე უთუოდ უნდა შევეხოთ ბ. გაბუურის ტექსტებში დადასტუ-
რებულ ჯ ო რ ც ფორმას მიც. ბრუნვაში დასმული ობიექტის ადგილზე:
„ჩიქვის ჯ ო რ ც მათანს პრიშტავ-ნაჩალნიკებს“ (გმ, 189, 18); „და-
უწყ ჯ ო რ ც დუღილი“ (გმ, 195, 14).

ქართულში საერთოდ პაუზის წინ /ცს/ გამოითქმის როგორც გე-
მინირებული /ც/ (პირობით აღენიშნავთ [ც] ნიშნით). მაშასადამე, [ც]
ბგერა უნდა ჩავთვალოთ /ცს/ კომპლექსის რეალიზაციად, ე. ი. ბი-
ფონემატურ ელემენტად. ბესარიონ გაბუურის ტექსტში, ბუნებრივია,
ეს ვერ აისახა და მიცემითში დასმული ობიექტი გამოთქმით კახურ,
მესხურ... კილოთა შესაბამის ფორმას დაუმსავსა. აქ ნათქვამი შე-
იძლება შემოწმდეს: ხევსურულში დერივანტი -ს, როცა ნულით იცე-
ლება (არხოტ-ს > არხოტ-0), იგი -ა დიერემის წინაც აღარ აღდგება
და გვექნება არ ხ ო ტ ა, ვთქვათ ასე: „ვაყებ შაყრილა არ ხ ო ტ ა“. მაგალითი ტექსტიდან: „ხახაბოს მიცუ- არ დ ო ტ ა ცხენთ და ხნეს
შარა-გზანია (ხთ, 371, 20). ხევსურულში ყოველად დაუშვებელია
ჯ ო რ ც ა ვარიანტად ჯ ო რ ც ა ფორმისა, რაც იმას ნიშნავს, რომ არც
ჯ ო რ ც არსებობს მიცემით ბრუნვაში. სიმპტომატური ჩანს ისიც,
რომ ალ. ჭინჭარაულს აქტანტად გამოყენებული მიცემითი ბრუნვის
-ს- დაკარგული ფორმისთვის არ აღმოაჩნდა მაგალითი საკუთარი ტექ-
სტებიდან და ბესარიონთანაც მეორე მაგალითი არ ჩანს.

„... კაცმა მიხილები და თმა დაშქრა და ღუმლის ძირ დამალა“
(მოხ., მივლ. მასალები).

„ჩვენ გაიბოტნელებს ცვეძახიან, კლდის თ ა ვ დასახლებულე-
ბს...“ (მოხ., მივლ. მასალები).

„ავი მებობელი შაქმელს ფეჩის ძირ ღმალავსო“ (მოხ., მივლ.
მასალები).

თუშურ დიალექტში ნულოვანი დაბოლოების ადგილის გარემო-
ებები ხმოვანფუძიანი სახელებიდანაც იწარმოება. ესენია ტოპონი-
მები:

„ხ ი ს ო ჯ არ ჩამოსულიყრ...“ (თქ. § 31, 1).

„ხ ი ს ო ჩქარა წასრულიყენეს“ (თქ. § 29, 11).

ხისო სოფლის სახელია თუშეთში. აქ წარმოდგენილ წინადადებებში ხისო აღვილის გარემოებაა: „ხისოში“; ასევე შეიძლება ზანაბო „ხანაბოში“, დანო „დანოში“ (სოფლების სახელებია). უდავოა, რომ ხისო მიღებულია ხისოს ფორმიდან -ს მაწარმოების ჩაეარდნით (ხისოს > ხისო).

აქ არ მოგვიყვანია ფშაური კილოს მაგალითები, მაგრამ იქაც ისეთივე ვითარებაა, როგორც ზემოთ აღწერეთ ხეცსურულში, თუშურსა და მოხეურში. გ. ცოცანიძე „ფშაურ დიალექტი“ წერს: „...ლოკატივად და დროის გარემოებად შეიძლება შეგვხვდეს 0 ვარიანტიანი მიცემითი ბრუნვის ფორმები: „თიანეთ, კახეთ; ამ ზაფხულ“⁴.

-ს განსხვავებულად იქცევა ბრუნვისა და წარმოქმნილ ფორმებში: ცნობილია, რომ საერთოდ ქართულში მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს არ იკარგება -თან თანდებულის წინ ხმოვანფუძიან სახელთა ფორმებში: მთასთან, წყაროსთან, ზესთან და სხვ. ფხოურ კილოებში -ს არ იკარგება თანხმოვანფუძიან სახელთა -თან თანდებულთან ფორმებშიც: კაცსთან, ცხვარსთან, კედელსთან და სხვ.

ფხოურ კილოებში როგორც კი -თან თანდებულთან ფორმა ბრუნვის ნიშანს დაირთავს ბოლოში, ე. ი. მიცემითი ბრუნვის ნიშანი და თანდებული ლექსიკური სტრატუმის ელემენტებად მოიქცევიან, წარმოქმნილ ფორმებში ფონემატური დაწოლით -ს, როგორც წესი, ვარდება ფორმიდან, მაგალითად: კალოთანა, ტბათანა, კითანა (<კიდ-ს-თანა-0)... ესენი გავრცელებული ტოპონიმებია და, ბუნებრივია, იბრუნვიან სხვა სახელთა მსგავსად კალოთანა-0, კალოთანა-მ, კალოთანა-ს...

ფხოური კილოები (მოხეური, ფშაური, ხეცსურული, თუშური) ზემოთ აღწერილი თავისებურებებით უპირისპირდებიან დანარჩენ კილოებს, რომლებშიც აქტანტები და გარემოებები მორფონოლოგიური ცვლილებებით არ არიან განსხვავებული.

განვიხილავთ სახელთა და ზმნიზედათათვის საზიარო სხვა ფორმებსაც, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავდებიან მორფონოლოგიური ცვლილებებით:

1. ღამე, როგორც სახელი, კვეცადია, მაგრამ სახელობითში არასოდეს კარგავს ბოლო ხმოვანს: „იღდა მშვენიერი ღამე“; „ღღეს ღამე მოსდევს“ და სხვ. როგორც ზმნიზედა კი იცვლება და ბოლო ხმოვანს კარგავს გარკვეულ შემთხვევებში: „ღღე და ღამ შრომობს“ (შდრ. „ღღე და ღამე ერთი მეორეს მოსდევენ“); შდრ. გურ. გუშ-ზამ (<გუშღამ) და თუშ. გუშღამ „გუშინ ღამე“ (დროის ზზ.).

⁴ გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978, გვ. 45.

2. ზმნიზედა ადვილად მოიქცევა სახელის ფუძედ, თუ ისეთ კონტექსტში ჩავსვამთ, სადაც ბრუნვის ნიშანს მიიღებს: „ხვალე გვიმედებს, ხვალე მუნდა მოგვიტანოს სიკეთე“. ამ წინადადების პირველი ხვალე სახ. ბრუნვაში დგას: ხვალე-0. ახლა თუ მორფონოლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ ამ ორ ხვალე ფორმას (ერთი ხვალე — ზზ., მეორე ხვალე-0 — არს. სახ.), მათ შორის დიდი განსხვავებაა: ხვალე ზმნიზედას ქართულში აქვს ვარიანტები: /ხვალე/, /ხვალ/ და /ხვალწ/. /ხვალწ/ მთის კილოებში გვხვდება: „წვალა ხვალწ“. გასუბსტანტივებული ხვალე კი ბოლო ხმოვანს არ დაკარგავს სახ. ბრუნვაში ქართული ენის არც ერთ ქვესისტემაში.

3. ზეგე, მემრე ზმნიზედებსაც სამ-სამი ვარიანტი აქვთ მთის კილოებში: ზეგე~ზეგწ~ზეგ, მემრე~მემრწ~მემრ.

აქვე მივუთითებთ თუშურში დადასტურებულ ხისოის „ხისოსკენ“ ფორმაზე „ჩაყო შემჯდარიყრ თავის ცხენზეა — დ' რომოლიყრ ხისოის“ (თქ, § 29, 11). ახლა უფრო გავრცელებულია ხისოსაკ ფორმა ამავე მნიშვნელობით. მე ხისოისაკ ფორმაც გამიგონია ჩაღმის ხეობაში, სადაც ეს სოფელია.

ხისოის ზმნიზედა იმით არის საყურადღებო, რომ /ო/ ხმოვნის მომდევნოდ ზმნიზედის დერივანტი {-ის} უცვლელად არის წარმოდგენილი — /ის/ სახით, მაშინ როცა მსაზღვრელის ფორმაში სახელის დერივანტი {-ის} იმავე /ო/ ხმოვნის მომდევნოდ წარმოდგენილია ხმოვნის გარეშე, /-ს/-ს სახით, მაგალითად: ხისოს ჯვარი, ხისოს თავწ და სხვ., არ შეიძლება „ხისოს ჯვარწ“ და სხვ.

ხისოის „ხისოსკენ“, მთის „მთისკენ“, აქის „აქეთკენ“, იქის „იქითკენ“... ტიპის ზმნიზედებს შეიძლება ვუწოდოთ მიმართულებითი, საპირისპიროდ გამოსვლითი ზმნიზედებისა ხისოთ „ხისოდან“, აქით „აქედან“ და სხვ.

ბუნებრივია, აქ გავახსენდეს ძველი ქართულის „მიმართულებითი ბრუნვის“ ფორმები (ჩვენთვის ისინი მხოლოდ ზმნიზედებია), რომელთა შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა დაგროვდა⁵.

ჯერ მთის კილოთა ფორმებს შესახებ: თუშურ სოფლის, აქის... ფორმებს ფშაურსა და ხევსურულში შეესაბამება სოფლისას, აქისას... თუშურის ზმნიზედის დერივანტი -ის ფშაურ-ხევსურულში წარმოდგენილია -ისას დაბოლოებით. არ ვხმარობთ ტერმინებს: ლატივი, აბლატივი, რომლებიც მთელ რიგ ენებში ბრუნვის ფორმებად არის მიჩნეული. მიმართულებითსა და

⁵ იხ., მაგალითად, ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, „მრავალთავი“, VI, 1978.

გამოსვლითს ჩვენ ვხმარობთ ზმნიზედათა გაგებით, რასაც ბრუნების პარადიგმათან არათყერი აქვს საერთო.

ფეიქრობთ, სოფლისას ტიპის ფშაურ-ხევსურული ფორმები მეორეულია: -ის დერივანტიანი ზმნიზედათა ფორმებია გადასული -ს დერივანტიან ზმნიზედათა ყალიბზე. ეს არ იყო ძნელი, რადგან ადგილობითი ზმნიზედას -ს დერივანტიანი ფორმები მიმართულეებითს მნიშვნელობითაც გამოიყენება. „სოფელს მიდის“ ან „სოფელ მიდის“ გამოთქმები ჩვეულებრივია მთის კილოებში და ნიშნავს ამას: სოფელში მიდის. -ის დერივანტიანი მიმართულეებითს სიძველეს მხარს დაუქერს -ით დერივანტიანი გამოსვლითი ზმნიზედების ფორმები, ესენი ერთი სისტემის წევრებია და, სავარაუდებელია, ერთსა და იმავე დროს არიან ჩამოყალიბებული: სოფელს „სოფელში“, სოფლით „სოფლიდან“, სოფლის(ა) „სოფლისკენ“. ამათ გვერდით არის და იყო -ად დერივანტიანი ფორმებიც: სოფლად, რომელსაც დღეს ადგილობითის გაგება აქვს („სოფელში“), მაგრამ ძველ ქართულში მიმართულეებითია და აქვს -დ და -ა დერივანტიანი ვარიანტები (იერუსალემ-დ, თოშეთ-ა).

ძველი ქართულის სოფლისა „სოფლისკენ“ ისეთივე მეორეული ფორმა ჩანს, როგორც ფშაურ-ხევსურულის სოფლისას.

თუ ძველი ქართულის სოფლისა ფორმაში -ა დერივანტს ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მივიჩნევთ თავისი წარმომავლობით, აქაც უნდა დავუშვათ ფორმათა გასწორება -ად~დ~ -ა დერივანტიან ზმნიზედათა ყალიბზე, მსგავსად ფშაურ-ხევსურულისა, სადაც სწორება მოხდა -ს დერივანტიანი ზმნიზედების ყალიბზე.

მორფონოლოგიური ცვლილებები ადამიანთა საკუთარ სახელებში

მორფონოლოგიური ცვლილების თვალსაზრისით ფრიად საყუ-
რადლებო და სპეციფიკურია ადამიანთა რქმევის სახელები. მათი ბრუ-
ნების დროს თავს იჩენს გარკვეული პარადიგმატული სხვაობა: ქვე-
სისტემებში ბრუნების პარადიგმაში გვიჩვენებენ მორფონოლოგიურ
ცვლილებათა ვარიანტებს, რომლებიც უკავშირდება მორფოლოგიურ
და ფონემატურ მოვლენათა ერთდროულ მოქმედებას გლობალურ
სისტემაში. ამ ასპექტით განვიხილავთ სახელობითი ბრუნვის {-ი}
ნიშნის მიხორცების შემთხვევებს სახელის ფუძესთან.

ადამიანთა რქმევის სახელების (ანთროპონიმების) ბრუნება მრავალგზის ყოფილა ქართული ენის სპეციალისტთა მსჯელობის საგანი. დღეისთვის კარგად არის ცნობილი ის თავისებურებანი, რაც ამ რიგის სახელებს ახასიათებთ ქართულში.

ანთროპონიმთა თავისებურებანი შეიძლება ორად დავაჯგუფოთ: თავისებურებებად, რომლებიც საერთოა ქართული ენის ყველა ქვესისტემისთვის, და თავისებურებებად, რომელთა მიხედვით ქვესისტემები განსხვავებას გვიჩვენებენ.

პირველი რიგის თავისებურებანი ანთროპონიმთა ბრუნებაში უთუოდ სოციალური ვითარებით არის შეპირობებული, რადგან მათი ახსნა ვერ მოხერხდება ფონემატური და მორფოლოგიური მიზეზებით. განვიხილოთ ისინი:

(1) ანთროპონიმები არც იკვეცებიან და არც იკუმშვიან, მაშინ როდესაც მსგავსი ფონემატური აღნაგობის მქონე საზოგადო და გეოგრაფიული სახელები გარკვეულ ენობრივ გარემოში, შესაბამისად სარედუქციო ხმოვნის პოზიციისა, უთუოდ განიცდიან კვეცას ან კუმშვას: არ შეიძლება შოთ(ა)-ის, თამ(ა)რ-ის, მაგრამ ბუნებრივია მასალ(ა)-ის, კედ(ე)ლ-ის; ახმეტ(ა)-ის, ელდ(ა)რ-ის (მაგალითად, ელდ-

რის მიხედვები; შდრ. ანთროპონიმი ელდარის: არ შეიძლება ელდარის).

(2) ანთროპონიმებს არა აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმები, შიუხედავად იმისა, რომ მათი აღსანიშნიც ხშირად ერთზე მეტია. თუ რამდენიმე ხე მრავლობითში იძლევა ხეები, ხენი ფორმებს, თეორიულად, რა თქმა უნდა, რამდენიმე პეტრე-სთვისაც შეიძლება და ასეთივე ფორმების წარმოება.

ანთროპონიმთა როგორც პირველი, ისე მეორე თავისებურება უთუოდ სოციალურად არის შეპირობებული, როგორც, ვთქვათ, კავკასიურ ენებში საზოგადო სახელთაგან ერთადერთი ღმერთი სახელის შეტანა მამაკაცთა გ-კლასში და ისიც, რომ ამ კლასში, მამაკაცისა და ღმერთის აღმნიშვნელი სახელების გარდა, ლხვა სახელი ვერ შემოვა.

მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების მიხედვით ანთროპონიმთა თვისებას იჩენენ ტოპონიმებიც.

რიცხვის გამოხატვისა და ზოგი სხვა თვისების, მაგალითად, ბრუნების, მიხედვით ისტორიულად ანთროპონიმები და ტოპონიმები არსებითად ერთნაირ ხასიათს ავლენენ, განსხვავებულს საზოგადო სახელთაგან. რიცხვის გამოხატვის მიხედვით ძველი თავისებურება დღემდე ძალაშია; ბრუნების მიხედვით მათ ცვლილებას — საზოგადო სახელთა ბრუნებაზე გადასვლას კი დიდი ხნის ისტორია აქვს, ეს უკანასკნელი, როგორც ვნახეთ, კანონზომიერი პროცესია ქართული ენის განვითარებაში, ამიტომ მას საბოლოოდ დაემორჩილნენ ტოპონიმებიც (უფრო ადრე) და ანთროპონიმებიც. ქართული ენის სალიტერატურო ქვესისტემაში ტოპონიმთა და ანთროპონიმთა გათანაბრება ბრუნების მიხედვით ჯერ კიდევ არ დამთავრებულა: წოდებით ბრუნვაში თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ანთროპონიმები ყოველთვის ნულოვანი ალომორფით არიან წარმოდგენილი, ტოპონიმები კი ფორმდებიან {-ო} მორფემით (/ო/ და /ვ/ ალომორფებით).

ბრუნების მიხედვით საკუთარ სახელთა გათანაბრება საზოგადო სახელებთან უკავშირდება ისტორიული (ძველ ქართულამდელი) განსაზღვრებითი ელემენტების (-ი, -მან, -ა) ბრუნვის ნიშნებად ქცევას. -ა ბრუნვის ნიშნის კომპონენტი გახდა მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნებებში). ძველ ქართულში ამ ელემენტთა რეინტერპრეტაცია სრულიად დამთავრებულია. საკუთარ სახელთა ბრუნების გათანაბრება საზოგადო სახელებთან გარდაუვალი პროცესი იყო.

მეორე რიგის თანდასებურებანი მორფოფონემატური (მორფოფო-

1 ელდარის ტოპონიმია წითელწყაროს რაიონში.

ნოლოგიური შემოკლებით — მორფონოლოგიური) ხასიათისაა: (1) ანთროპონიმები წოდებით ბრუნვაში სალიტერატურო ქვესისტემაში წარმოდგენილი არიან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნულოვანი ფორმებით: პეტრე-0, თამაზ-0 და სხვ. ნულოვანი მორფემა აქ ღვინდება შესიტყვების სხვა წევრთა მეშვეობით ამხანაგო პეტრე-0, ძმა-ო თამაზ-0 და სხვ. (შდრ. რუსულში სქესის განსაზღვრა მსაზღვრელის მიხედვით: Круглый сырта და круглая сырта, ხოლო ინგლისურში კორელატი he, she, it ნაცვალსახელებით). სხვა ქვესისტემებში — დიალექტებში კი ანთროპონიმები უთანაბრდებიან საზოგადო სახელებს და ირთავენ {-ო} მორფემას, რომელიც პოზიციების მიხედვით ფორმდება /-ო/ და /-ვ/ ალომორფებით. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ვითარება კარგად არის ცნობილი.

წოდებითი ბრუნვის -ო სუფიქსი დიალექტების მიხედვით მეტწილად უხორცილება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნვებშიც გადადის როგორც ფუძის შემადგენელი ნაწილი: ეთერო-0, ეთერო-მ, ეთერო-ს... ანალოგიურია დავითო, თამარო... სახელების ბრუნება.

ფუძესთან შეხორცებული -ო სალიტერატურო ქართულშიც ბუნებრივია კნინობის ფორმებში: დათიკო, თინიკო, თამრიკო და სხვ.

ა. შანიძე -იკო დაბოლოებას შლის იკ-ო სუფიქსებად. მისი განმარტებით, '-იკო'-ში „ეს ო თავდაპირველად წოდებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო (მამ-იკო, დედ-იკო), მაგრამ შემდეგ იგი ფუძეს შეზრდია...“² ამ ვარაუდს განამტკიცებს -იკ სუფიქსი -ო-ს გარეშე. ერთი მაგალითი თვით ა. შანიძეს მოჰყავს: ბეს-იკ-ი,³ რომლის დიალექტური ვარიანტია ბესიკო (ბესიკო-მ, ბესიკო-ს...). -იკ სუფიქსით ბოლოდდება საზოგადო სახელთა შემდეგი ფორმები: ბუნ-იკ-ი (შდრ. ბუნ-ი), ქოშ-იკ-ი (შდრ. ქოშ-ი), ვაც-იკ-ი (შდრ. ვაც-ი), კოდ-იკ-ი (შდრ. კოდ-ი) და სხვ.⁴

(2) ანთროპონიმებში ქართული ენის ზოგი ქვესისტემის მიხედვით აღვილი აქვს სახელობითი ბრუნვის -ი-ს შეხორცებას თანხმოვანთ დაბოლოებულ სახელთა ფუძეებთან: ეთერ-ი > ეთერი-0 (ეთერი-0, ეთერი-მ, ეთერი-ს...).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, ასეთი ფორმები ჯიუტად იჭრება სალიტერატურო ენაში⁵. ცალკეულ გრამა-

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 21.

3 იქვე.

4 ჩამოთვლილი ფორმები იხ. ქეგლ-ში.

5 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970, გვ. 78.

ტიკოსთა და სპეციალისტთა საგანგებო კომისიების სასტიკი წინა-აღმდეგობის მიუხედავად, ამ რიგის ფორმები უფრო და უფრო ეძა-ლება თანამედროვე ქართულ მეტყველებას. საზოგადო სახელებში ანალოგიური ვითარება მიცემით ბრუნვაში მხოლოდ ქვემო იმერულ-ში არის დადასტურებული⁶. მოვლენათა ასეთი განვითარება მოსა-ლოდნელიც იყო — თანხმოვან ფუძიანი სახელების მი-ერ ხმოვნის მიხორცება ფუძის ბოლოს ზოგიერთ ბრუნვაში ქართული ენისთვის კანონზომიერო-მორფოფონემატური პროცესია (რაც შესაძლოა განხორციელდეს ფონემატურად ტოლფასი სხვა რიგის ფონეტიკური ცვლილებითაც). ხშირად ახალი ფუძის განზოგადებაც ხდება მთელს პარადიგმაში.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ საკითხებს, საგან-გებოდ გვექნება მსჯელობა მათ შესახებ, მანამდე კი სრულად წარმოვადგენთ ანთროპონიმთა ფორმალურ ვარიანტებს ბრუნვათა მიხედვით ქართული ენის ქვესისტემებში, (3) ანთროპონიმები ფუ-ძის ბოლოს იხორცებენ /ე/ ხმოვანსაც — ისინი დადასტურებულია როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში. მაკარი-, მაკარიე- და პორფირი-, პორფირე- სახელებში ფუძედ მო-სალოდნელი იყო ბოლოში უხმოვანო ვარიანტი: მაკარი-, პორ-ფირ-⁷. თუშურ კილოში ჩვეულებრივია გრიგოლე (უფრო ხში-რია გრიგოლე ვარიანტით), გურამე, ნოდარე, ადამე, დევი-დარე... ფორმები სახელობითში. /ე/ ყველა ბრუნვაში გადასდევს სახელს.

(4) თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ფუძის ბოლოს კარგავენ მარცვალს ან მარცვლებს და ბოლოვდებიან /ო/ ხმოვანზე, რომელიც გვიან არის მიხორცებული ფუძესთან ან წარმოშობითვე ფუძისეუ-ლია: (ა) ავთანდილ- /ავთო, გაბრიელ- / გაბრო-, ეთერ- / ეთო-, მიხეილ- / მიხო-, გარსევან- / გარსო-, რაჟდენ / რაჟდო-, ვახტანგ- / ვახტო... ეს -ო დაბოლოება წარმოშო-ბით წოდებით ბრუნვისაა, როგორც ეთერო, თამარო, დავითო... სა-ხელებში და, მაშასადამე, მარცვალთა მოკლების შემდეგდა მიხორცე-ბული. „შემდეგლა“ აქ მსჯელობის დონისაა: მარცვალთკლება და -ო-ს გაჩენა-მიხორცება ერთდროული პროცესი ჩანს. ეს /ო/-ც ახელის

6 ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულს უხუთური მეტყველება, ქუთაისის პე-დინსტიტუტის შრ., VIII, 1948.

7 მ. შანიძე, ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში, კრებულში: თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, 1969, გვ. 135.

ფუძეს ყველა ბრუნვაში გადასდევს. (ბ) თანხმოვანფუძიან ანთროპონიმა ფუძეში /ო/ თუ თავისთავად მოიპოვება, ფუძის დასასრულს ბგერათდაკარგვა მასზე ჩერდება და თანხმოვანფუძიანი სახელის ნაცვლად ვიღებთ ხმოვანფუძიანს: პლატონ-/პლატონ-, სამსონ-/სამსონ-, მელიტონ-/მელიტონ-. ამ სახელებში, როგორც ვხედავთ მხოლოდ ფუძისეული თანხმოვანი იკარგება.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ ენაში არა გვაქვს ერთმარცვლიანი ანთროპონიმები⁸. როგორც ჩანს, ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან ანთროპონიმა უქონლობა სტრუქტურული ფაქტია ქართულში, რადგან ენას ჰქონდა მათი შექმნის შესაძლებლობა როგორც ნასესხები, ისე თვით ქართულში შექმნილი სახელების მიხედვით, მაგრამ ყველა აიცილა: ერთმარცვლიანი იყო ნასესხები გივი-, თურ-, ვის-, ტუს⁹, ქუჯ- (შდრ. ოპ. КХЗ)¹⁰. ქართულში ესენი გახდნენ /ი/-ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანები (გივი-, თური-, ვისი-, ტუსი-, ქუჯი-). ამ ფუძეთა ხმოვნით გაფორმება შემოსვლისთანავე დაიწყო. ასევე ნასესხები ლალ- აპლატივიდან შეიქმნა ხმოვანფუძიანი ქართული ანთროპონიმი ლალი-.

აქვე უნდა მივეთითოთ ნასესხებ ლილი, მერი, გარი... ანთროპონიმებზე, რომელთაც ფუძის მიხედვით, თუ მარცვალთა რაოდენობას არ მივიღებთ მხედველობაში, ფუძისეული ბოლო /ი/ უნდა დაეკარგოთ¹¹. მ. შანიძე გივი-, ვის-, ტუს- და სხვა მსგავს ფუძეებში სახელობითი ბრუნვის -ის მიხორცებას ხსნის იმით, რომ ქართულში ერთმარცვლიანი ფუძის მქონე ანთროპონიმები არა გვაქვს, რის გამოც „გივი სახელის ხმოვანფუძიანობა დღეს სალიტერატურო ქართულის ნორმებს არ ეწინააღმდეგება“¹². მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამავე მიზეზით უცვლელად დარჩა ფუძისეული ბოლო /ი/ ნასესხებ ლილი, მერი... ტიპის სახელებში — ბოლო /ი/-ს დაკარგვით ფუძეები ერთმარცვლიანი გახდებოდნენ.

8 მ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 141; ზ. ჭუმბურიძე, პიროვნულ სახელთა სტრუქტურა ქართულში, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა VIII რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, 1970, თეზისები; შ. აფრილონიძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა საერთო ფუნქციისათვის ქართულში, კრებულში: თსუ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, №№ 3—4, 1974, გვ. 105.

9 მ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

10 შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 139.

11 მ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

12 იქვე, გვ. 142.

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ანთროპონიმთა ფუძეების სწრაფვას ხმოვნით დაბოლოებისაკენ, რის გამოც თანხმოვნით დაბოლოებული ერთმარცვლიანი ფუძეები ორმარცვლიანებად იქცნენ, ხოლო ორმარცვლიანები — სამმარცვლიანებად (ლალ-/ ლალი-, გივ-/ გივი; გურამ-/ გურამი-, გურამე-, ეთერ-/ ეთერი-, ეთერო-..., ხმოვნით დაბოლოებული ფუძეები კი უცვლელად შემოგვრჩნენ ლილი-, მერა...).

ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც დასტურდება სამმარცვლიან თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეთა გათხმარცვლიანების შემთხვევებიც. ამირან-/ ამირანი- (ამირანი-მ, ამირანი-ს), გარსევანი-, დურმიშხანი-... ზოგი ასეთი ფორმა ადრეც შეიმჩნევა — მ. შანიძემ ისტორიულ საბუთებში დაადასტურა ავთანდილიმ ფორმა¹³.

აქ წარმოდგენილი იყო ფუძის ბოლოს დართული /ი/, /ე/, /ო/ ხმოვნები. არანაკლები, უფრო მეტიც, გავრცელება აქვს /ა/ ხმოვნისაც ანთროპონიმთა ფუძეების ბოლოს. მას, როგორც ცნობილია, უკავშირებენ კინობითობას¹⁴ (მოფერება, დამცირება...), მაგრამ გრაგოლა /გირგოლა// გრიგოლე|| გიგოლე|| გიგოლა, სიმონა, ანტონა, არსენა, არტემა, არჩილა, ბაგრატა, ბეჟანა, ჯურგენა, ვასილა, მარკოზა, ნესტორა... ანთროპონიმები დღეს აღარ ატარებენ კინობის შინაარსსა და ელფერს ქართულ კილოებში. როგორც სხვა ანთროპონიმთა ფუძეების ბოლოს სხვა პირობებში გაჩენილი /ი/, /ო/, /ე/ ხმოვნები თავდაპირველად რაღაც ფუნქციით იყვნენ აღჭურვილი და შემდეგ გახდნენ უფუნქციო და შეერწყნენ სახელთა ფუძეს „რიგით“ შემადგენლად, ასევე წარმოქმნის — ელემენტიც ჩამოთვლილ სახელებში და ბევრ სხვაშიც, რომლებიც აქ არ მოგვიყვანია, ფუძის რიგითი კონსტიტუენცია. ეს განაპირობა იმან, რომ ხმოვნით დაბოლოება უპაპუხებს ფუძეთა მორფოფონემატიკურ მოთხოვნას.

ჯერჯერობით ეს ვარაუდი უნდა დავამყაროთ იმას, რომ ხმოვნით დაბოლოებული ფუძის ბოლოს ხდება მხოლოდ ანთროპონიმთა თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებში. სხვა მიზეზზე ქვემოთ ვიმსჯელებთ.

აქ არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხნის წინათ შემჩნეული ტენდენცია, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულს, კერძოდ, ეს არის /ი/-ს დაკარგვა ანთროპონიმთა ფუძეების ბოლოს: გრიგოლი-/გრიგოლ-, ანტონი-/ანტონ- და სხვ.

ს. ყაუხჩიშვილმა გაარკვია, რომ ეს სახელები ბერძნული — მც ბოლოკიდურიანი ანთროპონიმების ვოკატივის ფორმით არიან გად-

13 მ. შანიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 143.

14 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 120.

მოღებულნი ძველ ქართულში, შემდეგ და შემდეგ ფუძისეული ბოლო-
/ი/ დაიკარგა, რადგან აღქმულ იქნა სახელობითის -ი სუფიქსად¹⁵,
მ. შანიძემ კი გაარკვია ამ /ი/-ს დაკარგვის პოზიცია: VCs — ჯ¹⁶. აქვე
მან მიუთითა გამონაკლისებზეც, ასეთებია: ევგენი-, კორნელი-, მაკა-
რი- და სცადა გამონაკლისთა არსებობის მიზეზების მიკვლევაც (სხვა
ენის გავლენა, მწიგნობრული ტრადიცია...).

სიმპტომატურია, რომ იგივე ევგენი აღმოსავლურ კილოებში
გავრცელებული არის ევგენა-ს სახით და ამავე დროს სრულები-
თაც არ ატარებს კნინობითობის გაგებას (უბრალოდ საპირისპირო ევ-
გენი აკლია), ე. ი. მაინც ხმოვანფუძიანად დარჩა. არადა მან ჯერ /ი/
დაუქარგავს ბოლოში და /ა/ შემდეგლა დაურთავს (ევგენი-/ევგენ-/
ევგენა-). სხვა გზით ბოლო ფორმას ვერ მივიღებდით, ე. ი. სახელი
მაინც ხმოვნიანი დაბოლოების მქონე გახდა. ეს სწრაფვა ხმოვნით და-
ბოლოებისაკენ ხომ იმითაც გამოიხატა, რომ დღეს, როგორც ზემოთ
მივუთითეთ, სალიტერატურო ენას მოეძალა ხმოვანფუძიანი გურამი-,
ეთერი-, ოთარი-... ფორმები, რომ არაფერი ვთქვათ ანთროპონიმთა
იხეთ ფორმებზე, რომელთაც ფუძის ბოლოს ჩქამიერი თანხმოვანი
აქვთ ან თანხმოვანთა კომპლექსი — ესენი ხმოვანფუძიანები გახდნენ
(უშანგი-, ვახუშტი-, ვახტანგი-...)¹⁷.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ნასესხებ ანთროპონიმებში ქარ-
თული ენის ზოგი ქვესისტემა, პირიქით, ჩქამიერი თანხმოვნის მომ-
დევნოდაც კარგავს ძირეულ /ი/ ხმოვანს, რაც აგრეთვე კარგად არის
ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან: აკაკი- /აკაკ-, გიორგი- /გი-
ორგი- (მთის კილოები, კახური), შესაბამისად ფუძისა, ბრუნებაში
გვაქვს აკაკ-ს გიორგ-ს ფორმები. ეს ის ტენდენციაა, რომელიც
ისტორიულად გრიგოლი- /გრიგოლ- მონაცვლეობაში გამოვლინდა სა-
ლიტერატურო ქვესისტემაში, თუმცა იმავე სალიტერატურო ქართუ-
ლისთვის უცხოა აკაკი- /აკაკ- ტიპის მონაცვლეობა. მაშასადამე,
მთელი ენის მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ფუძისეული ბოლო ხმოვ-
ნის დაკარგვა თუ გაჩენა ერთიმეორეს კი არ მისდევს დროში, ისინი
ერთდროული პროცესებია, ოღონდ განსხვავებული ქვესისტემათა
მიხედვით. არც ის არის გამორიცხული, რომ ერთსა და იმავე ქვესის-
ტემაში დავადასტუროთ ორივე ტენდენცია, ასე მაგალითად, თუშურ-
ში აკაკ-მ, აკაკ-ს ფორმათა გვერდით თანაარსობენ გურამე მ,
გურამე ს, გურამე მ... ფორმები. როგორც ვიცით, ძველ ძეგ-

15 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული მამაკაცთსახელების გადმოცემისათვის
ქართულში, არილი, 1925, გვ. 98.

16 მ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

17 იქვე, გვ. 141.

ლებშიც ხშირია ერთიმეორის გვერდით ხმარება საპირისპირო ფუძე-
ებისა, როგორცაა: გ რ ი გ ო ლ ი-, გ რ ი გ ო ლ-, უ შ ა ნ გ ი-, უ შ ა ნ გ-
ლა სქვ.

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილის შემდეგ ბუნებრივია დაისვას
კითხვა: რა იწვევს ფუძისეული ბოლო /ი/ ხმოვნის ასეთ განსხვავე-
ბულ ქცევას ანთროპონიმებში, ე. ი. გ რ ი გ ო ლ ი- ტიპის ფუძეებში
ბოლო /ი/-ს დაკარგვას (გრიგოლი- /გრიგოლ-), ამის საპირისპიროდ
გივ-, უშანგ- ტიპის ფუძეებში, პირიქით, სახელობითი ბრუნვის ნი-
შნის ხარჯზე /ი/-ს გაჩენას (გივ- /გივი-, უშანგ- /უშანგი-), ხოლო ნა-
სესხები მ ე რ ი- ტიპის ანთროპონიმთა ფუძეებში ბოლო /ი/-ს უცვ-
ლელად შენარჩუნებას, საწინააღმდეგოდ იმ წესისა, რომელიც მო-
ქმედებდა ასეთი დაბოლოების მქონე სამმარცვლიან ანთროპონიმებში?

ექვი არ არის, ეს ცვლილებები ანთროპონიმთა ბრუნებაში მორ-
ფოფონემატური ხასიათისაა, ამიტომ (ა) ისინი უნდა განვიხილოთ სა-
ხელთა ბრუნების მთელი სისტემის ფარგლებში (საკუთარი და საზო-
გადო სახელები), (ბ) უნდა გაიკვეს თითოეული ტენდენციის მორ-
ფოლოგიური ან ფონემატური საფუძველი და გამოვლინდეს ამა თუ
იმ ტენდენციის რეალიზაციის ფონიკური ვარიანტები საერთო მორ-
ფონოლოგიურ ხასიათზე მითითებით. მაშასადამე, ზემოთ დასმულ
კითხვაზე გაცემულმა პასუხმა უნდა გამოავლინოს სტრუქტურული
მიზეზი — არსი პირველი ბიძგისა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს
მორფოფონემატურ ცვლილებათა მექანიზმი საკუთარ სახელთა ბრუ-
ნებაში.

ქართული ენის სახელთა ბრუნების ანალიზის დროს, პირველ
ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ამ ენის ის მორფოლოგიური და
ფონემატური თვისებები, რომელთა მოქმედება სავარაუდებელია სა-
ხელთა ბრუნების ფორმებში. სწორედ ამ თვისებებზე დამყარებით
უნდა ავხსნათ ცვლილებები როგორც ცალკეულ ფორმებში, ისე ბრუ-
ნების ერთიან მოდელში. ქვემოთ მათ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ.

I. ფონემატურ თვისებათაგან ბრუნებისას გასათვალისწინებე-
ლია შემდეგი:

1. ქართულ ენას აქვს სიტყვის ბოლოს მარცვლის დახურვის ტენ-
დენცია. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ქართული სუფიქსის
კანონიკური მოდელი: -VC¹⁸. სწორედ ამას უკავშირდება ფუძისეუ-
ლი და სუფიქსისეული ხმოვნების ჩაყარდნა სახელთა და მეტყველე-
ბის სხვა ნაწილთა აბსოლუტურ ბოლოში¹⁹. დახურული მარცვლისკენ

¹⁸ თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლა-
უტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 304.

¹⁹ თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ.
133 და შემდეგ.

შიდრეკილება საერთოა — ქართველური ტენდენციაა²⁰. ამ ტენდენციას ხელს უწყობს ისიც, რომ ძირეული კანონიკური მორფემის სტრუქტურა აგრეთვე თანხმოვნით ბოლოვდება²¹ (ან თანხმოვანია). სახელთა ამა თუ იმ ბრუნვის ნულოვანი ალომორფით რეალიზაციის დროს სიტყვის ბოლოს ამ შემთხვევაში თანხმოვანი იქნება (მაგ.: კაც-0 მთის კალთა სახელობითში და კაც-0 ქართლ-კახურის მიცემითში).

2. ქართული ენისთვის ბუნებრივია სიტყვათა ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი ფორმები. ასეთი ვარაუდის საფუძველს ქმნის ის, რომ ფუძისეულ ხმოვანთა რედუქცია კუმშვის გზით იწყება სახელთა სამ- და მეტმარცვლიან ფორმებში²². ეს დებულებაც ქართველური ენების მასშტაბისა ჩანს.

3. სახელთა ფორმებში ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზებისა და მიმართების დასადგენად უთუოდ გასათვალისწინებელია ფონემათა ხინტაგმატური თვისებები. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით საჭიროა მსჯელობა როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა კომპლექსებზე, რამდენადაც სახელთა ფუძეები შეიძლება დაბოლოვდეს როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე და ასევე ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებიც დაიწყოს როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე: (ა) ქართული ენისთვის ბუნებრივი არ არის ხმოვანთა კომპლექსები, რა, გამოცემორფემათა შესაყარზე შექმნილ ხმოვანთა კომპლექსებში მოსალოდნელია ფონეტიკური ცვლილებები, რაც გამოიხატება ენის მისწრაფებით ხმოვანთა კომპლექსი დაშალოს ან მოსპოს²³. თუ რომელი ხმოვანი დაიკარგება ან შეიცვლება (დიფთონგიზაცია, ასიმილაცია...) იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული მორფემათა ზღვარის ხმოვანთა კომპლექსები, ამისთვის, გარდა ზემოთ აღნიშნული თვისებებისა, არსებითია მარკირების მიმართებანი ხმოვნებს შორის. ჩვიანობით, ქართულ ხმოვნებში მარკირების ხარისხი მატულობს ამ თანამიმდევრობით: /ა/ > /ე/ > /ი/ > /ო/ > /უ/²⁴ — ხარისხი მატულობს ისრის მიმართულებით.

მარკირებული ხმოვნები ფონეტიკურ ცვლილებათა მიმართ უფრო დიდ გამძლეობას იჩენენ, ვიდრე არამარკირებულები, რაც კარგად დასტურდება ქართული ენის სახელთა ფუძეების კვეცის, კუმშვის, დიფთონგიზაციისა და ხმოვანთა შერწყმის პროცედურებით.

20 თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ. 133.

21 თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 304.

22 თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167 და შემდეგ.

23 იქვე, გვ. 32 და შემდეგ.

24 იქვე, გვ. 24.

მარკირებული ხმოვნები ფონეტიკური გარდაქმნის დროს ხშირად ტო-
ვებენ კვალს საკორელაციო ნიშნების სახით ([ა], [ვ] ან [უ])²⁵.

აღნიშნული საკითხი ვრცელ კვლევას მოითხოვს. აქ წარმოვად-
გენთ ძირითად მომენტებს: ევეცასა და ეუმშვას ემორჩილებიან /ა/
და /ე/ ფონემები, არ ემორჩილებიან /ო/ და /უ/; /ო/ ნაწილობრივ
რედუცირდება; /ო/ იძლევა /ა/-ს, ხოლო /ო/- /ვ/ტ/-ს (ძმაი > ძმაა, დე-
დაო > დედაე) და სხვ.

ყურადღებას აღნიშნულ მიმართებებში იწვევს ასეთი სხვაობა:
{ხე-ის} > /ხ-ის/ და {ხე-ი} > /ხე-ა /ან /ხე-0/. ხმოვანთა ერთსა და იმა-
ვე კომპლექსში (/ეი/), როგორც ვხედავთ, ფონეტიკური პროცესი
განსხვავებულად არის წარმართული. აქ გასათვალისწინებელია ის,
რომ მეორე შემთხვევაში /ო/ ჰიტყვის აბსოლუტურ ბოლოშია. მის
ცვლილებაზე ნაკლებ მარკირებული /ე/-ს გვერდით, გარდა იმისა,
რომ იგი ხმოვანთა კომპლექსის კომპონენტია, გავლენას ახდენს ისიც,
რომ ჰიტყვის დასასრულსაა, სადაც არ არის ხმოვნის ადგილი. ამი-
ტომ იგი უნდა თანხმოდეს იქცეს, ე. ი. გაუმარცხოვდეს, ანდა დაი-
კარგოს სრულიად, რაც ხდება კიდევ ქვესისტემებში. მსჯელობას
აღარ განვაგრძობთ. ამჟამად ჩვენი მიზანი არის, სპეციალისტთა ყუ-
რადღება მივაქციოთ მხოლოდ იმ ფაქტორებს, რომლებიც სჭირდება
ბრუნების მოდელის შინაგანი მოძრაობის აღწერას.

(ბ) რადგან ბრუნვის მორფემათაგან ქართული ენის ყველა ქვე-
სისტემაში ნებისმიერი სახელის ფუძესთან შესაძლოა ერთადერთი
მიცემითის სუფიქსი იყოს მხოლოდ თანხმოვნით წარმოდგენილი,
თანხმოვანთა სინტაგმატურ მიმართებას ბრუნების პარადიგმაში გან-
ვიხილავთ ამ რაკურსში.

თანხმოვანთა სინტაგმატური ძირითადი კანონზომიერებით, ყო-
ველი ჩქამიერი თანხმოვანი მის წინ მდგომი თანხმოვნისგან
გარკვეულ პოზიციებში (‡ — V და V — ‡) უნდა განსხვავდებოდეს
კლასით, მეტი იყოს მასზე ნაპრალოვნებით და უნდა იყოს ჰომოგე-
ნური (ე. ი. იდენტური სახმო სიმების მოქმედების მიხედვით). სო-
ნორთა წინ ჰომოგენურობის მიხედვით შეზღუდვა არ არის ქართულ-
ში²⁶.

თანამედროვე ქართულში -ს ამ ნიშნების მიხედვით ბუნებრივ
კომპლექსებს შექმნის /ფ/-სა და /ქ/-სა მომდევნოდ (და /ვ/-ს მომდე-
ვნოდ, სადაც ეს ფონემა შემონახულია), დანარჩენ შემთხვევებში
იქმნება არაბუნებრივი კომპლექსები (მაგ.: კაც-ს, საბაბ-ს, თავ-ს, ბუკ-ს,

25 თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 34.

26 იქვე, გვ. 103 და გვ. 110.

თით-ს და სხვ.), რაც ბუნებრივია, იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს ბრუნვის ფორმებში.

11. მორფოლოგიურ თვისებათაგან ბრუნებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. წინადადებაში სახელი უთუოდ რომელიმე ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი (გამორიცხულია ფუძით!).

2. სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი ბრუნვის ნიშანი.

3. სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი რიცხვის ნიშანი.

ჩვენი დებულებები აქვე მოითხოვს განმარტებას, რამდენადაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობენ სახელთა როგორც ფუძით წარმოდგენილ ფორმებზე, ისეთ ფორმებზე, რომლებშიც ერთდროულად წარმოდგენილია ერთზე მეტი ბრუნვის ნიშანი.

1^ა. როდესაც ფორმა ფუძის სახით წარმოდგენილად მიაჩნიათ, სინამდვილეში სახელი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი რომელსავე კონკრეტულ ბრუნვაში; მაგ.: პატარა-0 მდინარე-0; ლამაზ-0 მთა-ს. ნულოვანი ალომორფები გვაქვს ნათესაობით ბრუნვის ფორმად მიჩნეულ ე. წ. „მართულ მსაზღვრელშიც“: ამხანაგის-0 წიგნ-ი, ამხანაგის-0 წიგნ-მა... და სხვ. (იხ. ქვემოთ).

2^ა. როდესაც ერთ ფორმაში თავმოყრილია ორი ან მეტი ბრუნვის ნიშნად გამოყენებული მორფემა, გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ ერთი მათგანი, დანარჩენი განიცდის რეინტერპრეტაციას და უხორცდება ფუძეს. აქ ვითარებას წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითის მიხედვით. ვრცლად ამის შესახებ სხვაგან ვმსჯელობთ.

რომელიმე ორ-ი, ორ-ი-ვე ფორმებში -ი სახელობით ბრუნვის ნიშანია, მაგრამ ორივე-მ, ორივე-ს, ორივე-ის//ორივე-აი, ორივე-თი ფორმებში ეს ი უკვე ფუძის ნაწილია და აღარაფერი აქვს საერთო ბრუნვის გამოხატვასთან, თუმცა ლექსიკური თვალსაზრისით ახალი არაფერი შეაქვს ფუძეში. ასევე თავის-ი, ხვისის-ი || თავისა-0, სხვისა-0 ფორმებში -ის /-ისა ფუძისეულია, რადგან წარმოქმნის ელემენტებად იქნენ რეინტერპრეტირებული და ლექსიკური თვალსაზრისით არსებით ცვლილებას იწვევენ ფუძეში (სხვა- და სხვის-ფუძეები სრულიად სხვადასხვა ობიექტზე მიუთითებენ). ეს მსჯელობა ვრცელდება კუთვნილებით სახელებზეც, როგორც არის კაცის-0, კაცისა-0: კაცის წიგნი, წიგნი კაცისა. ვისები, კაციხები ტიპის ფორმათა არსებობა უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ -ის

წარმოქმნის ელემენტად არის რეინტერპირებული (მაგ.: წიგნები ამ კ ა ც ი ს ე ბ ი ა...).

3. ასევე შეუძლებელია ორი ან მეტი რიცხვის ნიშანი ერთ ფორმაში. განვიხილოთ კარ-ებ-ებ-ი, ბადიშ-ნ-ებ-ი, გმირ-ებ-ნ-ი, ქალებ-თ ტიპის ფორმები, რომელთაც ვხვდებით საშუალ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში.

კ ა რ ე ბ ე ბ ი, ბ ა დ ი შ ნ ე ბ ი ტიპის ფორმებში მრავლობითი რიცხვის გამოჩნატეულია მხოლოდ ბრუნვის ნიშნის წინ მდგომი ებ-სუფიქსი. ასეთი დასკვნა აუცილებლობით გამომდინარეობს ფორმათა გრამატიკული შინაარსიდან, რაც ცხადია ყველა ქართულად მოლაპარაკისთვის; ეს, უბრალოდ, განპირობებულია იმით. რომ გრამატიკული შინაარსით ერთიმეორეს არ უპირისპირდებიან კარ-ი და კარებ-ი, ბადიშ-ნ-ებ-ი და ბადიშ-ებ-ი...

საშუალ ქართულის სახელთა -ებ-თ(ა) დაბოლოებაში (ბალახებ-თა ქალებთა, ვაჭრებთათვის და სხვ.) გრამატიკული შინაარსის მიხედვით შეუძლებელია მსჯელობა „ორმაგ მრავლობითობაზე“, რადგან ფუნქციურად ეს ფორმები არ განსხვავდებიან „ცალმაგი მრავლობითისაგან“, ე. ი. რომელიმე ბ ა ლ ა ხ ე ბ თ ა (მიც. ბრ.) ან სოლუტურად შემთხვევა გრამატიკული შინაარსით ბ ა ლ ა ხ თ ა (მიც. ბრ.) და ბ ა ლ ა ხ ე ბ -ს ფორმებს.

ამ ვითარებაზე დაყრდნობით მართა ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აღნიშნულ ფორმებში -თ(ა) ბრუნვის ნიშნის ფუნქციითიხმარება მხოლოდ. თანდებულის შემთხვევაში ბრუნვა გაირკვევა კონკრეტულად (ბალახ-ებ-თა-თვის, ბალახ-ებ-თა-ში (-ზე და სხვ.), კონტექსტში კი ბრუნვათა გარჩევა არ ჭირს თანდებულის გარეშეც.

-თ(ა) სუფიქსმა ასეთი რეინტერპრეტაცია განიცადა იმიტომ, რომ -ებ არ შეუხორცდა ფუძეს (შდრ. კარებ-ებ-ი) და შეინარჩუნა მრავლობითობის გამოხატვის უნარი, {-თ} კ, რომელიც რეალიზებულია /-თ/, /-თა/ ალომორფებით, აღიჭურვა ბრუნვის ნიშნის ფუნქციით. საშუალი ქართულის ამ მიმართების განვითარებას წარმოადგენს თუშურის სახელთა -ებ-თ დაბოლოებიანი დღევანდელი ფორმები — -ებ-სუფიქსის მომდევნოდ -თ მხოლოდ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია: ბ ა ლ ა ხ ე ბ თ „ბალახებმა“. ქ ა ლ ე ბ თ „ქალებმა“... და უპირისპირდება ორდინალურ -ებ-იან ფორმებს მიცემითსა და სხვა ბრუნვებში: ბალახებ-თ „ბალახებ-მა“, ბალახ-ებ-ს, ბალახ-ებ-ის და სხვ. თუშურში ბ ა ლ ა ხ ე ბ თ თავისუფლად მონაცვლეობს ბ ა ლ ა ხ ე ბ მ ფორმასთან, ოღონდ ბ ა ლ ა ხ ე ბ თ სახეობა ამ ბრუნვაში უფრო მეტად არის გავრცელებული.

განვიხილოთ ბადიშნები და გმირებნი ტიპის ფორმები. ბადიშნები ტიპის ფორმები გვხვდება დასავლურ დიალექტებში, ხოლო გმირებნი ტიპისა — საშუალ ქართულში და აქა-იქ მთის დიალექტებში. ამათაც „ორმაგი მრავლობითის“ ფორმებს უწოდებენ.

გრამატიკული შინაარსის მიხედვით „ორმაგი მრავლობითის“ ფორმები არ განსხვავდებიან „ცალმაგი მრავლობითის“ ფორმათაგან, ე. ი. ბადიშნები და ბადიშები გრამატიკული შინაარსით აბსოლუტურად ემთხვევა ერთიმეორეს, ასეთივე მიმართებაა გმირებნი, ერთი მხრით, და გმირები / გმირნი ფორმებს შორის, მეორე მხრით.

დასავლურ დიალექტებში, სადაც გვხვდება ბადიშნები ტიპის ფორმები, -ნ უკვე აღარ იხმარება არსებით სახელთა მრავლობითობის სუფიქსად და ადვილად მოხდებოდა მისი შეხორცება ფუძესთან. ბადიშნები ფორმაში -ნ ფუძის ნაწილია (ბადიშნ-ებ-ი) და ყველა ბრუნვაში გასდევს მას (ბადიშნ-ებ-ს; ბადიშნ-ებ-ის...). ფუძის ეს ვარიანტი თავს იჩენს მხოლოდ მრავლობით რიცხვში (შდრ. მხოლ. ბადიშ-ი).

გმირებნი ფორმა გმირებთა ფორმის გვერდით უნდა განვიხილოთ პარადიგმაში: სახ. გმირ-ებ-ნი.

მოთხ. გმირ-ებ-თა

მიც. გმირ-ებ-თა

ნათ. გმირ-ებ-თა

-ნ, როგორც უფუნქციო ელემენტი, ერწყმის სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსს. /-თა/-ს მხოლოდ ბრუნვის ნიშნად რეინტერპრეტაციამ მოთხრობითსა და ირიბ ბრუნვებში გამოიწვია -ნი სუფიქსის ჩამოყალიბება სახელობითი ბრუნვის ნიშნად მრავლობით რიცხვში. საკითხის ასე გადაწყვეტას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ამის პარალელურად ენაში (resp. დიალექტში, სადაც -ნი სუფიქსი გამოიყოფა) -ებ და -ნ მოქმედი სუფიქსებია (კაც-ებ-ი, კაც-ნი მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივი ფორმებია საშუალ ქართულსა და თანამედროვე მთის დიალექტებში). თუ შურ დიალექტშიც ხომ -ებ და -თ ასევე მოქმედი მრავლობითობის სუფიქსებია (კაც-ებ-ი, კაც-თ „კაცებმა“, კაც-თ „კაცებს“, კაც-თ „კაცების“) მაგრამ კაც-ებ-თ ფორმაში (სწორედ -ებ-ის გვერდით!) -თ განიცდის ფუნქციურ რეინტერპრეტაციას და წარმოადგენს მხოლოდ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს, რის გამოც იგი აღარ გვხვდება სხვა ბრუნვებში (კაცებთ ირიბ ბრუნვებში აღარა გვაქვს).

ახლა განვიხილოთ სახელთა ბრუნების პარადიგმები ზემოთ აღნიშნულ მორფოლოგიურ და ფონემატურ თვისებათა ურთიერთმოქმედების ფონზე.

მორფოლოგიური თვისებები რეალიზებულია ყველა პარადიგმაში, რადგან ამას მოითხოვს სახელთა ბრუნების მოდელი. მაშასადამე, საჭიროა მსჯელობაში ჯერ წარმოვადგინოთ ფორმათა სრული სახე მორფოლოგიურ დონეზე (გლობალურ სისტემაში რეალიზაციამდე), შემდეგ დავეუქავშიროთ ისინი ფონემატური კანონზომიერების მოქმედებას და ამ გზით ავხსნათ გლობალურ სისტემაში მომხდარი მორფოლოგიური ცვლილებები.

ცალ-ცალკე განვიხილავთ სხვადასხვა დაბოლოების ფუძეთა მქონე სახელების პარადიგმებს.

1. ხ მ ო ვ ნ ი თ და ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი კ ვ ე კ ა დ ი ფ უ ძ ი ს მ ქ ო ნ ე ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ი ს პ ა რ ა დ ი გ მ ა

სახ. {ძმა-ი}>/ძმა-ი/>/ძმა-ე/>/ძმა-ო/

მთ. {ძმა-მ}>/ძმა-მ/

მიც. {ძმა-ს}>/ძმა-ს/

ნათ. {ძმა-ის}>/ძმა-ის/>/ძმ-ის/

მოქ. {ძმა-ით}>/ძმა-ით/>/ძმ-ით/

ვით. {ძმა-ად}>/ძმა-ად/>/ძმა-დ/

წოდ. {ძმა-ო}>/ძმა-ო/>/ძმა-ვ/

აქ წარმოდგენილი ყველა ფორმა არსებობს ქართულში, ქვესისტემები მსგავსების გვერდით განსხვავებასაც გვიჩვენებენ. ერთი და იმავე ბრუნვის ფორმათა ვარიანტები ერთი ქვესისტემის ფარგლებშიც გვხვდება: ან თავისუფლად მონაცვლეობენ (მაგ.: ძ მ ა ო და ძ მ ა ე) ან პოზიციურად არიან შეპირობებული (ძმაე და ძმა-ო მთის კილოთა სახელობითში), მაგრამ ძმა-ო სახელობითში ერთადერთია კახურში, მას არა აქვს ძმა-ე ვარიანტი ამ ბრუნვაში.

/ძმა-ად/ ფორმისთვის: ფშაურ-ხევსურული /რა-ად/, /ჩარექა-ად/, /მუშა-ად/, /დროშა-ად/ (შდრ. თუშ. /რაყად/, /ჩარექაყ-ად/ ან /ჩარექაყდ/ და სხვ.

სახელობით ბრუნვაში მომხდარი ცვლილება ემყარება ფონემატურ კანონზომიერებას, რომლის მიხედვით ქართულში იკრძალება უწუალო თანამიმდევრობით ორი ან მეტი ხმოვანი. ამას ემატება მეორე მოთხოვნა — სწრაფვა დახურული მარცვლისკენ სიტყვის ბოლოს, რის გამოც ამ პოზიციაში ხმოვანი არ არის ბუნებრივი. მაშასადამე, სახელობითის ფორმის ბოლოში /ი/-ს დაკარგვისთვის (ძმაი>ძმა) არსებობდა ორი ფონემატური პირობა. ქართულში ამ პოზიციაში ფუძისეული ხმოვანი არ იკარგება (სვანურში — ეს ჩვეულებრივია ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში...).

შეიძლება დავასკვნათ: სახელობით ბრუნვაში -ი>-ე>-ო გამოწვეულა არა /ა/-ს გავლენით, არამედ /-ი/-ს პოზიციით. აქ /ა/ იმდენად არის მიზეზი /ი/-ს რედუქციისა, რამდენადაც მონაწილეობს ხმო-

ვანთა კომპლექსის შექმნაში და /ი/-სთან ერთად ქმნის ბგერათა მიუღებელ თანამიმდევრობას. ბოლო პოზიცია ხომ არა, /ი/ არ ჩაჯარდებოდა ამ კომპლექსში (შესაძლოა ი>ე სხვა პოზიციაშიც მოხდეს, აქც გარკვეული პირობები იქნება უთუოდ ამ ცვლილებისთვის), მოხდებოდა /ა/-ს რედუქცია, როგორც ეს გვაქვს ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა დახურულ პოზიციაში (ძმ(ა)-ის, ძმ(ა)-ით).

ვითარებით ბრუნვაში: ორი /ა/ ხმოვნოდან (/აა/) დაკარგულია ბრუნვის ნიშნისეული (იხ. ზემოთ).

წოდებით ბრუნვაში ისეთივე მდგომარეობა იქმნება, როგორც სახელობითში, ამიტომაც რედუქცირდება ბოლო ხმოვანი (ბრუნვის ნიშანი), თუმცა მას მარკირების უფრო მაღალი ხარისხი აქვს. ო>ვ ცვლილება აღარ ხდება ნაწილაკის წინ (ძმა-ო-ც), რადგან წარმოიქმნებოდა თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსი V—# პოზიციაში (ძმავეც).

რაც შეეხება ემფატიკურ ხმოვნიან ფორმებს (ძმსა, ძმისა, ძმი-თა, ძმადა), როცა სხვა შემთხვევაში არ იკარგება სიტყვის ბოლო /ა/, ამის მიზეზი გრამატიკის გარეთ ძეგს: -ა ტექსტის სადემარკაციო ელემენტია, მას არსებითად უხდება ერთგვარი ლოგიკური ფუნქციის შესრულება (მსჯელობაში გამოყოფს თემას რემისგან, წინადადებას წინადადებისაგან...) და ამდენად გამოდის მორფონოლოგიური კანონზომიერების მოქმედების ზონიდან.

II. ხ მ ო ვ ნ ი თ დ ა ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი უ კ ვ ე ე ე ლ ი ფ უ ძ ი ს მ ქ ო ნ ე ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ი ს პ ა რ ა დ ი გ მ ა

სახ. {წყარო-ი}>/წყარო-ი/>/წყარო-ე/>/წყარო-ო/

ბოთხ. {წყარო-მ}>/წყარო-მ/

მიც. {წყარო-ს}>/წყარო-ს/>/წყარო-მ/

ნათ. {წყარო-ის}>/წყარო-ის/>/წყარო-ს/

მოქ. {წყარო-ით}>/წყარო-ით/>/წყარო-თ/ | /წყარო-თი/

ვით. {წყარო-ად}>/წყარო-ად/>/წყარო-დ/>/წყარო-თ/

წოდ. {წყარო-ო}>/წყარო-ო/>/წყარო-ვ/>/წყარო-ო/

აქ წარმოდგენილი ფორმებიც არსებითად დასტურდება ქართული ენის ქვესისტემებში. არ გვხვდება მოსალოდნელი /წყარო-მს/, /წყარო-მთ/ ნათესაობითსა და მოქმედებითში და /წყარო-ად/ ვითარებითში. პირველი ორი იმიტომ, რომ V—# პოზიციაში მიუღებელია მს და მთ კომპლექსები (მუდგერი უმარცვლო ბგერა+ყრუ ჩქამიერი). დარჩენილ ვარიანტებს ან მორფოლოგიური გამართლება აქვს (გრამატიკური მოდელის შენარჩუნება), ან ფონემატური (ცვლილება ფონემათა სინტაგმატურად მისაღებ დაბოლოებამდე).

წყარო-ად > წყარო-დ ცვლილება ემორჩილება ფონემატურ მოთხოვნას, რომლის მიხედვით იკრძალება ხმოვანთა კომპლექსები მორფემის ფარგლებში. ჩაეარდნილია არამარკირებული /ა/.

ამ პარადიგმაშიც კარგად ჩანს ფონემატურ კანონზომიერებათა მოქმედება, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა (იხ. კვეცადფუძიანი სახელების ბრუნების პარადიგმა). ოღონდ განსხვავებით პირველი პარადიგმისგან, ფუძისეული /ო/ არ იკვეცება დახურულ მარცვალში, რადგან ბაგისმიერობა ყველაზე უფრო გვიანდელი დერივანტი ჩანს ხმოვანთა სისტემაში.

/ო/ და /უ/ რომ მარკირების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდებიან, ვიდრე სხვა ხმოვნები, ეს ჩანს ფონეტიკური ცვლილებებითაც გარკვეულ კომბინაციებში, კერძოდ: თუ /ე/-ს ან /ი/-ს დაედო დერივანტი ბაგისმიერობა, ისინი, შესაბამისად იძლევიან /ო/-სა და /უ/-ს: /უე/ > /ო/, /უი/ > /უ/, ასევე /უა/ > /ო/. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს კარგად ცნობილი მოვლენებია და სათანადო მაგალითებზე აღარ მივუთითებთ. სიმპტომატურია, რომ პირიქით არ ხდება, ვთქვათ /აუ/-მ რომ /ი/ მოგვეცეს, ანდა /აო/-მ — /ე/ ან /ა/.

III. თანხმოვნით დაბოლოებული ფუძეების მქონე სახელთა ბრუნების პარადიგმა

აქ უნდა განვიხილოთ როგორც კუმშვადი, ისე უკუმშველი ფუძეები. 1. (ა) კუმშვად ფუძეებში ხმოვანი ვარდება შიგნიდან -VC ან იშვიათად -CVC ტიპის მორფემათა დართვის შედეგად; მაგ.: კედ(ე)ლ-ის; წიფ(ე)ლ-ნარ, ჩვეულებრივ ეს ხდება ორმარცვლიან ფუძეთა გასამმარცვლიანების შედეგად, ასევე სამმარცვლიანების გაოთხმარცვლიანების და ა. შ.

ერთმარცვლიან ფუძეთა გაორმარცვლიანების შემთხვევაში რედუქცია მეორეულია, შედეგი ანალოგიისა²⁷.

(ბ) კუმშვა სამ- და მეტმარცვლიანი სახელის ფუძეში შესაძლოა განხორციელდეს მარედუცირებელი მორფემის დართვის გარეშეც როგორც სალიტერატურო, ისე დიალექტურ ქვესისტემებში, მაგ.: ძვ. ქართ. ჰარაკი-ნოს /სარკინოს, ესოდენ /ესდენ, ტეგანა/ ტეგანა, *ლანკანა /ლანკანა... ახალი ქართული: ამოდენ /ამდენ, მაგოდენ /მაგდენ, პატარა/პატრა, ხალიჩა /ხალჩა, ჩუჩელა/ ჩუჩლა, პოლიტიკურ/პოლტიკურ, ორიგინალურ/ ორგინალურ და სხვ.

2. თანხმოვანფუძიანი უკუმშველი სახელები ფუძეში მარცვალთა

27 თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178 და შემდეგ.

ჩაოდენობას სრულად ინარჩუნებენ მარედუცირებელი მორფემის დართვის შემთხვევაშიც. ასეთ სახელთა სარედუქციო პოზიციაში ხვდება მარკირებული /უ/, /ო/, /ი/. სახელთა სამ- და მეტმარცვლიან ფორმათა სარედუქციო პოზიციაში (თავიდან მეორე მარცვალი) შესაძლოა ამ ხმოვანთა ჩავარდნაც. მაშასადამე, კუმშვა ამ შემთხვევაში უკავშირდება სიტყვაში მარცვალთაოდენობის ფონემატურად განსაზღვრულობას. ქვემოთ წარმოვადგენთ პარადიგმას.

- სახ. {კაც-ი}>/კაც-ი/, /კაც-ი/, /კაც-0/
 მოთ. {კაც-მ}>/კაც-მ/>/კაც-მა/
 მიც. {კაც-ს}>/კაც-ს/>/კაცი-ს/ და /კაც-0/
 ნათ. {კაც-ის}>/კაც-ის/>/კაც-ი/
 მოქ. {კაც-ით}>/კაც-ით/
 ვით. {კაც-ად}>/კაც-ად/>/კაც-ა/
 წოდ. {კაც-ო}>/კაც-ო/>/კაც-ო/

სახელობითის კაც-ი და კაც-0, მოთხრობითის კაც-მ, წოდებითის კაც-ო დასტურდება მთის კილოებში, სახელთა განსაზღვრულ პოზიციებში, მაგალითად: „მოიდ კაცო“. მაგრამ „კაც-0 მოიდ“. ნაწილაკების წინ შეუძლებელია კაც-ი, კაც-ო ფორმები: კაც-ი-ო „კაციო“, კაც-ო-ი „კაცო“, მაგრამ „კაც-0 მორჩ.“; კაც-ო კი მი-მართვის ფორმაა. აღნიშნულ ფორმებში ხმოვანთა დაკარგვა ან გაუმარცვლოება ხდება სიტყვის ბოლოს დახურული მარცვლისკენ მიდრეკილებით.

მიცემითის კაც-0 დასტურდება ქართლ-ყაზურში: „კაც-0 დაუძახა“; ამავე ბრუნვაში კაც-ი-ს ტიპის ფორმები გავრცელებულია ქვემოციქურულში. ჩვენ აქ ვუთითებთ იმ დიალექტებზე, სადაც ეს ფორმები ნორმატულია. მათ სხვაგანაც ვხვდებით, უფრო ნაკლებ, სპორადულად, მაგრამ იმავე კანონზომიერების საფუძველზე, რომელსაც ემყარება ესა თუ ის ცვლილება მისი გავრცელების არეალში, ასე მაგალითად, ნულოვანი ალომორფი მიცემით ბრუნვაში მთის კილოთაგან დასტურდება მთიულურში: „ერთ დაკლებია ორი შაური (ქდ. 94,1) „ერთ მარცვალზე თითიდან ავიღებთ“...²⁸ და სხვ.

ვითარებით ბრუნვაში ხევსურულისთვის ჩვეულებრივია -ა სუფიქსით დაბოლოებული ფორმები: ფეკ-ა, კაც-ა... „ფეკად“, „კაცად“. მსგავსი ვითარება, ოღონდ გაცილებით ნაკლები ინტენსივობით, სხვა ქვესისტემებშიც შეიმჩნევა.

/დ/-ს დაკარგვა ვითარებით ბრუნვის ფორმებში თავდაპირველად უკავშირდება მომდევნო სიტყვის თანხმოვნიან დასაწყისს. შემდეგ და მომხდარა მათი განზოგადება სხვა პოზიციებში. მომდევნო სიტ-

ყვები ამ ზმნიზედებთან ან უბრალო დამატებებთან ქმნიდნენ ენკლი-
ზიურ წყვილებს და {-ად}-ს გაუჩნდა /-ა/ ალომორფი, მაგ: ფეკ-ად >
ფეკ-ა, კაც-ად > კაც-ა: კაცად შჩ ვენებ იყო > კაცა შჩ ვენ-
ნებ იყო და სჩვ.

ზემოთ განხილულთაგან ჩვენი თემისთვის მნიშვნელოვანია მი-
ცემითი ბრუნვის ფორმები.

ფონემატური თვალსაზრისით ბრუნვის ნიშანი -ს ბუნებრივია
ფუძისეული /ფ, ქ, კ/ ფშინვიერი თანხმოვნების მომდევნოდ. თან-
ხმოვანთა ყველა სხვა კომპლექსში პაუზის წინ (ე. ი. სიტყვის დასას-
რულს) ბოლო კომპონენტად /ს/ არაბუნებრივია, კერძოდ ისეთ კომპ-
ლექსებში, როგორცაა: -ბს, -პს, -მს, -ვს, -ღს, -ტს, -ძს, -ცს, -წს...
სიტყვებში: საბაბს, ოსპს, თამაპს, თავს, მწვადს, ხატს, კერძს, მხეცს,
ლუწს...

თუ მორფოლოგიური მოდელი ვერ შეძლებს თავის დაცვას, რო-
გორც ხდება სალიტერატურო ქართულში და ზოგიერთ დიალექტში,
შექმნილი მდგომარეობიდან თეორიულად არსებობს სამი გამოსავა-
ლი: (1) და იკარგოს მატერიალურად მიცემითი ბრუნ-
ვის ნიშანი, ე. ი. გამოიხატოს ეს ბრუნვა ნულოვანი ალომორ-
ფით. ეს ვითარება ქართულ დიალექტთაგან სრულად არის წარმო-
დგენილი კახურში, საცმოდ გავრცელებულია ქართლურში და ვხვდებ-
ით სხვა კილოებშიც („მეგობარ-0 დეიძებს; თამარ-0 აუშენებია“ „ცი-
ხის კარ-0 „ციხის კარს“ და სხვ.); (2) და იკარგოს ფუძისეუ-
ლი თანხმოვანი: ჩვეს (<ჩვენ-ს), შეს (<შენ-ს)... მსგავსი
ფორმები დადატურებულია რაჭულში და სოკის რაიონის ქართველ-
თა მეტყველებაში²⁹. ეს პროცესი სხვა დიალექტებში და ლიტერატუ-
რულ მეტყველებაში ხშირად იჩნს თავს სხვადასხვა ფორმაში, მაგა-
ლითად: სახლს > სახს, ძაღლს > ძაღს... ფორმათა ბოლოს -ხს,
-ღს კომპლექსების სახით ფონემატური შეუთავსებლობა მაინც რჩება,
მაგრამ /ლ/-ს დაკარგვა მიცემით ბრუნვაში უთუოდ ფონემატური მო-
თხოვნით ზორციელდება (შდრ. სახლი, ძაღლი, სადაც /ლ/ არას-
ოდეს იკარგება და კახური ძაღლ-0, სახლ-0 „ძაღლს“ „სახლს“);

(3) მესამე გამოსავალი არის ძლიერი პოზიციის შექმნა კომპლექ-
სის შიგნით ხმოვნის საშუალებით, რათა გაიყაროს შეუთავსებელი
თანხმოვნები სიტყვის ბოლოს. ეს პროცესი ხდება სანულობითი ბრუნ-
ვის -ი სუფიქსის შეხორცების ხარჯზე. კაცის -ს „კაცს“, ბოფშის-
ს „ბავშვს“, ქაღის -ს „ქალს“ და სხვა. როგორც აღვნიშნეთ ზემოთ,

²⁹ ო. მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტთა შერევა და ინტერფერენ-
ციის საკითხები (სოკის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების მიხედვით),
1982 (საქანდიდატო დისერტაცია).

ასეთი ფორმები ქართულში გამოავლინა ქეთევან ძოწენიძემ უხუთის მეტყველების მიხედვით.

/ი/-ს შეხორცება ფუძესთან ინტენსიურად წარიმართა ადამიანთა რქმევის სახელებში და ამ პროცესში, როგორც ვნახეთ, ჩაბმულია არამხოლოდ დიალექტები, არამედ ლიტერატურული ქვესისტემაც სამწერლო ენის სახით. მაშასადამე, ფატმანის, გურამის, ეთერის მიცემით ბრუნვაში კანონზომიერი მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია ქართულ ენაში.

მიცემითი ბრუნვის ფუძე განზოგადებულია სხვა ბრუნვებშიც, რის შედეგადაც მოთხრობითში მივიღებთ ფატმანი-მ, გურამ-მ-მ, ეთერი-მ... ხოლო წოდებებში — ფატმანი-0, გურამი-0, ეთერი-0 ფორმები. გასაგებია, აღნიშნული ფორმები გვეყარაულებინებს, რომ სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ეს სახელები უნდა მივიჩნიოთ /ი/ ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეების მქონედ:

სახ. ფატმანი-0

ნათ. ფატმანი-ს

მოქ. ფატმანი-თ

შესაძლოა, ვითარებით ბრუნვაში, რომელიც სხვა ბრუნვებთან შედარებით ნაკლები სიხშირისაა, ჯერ კიდევ სჭარბობდეს ფატმანი-ად, გურამ-ად, ეთერი-ად ფორმები, მაგრამ უდავოა, რომ ეს ნაშთია ძველი ვითარების და აქაც /ი/-თი დაბოლოებული ფორმები გაბატონდება, ე. ი. გავრცელდება ფატმანი-დ, გურამი-დ, ეთერი-დ... ფორმები.

ამ ფონზე სრულიად ნათელი ხდება ანთროპონიმთა მისწრაფება ხმოვანფუძიანობისაკენ წერილის დასაწყისში წარმოდგენილი სხვადასხვა საშუალებით: ამ გზით ისინი თავიდან იცილებენ ფონემატურ უხერხულებას, რომელიც იქმნება მიცემით ბრუნვაში ფუძისეული თანხმოვნისა და ბრუნვის ნიშნის -ს სუფიქსის ერთად შეყრით ანთროპონიმთა აბსოლუტურ ბოლოში.

შეიძლებოდა ეს ხმოვნის მიხორცება ფუძესთან ამით დაგვემთავრებინა, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ მორფონოლოგიური ცვლილების სახით საქმე გვაქვს პროცესთან, რომელიც საერთოა ქართველური ენებისთვის, რაც განპირობებულია მათი მორფოლოგიური და ფონემატური სტრუქტურების დიდი მსგავსებით. მეგრულში სახელობითი ბრუნვის -ი მორფემის მიხორცების მორფოფონემატურ ხასიათზე ჩვენ აღრეც ვწერდით³⁰. ამყამად არსებული

30 თ. უთურგაიძე, ქართული ენის შთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 185.

ლიტერატურის მიხედვით მოკლედ შევეხებით ამ მორფოფონემატურ იზომორფიზმს ქართველურ ენებში.

ჰანურის³¹ სახელთა მხოლოდობით რიცხვში აღარ არსებობს თანხმონით დაბოლოებული ფუძე იმის გამო, რომ ფუძისეულ ბოლო თანხმონთანა მომდევნოდ ფონემატურად შეუთავსებელი იყო მოთხრობითის /-ქ/ და მიცემითის /-ს/ ნიშნები. ამის შედეგად თანხმონით დაბოლოებულმა ფუძეებმა (რომლებიც კარგად იკვეთება მრავლობით რიცხვში) მიიხორცეს სახელობითის -ი სუფიქსი და, დაუკარგეს რა ბრუნვის გამოხატვის უნარი, აქციეს ფუძის რიგით შემადგენელად; მაგალითად: კოჩი-ქ, კოჩი-ს „კაცმა“, „კაცს“ (მდრ. მრავლ. კოჩ-ეფე-0, კოჩ-ეფე-ქ...). ამის შედეგად სახელობითი ბრუნვა წარმოდგა ნულოვანი დაბოლოებით: კოჩი-0.

მრავლობით რიცხვში ამ ფუძეებს კოჩ-, დოხთორ-... ხმონის მიხორცება არ სჭირდება, რადგან მათ ხმონით დაწყებული -ეფ სუფიქსი უნდა დართვოდა (კოჩ-ეფ-). მაგრამ ფონემატური შეუთავსებლობა /ფ/ თანხმონისა /-ქ/ სუფიქსთან მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში მრავლობითობის -ეფ სუფიქსს უხორცებს სახელობითის /-ე/ ნიშანს და ვიღებთ -ეფე ერთიან დაბოლოებას (კოჩ-ეფე-0, კოჩ-ეფე-ქ, კოჩ-ეფე-ს), რომელიც ბრუნების პარადიგმაში აღარ დაიშლება და აწარმოებს მრავლობით რიცხვს.

თუ სახელი წარმოშობითვე ხმოვანფუძიანია (მაგ.: კუჩხე, ბუცხა, ორძო, კატუ), ბუნებრივია, სახელის ფუძე აღარ საჭიროებს რაიმე ხმონის მიხორცებას მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვების საწარმოებლად. ფონემატური თვალსაზრისით ყველაფერი დამაკმაყოფილებელია და მორფოლოგიური მოდელის რეალიზაცია ხდება ფონეტიკურ ცვლილებათა გარეშე (კუჩხე-ქ, კუჩხე-ს და სხვ.).

მორფონოლოგიური ცვლილებები ხდება მრავლობით რიცხვში. აქ ფონემატურად მიუღებელია (ა) ხმოვანთა კომპლექსები (ფუძისეული ხმოვანი + მრავლობითობის -ეფ სუფიქსის ე ხმოვანი) და (ბ) -ეფ სუფიქსის ფ-ს მომდევნოდ -ქ მოთხრობით ბრუნვის ნიშანი.

პირველ (ა) შემთხვევაში იკარგება -ეფ-ის ხმოვანი, მეორე (ბ) შემთხვევაში ხდება სახელობითის -ე სუფიქსის მიხორცება (რა თქმა უნდა, ფუნქციის დაკარგვით) მრავლობითობის ნიშანთან, რის შედეგადაც ვიღებთ მრავლობითობის {-ეფ} სუფიქსის ახალ ვარიანტს /-ფე/-ს ბუცხა-ფე-0, ბუცხა-ფე-ქ, ბუცხა-ფე-ს...).

ჰანურში აღნიშნული მორფოფონემატური პროცესები სახელთა ბრუნებაში სრულ ავტომატიზმამდეა მიყვანილი.

³¹ საანალიზო ფორმები წარმოდგენილია ა. ჩიქოვას ჰანურის გრამატიკული ანალიზის მიხედვით, 1936, გვ. 43 და შემდეგ.

ფრიად საყურადღებოა მეგრულის ჩვენება, რომელიც იმავე მო-
აფონოლოგიური პრობლემების წინაშე დგას, რომლებიც ზემოთ გან-
ვიხილეთ ქართულსა და ჭანურში.

მეგრულში, ჭანურისაგან განსხვავებით, ვაჩაუდობენ, რომ სო-
ნორით დაბოლოებული ფუძეები მოთხრობითსა და მიცემითში არ
საჭიროებენ სახელობითი ბრუნვის /ი/ ხმოვნის მიხორცებას³². მეგ-
რულის დიალექტებში ვითარდება ერთნაირი არ ჩანს, შესაძლოა გა-
მოქვეყნებული ტექსტებიც ყოველთვის ვერ ასახავენ ზედმიწევნით
რეალურ ვითარებას. რიგი ფორმები გვაპარაუდებიან, რომ სო-
ნორებით დაბოლოებულ ფუძეებთანაც ხდება მორფონოლოგიური
ცვლილებები; მხედველობაში გვაქვს ი. ყიფშიძის მიერ ფიქსირებუ-
ლი ზუგდიდურ-სამურზაყანული ფორმები: ო ს უ რ ქ ე „ცოლმა“,
ქ ო მ ო ნ ც გ „ქმარს“, ჩ ი ლ ქ ე „ცოლმა“, კ ა რ ც ე „კარს“, ნ გ ე რ ქ ე
„მგელმა“ და სხვა³³, რომელთაც ხშირად ვხვდებით ამ ტექსტებში,
მაგრამ ბრუნებაში არ არის ასახული. მ. ციკოლიამ ამავე კილოებში
დაადასტურა /უ/-თი დაბოლოებული ფორმები მოთხრობითსა და მი-
ცემითში. ო ს უ რ ქ ე უ, ბ ზ ა რ ხ უ ლ ს უ, დ უ მ ს უ და სხვ³⁴. ეს ფორ-
მები ადასტურებენ, რომ მოთხრობითსა და მიცემითში სონორით და-
ბოლოებული ფუძეები ბრუნვის წინაშე იხდებიან ისევე საჭიროებენ ძლიერ
პოზიციას, როგორც ჩქამიერი თანხმოვნებით დაბოლოებული ფუძე-
ები. ამ /ე/-სა და /უ/-ს მრავლობით რიცხვშიც ვხვდებით: კ ო -
ჩ ე ფ ქ ე, კ ო ჩ ე ფ ქ ე. შესაძლოა ამ ხმოვნების ადგილზე ი-ც შე-
გვხვდეს: ო ს უ რ ქ ი, ჭ კ ი დ ქ ი და სხვ. საქმე ის არის, რომ ირაციო-
ნალური ხმოვანი /ე/, „გაურკვეველი“ /უ/ და /ი/ ფორმათა ბოლოს
იმავე ფუნქციას ასრულებენ რასაც ფუძესთან შეხორცებული სახე-
ლობითის /ი/. რომელიმე ჭ კ ი დ ი ქ ი და ჭ კ ი დ ქ ი სენაკურში³⁵ მორ-
ფონოლოგიური ცვლილების თვალსაზრისით ტოლფასი ფორმებია: -ღქ
კომპლექსის დაძლევა პირველ შემთხვევაში ხდება სახელობითის ი
სუფიქსის მიხორცებით (გაყარა თანხმოვნები), მეორე შემთხვევაში —
განვითარებული ი ხმოვნით. ამ ბოლო /ი/-ს საშუალებით მარცვალთ-
გამყარი გაივლის /ღ/-სა და /ქ/-ს შორის (ჭკიდ-ქი). განვითარებული

³² იხ., მაგალითად, И. Кипшидзе, Грамматика мпнгрельского языка, 1914, გვ. 22 და შემდეგ; ამ კომპლექსებს მეგრულში კანონიკურად თვლიან ტ. გუდ ა ვ ა და თ. გამყარელიძეც იხ. მათ თანხმომანთკომპლექსები მეგრულში, კრე-
ბულში; აკაკი შანიძეს, თბ., 1981.

³³ И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., ტექსტები, გვ. 13.

³⁴ მ. ციკოლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოების ფონე-
ტიკური მიმოხილვა; დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტო-
რიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1954.

³⁵ И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., ტექსტები, გვ. 1.

/ი/ ხმოვანი სავარაუდებელია /ჲ/-საგან მოდიოდეს, ისევე როგორც: „ზედმეტი“ /უ/:

ოაურქჲ > ოაურქუ, კკიდქჲ > კკიდქი.

ამემაღ ჩვენთვის არსებითი იყო იმის მტკიცება, რომ სონორით დაბოლოებული ფუძეების მქონე სახელთა ფორმები მოთხრობითსა და მიცემითში ისევე საჭიროებენ მორფოფონემატურ ცვლილებებს, როგორც ჩქამიერი თანხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეთა მქონე სახელების ფორმები.

ი. ყიფშიძის მაჰალის მიხედვით, შესაძლოა ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებული ფუძეების მქონე სახელთა მოთხრობითსა და მიცემითშიც არ მოხდეს ფონეტიკური ცვლილება. ეს შესაძლებელია იდეოლექტურ (resp. ქვესისტემურ) დონეზე, როცა მთქმელი (resp. მთქმელები) ცდილობს მორფოლოგიური მოდელის დაცვას. არასალიტერატურო ქვესისტემებში ეს ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ გამორიცხული არ არის. შეიძლება ამას სპორადული ხასიათიც ჰქონდეს და სისტემატურიც. ეს საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

როდესაც მორფოლოგიური მოდელის დაცვას ცდილობენ, შესაძლოა ამას სხვა რიგის მორფოფონემატური გარდაქმნები მოჰყვეს. მხედველობაში გვაქვს მეგრულისათვის დამახასიათებელი ფუძისეული თანხმოვნების დაკარგვის შემთხვევები, რომლებიც აღწერა ი. ყიფშიძემ: მიც. მე-ს (<მეტ-ს), დუ-ჲ (<დუდ-ს), ბე-ს (<ბედ-ს), ხო-ს (<ხოჯ-ს), კო-ს (<კოჩ-ს) და სხვ.³⁶

ამ ცვლილებების შედეგადაც მიღწეული იქნა ფონემატურად მისაღები დაბოლოება სახელთა ფორმების ბოლოს მიცემით ბრუნვაში. ამ რიგის ცვლილებას, როგორც ვნახეთ, ადგილი ჰქონდა ქართულ დიალექტებშიც.

გავიხსენოთ სვანურ პოეზიაში დადასტურებული ჯ ა ნ ი-დ, ჯ ა ნ ი-ს ტიპის მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები. სპეციალისტები /ი/-ს მიიჩნევენ სახელობითის მიხორცებულ წიშნად, რომელსაც, რა თქმა უნდა, ძველი ფუნქცია აღარ აქვს, იგი ფუძის კონსტიტუენტია მხოლოდ. მაშასადამე, სვანურში სრული იზომორფიზმი გვაქვს ქართულ-ზანურთან.

სახელობითის -ი სუფიქსის მიხორცება ქართულ ანორიპონიმთა ფუძეებში კანონზომიერი მორფოლოგიური პროცესია. იგი ქართულთან ერთად ფართოდ არის წარმოდგენილი სხვა ქართველურ ენებშიც.

³⁶ И. Кипшидзе, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 023..

ზოგადი განმარტებიდან თუ ამოვალთ, ფუძე ეწოდება სახელის ფორმის იმ ნაწილს, რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა.

პირველადი ფუძიდან წარმოქმნილ ფუძის მიღება ხდება როგორც წარმოქმნის ელემენტების დართვით, ისე ფუძის არანეირების წესის შეცვლით¹.

არანეირების წესის შეცვლა იწვევს მორფემათა მნიშვნელობის ცვლასაც. ზოგიერთი სეგმენტის ფლექსიური და დერივაციული მნიშვნელობით გამოყენება იწვევს დაეკვებას — თითქოს მტკიცე ზღვარი არ არსებობდეს ამ განსხვავებული სტრატუმების ელემენტთა შორის. ამ ელემენტთა კვალიფიკაციას სტრატუმთა მიხედვით ფუძის გამოყოფის თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა აქვს; უთუოდ საჭიროა მსჯელობა ფლექსიურ და დერივაციულ ელემენტთა მსგავსებას და წარმომავლობაზე და იმ პირობებზე, რომლებიც განაპირობებენ ერთი და იმავე სეგმენტის განსხვავებული ფუნქციით გამოყენებას ენის სხვადასხვა სტრატუმში.

განვიხილოთ ბრუნვის ნიშანთა არანეირება ქართულში. ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი ს ა ხ ე ლ ი ს ფ ო რ მ ა შ ი ე რ თ ი მ ე ო რ ე ს ა რ მ ო ს დ ე ვ ე ნ : თუ სახელის ფორმაში წარმოდგენილი იქნება ო რ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი (ძვ. ქართულში ს ა მ ი ც შეიძლებაოდა), უფრო ზუსტად, წარმოდგენილი იქნება ო რ ი ს ე გ მ ე ნ ტ ი, რომლებიც მორფოლოგიურ სისტემაში ბრუნვის ნიშნის (resp. გრამატიკული მორფემის) ფუნქციით იყვენ წარმოდგენილი, ფუძესთან უახლოესი (ძვ. ქართულში — უახლოესი ან უახლოესნი) წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, ე. ი. ბრუნვის ნიშანთა განაწილების ზოგადი წესის საფუძველზე ავტომატურად ხდება მისი (ძვ. ქართულში — მისი ან მათი) გადაყვანა ლექსიკურ სტრატუმში წარმოქმნის ელემენტად².

¹ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, კრებულში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

² იქვე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად სადავოა მხოლოდ სუბ-სტანტიურ მსაზღვრელთა ფორმების სუფიქსთა კვალიფიკაცია: ერთი თვალსაზრისით -ის (resp, -თა) წარმოქმნის ელემენტია /ამხანაგ-ის-0 წიგნ-მა.../ მეორე თვალსაზრისით — ბრუნვის ნიშანი. ჩვენთვის მეორე თვალსაზრისი მიუღებელია როგორც ბრუნვის ნიშანთა სინტაგმატური ქცევის თვალსაზრისით, ისე ამ ტიპის რთულ ფუძეთა პარადიგმატული ანალიზით: (1) მეორე ვარაუდის მიხედვით, ზემოთ ჩამოყალიბებული წესიდან გამონაკლისად რჩება მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. სისტემის კერძო დარღვევა (რატომ მხოლოდ ნათ. ბრუნვის ნიშანი ინარჩუნებს თავის გრამატიკულ ფუნქციას მომდევნო ბრუნვის ნიშნის წინ) დღემდე არც ვინმეს დაუსვაშს და არც აუხსნია; (2) ამავე დროს რიგ ფორმებში ნათესაობითი ბრუნვის -ის გამონაკლისის არ ქმნის საყოველთაო თვალსაზრისით: მის-ი (შდრ. მ-ის-თვის), სხვის-ი (შდრ. სხვ-ის-თვის).

საზღვრულის წინ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი წარმოქმნილ მსაზღვრულად მიიჩნია აკაკი დავითიანი. ჩვენ ვიზიარებთ მის მოსაზრებას, ოღონდ ჩვენი ზოგი მსჯელობა მოვლენას სხვა კუთხით უდგება (მაგ., ბრუნვის ნიშანთა არანეიტრალიზაცია ბრუნების სისტემაში, მორფონოლოგიური განსხვავება დერეგულირება და ფლექსიურ ელემენტთა შორის) და გაფართოებულია საანალიზო მასალაც (ზმნიზედათა ადიექტივაცია); „ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით“ წარმოქმნილი მსაზღვრელი ჩვენთვის ფორმობრივ განსხვავებულია ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული სახელისგან, რომელიც ყოველთვის თანდებულიანია. განვიხილოთ ნაცვალსახელებში „ნათესაობითის -ის სუფიქსით“ ახალ ლექსიკურ ფორმათა წარმოქმნის მექანიზმი. „არსებითი სახელები, საერთოდ, მესამე პირის აღმნიშვნელი სიტყვებია“ (ლ. კვაჭაძე). -ის მორფემის საშუალებით ნაცვალსახელთა წარმოქმნის წესი არსებით სახელზეც გავრცელდება, როგორც საზიარო პარადიგმის წევრზე. III პირი: ის||კაცი, ხე, ქვა... მისი წიგნი||კაცის წიგნი, ამხანაგის წიგნი...

ყველა ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში თანდებულიანია. ერთიმეორის გვერდით მოგვყავს პირის ნაცვალსახელთა სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვების ფორმები (I რიგი) და აქედან ნაწარმოები წარმოქმნილი ნაცვალსახელები (II რიგი).

პირის ნაცვალსახელები კუთვნილებით ნაცვალ-
სახელები (ნაწარმოები)

სახ. ბრ.	ნათ. ბრ.	
მე	ჩემ-	ჩემ-ი (შდრ. ჩემ-მა, ჩემ-ს)
შენ	შენ-	შენ-ი (შდრ. შენ-მა, შენ-ს)
ის	მ-ის-	მის-ი (შდრ. მის-მა, მის-ს)

ანალოგიური ვითარებაა მრავლობით რიცხვში და სხვა ნაცვალ-სახელებთანაც, მაგალითად: სხვა-ი (სახ. ბრ.) — სხვ-ის- (ნათ. ბრ.) — სხვის-ი (კუთვნ. ნაცვალსახელი)...

რომელიმე ს.ხ.ვ.ა-ი განსაზღვრულ პირს გამოხატავს, რომლის ნათესაობითი სხვ-ის- (სხვ-ის- თვის), მსგავსად სხვა ბრუნვათა ფორმებისა, ლექსიკურად იმავე მნიშვნელობას ატარებს, რააც სახელობითი ბრუნვის ფუძე: ს.ხ.ვ.ა-ი დახატა, ს.ხ.ვ.ა-ს დაუხატა, ს.ხ.ვ-ის-თვის დახატა და სხვ.

ანალოგიური ვითარებაა პირის ნაცვალსახელთა ფუძემონაცვლეობის დროსაც ბრუნების პარადიგმაში: მე დამხატა, ჩემ-თვის დახატა (ე. ი. „მეშთვის“ დახატა).

II რიგის ფორმებში ხდება წარმოქმნა I რიგის ფორმებზე დაყრდნობით, რაც არავის აეკვებს, რადგან ლექსიკური მნიშვნელობით ძალიან განსხვავდებიან შენ (შენ-თვის, შენ-გან) პირის ნაცვალსახელი და შენ-ი (შენ-ი ძმა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ასევე ს.ხ.ვ-ის (სხვ-ის-თვის) და სხვის-ი. ეს ანალოგი რომ გავივიქროთ არსებით სახელებთან, მივიღებთ სრულიად იდენტურ სურათს: ბ.ავ.შვ-ი დახატა, ბ.ავ.შვ-ის-თვის დახატა... საქმე გვაქვს ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ფორმებთან. ბ.ავ.შვ-ის- (ბავშვ-ის-თვის) ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, რომელიც, უთუოდ, საჭიროებს თანდებულს, მსგავსად პირის ნაცვალსახელებისა. მისგანაც ისევე წარმოიქმნება კუთვნილებითი სახელი, როგორც პირის ან სხვა ნაცვალსახელებისაგან — კუთვნილებითი ნაცვალსახელი: ავიღოთ არსებითი სახელი ბავშვ-ი და მისი გამოხატველი ნაცვალსახელი ის და განვიხილოთ წინადადებაში, სადაც ისინი წარმოდგენილი იქნება ნათესაობით ბრუნვაში:

- (1) მ-ის-თვის წიგნი მოიტანა.
- (2) ბავშვ-ის-თვის წიგნი მოიტანა.

ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს მესამე პირის სახელთან, რომელიც პირველ შემთხვევაში ნაცვალსახელით არის გამოხატული, ხოლო მეორე შემთხვევაში — არსებითი სახელით.

როგორც მესამე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან წარმოიქმნება კუთვნილებითი ნაცვალსახელი: მ-ის- —

მის-ი, ისე შესაძლებელია პირის არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან წარმოიქმნება კუთვნილებითი არსებითი სახელი: ბავშვ-ის — ბავშვის-ი.

(1') მის-ი წიგნი მოიტანა (შდრ. (1)).

(2') ბავშვის-ი წიგნი მოიტანა (შდრ. (1)).

როგორც მის- პირის ნაცვალსახელი მნიშვნელობით „ის“ ლექსიკურად განსხვავდება მის-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან მნიშვნელობით „ის-ის კუთვნილი“, ასევე შესაძლებელია პირის არსებითი სახელი ბავშვ-ის- (მნიშვნელობით „მცირე ასაკის ადამიანი“) ლექსიკურად განსხვავდება ბავშვის-ი კუთვნილებითი არსებითი სახელისგან (მნიშვნელობით „ბავშვის კუთვნილი“). მისი- და ბავშვის-ი თვისების გამომხატველი სახელებია, ხწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი ძმისებრი, ამხანაგისებრი... ტიპის ფორმათა არსებობა შედგენილი შემსაქმნელის სახელად ნაწილად („ბავშვები ჩემი ძმისებრია“; „წიგნები ჩემი ამხანაგისებრია“). კარგად ჩანს, რომ ამ ფორმებში -ის წარმოქმნის ელემენტია, წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი იქნება მის შემდეგ მრავლობითობის -ებ სუფიქსი, რომელიც ბრუნვის ნიშანს ყოველთვის უსწრებს წინ, ხოლო წარმოქმნის ელემენტს ყოველთვის მისდევს.

შეიძლება ჩვენს მსჯელობისთვის ხელისშემშლელად გვეჩვენოს ის, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი პრეპოზიციამაც და პოსტპოზიციამაც ბრუნვის ნიშნებით არის გამოხატული (მის-ი საქმე-ი, მის-მა საქმე-მ. ს... საქმე-ი მის-ი, საქმე-მ მის-მა...), კუთვნილებითი არსებითი სახელები კი პრეპოზიციამაც ბრუნვის ნიშნებს არ ირთავენ (ბავშვის წიგნი-ი, ბავშვის წიგნი-მა...). ეს სხვაობა გამოხატულების პლანისაა და არა გრამატიკული შინაარსისა: გრამატიკული შინაარსის მიხედვით მსაზღვრელი ბავშვის-ი ყველა ბრუნვაში ნულოვან ალომორფს ატარებს, რომლის ფუნქცია საზღვრულის მიხედვით განისაზღვრება. ეს ვითარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს მაშინაც, როცა ატრიბუტული მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია (პატარა-ი წიგნი-ი, პატარა-ი წიგნი-მა...) და ზოგიერთ ბრუნვაში თანხმოვანფუძიან მსაზღვრელთან (დიდი-ი წიგნი-ს, დიდი-ი წიგნი-ად). ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე სუბსტანტიური მსაზღვრელი, მსგავსად ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელებისა, პრეპოზიციამაც ირთავდა ბრუნვის ნიშნებს მატერიალური გამოხატულებით (ბავშვისა-მ წიგნი-ი.. შდრ. მცირე-მ წიგნი-ი...).

პრეპოზიციური მსაზღვრელი ქართულში ისტორიულად ისწრაფვის იქითკენ, რომ ბრუნვებში ნულოვანი ალომორფებით გამოიხატოს (იხ. ზემოთ: სადემარკაციო ხმოვნები, გვ. 41); ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების მატერიალური გამოხატვა მთლიანად საზღვრულზე გა-

დადის. ზოგ დიალექტში ეს პროცესი უფრო დასრულებულად არის წარმოდგენილი ყველა რიგის მსაზღვრელთან, მაგალითად, თუშურ კილოში, სადაც შეთანხმების არქაული ფორმები დღესაც გვხვდება, არსებითად დამკვიდრებულია თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული სახელების ნულოვანი ალომორფებით დაბოლოებული ფორმები ყველა ბრუნვაში, მსგავსად ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელებისა, მაგალითად: შავ-0 ძროხა-მ, შავ-0 ძროხა-მ, შავ-0 ძროხა-ს, შავ-0 ძროხ-ის-, შავ-0 ძროხ-ით და სხვ. უფრო-ი თაობის თუშთა მეტყველებაშიც კი დღეს ძირითადია მსაზღვრელ-საზღვრულის აქ წარმოდგენილი ფორმები.

ერთიც: რა თქმა უნდა, ატრიბუტულ მსაზღვრელს იმის გამო, რომ იგი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში ან რომელსამე ბრუნვაში, უბრუნველი ვერ დაერქმევა, ე. ი. ფუძეს ვერ ვუწოდებთ მას⁴, რადგან ფუძე ლინგვისტური ანალიზის საკიროვებით გამოყოფილი ნაწილია სახელისა. რეალურ, მოქმედ ენაში ფუძე არ არსებობს, სახელი ყოველთვის რომელსამე ბრუნვაშია და ეს ბრუნვის ნიშანი შეიძლება ნულოვანი ალომორფით იყოს გამოხატული, როგორც, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან არსებით სახელებთან (ძმა-0 მოვიდა, წყარო-0 მოჩუხჩუხებს...) და სუბიექტური მეორე პირის ნიშანი ზმნებთან (0-აკეთებ საქმეს, გუშინ გა-0-თაღე ფანქარი...).

ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი და პრეპოზიციური სუბსტანტიური კუთვნილებითი მსაზღვრელი ზემოთ თქმულის საფუძველზე ბრუნების პარადიგმაში შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი:

სახ.	პატარა-0 ბავშვი	მეგობრის-0 ბავშვი
მოთხ.	პატარა-0 ბავშვ-მა	მეგობრის-0 ბავშვ-მა
მიც.	პატარა-0 ბავშვ-ს	მეგობრის-0 ბავშვ-ს
ნათ.	პატარა-0 ბავშვ-ის	მეგობრის-0 ბავშვ-ის
მოქ.	პატარა-0 ბავშვ-ით	მეგობრის-0 ბავშვ-ით
ვით.	პატარა-0 ბავშვ-ად	მეგობრის-0 ბავშვ-ად
წოდ.	პატარა-0 ბავშვ-ო	მეგობრის-0 ბავშვ-ო

ნულოვანი ალომორფები ყველა ბრუნვაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ, კერძოდ, იმ ბრუნვის ფუნქციას, რომელშიც საზღვრული დგას. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ნულოვანი ალომორფები ქართულში განპირობებულია პოზიციურად: როგორც კი მსაზღვრელი პოსტ-

⁴ შტრ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები 1973, § 123, გვ. 85.

პოზიციაში მოექცევა, ბრუნვის ნიშანი მატერიალურადაც გამოჩნდება მოთხრობითსა და მომდევნო ბრუნვებში:

ბავშვ-ი პატარა-0, ბავშვ-მა პატარა-მ, ბავშვს პატარა-ს... ბავშვ-ი მეგობრისა-0, ბავშვ-მა მეგობრისა-მ, ბავშვ-ს მეგობრისა-ს და სხვ.

სახელობით ბრუნვაში საზღვრულიცა და მსაზღვრელიც შეიძლება ნულოვანი ალომორფებით წარმოგვიდგეს: პატარა-0 ძმა-0, მეგობრის-0 ძმა-0. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ აქ წარმოდგენილი ფორმები უბრუნველია შემდეგ წინადადებებში: „პატარა ძმა მოვიდა“; „მეგობრის ძმა მოვიდა“.

შეიძლება ისიც, რომ მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი მატერიალურად იყოს გამოხატული, საზღვრული კი ნულოვანი ალომორფით წარმოდგეს: დიდ-ი ზღვა-0, ზღვა-0 დიდ-ი და სხვ.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ფორმებია, ე. ი. მსაზღვრელებია სახელზმნათა გვერდით ე. წ. „სუბიექტისებრი და ობიექტისებრი დამატებები“: მამის დახატვა (მამას დახატავს) და მამის ნახატი (მამამ დახატა).

სახელზმნათა ზმნურ კატეგორიებს (დრო, გვარი, ასპექტი) არავითარი კავშირი არა აქვთ სახელზმნებთან დაკავშირებულ აღნიშნულ სახელებთან. ამ სინტაგმებს შორის კავშირი მყარდება მხოლოდ სახელური კატეგორიებით (ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით), რომელთა გამოხატვის საშუალებები მათ ერთნაირი აქვთ. აქაც საქმე გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებასთან ბრუნვაში (მამის-0 დახატვა-0, მამის-0 დახატვა-მ... შდრ. დახატვა-0 მამისა-0, დახატვა-მ მამისა-მ...) და არა მართვასთან.

რაც შეეხება მსაზღვრელის მისწრაფებას — გადავიდეს ნულოვან ალომორფებზე ბრუნების მთელს პარადიგმაში, ამის მიზეზი, გარდა მორფოლოგიური მოთხოვნილებებისა, არის თვით მსაზღვრელის ბუნება. მსაზღვრელი თვისების გამომხატველი დაქვემდებარებული წევრია სინტაგმისა და გრამატიკულად მთლიანად დამოკიდებულია იმ სიტყვაზე — საზღვრულზე, რომელსაც ექვემდებარება. თავად ამას, როგორც თვისების გამომხატველ სიტყვას, არც რიცხვი სჭირდება, არც სქესი და არც ბრუნება — ყველაფერი ეს საზღვრული სახელისა აქვს მხოლოდ ფორმალური შეთანხმების საფუძველზე. სწორედ ამიტომ ფორმალურ შეთანხმებას ნულოვანი ალომორფებითაც ახერხებს. მით უმეტეს, თუ ნულოვანი ალომორფი ფონოლოგიურადაც იქნება გამართლებული (ვთქვათ, *მცირეი>მცირეა>მცირე — აქ ორი ხმოვნის თავმოყრა ერთად, რაც ხდება მორფოლოგიური არანეირების საფუძველზე, არაბუნებრივია ქართული ენის ფონემატური სტრუქტურისათვის და მსაზღვრელის ნულოვანი ალომორფი

ფონოლოგიურად არის შეპირობებული. იგივე შეიძლება ითქვას ხმოვანფუძიან მსაზღვრელზე წოდებით ბრუნვაში: მცირე > მცირე > მცირე).

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მორფონოლოგიური ქცევის თვალსაზრისით ბრუნვის ნიშანი და წარმოქმნის ელემენტი, ზოგჯერ განსხვავებულად იქცევიან, ასე მაგალითად, ვითარებითი ბრუნვის ისტორიულად დადასტურებული {-ად} მორფემა და ამავე ბრუნვის ნიშნის ფუნქციური რეინტერპრეტაციით მიღებული {-ად} წარმოქმნილი მორფემა ერთსა და იმავე პოზიციაში განსხვავებულ ფონეტიკურ თვისებებს ავლენენ თანამედროვე ქართულში. ავიღოთ ორი წინადადება ბუნებრივი ქართული მეტყველებიდან.

1. გ უ ლ ა თ კ ა ც ის რ კ ი ნ ა ჰ კონდა

ღა

2. გ უ ლ ა დ კ ა ც ს რ კ ი ნ ა ჰ კონდა.

პირველ წინადადებაში გულათ ფორმაში -ათ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, სახელის ბოლოს დაყრუებული მჟღერი თანხმოვნით (ძველ ქართულში მხოლოდ -ად გვხვდება დღევანდელი -ათ-ის ადგილზე). გულათ ამ წინადადებაში უბრალო დამატებაა.

მეორე წინადადების გულად, რომელშიც -ად მორფემის /ღ/ არ ყრუვდება, სინტაქსურად მსაზღვრელია. გულად ფორმა ამ წინადადებაში ნაწარმოები სახელის ფუძეა, რომელსაც მოსდევს მიცემითი ბრუნვის წულოვანი ალომორფი და გრამატიკულად ჩაიწერება შემდეგნაირად: /გულად-0/. მიცემით ბრუნვაში /-ს/-/0 მიმართება ფონოლოგიურად არის შეპირობებული. სწორედ ასეთ მორფონოლოგიურ განსხვავებაზე მიუთითებდა ნ. ტრუბეცკოი რუსულ ენაში: „პარადიგმატული და დერივაციული ფორმაწარმოების შიგნით გამოყენებულ ბგერით მონაცვლეობებს შორის არსებობს დიდი სხვაობა“⁵.

სახელთა ფორმების პარადიგმატული ანალიზის დროს ეს მორფონოლოგიური განსხვავება უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უზუსტობა დერივაციული და ფლექსიური ელემენტების კვალიფიკაციისას, ასე მაგალითად, იმის გამო, რომ წარმოქმნილ მ ე ს ა მ ე დ ი, მ ე ზ უ თ ე დ ი, ტ ა ნ ა დ ი... ფორმებში არ ყრუვდება წარმოქმნის {-ად} მორფემის /-ად/ და /-დ/ ალომორფები, ქართული ენისათვის ვითარებით (მიმართულებით) ბრუნვაში ბუნებრივი ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი -ათ და -თ დაბოლოებები ამხანაგ-ათ, ძმა-თ არ არის მიღებული

⁵ Н. С. Трубейской, Некоторые соображения относительно морфологии, კრებ. Пражский лингвистический кружок. М., 1967, გვ. 118.

მართლწერის ნორმად აღნიშნულ ბრუნვაში⁶. ბრუნვის ნიშანთა ფორმალური და ფუნქციური კვალიფიკაციის დროს წარმოქმნის ელემენტთა (გინდაც ეს ელემენტი ბრუნვის ნიშნისგან იყოს მიღებული) ჩვენებაზე დამყარება გაუმართლებელია, რადგან ისინი სხვადასხვა სტრატუმებს განეკუთვნებიან!

იმის გამო, რომ ვითარებითი ბრუნვის ალომორფები ყველა პოზიციასში ყრუდ არის წარმოდგენილი (კაც-ათ, ყრუ-თ; კაც-ათა-ც, ყრუ-თა-ც), მხოლოდ ბრუნვის ფორმებზე დამყარებული ანალიზით სწორი იქნება ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიშნად სწორედ -ათ და -თ გამოვყოთ. თანამედროვე ქართულ ენაში -ად, -დ (გულ-ად-ი, მეორე-დ-ი) კი დარჩება წარმოქმნის, ე. ი. ლექსიკური სტრატუმის ელემენტებად.

დავებრუნდეთ სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმას. როგორც ზემოთ ვნახეთ, (1)-ის(ა) წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა უთანდებულო სახელთა მხოლოდობითი რიცხვის არატერმინალურ პოზიციასში, მსგავსად იმ ბრუნვის ნიშნებისა, რომელთაც სახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმაში სხვა ბრუნვის ნიშანი მოსდევს: მეგობრის-ი წიგნი-ი (ძვ. ქართ. მეგობრისა-ჲ წიგნი-ი); ტანად-ი კაც-ი, პირობით-ი ნიშანი-ი. აქ -ის (/ისა), -ად, -ით წარმოქმნის ელემენტებია. შეიძლება მივიღოთ დებულება: უთანდებულო სახელთა მხოლოდობით რიცხვში ტერმინალური ბრუნვის ნიშნის წინ ყველაფერი სახელის ფუძეს განეკუთვნება; (2) ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ფუძეები ზედსართავად მოიქცევიან და სინტაქსურად მსაზღვრელის როლს ასრულებენ; (3) ზემოთქმული ეხება არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს, რომლებიც არსებითი სახელის როლს ასრულებენ. რიცხვით და ზედსართავ სახელებს შეეხება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მათი სუბსტანტივაცია კარგის-ი პატრონი, ორის-ი პატრონი-ი).

ახლა რაც შეეხება თანდებულის სახელებს: თუ თანდებული ფორმაში ტერმინალური ელემენტია, მაშინ ის ასრულებს თანდებულის როლს და სახელის ფუძეს არ განეკუთვნება, ხოლო, თუ თანდებულს მოჰყვა ბრუნვის ნიშანი, თანდებული, მსგავსად ბრუნვის ნიშნებისა ამ პოზიციასში, წარმოქმნის ელემენტად რეინტერპრეტირდება: მ-ის-ებრ — მისებრ-ი, კაც-თა-გან — კაცთაგან-ი, მ-ის მიერ — მისმიერ-ი; ძველი ქართულიდან: მ-ის-თანა — მისთანა-ჲ „მასთან მყოფი“ და სხვ. მისებრ-ი, კაცთაგან-ი... ფორმებში თანდებულები და მათ წინ მდგომი ბრუნვის ნიშნები წარმოქმნის ელემენტებია.

მთის დიალექტების მთაშიით(ა), მთაზეით(ა), მთასთანით(ა)

⁶ თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970, გვ. 61.

ართული ფორმები მხოლოდ ზმნიზედის ფუნქციით არიან წარმოდგენილი (გარემოებებია სინტაქსურად), ამდენად, ამ ფორმებში ბრუნვის ნიშანს ვერ ვამოვეყოფთ: როგორც -ში, -ზე, -თან თანდებულები, ისე -ითა სუფიქსიც ზმნიზედათა წარმოქმნელი ელემენტია, ლექსიკურ სტრატუმს განეკუთვნება და ფუძის შემადგენლობაში შედის. მაგარამ, როგორც კი ეს ზმნიზედები ბრუნვის ნიშნებს გაიჩენენ, მაშინვე სახელას ფუძედ მოიქცევიან, ასეთებია თუშური კილოს მთაში ი თ ა მ, მთაზე ი თ ა მ, მთა ს თ ა ნ ი თ ა მ ფორმები. ესენი არსებითი სახელების გვერდით მსაზღვრელებია. მთაში ი თ ა ხ ე „მთაში მდგომი ხე“ (მთაში ი თ ა ფორმის ბოლოს სახელობითი ბრუნვის ნიშანი -მ ჩავარდნილია პოზიციის შესაბამისად, მაშასადამე, ეს სინტაგმა გრამატიკულად ჩაიწერება ასე: /მთაშიითა-0 ხე-მ/). როცა ეს მსაზღვრელები სუბსტანტივაციას განიცდიან, მაშინ ბრუნვის ნიშნები ყველა ბრუნვაში გამოჩნდება: მთაშიითა-მ, მთაშიითა-მ, მთაშიითა-ს... (მაგ.: — რომელ ძროხას ხყიდნ? — მთაშიითას ვხყიდნ. შესაძლოა ასეთი პასუხიც: — მთაშიითა ძროხას ვხყიდნ). ჩვენ ასეთი ფორმები ნახური ენების გავლენით შემონახულად მივიჩნიეთ თუშურში⁷.

თუშურის -ითა წარმოქმნის ელემენტს (მთაზეითა-მ) ხევსურულში -ურ შეესაბამება მთაზედური).

ზმნიზედათა მოქცევა ზედსართავი სახელის ფუძედ ბრუნვის ნიშანთა დართვით ჩვეულებრივია ქართულში: ძვ. ქართ. აქა (ზზ.) „აქ“ — აქა-მ „აქაური“, ძვ. ქართ. შიგან (ზზ.) „შიგ“ — შიგანი „შიგნით მყოფი“... ახ. ქართ. აქეთა (ზზ.) „აქეთ“ — აქეთა-0 „აქეთ მყოფი“ (მაგალითად: „ღარბის აქეთა და იქით“: შღრ. „აქეთა და იქითა ხეები ერთი ჯიშისაა“) და სხვ.

ზმნიზედათა ფორმებზე ბრუნვის ნიშნის დართვა ყოველთვის არ ნიშნავს მის ნომენაციას, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრუნვის ნიშანი შესაძლოა ზმნიზედათა ვარიაციებს ქმნიდეს გარემოებითი ნიუანსების წარმოქმნით (იხ: გვ. 92), მაგ.: აქ -ის „აქეთკენ“ (შღრ. სოფლ-ის „სოფლისკენ“) აქ-ით „აქედან“ (შღრ. სოფლ-ით „სოფლიდან“). აქ ბრუნვის ნიშნები წარმოქმნის ელემენტებია. არ უნდა აირიოს ზმნიზედათა ნომენაცია და ზმნიზედათა ვარიაციები მეორეული წარმოებით. სახელად მოქცეულ რომელიმე წინა-0 და უკანა-0 („უკანამან წინა ნახა“) ფორმებს ყელა ბრუნვა აქვთ და მრავლობით რიცხვიც („უკანას წინა უნახავს“: „უკანის ნათქვამი წინ არ ისმის“; „უკანად იგულისხმება უკან მიმყოლი კაცი“: „წინებ უკანებს ვერ ხედავენ“ და სხვ.), მეორეულ ზმნიზედებს კი a priori

7 თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურე 1966, გვ. 77 და შემდეგ.

არ შეიძლება ჰქონდეს სახელოებითი, მოთხოვითი, წოდებითი ბრუნვების ფორმები და მრავლობითი რიცხვის ფორმა...

კონტექსტი ყოველთვის გამოარჩევს ზმნიზედას სახელისგან. რომელიმე ხვალის სწორს გამოთქმაში ხვალე სახელად მოქცეული ზმნიზედაა და იბრუნვის, როგორც კვეცადი სახელი (ხვალე-0, ხვალე-მ, ხვალე-ს, ხვალ-ის...). ხვალე, როგორც სახელი, ნიშნავს „დღეს, რომელსაც ხვალე ჰქვია“. „ის ხვალის სწორს დაბრუნდება“ წინადადებაში დროის გარემოება მთლიანად შესიტყვება — ხვალის სწორს.

დღეის სწორს გამოთქმაში დღეის სუბსტანტივი დღეს ზმნიზედიდან მიღებული ფორმაა. ინტერესს იწვევს მისი უკვეცლობა, როცა ამავე მდგომარეობაში გასუბსტანტივებული ხვალე იკვეცება. დღეის მიღებულია დღესის ფორმიდან: დღესის > დღეის და უკვეცლობაც გასაგებია.

ზმნიზედათა ნომენაცია ხდება მხოლოდ ბრუნვის ნიშნების დართვით, ყოველგვარი წარმოქმნილი ელემენტის დართვას გარეშე (მღრ. ზმნათა პირიანი ფორმებისგან სახელთა წარმოქმნა მხოლოდ ბრუნვის სუფიქსებით: მ-რწამ-ს — მრწამს-ი, კამ-ს — უკამს-ი, ღირ-ს — ღირს-ი, უღირს-ი...).

ზემოთ წარმოდგენილი განსაზღვრა ფუძისა შეიძლება გავიმეოროთ სხვა მომენტებზე აქცენტრებით: მხოლოდითი რიცხვის ფორმებში ბრუნვის ნიშნის წინ ყველაფერი (რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს იგი) სახელის ფუძეს განეკუთვნება. აქ არსებითია ის, რომ პირის ნიშნები თუ სხვა ელემენტები, რომლებიც ბრუნვის ნიშნის წინ ექცევიან, წარმოქმნილი სახელის ფუძეში წარმოდგენილი არიან როგორც მისი განუყოფელი ელემენტები — ისინი ძირეულ მორფემებთან ერთად ქმნიან ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას ისე, რომ ცალკე რაიმე კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა (როგორც, მაგალითად, მქონებლობა, უქონლობა, კნინობითობა და სხვ.) მათ არა აქვთ (მ-რწამ-ს — მრწამს-ი: აქ ობიექტსა და სუბიექტის ნიშნებს ცალკე მნიშვნელობა არა აქვთ, ისინი — რწამ- ძირეულ მორფემასთან ერთად ქმნიან ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას: მრწამს-).

სტრატეფიკაციული თვალსაზრისით მიუღებელი ჩანს ჰ. ი. არონსონის ვარაუდი, თითქოს ბრუნვის ნიშნის, როგორც ტერმინალური დაბოლოების, ცნება ქართულში არ გამოდგება: მიუთითებს ქალაქთაგანი ფორმაზე და შენიშნავს, რომ ბრუნვის ნიშანი -თა არ არის

ტერმინალური⁸. როგორც ზემოთ ვნახეთ, ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ამ ფორმაში ასრულებს მხოლოდ ტერმინალური -ი სუფიქსი (ქალაქ-თაგან-ი), სხვა ელემენტები ფუძის წარმოქმნელება და არა ბრუნვის ნიშანი და თანდებული.

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის ფორმებს, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი რიცხვის ნიშანი“ (იხ. გვ. 109 და შემდეგ), ახლა შეიძლება ვცადოთ ფუძის განმარტება ამ დებულების გათვალისწინებით: სახელთა ფორმებში ბრუნვის ნიშნის წინ ერთადერთი ფლექსიური ელემენტი, რომელიც ფუძეს არ განეკუთვნება, არის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი: -ნ, -ებ⁹ და -თა სუფიქსიც, როცა მხოლოდ რიცხვს გამოხატავს (ბაგე-თა-თ „ბაგეებით“, რაც ნიშნავს ამას „ბაგეებიდან“: „ბაგეთათ ვარდსა ანათობს...“ „ვეფხისტყაოსანი“, 954).

სახელთა მრავლობითობის -ნ და -ებ სუფიქსები, მსგავსად პირთა მრავლობითობის -თ, -ენ სუფიქსებისა ზმნებში, ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლიან ფორმებში: (1) პირი და რიცხვი სახელისა და ზმნის საზიარო ფლექსიური კატეგორიებია და ამიტომაც გვაქვს შეთანხმება წინადადების ამ ორ წევრს შორის¹⁰. ეს სიმპტომატურია — შეთანხმება წინადადების ამ ორ, თავისი ბუნებით დიდად განსხვავებულ, წევრს შორის მხოლოდ გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ხდება. სახელის დერივაციული ელემენტები ზმნაში გრამატიკულად არ აისახებიან; (2) ამავე დროს -ებ და -ნ სუფიქსებს, განსხვავებით წარმოქმნის ელემენტებისაგან და მსგავსად ბრუნვათა ნიშნებისა, არა აქვთ სინტაგმატური შეზღუდვა სახელის ფორმებში, როდესაც სახელს ვაყენებთ მრავლობით რიცხვში. წარმოქმნის ელემენტები კი სინტაგმატურ მიმართებაში ხასიათდებიან გარკვეული შეზღუდვით, ასე მაგალითად, ერთი ფორმის ფარგლებში შეუძლებელია, ერთი მხრით, ქონების -იან, ოსან... სუფიქსები და, მეორე მხრით, უქონლობის უ—ო, უ—ურ კონფიქსები (მაგ., უქუდიანო და სხვ.), რადგან ისინი ერთი ზოგადი მნიშვნელობის (მქონებლობის) დაპირისპირებული სახეებია, მაგრამ წარმოქმნილ ფორმებში თავისუფლად იმპარება ფლექსიური ბუნების ბრუნვის ნიშნები და მრავლობითობის -ებ ან -ნ

⁸ H. I. Aronson. Towards a formal analysis of the Georgian declension „General linguistics“, 9 (1969), გვ. 173.

⁹ შტრ: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 109.

¹⁰ ლ. კვაჭავაძე, დასახ. ნაშრომი.

სუფიქსები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელის ფორმათა ანალიზისას -ებ და -ნ ექცევა ფლექსიურ და არა დერივაციულ ელემენტთა რიგში. ამდენად, მსგავსად ბრუნვის ნიშნებისა, მათ სახელის ფუძეში ვერ შევიტანთ.

РЕЗЮМЕ

В труде по данным древне- и новогрузинского литературных языков и современных диалектов проанализированы морфонологические изменения имен в парадигмах склонения и грамматического числа, а также те случаи деривационных изменений, которые связаны с показателями вышеуказанных грамматических категорий.

Включение в исследование столь отдаленных данных на временной и пространственной осей языка обусловлено тем, что системы склонения и грамматического числа в грузинском языке, по нашему мнению, идентичны с начала письменного языка по настоящее время.

Анализ производится по методу стратификации. Такой подход позволяет элементы языка и их взаимоотношения рассматривать в первую очередь по отдельным стратумам, где они представлены идеально и определены строго, а затем анализировать изменения, происходящие в глобальной системе языка, на основе взаимовлияния закономерностей различных стратумов.

В труде выделены падежные морфемы и их алломорфы на разных срезах письменного языка и в современных диалектах.

При идентичности систем склонения выявлена различная обусловленность нулевых алломорфов в древнегрузинском и новогрузинском. Нулевой алломорф суффикса {-o} {-i} именительного падежа в древнегрузинском обусловлен морфологически, тогда как в современном грузинском (литературный язык, диалекты) /Ø/ в этом падеже обусловлен фонологически: на ранней стадии развития (до «древнегрузинского» периода) в склонении имен косвенным падежам противопоставлялся назывательный падеж, как немаркированный маркированным; назывательный падеж, как и косвенные падежи, имел определенную и неопределенную формы. Древнегрузинский «неоформленный падеж» является пережитком неопределенной формы назывательного падежа. Из последнего в древнегрузинском впоследствии образовались именительный и эргативный падежи

собственными определенными и неопределенными формами, вследствие чего неопределенная форма назывательного падежа в древнегрузинском осталась без функции и примкнула к именительному падежу то как его свободный, то как морфологически обусловленный вариант (с числительными: *saṃ ḳas* „три человека“, с некоторыми глаголами: *ḳas vaḡ* „есмы человек“, *eḳoda ḳas* „наречен был еловеком“ и т. д.).

В современном грузинском же /- Ø / в именительном падеже встречается в формах имен с гласным исходом основы, а /-o/ /i-i/ с согласным исходом основы, следовательно, варианты обусловлены фонологически.

Здесь же рассматриваются случаи функциональной реинтерпретации языковых сегментов при переходе с одного стратума в другой. Эти сегменты смотря по тому, в систему какого стратума включаются они, принимают различные функции (становятся элементами разных стратумов), в частности, флективные элементы склонения — показатели падежей становятся деривационными элементами, как только изменятся флективные закономерности реализации этих морфологических элементов, а именно: в беспредложных формах и формах без частиц показатели падежей являются терминальными элементами именных форм. Как только показатели падежей теряют эту позицию, сразу же они становятся деривационными элементами, например: *gul - ad* — обстоятельственный падеж *gul-i* (им. п.) „сердце“, *-ad* падежный показатель; ср. *gu!ad-i* „смелый“ (досл. „имеющий сердце“) — производное имя от формы обстоятельного падежа в именительном падеже (эргатив—*gulad-ma*, дат. *gulad-s* и т. д.).

Налицо переход флективного суффикса (падежного окончания) *-ad* в деривационный элемент *-ad* посредством различного распределения сегмента *-ad* в формах имен.

Наречия становятся основами производных имен, как только за ними последуют показатели падежей: *ḳiṇa* „вперед“ наречие: *dadis ḳiṇa da uḳaṇ* „ходит вперед и взад“; ср. *ḳiṇa-Ø* „передний“: *ḳiṇa ḳaci žeḳerda* „передний человек остановился“.

В производном *ḳiṇa* „передний“ показатель именительного падежа перед определяемым словом представлен нулевым алломорфом (*ḳiṇa-Ø ḳas-i*). При субстантивации именная основа *ḳiṇa* в эргативе и других падежах прибавляет материально выраженные показатели: эрг. *ḳiṇa-m*, дат. — *ḳiṇa-s* и др.

Переход наречий в прилагательные часто встречаем и в древнегрузинском: *туп* „там“—*туп-и* „тамошний“ ака „здесь“—*ака-ј* „здешний“, *д҃yes* „сегодня“—*д҃yes-и* [„сегодняшний“ и др.

Выход именных форм из парадигмы склонения также влечет за собой изменение лексического значения— происходит смена стратума, т. е. переход элементов с одного стратума в другой; например: *д҃ye-s* дательный падеж имени *д҃ye* „день“: *bednier d҃yes veli* „жду счастливого дня“, но форма *д҃yes* „сегодня“—наречие: *д҃yes šin vt҃eebi* „сегодня остаюсь дома“, конечный /s/ уже не входит в парадигму склонения (так как этот согласный, как суффикс, не противопоставлен другим падежным окончаниям), следовательно, в склоняемой форме /s/ является флективным, а в наречии деривационным элементом, неотъемлемой частью лексического значения наречия *д҃yes* „сегодня“.

В горских диалектах формы родительного и творительного падежей становятся наречиями этим же путем (путем вывода из парадигм склонения соответствующих имен). обстоятельственный падеж легко поддается такому изменению во всех подсистемах грузинского языка.

Как было показано выше, одни и те же сегменты могут стать элементами разных стратумов в зависимости от их включения в различные языковые закономерности.

С точки зрения стратификационного подхода особенно важно отметить, что элементы разных стратумов, но выраженные одним и тем же сегментом, в глобальной системе языка ведут себя по-разному. Для примера возьмем известные нам *-ad* флективный суффикс (показатель обстоятельного падежа) и *-ad* деривационный суффикс (выражающий обладание чем-нибудь): в конце слова согласная /d/ флективного *-ad* в литературной подсистеме оглушается, а /d/ деривационного */-ad/* процесс оглушения не коснулся в этой позиции.

При таком положении вещей естественно приходим к выводу, что определение языкового статуса одного из этих суффиксов будет ошибочным, если в процедуру анализа будут введены данные другого суффикса, хотя они одного происхождения.

В монографии, наряду с общими вопросами стратификационного анализа языковых явлений, рассматриваются конкретные вопросы морфонологии склонения грузинских имен: 1) рассмотрены на различных временных срезах развития грузинского языка дистрибуция и функция «эмфатического -o -a»: по нашему мнению, до древнегрузинского периода

-ა-а надо считать детерминирующим элементом, в древнегрузинском, потеряв бывшую функцию, становится неразделимой частью падежных окончаний в дательном, родительном, творительном падежах единственного числа и суффикса -ა-ბა во множественном числе; в современном грузинском -ა-а становится диеремой и может последовать за любым членом предложения по мере надобности текста. В этой роли в подсистемах языка могут выступить и другие гласные, а также именые и глагольные морфемы; 2) рассматриваются симультанное выпадение гласных с конца и середины основ имен существительных (ცურბელა „пиявка“ — ცურბ(ე)ლ(ა)-ის „пиявки“, მოყვარე „свойственник“ — მოყვ(ა)რ(ე)-ის „свойственника“ и др.). Таких основ мало в языке (в древнегрузинском насчитывается всего шесть основ, а в современном грузинском — четырнадцать). Древнегрузинские симультанно усеченные и стяженные основы в современном грузинском лишь усекаются, а из современных 14 симультанно усеченных и стяженных имен девять имеют параллельные основы. Они абсолютные синонимы. Разницу между ними создает гласная фонема на исходе одной основы, которой нет в параллельной основе.

По мнению автора, симультанное усечение и стяжение основ имен существительных — результат коррекции параллельных парадигм абсолютных синонимов в морфологической и глобальной системах языка.

В главе «Склонение имен с послелогом», исходя из положений (1), падежные формы имеют только актанты, и (2) в наречиях теоретически не допускаются падежные окончания (они в наречиях реинтерпретированы в деривационные элементы) — рассматриваются данные некоторых горских диалектов, где идентичные по фонемному составу формы имен (актантов) и наречий подвергаются различным морфонологическим изменениям; напр.: окончание дательного падежа -ბ-ს в диалектах пховской группы всегда налицо в актантах, а в наречиях этот же /b/ /s/, уже реинтерпретированный в деривационный суффикс, свободно варьирует с нулевым алломорфом.

В следующей главе анализируется слияние показателя именительного падежа -ო-ი с основами антропонимов. Все они с согласным исходом.

На материале подсистем (лит. язык, диалекты) показана общая тенденция грузинского языка — создать сильную позицию в дательном падеже, где согласная /согласные основы с показателем падежа -ბ-ს в абсолютном большинстве случаев

создают фонематически неприемлемые комплексы согласных, вследствие чего вышеупомянутый суффикс -o-i сливается с основами антропонимов, тем самым создавая возможность реализации стыковых комплексов согласных.

В конце монографии определяется именная основа с точки зрения тех ее элементов, которые становятся деривационными путем стратификационных изменений — вследствие перехода с одного стратума в другой — это бывшие флективные аффиксы в новой аранжировке и соответственно в новой функции деривационных элементов.

- თკ — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
- იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი.
- მეგრ. — ზანურის მეგრული დიალექტი.
- მობ., მივლ. მასალები — ამ შემოკლებით აღნიშნულია ჩვენ მიერ 1959 წლის ივლისს ხევში მივლინების დროს ჩაწერილი მოხვეური ტექსტები.
- სევან. — სევანური ენა.
- ფდ — გ. ცოცანიძე, ფშური დიალექტი, თბ., 1978.
- ქდ, I — ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქაეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
- ქეგლი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950—1964.
- ქეოლი — ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.
- ბთ — ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- ზპ — ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931.
- კმ — ბესარიონ გაბუური, კევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, „წელიწდეული“, I—II, თბ., 1923—1924.

შინაარსი

შესავალი	3
სახელთა დეტერმინაცია ძველ ქართულში	7
სახელთა ბრუნების ფორმათა ანალიზი	23
კეცად-კუმშვადი სახელების ბრუნება ქართულში	66
სახელთა თანდებულიანი ფორმები	91
მორფონოლოგიური ცვლილებები ადამიანთა საკუთარ სახელებში	99
სახელის ფუძისათვის ქართულში	121
Резюме	132

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სბ 3057

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიაევა
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნედაქტორი ნ. თკუჭაევა
კორექტორი ნ. მაჩაიძე

გადაეცა წარმოებას 14.3.1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.1986;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 1; ბეჭედი მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 8.8
პირ. საღ. გატ. 9.1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.3
უე 04683; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 779;
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19